


ანეული

ლიტერატურული ჟურნალი
N3 2024



მხატვარი – ნინო ზახიძე-მალხაძე



მთელი ხანეთის
სახიო,
თიანის
ძვანო ჭახიო...



თანამედროვე
ქართული პოეზია
ინგლისუხად



ნუთისეტი
მიწიხის!..



ნიჟო ფიქოსმანის
სახე-ჟონსეხტი
ქართულ პოეზიაში

ჩვენს ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ ჯონაჰსი







ნაწახმოვანების მიღების ბოლო ვადაა
2024 წლის 1-ელი ნოემბერი

გამოუქვეყნებელი ნოველა ან მოთხრობა (ავტორის
ბიოგრაფიასთან ერთად) უნდა გაიგზავნოს ელფოსტაზე:
aneuli.inanishvili@gmail.com

დაწვრილებით ის. ფეისბუქჯგუფში –
რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსი

ახალი წიგნები





ანაული

№3 (№44) ოქტომბერი. 2024

ლიტერატურული ფუნქციონირი

პეტრია	
ნოსაზ ნონაშვილი თურქეთის ქართველებთან თქმული	3
ბიოხიზი ზაზიხაშვილი	4
ნუნა მიქაძე	6
მანანა შიოშვილი	8
ლიცაგაგაძე ჟიქილი	
თამარ ჭანაძე ნიკო ფიროსმანის სახე-კონცეპტი ქართულ პოეზიაში	10
თაბატაძე (ქართული პეტრეის ლექსები)	
ნიხაი ნაღიჩიშვილი, თაბატი შიოშვილი	17
შინოსო (ფიქსო) ნაზიშვილი	18
მახინა ხაჩიშვილი	19
ნათია ხაჩი	20
(ქართველი პეტრეის შემოქმედება ინგლისურად, თარგმნა მზია კვიციანი-ლოურენსმა)	
მუხან მუხანიანი (ინგლისურად თარგმნა მანანა ლარიაშვილმა)	21
პეტრია	
ნათი ბაბინაშვილი ნოველები	22
სოლომონ ნაბაძე „დაფხვნილი“	25
სანილი ხაბიანი „ომბა თქვა – დაგმარცხდი“	28
ნოსოზი ნაბიანი, ნონა ტაბატი	30
წერილები სოფო ლლონტის შემოქმედებაზე	
პეტრია	
სოფო ლლონტი	32
ნონა ბინაძე	33
ნოსა მანაძე	35
ნათია ნიხაძე	36
ნაბა მიქაძე	38
„ღლეანდელს ჰგავს გადღასული“?	
მანა მუხანიანი მაცოცხლებელი ფიქვი	39
ერთი ლექსის ისტორია	
ნიხანა ჭაბუჩიძე ვიცოდეთ სინამდვილე!	41
თეატრალისის	
ბინი მანაშვილი გრ. რობაქიძის რომანი „ფალესტრა“; „9 მაისი“	42
ლიცაგაგაძე ჟიქილი	
მანი ნიხანიანი „წარსულიც ვარ, მომავალიც, განა მართლ ანბანი ვარ“!	44
პეტრია	
ნანი მანაშვილი	46
მეიტსელის მთამუქდილქმა	
ნინი ნიხანიანი-ნახტინაშვილი	48
„სული მწყურვალი ვერ შეგვლია, ქვათახევისკენ ისევ მელიან“ (ვანო ჩხიკვაძის შემოქმედება)	
პეტრია	
ნანი მანაშვილი ალუბლებიანი მოგონება	57
პეტრია	
ბიოხიზი ნონიანი	58
ლიცაგაგაძე ჟიქილი	
მახინა ნაღიჩიშვილი ხელმწიფის ხატ-სახე ძველ ქართულ ლიტერატურაში	59
აი, ისტორია	
ნიხანა მანაშვილი ოსმალის საქართველო	63
თაბატაძე	
ნანაშვილი მანაშვილი ლამის ია (თარგმნა მარინე აბარღანიშვილმა)	65
გაბიგთი თბილისიანი – 220	
ბიო მანაშვილი ილია და გრიგოლ ორბელიანი	69

ISSN 1987-9717

ქედუხედ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანელი“

ჟუჲნალ „ანელი“ ახსებუღი
ღიჲუჲუჲუღი გუჲთიანება:

რეჲო (ჲჲჲღიანე) აღამია
ნინო არსენაჲვიღი
რეჲაჲ ბალანღიგაკჲ
თამარ ბაბროჲვიღი
თამარ მიჲაკჲ
თენგიჲ უთიჲღიკჲ
ღეიღა ჲიტიჲვიღი –
სასღთს უციჲვიღისა
თემურ ჲალაბაჲვიღი
მანანა ჲიტიჲვიღი
ნინო ჲიტიჲვიღი
ჲუბა ჲეჲეღი
თამარ სმაღაკჲ
თემურ ჲაბოღნიჲვიღი
იგანე ჲაჲარიკჲ

მთავაჲი ჲედაჲუჲი
თამარ შაღიჲეღაჲვიღი

გაჲეჲანის ჲიჲედ გვეჲღე: ნინო ჲაჲიღა-მალჲაღის ნამუჲაჲი
გაჲეჲანის ბოღო გვეჲღე: მსატვაჲი – ნინო ჲაჲიღა-მალჲაღი

ჟურნალ „ანელის“ ყვეღა ნომრის წაკითხვა შესაღლებელია საქართვეღოს პარღამენტიის ეროვნული ბიბლიოთეკის საიღზე: www.nplg.gov.ge – ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ ვებგვერღზე.

ღოგოს ავტოჲი
ბიოჲბი ჲაჲეღიანი

ჲეღაჲიის ტაღეჲონი: 551 00 50 58

ჲედაჲიის ინტეჲნეტოღსტა: aneuli@mail.ru; aneuli.inanishvili@gmail.com

ჟუჲნალში გამოჲვეყნებუღ მასაღებუ ჲასუჲისმგებელია ავტოჲი. გამოსაჲვეყნებუღი სტატიის მოცუღობა აჲ უნღა აღემატებოღეს 5 ნაბეჲღ გვეჲღს

ჟუჲნალი ღაიბეჲღა გამოცემღობა „მნიღნობაჲში“

პოეზია

იოსებ ნონეშვილი



თურქეთის ქართველებთან თქმული

ძმებო ლაზებო, შავშნო, მესხებო,
აჭარელო და არტანუჯელო,
მოულოდნელად თქვენთან შეხვედრა
ლამის თვალეხსაც არ დავუჯერო.

შუბლზე გეტყობათ ოშკის ბზარებად
ნაიარევი ბედის, შავბედის...
დადუმებულხართ ტბეთის ზარივით,
დაღონებულხართ, როგორც შატბერდი.

აქ, ამ მიწაში სძინავთ წინაპრებს,
მათი ძვლებია აქ ჩამარხული,
ხოლო თვალები თავს დაგვბრწყინავენ,
როგორც სანთლები ძველი ხახულის.

გულში ქართული სისხლი გიღელავთ,
სულშიც ქართველის მზე გაქვთ ჩაფანტული,
ნენემ ქართული ნანა გიმღერათ,
ნენემ გასწავლათ ენა ქართული.

კურთხეულ იყოს დედა ქართველი,
თქვენ რომ ეძახით ნენეს ალერსით;
მისი ჭაღარა თმების ნათელი
ნამუსის შუქად გიდგათ თვალებში.

ძველ სალოცავებს თავს დასტრიალებთ –
შერჩეთ ჩუქურთმა, შერჩეთ ნახატი,

რას ვიფიქრებდით – მაჰმადიანი
რომ ქრისტეს ტაძრებს შეგვინახავდით.

თუმცა რას ვამბობ... ძველი ამბავი
რად გამახსენდა, გთხოვთ, მომიტევეთ...
ისე მცირეა ჩვენი მთა-ბარი,
ქრისტეც, მაჰმადიც ვერ დაეტევა?!

ჩვენ ღმერთი ბევრი გამოგვიცვლია,
ღმერთი კეთილი, ღმერთი მრისხანე,
ყველა მათგანი კრძალვის ღირსია,
დაგვრჩა მათი მზის თითო მისხალიც.

მაგრამ სხვა არის სული ქართული,
ის ყველა ღმერთზე უფრო მძლავრია,
უკვდავ მბრძოლით ხარ განათლული
თუ შუბლზე მისი შუქი გავლია.

მაშ, გვწამდეს ჩვენი ღმერთი საერთო,
დედასამშობლო – ღმერთი უცვლელი...
მის სამსხვერპლოზე ცეცხლად დავენთოთ
და დავიფერფლოთ მისთვის გულწრფელად.

მაშ, გაუმარჯოს ამ ჩვენს შეხვედრას,
ერთმანეთი რომ აღარ გვეთმობა,
ეს გაუმარჯოს ტანჯვით შენახულ,
მალვით შენახულ თქვენს ქართველობას!

თურქეთი, სოფელი მაჭახელა
ჟურნალი „მნათობი“, 1969, №6

გიორგი ზუბიტაშვილი



* * *

ციხის ქონგურზე ყორნები სხედან
 და სანისლეთში ქრებიან მთები,
 არწივი მისდევს ფრთაგაშლილ ქედანს...
 კვლავ მახსენდება და მაგონდება!
 კლდეთა გულმკერდზე ნაჟურნი დიან,
 მთელ სოფელს ლევენ ლეკ-ვარხუნები,
 ხმალს არ ავიღებ, კარგად იციან:
 შენ ამ სოფელში არ მეგულები.
 დაე შემრაცხონ ლალატის მქმნელად,
 კილვის დამადგან თავსაბურავი,
 შენთვის თუ არა, ხმალს ვხმარობ ძნელად,
 ფერნით მიყრია ზღვა-სამდურავი!
 გავწმენდი ხირიმს, ბერდენკას, ხარას,
 ფრანგულს სახოტბოს ვეტყობდი ოდებს,
 ავაელვებდი ხუთჯვრიან ალამს,
 ამ სოფელში რომ მეგულებოდე!

* * *

გახსოვს ქარები ქალთადარები,
 მიუკარები და ნისლთა გროვა?
 ან წვიმით სავსე შავი თვალები
 და გაზაფხულზე საყვარლის გლოვა.
 გახსოვს ის მთები?... ცეცხლის ანმთები
 დარდთა და დარდთა ლამაზი ხროვა?
 თვალთგან მიმქრალი ათინათები
 და ლანდი მისი, ვინც მიგატოვა?!
 გახსოვს ღამენი – ჟამი ჩანგისა,
 ან თეთრ მთათაზედ მთვარე მთრთოლვარე?
 ოცნება? – მსგავსი ფარშევანგისა,
 დანაცრებული და მგლოვიარე!
 გახსოვს ყოველი, ყოველი გახსოვს,
 ყოველთა ამას ვერ შეელიე...
 მით თოვლისდარად წუხილი გათოვს –
 ამოუხსნელი ევანგელიე.

* * *

გზას მივდევ ყვავილმოქარგულს,
 წინ უდაბური მთებია...
 ვგრძნობ საქართველოს სიყვარულს
 გულში ცეცხლად რომ მთებია.
 გაღმა – ქვითკირის სოფლები,
 გამოღმა – მინდორ-ველია.
 ჩამოლეღავენ ხეები,
 ღვარა – ნისლების ფერია.
 ცაზე არწივი ნავარდობს,
 ცად ძველი მონასტერია
 და იმ მონასტრის კედლებზე
 ჩვენი წარსული წერია.
 ჩემი სამშობლო ის არის –
 ჩემი ძირი და კერია,
 სადაც ქართულად გალობენ,
 სადაც ქართულად მღერიან!
 ცეცხლივით ღვივის ასკილი,
 თითქოს სანთლები დნებიან
 და უფალს საქართველოს
 ღიღებას ევეღრებიან!

* * *

სათბში ვდგავარ,
 პირზე ოფლი გადამდის მწარე,
 მაისის ნისლი
 ყაღორიდან მოცურავს დაღმა,
 ყვავის მაყვალი,
 ლამაზია მშობელი-მხარე,
 ვით ჩემი სატრფო,
 ცრემლებს რომ ღვრის
 მდინარის გაღმა!
 რა იცის ხალხმა
 სამშობლოსი ან სიყვარულის,
 მთავარი არის,
 ფერდობზე რომ ნათიბი გახმა,
 თუმც კი ამბავი წამოსცდებათ
 გაფრინდაულის,
 ვეფხისტყაოსნის...
 ეგრე იცის ხოლმე არაყმა!
 მაგრამ, ვაი, რომ პოეტი ვარ –
 ბედით ნასმური,
 სამშობლოს ტრფობა,
 ტრფობა ქალის ვალად მერგება,
 ღმერთმა გიმველოთ,
 გაღმა ტირის ერთი ასული,
 დაამწუნრესო, – ასე მითხრეს, –
 შენმა ლექსებმა...
 სათბში ვდგავარ,
 პირზე ოფლი გადამდის მწარე,
 კენესის გუგული,
 თან სამზეოს მზეც იბარგება,
 უცნაურია,
 ლამაზია მშობელი – მხარე...
 მაისის ნისლი სერს გადადის
 და იკარგება!

* * *

შენ, ჩემო მზეო, მზეო აპრილის,
დადექ, დაიცა, მელაპარაკე,
მინდა წადილი დაგიანდერძო,
შენ, ვინც სიცოცხლე გამიარაკე!
ძვირფასო, სადაც ავსებდი ხელთუნგს
და დადიოდი, როგორც თამარი,
სადაც ერწყმოდი ქარ-ნისლებს ველურს,
ქალბნელო, ა, იქ დამასამარე!
უარს ნუ მეტყვი, ღმერთსაც უყვარდე!
არ მერგო რაკი შენი ცილობა...
ამ წადილსაც ნუ გამიპარტახებ,
გეყოს ქალური გულუბრყვილობა!
ისმინე, რადგან ეს ჯერ არ მითქვამს,
ავდრობას ეგ მზე გამიკამარე,
ძვირფასო, სადაც მიყვარდი დიდხანს,
იმ სამყოფელში დამასამარე!

დაისი საქართველოში

მზისქვეშეთი... ქვიშიანი მინდვრები,
მთვარის შუქში გახვეული ყურღანი...
ამ ცისა ქვეშ დადიოდა: რუსთველი,
ცურტაველი, ბერი საბა-სულხანი!
ამ ცისა ქვეშ თამარს ცრემლი უღვრია,
ეს მდინარე ცრემლი არის თამარის,
მას დავითის გულზე გადაუვლია –
მამა-პაპათ სამვალით და სამართით...
ა, ვარძია მზისფერი და მზიანი,
ა, გელათი – გაენათი მრავალთა,
სულთსაბორგე ქვანი ღალადიანი,
სულთმშუთავი მომხდურთა და მტარვალთა...
ოშკ-სახელის სვეტი კელაპტრიანი...
მისი ხილვაც არ იქნა და არ ახდა
და მრავალი საუნჯე მისთანანი
უძღურებით ასე გამიპარტახდა!
სამშობლოში შევლახულვარ დარცხვენით,
რომ მის ცის ქვეშ ვიარები ჯაბანი,
რომ დღეს ვცოცხლობ სიცოცხლეში სიკვდილით
და უბრალოდ დამღევს მიწის საბანი!
ბრაზი მახრჩობს საკუთარი თავისა,
მაინც ვმღერი, ო, ლილეოს მწირული,
როცა მესმის ჯანხი დარიალისა
და დიდგორის სუნთქვა თავგანწირული!

* * *

თამარის ფრესკას,
ლვითურს და ქართულს,
ქართველი კაცის
წესით ქედს ვუხრი...
სახეს
ზეციურს,
მეფურს და ქალურს,
ვერაფრით წაშლის
ცეცხლი და კუპრი!
ვჭკრეტ უცხო თვალით
წარსულის ნაშთებს,
მაშვრალ ქართველთა
ამაგის ნაყოფს:
თმოგვს და ვარძიას...
კლდეეთში ნაგებს,
საუკუნეთა ქარცეცხლში ნამყოფს!
შენ – კი, ბერ-ქვაო,
ქვაო საყდრისავ,
ძველო ჩუქურთმავ,
მზისა ნაფერო,
შენ დაგავალეს
ვალი ქართველისა:
შემოგვინახო
ჩვენ საქართველო!

* * *

სჯობდა დიდოელს ესროლა ტყვია,
დამამიწებდა ვინმე ფირალი,
მაგრამ შენ ჩემი სიკვდილი გქვია,
ქალის თვალებით შემომზირალი!
სჯობდა მოვეკალრაყიფს ან აბრეკს,
პრქემოდა იმას თუნდა რაშიდი,
მაგრამ შენ მისჯი სინდისის სასჯელს –
ქალურ დამსჯი და ქალურ გამყიდი!
ამ ბნელა-კვლომას სჯობდა ციხის წინ
ხმლით აველალე გენუხის აულს,
შემოგრეოდა ცრემლის ხალისი,
მით გადინდიდი ჩემსა საზღაურს!
თუმცა არ მერგო ღუშმანის ტყვია,
არ გამიმტერდა ვინმე ფირალი,
რადგან შენ ჩემი სიკვდილი გქვია,
ქალის თვალებით შემომზირალი!

ნუნუ მიქელაძე



ისტორიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი ნუნუ მიქელაძე მრავალი წლის განმავლობაში ახალგაზრდა თაობების აღმზრდელი და მასწავლებელია. ის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში დღემდე აქტიურად კითხულობს ლექციებს. ამასთან, პარალელურად, წლების განმავლობაში მოღვაწეობდა თელავის საჯარო სკოლებში.

სოლიდური გამოცდილების ადამიანმა, მორიდებულად შემოაბიჯა პოეზიის სამყაროში და მოკრძალებულად შემოგვთავაზა ლექსები.

იმედია, მკითხველი დაინტერესდება და გულთან მიიტანს მრავალ თემაზე შექმნილ პოეზიას!

მე სიკვდილისა არ მეშინია!

შემეკითხებით? – მეც გიპასუხებთ, რომ სიკვდილისა არ მეშინია.

ჩემს საუფლოში მოკრძალებულად ამონათებს ენძელა, ია.

მე ისიც მჯერა, რომ დედამიწა არ შევაწუხე, არც გადავალე, მორიდებულად ვატარე წლები, არვინ ვაღონე, ფიქრები ვმაღე. ათობით ვზარდე ვაჟკაცი, ქალნი, და დღეს ისინი მე გარს მივლიან.

მჯერა, დავტოვე საძირკვლად, ბურჯად და სიკვდილისა არ მეშინია!

მე სიყვარული თქვენიც მოვიმეკე, ბურუსის შემდეგ დღეს ველი მზიანს. ხორბლისოდენა თუ ვისმე ვარგე, მე სიკვდილისა არ მეშინია!

ქვეყნად დავტოვე ერთი უღელი, ეს ხარ-კამეჩი – ფოლადი, ტყვია. „ერთი წუთითაც არ მწყდება გული“ და სიკვდილისა არ მეშინია!

იმ ქვეყანაშიც მელოდებიან, სულმოუთქმელად კარებთან მდგარნი. მიმეჩქარება და დოქით მიმაქეს ყურძნის ნაჟური ამ ჩემი მარნის. როგორ არ მინდა, რომ ზღაპრად ვიქცე, არც მინდა, ფიქრით გავთულო ყანა. უმტკივნეულო სიკვდილისათვის – მე, გადავანაკვე ორი ქვეყანა.

წლები სიცოცხლის ტვირთია

*წლები სიცოცხლის ტვირთია,
ელვისებურად ქრიანო,
წყალნი წავლენ და წამოვლენ,
ქვიშანი დარჩებიანო...*

უკან ხასხასა მდელი დატოვე და მოქროვილ თავთუხზე დგახარ, უღამაზესი წლები წასულა, სულ სხვა იყავი და დღეს სულ სხვა ხარ.

ალბათ აიტანს გული თავნება სინანულზე და წლებზე გოდებას, გაქრა ბურუსი, შორეთი მოჩანს, რამდენი რამე მოგავონდება.

კაცის სახელი დატოვე, ნეტავ? თუ გაიკითხე მწირი, ობოლი, წაქცეულს ხელი თუ შეამველე, ზურგზე მოხსენი მიძიმე გოდოლი.

ეს ყველაფერი წლებმა წაიღო და ველარ გავნებს ცეცხლის ალები, რადაც არ უნდა ეცადო მაინც, განკითხვას ვერსად დაემალე.

შვილიშვილებში მოიკითხება შენგან ნაგები ის ეკლესია, დრო მაინც მწარე სიმართლეს იტყვის, მგელი იყავ თუ – წმინდა მესია...

სიყვარული ხომ ერთხელ მღერის თეთრი გედივით

თუ შეგისვია სიყვარულის ტკბილი ნექტარი, დაწაფებულხარ მისგან ნაჟურ ანკარა წყაროს, მაშინ მიხვდები, რომ არსებობ ამ ქვეყანაზე შენი თვალებით იცქირება მთელი სამყარო.

სიყვარული ხომ ერთხელ მღერის თეთრი გედივით, მისი თვალები მოლივლივე ზღვისა ფერია, ისე ნუ წახვალ ამ სოფლიდან იმ სამოთხეში, თუ ამ ფიალის ერთი წვეთიც არ გივკმია!

საბრალონი...

საიქიოს სუფრას უკვდა
პაპა, შვილიშვილითა.
მომახილსაც ტკბილს ამბობდა,
თან მწარე ღიმილითა.
სუფრა უხვად გაეშალათ,
ზედ რაღა არ ელაგა.
ვაზის ნაჟურს მიირთმევდნენ
თამაშობდა ხელადა.
და რაც წლები გადიოდა,
ბერიკაცი ხვდებოდა:
ბარაქამ და ხვაჟმა იკლო
გული ძლიერ სწყდებოდა.
და ერთხელაც მკათათვობას
გასულიყვნენ ველადა,
უცებ, მონუცს ხელში შერჩა
ცარიელი ხელადა.
სთქვა: ახლა ვართ საბრალონი,
აქვითინდა ბებერი.
აღარც ღვინის გამომეზავნი,
აღარც მომგონებელი...

გადაპენტილო ატმის ყვავილო

გადაპენტილო ატმის ყვავილო!
შენს ცქერას ალბათ ველარ ავიტან,
მაგ გასაოცარ ლამაზ სიცოცხლეს
კვლავ მერამდენედ იწყებ თავიდან?!
ეგ ვარდისფერი სიცოცხლე რომ „მშურს“
შენი ცელქობა, შენი ღიმილი,
რომ არასოდეს გადაეჩვევი,
ასე ყოფილა სისხლის ყვილი.
უსამართლობა სუვეგს მიწაზე,
მაგრამ არც მინდა გულში გავივლო.
კაცის სიცოცხლე ერთხელ იფეთქებს,
შენ მერამდენედ ისევ ყვავილობ?!
დავარც ღვინის გამომეზავნი,
დავარც მომგონებელი...

დედაშვილობა

*ეუძღვნი უფროს კაჟიშვილს, –
ალექსანდრე ოთარაშვილს*

ხშირად ვიხსენებ წარსულს,
რაც წლებმა დამათოვა,
კვლავ ვინატრებდი იმ დროს,
თუმც არასოდეს მოვა.
ბურუსში გავარჩიე
ო, თვალო, გადაღლილო,
პირველ ნაბიჯებს დგამდი,
ნუ გეშინია, შვილო!
და სადაც ჩაიმუხლე,
უფლისგან დალოცვილო,
გზად და ბილიკად ვიქეც,
ნუ გეშინია, შვილო!
ახლა კი, როცა წლებმა
ხავსი მომიკადა ვხედავ,
შენი ძახილი მესმის –
ნუ გეშინია, დედა!!!

18 მარტი, 2004წ.

ალავერდს

როგორ მამშვიდებს შენი კედლები,
ცაში აჭრილი გუმბათის ყელი
და ჯადოსნური ნაზი ფრესკები,
ცისკენ გაწვდილი მოწყალე ხელით.
თავბრუდამხვევი საკმელის სუნი,
კანდელ-აბრების შუქი ნათელი
და მოსაუბრე დესპანი ღვთისა
პაწაწკინტელა წყნარი სანთელით.
მისი შუქები შვების მომგვრელად
ტაძრის კედლებში რომ ირწვევიან,
ასე მართალო, ასე ძლიერო,
გადაშენება არ გიწერია.
შენ, ჩაკირულხარ ქართულ ფუძეში,
გიგანტთა შორის უფრო ძლიერო,
ამაღლებულო, შვების მომგვრელო,
მიუწვდომელო და ზეციერო!!!

24 იანვარი, 2000წ.

დავითს!

ჩემს საყვარელ ვაჟს – დავითს

მე, შენი ყურადღება
ყველაფერს მირჩევია,
თორემ ერთ დღეში ჭკნება
სავსე ლარნაკი ია.
ჩვენს ასეთ ნაზ საყვარულს
რა ძალა დაამორებს,
სუფთა გულით მონადღვენ
ია, ენძელის კონებს!
შენ, რომ არ „გავიწყდები“,
მხიბლავს, გულსაც მატკიებს –
შენი სუნი რომ უღის
უბით ნატარებ იებს...

3 მარტი, 2002წ.

გიორგი დაბადებულა!!!

ცამ ცისარტყელა მაჩუქა,
მზემ ნაზი სხივის ციალი,
მიწის სურნელმა დამათრო,
რა ბედნიერი დღე არის!
სიცოცხლემ შემოაბიჯა
ქართულ დალოცვილ მიწაზე,
ვაჟკაცი დაბადებულა
გადარეულმა ვიწამე.
გიორგი დაბადებულა,
ღმერთო, გაზარდე დიდიო,
რომ გაგვიმთელოს გულები
და ჩატეხილი ხიდიო...

27 მარტი, 2017წ.

თელავს

ვარდ-ყვავილობის საოცარი ძალა მაცოცხლებს,
მიყვარს და მხიბლავს ლურჯ აპრილის ნაზი
ფერები.

დაღონებული ცივ ნოემბრის ფოთოლცვენაშიც
ჩემს ულამაზეს, კონტა თელავს მოვეფერები!
და ეს ნიავიც იმ თავნება ცელქი ბიჭვიით
თითქოს თელავში სხვანაირად, სხვა ხიბლით
ქროლავს.

მე ის ქვაც მიყვარს და ის კენჭიც მაგ შენს
ქუჩებში,
განმარტოებით, დაღონებული ობლად რომ გორავს!
თუ გაგივლია ფოთოლცვენის კორიანტელში,
ერეკლეს ბაღში გოლიათურ ხეთა მხარდამხარ,
კუთხე-კუნჭულში წყვილთა ბაასს გაიგონებდი,
რამდენი ნაღდი სიყვარულის მოწმე გამხდარხარ!
„კინოს უბანში“ თუ დატოვე შენი ბავშვობა,
ციხე-გალავნის ქონგურების ნახე სიცოცხლე,
თუ ერთხელ დამლად დაგრჩა გულზე ეს სიყვარული,
მის გარეშე ხომ ვერასოდეს ვეღარ იცოცხლებ!
ნადიკვრის ხიბლი არასოდეს დაიკარგება,
ის გივოს გორა – სიყვარულის ნაღდი მერანი;
ბებერ ჭადრის ჩრდილს შეყუყული ცელქი
წყვილების

კელაპტრებივით ანთებული თვალთა მხერანი!
გადმოკიდებულ აივნებიან თუ გიცქერია,
ღვინით მოგიკლავს ძველ თელავის ნაღდი
წყურვილი.

გიოცნებია, შეგესხას ფრთები, იფრინო წყნარად,
რომ დაიოკო მიჩქმალული წლების სურვილი!
სულ სხვა ხიბლი აქვს ძველი გალავნის უბნების
ხილვას,

თითქოს ეწვიე ყარაჩოღლის ჩანაკულ კერას.
ძლიერი ქარიც ამ სიყვარულს ვერ გაიტაცებს,
რა დაგიოკებს აბობოქრებულ მაგ გულის ძეგრას!
თელაველობა სატარებლად მძიმე ტვირთია,
ზვარაკად ითხოვს ნაღდ გულსა და სიყვარულს
მხოლოდ.

მისი ტკივილი უნდა გტკიოდეს, მისით ხარობდე
და შეეწირო ამ სიყვარულს ბოლოს და ბოლოს!

10 ივნისი, 2002წ.

მანანა შიოშვილი



წუთისეტლი

ჩვენ არ ვიცით,
გათენდება თუ არა,
სიყვარულით რომ ღამდება,
ვიცით,
მოფერება და ღიმილი
თუ არა,
წუთებს ვითვლით,
წუთისეტლი
მიჰქრის!...

ქალი

ძღვეამოსილი ქმნილება, ქალი...
ქალი შობს, აგებს, ქალი ქმნის, ბადებს;
ქალი – სიკეთე, ქალი – მოვლენა,
ქალი წყაროა პირველყოველთა!
ქალი – საწყისი, უსასრულობა,
ქალი ძალაა, ქალი ღონეა,
ქალია აზრი, სათუთი მხერა,
თვით ღვთისმშობელიც ქალია, დედა!
ქალი მზეა და ქალია ყველგან,
ქალი მზრუნველი, ბურჯი და კლდეა,
ქალი – გვირგვინი, ქალი – ზმანება,
ქალი – ოცნება, ქალი – ღვთაება!
ქალია ძალა, ქალი – იმედი,
ქალი – შუქი და ქალი – ნუგეში;
ბალახზე ცვარი ცრემლია ქალის,
ავდარი, დარი გრძნობაა ქალის!
ქალია ზღვაზე ტალღების სუნთქვა,
ქალია, ქალი, სიცოცხლის მუზა;
ქალი რწმენაა, ქალი ღზენაა,
გულის ფეთქვაა, აღმაფრენა!
ქალია, სულში რომ სახლობს უფლად,
ბუნებით ქალი ქალია მუდამ;
მუდამ და მუდამ... მუდამ და მუდამ...
...და რადგან ასე განგებას სურდა,
სიყვარულისთვის, სიყვარულისთვის,
სიყვარულისთვის ცოცხლობს და სუნთქავს!

თელავის განთიადი

მიყვარს თოვლის ფიფქის
უნაზესი ცვენა,
ბარდნის უკვე სულში
ეს ოხერი სევდა
და თოვლივით, ნელა,
სიყვარულიც დნება,
კი არ ქრება,
რჩება ლამაზ მოგონებად!...
ალიონზე ლოცვით
ვზვდები ნათელ ფერთა,
განთიადის სარტყელს,
გადაჭიმულს ზეცად;
მერე რარიგ შვენის
გარიჟრაჟი თელავს...
ვარსკვლავების ჯვარი
შეუმჩნევლად ქრება,
...ან გულცივი მთვარე
საით გაქრა ნეტავ?...
ამ ფიქრებში აღმართს
მივუყვები ნელა,
ფიფქები კი ნაზად
ათოვს, ათოვს თელავს!

უკვე აცივდა!

უკვე აცივდა,
ლამით სუსნი ივრძნობა, მთების!
ნიავი ლამობს,
თბილი თრთოლვით
ფიქრი გამანდოს!
გული აზვირთდა –
მგზავრი, ფერად-ფერადი გზების
და გულით ვხატავ სიცოცხლის მზეს,
სუნთქვას,
სამყაროს!
უკვე აცივდა,
ფერებს, მრავალს, იფერებს მთები
მთათა მუსაიფს თბილი გულის
ძახილს გავანდობ!
ისევ ბავშვურად ვეფერები მზისფერ აღმართებს
და უდიდესი სიყვარულის
ჯვარით ვამაყო!

იბადებოდა მზე – ღვთისმშობელი!

ამ დროს ხარობდნენ
ბროწეულები,
როცა ხარობდა ცა და ქვეყანა,
იბადებოდა მზე-ღვთისმშობელი,
იბადებოდა კაცთა ზეკალთად!
ცისკროვანობდნენ
ცისარტყელები,
ეგებებოდა შობას ქვეყანა,
იბადებოდა მზე-ღვთისმშობელი
და კაცთა მოდგმას
სძლევა ველარა!
ცეცხლოვანობდნენ
ბროწეულები,
ებადებოდა
ღელა ქვეყანას!

მე გამუღმებით დაგეძებთ ყველას

მე გამუღმებით ვეძებ მას, ვისაც
შევუქებ ნახატს, ნაშენებს, იგავს,
მუსიკას – ლამაზს,
სალამს და სიტყვას,
შევუქებ ლექსებს, პოემას – ძვირფასს!
მას გამუღმებით დავეძებ, ვინაც
მართალი გულით და სიტყვით მზიბლავს!
მე გამუღმებით დავეძებ დილას – სანუკვარს,
ღელის გულივით მზიანს!
მე გამუღმებით დავეძებ ღამეს,
ღამეს – ღვთაებრივს, ჩურჩულით სავსეს!
დავეძებ ბალახს – მწვანეს და ხალასს!
მე გამუღმებით დავეძებ მნათობთ
და მიჯნურ მთვარეს – სიტურფით სავსეს!
მაღლიერ გულებს დავეძებ მუღამ,
სიკეთის სხივებს – სიცოცხლის მიზანს!
მუღამ დავეძებ, მარადსახსოვარს,
სიყვარულისთვის შეწყობილ ბგერებს
და თვალსაამოდ, ...და გულსაამოდ
სულის ნუგეშად მონაბერ ჰანგებს!
...მე გამუღმებით დაგეძებთ ყველას!



ლიტერატურული ჟურნალი

თემო ჯახნაია



ნიკო ფიროსმანის სახე-კონცეპტი ქართულ პოეზიაში

ისტორიკოსი მანანა ხომერიკი წლების მანძილზე იკვლევდა ნიკო ფიროსმანის დაბადება-გარდაცვალების თარიღებს და დაღუპვის მიზეზს, რომელმაც მოიპოვა არაერთი სანდო დოკუმენტი, რომლითაც დგინდება, რომ ნიკალა სოფელ შულავერში დაიბადა, მაღალი ალბათობით 1865 წელს, 8 წლამდე იზრდებოდა სოფ. მირზაანში და 1918 წლის 4 მაისს, ალდგომის წინა დღეს, მიხეილის საავადმყოფოში დალია სული. მკვლევარმა ქვემოთ მოცემული სტატია 2003 წელს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოაქვეყნა, რომელშიც ვკითხულობთ:

„საარქივო დოკუმენტის მიხედვით, 1918 წლის 4 მაისს, ანუ ალდგომის წინა დღეს, „მიხეილის“ საავადმყოფოში მიუყვანიათ „უცნობი წოდების“ მამაკაცი. საავადმყოფოს რეგისტრატორს არ სცოდნია, თუ ვინ და საიდან მოიყვანა ეს ავადმყოფი, რომელიც იმავე დღეს გარდაცვლილა. „ავადმყოფი მოსაცდელში იმყოფებოდა, როდესაც მის გასასინჯად გამგზავნეს, ის უკვე მკვდარი დაშვდა“, – წერს მორიგე ექიმი. 1918 წლის მაისში შესული ყველა ავადმყოფის ვინაობა ცნობილია, გარდა ზემოხსენებული მამაკაცისა. მოუვლელი და მომაკვდავი ნიკალა გაცილებით ხნიერი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო, რის გამოც ექიმებს, რომლებმაც მისი გასინჯვაც ვერ მოასწრეს, 70 წლის ჰგონებიათ. მისი ცხედარი 5 მაისს გაკვეთეს. ოქმი შედგენილია 7 მაისს, საიდანაც ჩანს, რომ მას დაავადებული ჰქონდა: გული, ღვიძლი, ელენთა, თირკმელები, ხოლო ორივე გაკვეთილი ფილტვიდან მოედინებოდა „ქაფიანი სითხე დიდი რაოდენობით“. ოქმის მონაცემები ემთხვევა იმ ჩივილებს, რის გამოც ფიროსმანმა 1893 წელს რკინიგზის სამსახურიდან

გათავისუფლება მოითხოვა. ხოლო, ცოტა ხნით ადრე იძულებული გახდა, შვებულება აეღო და აბასთუმანში წასულიყო სამკურნალოდ. როგორც ირკვევა, ის ტუბერკულოზით იყო დაავადებული. საისტორიო არქივში ფიროსმანის დაკრძალვის ჩანაწერებიც მოვიძიე. მიხეილის საავადმყოფოში ეკლესიის სამეტრიკო წიგნში დაფიქსირებულია 1918 წლის 4 მაისს გარდაცვლილი „უცნობი წოდების“ მამაკაცი, რომელიც 9 მაისს დაუკრძალავთ. გარდაცვალების მიზეზი – ტუბერკულოზი. ბოლო გრაფაში – „ვინ აღუგო ანდერძი და სად არიან დასაფლავებულნი“ – აღნიშნულია: საავადმყოფოში გარდაცვლილ უპატრონო მიცვალებულთათვის კუკიის სასაფლაოზე გამოყოფილი ადგილი“.

ამ კვლევის წაიკითხვის შემდეგ მაინც გვიჩნდება რამდენიმე კითხვა, რომელთა დასმამდე მცირე ისტორიული გადახვევა გავაკეთოთ.

1914 წელს გამოქვეყნდა სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც რუსეთში წელიწადში 500-მდე „ბოსიაკი“ იკლავდა თავს, რის გამოც მიიღეს „შშრალი კანონი“, რასაც რუსეთის იმპერიაში და, შესაბამისად, საქართველოშიც სამიკიტნობის დახურვა და სასმელის გაყიდვა-შემენა-მოხმარების აკრძალვა მოჰყვა. ეს ფაქტი „ღუქების მხატვარსა“ და სასმელის მოტრფიალე ნიკო ფიროსმანისთვის იქნებოდა უდიდესი თავზარი. ულუკმაპუროდ და უბინაოდ დარჩენილი, ჭლექიანი მხატვარი ღებრესიის ჭაობისთვის იყო განწირული.

ამიტომ ვერ იცნო ვერავინ 53 წლის ფიროსმანი, რომელიც მალაქების ქუჩის №29-ში მდებარე ერთ-ერთი სარდაფის ჯურღმულიდან მომაკვდავი წაიყვანეს საავადმყოფოში და რეგისტრატორმა „უცნობ მოხუც მამაკაცად“ გააფორმა? ვერც მის უბანში სცნობდნენ, ვერც უბნის სასანიტარო ექიმმა იცნო, ვერც გადამყვანმა მეექვსე? ან საღებავიანი შარვალი და ქურთუკი ვერ შენიშნეს, ან სხვა რაიმეთი ვერ მიხვდნენ, რომ დიდი მხატვარი მიჰყავდათ უკანასკნელი საღგურისკენ? – ეს ხომ დაუჯერებელია.

გიორგი ლეონიძის 1922 წლის ჩანაწერებში ვინმე მეჩექმე არჩილ მაისურაძის გადმოცემას ვკითხულობთ, რომელიც პოეტს ჩაუწერია:

„უკანასკნელად, სმისგან ავად გამხდარიყო და თითქმის ნახევარ-გონებაზე მყოფი ბნელ საკუჭნაოსარდაფში დაწოლილიყო ცივ მიწაზე. ორი-სამი დღის შემდეგ, შემთხვევით ჩაველი შიგ და თითქმის წყვილადმი წავაწყდი. ვიღაც მწარედ კვნესოდა. მე შევკრთი და შევძახე:

– ვინა ხარ?

– მე ვარ! გაისმა კვნესით და ხმაზედ მაშინვე ვიცანი ნიკალაი. მან კი ვეღარ მიცნო. მხოლოდ ძლივს მოახერხა რამდენიმე სიტყვის თქმა – „ცუდათ გავხდიო, სამი დღეა აქა ვწევარ და ვეღარ ავღექიო“!

„მე მაშინვე ეტლი მოვიყვანე და რაკი თითონ არ მეცალა, ეტლში ჩაუჯდა განსვენებული ილია ანდრია-ძე მგალობლიშვილი და წაიყვანა მიხეილის თუ არამიანცის [არ ვიცი] საავადმყოფოში.

ეს კია, საწყალი დღე-ნახევარში გათავებულიყო“.
ფიროსმანი 1916 წლის შემდეგ ყველასთვის დაიკარგა და გაუჩინარდა.

მანამდე იყო 1913 წელი, როცა **ზდანევიჩებმა** ნიკალას გამოფენა მოუწვევეს მოსკოვში, რუსული ავანგარდული ხელოვნების გამოფენაზე – „მიშენ“ («Мишень»), სადაც ექსპონირებული იყო ფიროსმანის რამდენიმე ფერწერული ტილო, მათ შორის, „ირემი“, „ქალი ლუდის კათხით“, „ილია ზდანევიჩის პორტრეტი“ და „ნატურმორტი“.

1915 წელს თბილისში, მისი აღმომჩენი და დამფასებელი მხატვრის ილია ზდანევიჩის სახელოსნოში, მოეწყო ფიროსმანის ნამუშევრების ერთდღიანი გამოფენა.

1916 წელს ფიროსმანი დიმიტრი შევარდნაძის იდეით „ქართველ მხატვართა საზოგადოების“ შეკრებაზე მიიწვიეს, სადაც **ლადო გუდიაშვილს** ჩაუწერია მისი სიტყვა:

„– ჰო და, რა გვინდა, ძებო, იცით, – განაგრძობდა ნიკო, – უსათუოდ საჭიროა ავაშენოთ დიდი სახლი სადმე, ქალაქის შუაგულში, რომ ყველასათვის იყოს ახლო, ავაშენოთ დიდი სახლი, რომ შევიყარნეთ ხოლმე, ვიყიდოთ დიდი სტოლი და სამოვარი, ვსვათ ჩაი, ბევრი ვსვათ და ვილაპარაკოთ ხელოვნებაზე, თქვენ კი ეს არ გინდათ, თქვენ სულ სხვას ლაპარაკობთ“.

1916 წლის 29 ივნისს გაზეთ „სახალხო ფურცლის“ დამატებაში დაბეჭდა ნიკალას ფოტო, რომელიც მხატვართა შეკრების დღეს გადაუღიათ, იმავე გაზეთის 10 ივლისის ნომერში ფიროსმანის და გრიგოლ რობაქიძის კარიკატურა დაბეჭდა, სადაც კონკეტში ჩაცმული მხატვარი ჟირაფს ხატავს და მწერალი ეუბნებოდა:

„უნდა ისწავლო ძმობილო! შენს ხანში მყოფს კიდევ ბევრის შექმნა შეუძლია... ორფიულის... ერთი ათი-ოცი წლის შემდეგ კარგი მხატვარი გამოხვალ... აი, მაშინ გაგზავნით ახალგაზრდათა გამოფენაზე“.

ეს დამამცირებელი ფაქტი იმდენად განუცდია ფიროსმანს, რომ იმ წამიდან ყველას და ყველაფერს გაერიდა და ნესტიან სარდაფში ჩარჩა. ვის დასჭირდა **გრ. რობაქიძის** ამ ფორმით წარმოჩენა, რომელმაც 1922 წელს ნიკო ფიროსმანზე შესანიშნავი წერილი გამოაქვეყნა „ბახტრიონში“ სადაც ვკითხულობთ:

„ნიკო ფიროსმან პრიმიტივისტია. არა იმ აზრით, როგორც მაგალითად გოგენ, მას არ უგემნია კულტურა. მას არ გაუვლია რომელიმე შკოლა. საეჭვოა, რომ მას რაიმე ტენიკა გაეკვლოს ხაზვისა თუ ხატვის. მით უფრო საცნაურია მისი ფენომენი. ეგვიპტის უსახელო ფრესკა, აფრიკის რომელიმე კერპი, ეტრუსკის ვაზა: ამ რიგში უნდა დავინახოთ ფიროსმანის ხატული. მაშინ მისი ხილვა ნამდვილს შთაბეჭდილებას გადმოსცემს.“

მთავარი მოტივი ფიროსმანის არის ქართული „მიწა“. მე არ შემიძლია მეორე სახელი დავასახელო, გარდა ვაჟა-ფშაველასი, რომელსაც ასე ვერძნოს ამ მიწის „დედობა“ დღეობა, ღრეობა, ყურძნის კრეფა, ქათმები, ბავშვები, ცხოველები, კალო – აქ

არის ნამდვილი ფიროსმან. აქ არის მოცემული ქართული ტემპერამენტი: ხალასი, მზით დაფერილი. აქ თქვენ ვერ ნახავთ მელანქოლიას. აქ მხოლოდ სიცოცხლეა: ხალისით, გულახდით, ნადიმით.

ნიკო ფიროსმანის პრიმიტივი არის უკანასკნელი „უშუალობა“. ეს არის ფრაზა. ეს არის ოტოლოგიური ფაქტი. ზეკაცობა თუ ღვთიურობა მხოლოდ ასეთს „უშუალობაში“ თუ მოიცემის. მისთვის არსი ასე მძაფრი ეკსპრესიის ფიროსმანის ხატულის ხილვის. ბავშვი ბატებთან, კრუხი წიწილებით, კალო, – რომელი სხვა ვთქვა, – ყველა ეს შთაგონების სხეულყოფა თვითონ: აქ თითქო შუაგზა მოსპობილია შთაგონებისა და მის განსხეულების შუა.

ფიროსმან აქ ველურია და თან ნამდვილი ბავშვი. საკვირველი არაა, თუ ღმერთიც მასთან არის. ჭეშმარიტად დიდი ხელოვანი“.

ნიკო ფიროსმანის გარდაცვალება დაემთხვა 1918 წელს „ისპანკას“ ეპიდემიას, როდესაც მთელ მსოფლიოში ელვის სისწრაფით გავრცელდა და პიკს მიაღწია ერთ-ერთმა ყველაზე გამანადგურებელმა ვირუსმა, რომელმაც 50 მილიონზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა ორ წელში.

1918 წელს ჯერ კიდევ მიმდინარეობდა პირველი მსოფლიო ომი, რომელიც 1914 წელს დაიწყო. საქართველო პანდემიის გავრცელების რისკის ზონაში მყოფი ქვეყანა იყო და გავრცელდა კიდევ, თუმცა სანიტარული რაზმების, სამაზრო ექიმთა შტატის და ამბულატორიული ქსელის შექმნამ შეაფერხა ესპანური გრიპის მასშტაბური გავრცელება საქართველოში. იმდროინდელ პრესაში ვკითხულობთ, რომ თბილისის ხელმძღვანელობამ გარკვეული რეგულაციები დააწესა დედაქალაქში ტრამვაით მგზავრობისას, აბანოებით სარგებლობისას, საპარაკმახეროებში, სამრეცხაოებში და საზოგადოების თავშეყრის ადგილებში.

არამიანცისა და ალექსანდროვის საავადმყოფოებში შეიქმნა ინფექციური განყოფილებები. ყველა უბანს ჰყავდა სასანიტარო ექიმი, რომელსაც გადამდები სენის მატარებელი ადამიანები აღმოჩენისთანავე სანიტარული ეტლით უნდა გადაეყვანა იზოლირებულ, საკარანტინო სივრცეში.

ბოლო წლებში ტუბერკულოზიანი ფიროსმანისგან ყველა შორს დაიჭერდა თავს, რადგან მაშინ ისპანკა მძვინვარებდა და მაღალი რისკი იყო, რომ სიბინძურეში მცხოვრები ჭლექიანი მხატვარი დასნებოვნებულიყო. მას კეთროვანივით გაერიდებოდნენ და არც უკანასკნელ გზაზე გააცილებდნენ, მით უმეტეს, იმ პირობებში, როდესაც გულმოსული თვითონაც გარიდებული იყო კოლეგებსა და გარე სამყაროს, ალბათ ამიტომ არ ვიცით, სად დაკრძალეს კონკრეტულად.

1919-2023 წლების შუალედში ნიკო ფიროსმანისადმი მიძღვნილი 200-მდე ლექსია დაბეჭდილი სხვადასხვა ქართულ ჟურნალ-გაზეთში.

უცხოელების მიერ ფიროსმანისადმი მიძღვნილი ლექსებიდან აღსანიშნავია ცნობილი უკრაინელი პოეტის, „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინულ ენაზე მთარგმნელის, **მიკოლა ბაჟანის** მიერ 1967 წელს დაწერილი 33 სტროფიანი პოემა „სიკვდილი ნიკო

ფიროსმანაშვილისა“, რომელიც უკრაინულიდან ქართულად უბრწყინვალესად თარგმნა რაულ ჩილაჩავამ 1978 წელს. ეს კონგენიალური თარგმანი საგანგებო ყურადღების ღირსია და ცალკე წერილის დაწერას იმსახურებს.

ლექსი „თეთრი პელიკანი“ 28 წლის **გალაკტიონმა** დაწერა 1919 წელს, რომელიც 8/7 მარცვლიანი სტრიქონების მონაცვლეობით დაწერილი შერეული ლექსია და საუცხოო მელოდიურობით გამოირჩევა. აღნიშნული ლექსი პირველი პოეტური ნაწარმოებია, სადაც ნიკო ფიროსმანია ნახსენები. პოეტი თავიდანვე იაზრებდა ქართველი მხატვრის ღონეს და მნიშვნელობას.

მიზო მოსულიშვილის მიერ ჩაწერილ ინტერვიუში თენგიზ მირზაშვილი (ჩუბჩიკა) ამბობს:

„ცნობილია, რომ მაშინ მადათოვის კუნძულზე იდგა კოჭლაშვილის ღუქანი, სახელად „თეთრი პელიკანი“. მისი კედლები ფიროსმანს მოუხატავს ფარშევანგებით. იქვე ყოფილა გამოსახული გემი და დიდი თევზი. ეს იყო კედლის მხატვრობა - ასე არის აღწერილი ზდანევიჩის კატალოგში“.

მოგესხენებათ, რომ მადათოვის კუნძული და რესტორანი „თეთრი პელიკანი“ 1930-იანი წლებიდან აღარ არსებობს, მის ადგილას ამჟამად დედაენის და 9 აპრილის ბაღებია მოწყობილი.

გალაკტიონი ნ-სტროფიანი ლექსით აცოცხლებს XX საუკუნის დასაწყისის თბილისის ბოჰემურ სურათს და ჩვენ ვხედავთ მდ. მტკვრის ტოტებში მოქცეულ კუნძულს, ზედ აშენებულ ღუქანს პოეტური სახელით და ნიკალას მიერ მონატულ მის კედლებს. („პელიკანი“ დიდი ფრინველია, ქართულად ვარზვი ჰქვია). ვხედავთ მტკვრის ნაპირზე მიბმულ, მოტივტივე აზიურ წყლის წისქვილებს და მორებისგან შეკრულ ტივებს. გვესმის ინსტრუმენტული ჯგუფის მიერ სამიკიტნოში ნამღერი საიათნოვას სიმღერების, თარისა თუ დაირის ჰანგები, ვხედავთ ახალგაზრდა გალაკტიონს, რომლის სუფრასთან დოქით ღვინო მიაქვს ოფიციალტს.

როდესაც გ. ტაბიძემ ეს ლექსი დაწერა, ნიკალა ერთი წლის გარდაცვლილი იყო, რომლის შესახებ არავითარი ნეკროლოგი არ გამოქვეყნებულა იმდროინდელ პერიოდიკაში (ჯერ ვერ ვიპოვე). უცნობია, იცოდა თუ არა იმ დროისთვის გალაკტიონმა ღარიბი მხატვრის გარდაცვალების ფაქტი. კონკრეტულ სტროფში პოეტი მიმართავს ვინმე კოჭლ საჰაკს, რომელიც მაღალი ალბათობით თბილისელი სომეხი იქნებოდა, ამ დროისთვის დაუზუსტებელია საჰაკის პროფესია, იგი ღუქნის მომღერალი და დამკვრელი იყო თუ ღუქნის მეპატრონე კოჭლაშვილია ნაგულისხმები კოჭლ საჰაკში.

პოეტს რისი თქმა სურს მისთვის? „ნანა“ ქართულ მითოლოგიაში დედური ბუნების მქონე ქალღმერთია. შეგვიძლია ასე გავივოთ ნაგულისხმები სტროფის დედაზრი: „ფიროსმანის სული ტრის და ამოდ ნუ ჰპირდები მდგომარეობის შემსუბუქებას, გახალისებას სიმღერის ლაღი ჰანგებით, დაუტოვე მას სევდის ტვირთი“.

ჩემი აზრით, „ფიროსმანა“ მხატვრის გვარის შემოკლებული ვარიანტია (მაგ. ფოტოხელოვანი

შერმაზანა (შერმაზანაშვილი)) და ბოლოში დასმული „ა“ სულაც არ არის კნინობითი ფორმა.

როდესაც 1916 წელს ნიკალას ფოტო დაიბეჭდა გაზეთში „სახალხო ფურცელი“ ქვემოთ წერია გვარი ფიროსმანა-შვილი, მოსე თოიძისა და დიმიტრი შევარდნაძის წერილებშიც იგივე ფორმით არის, ხოლო 1927 წელს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ დაბეჭდილ ვან-დეიკის (ვახტანგ კოტეტიშვილი) წერილში ფიროსმანზე, წერია ფიროსმანი-შვილი. მას შემდეგ ამ ფორმით იბეჭდებოდა.

წავიკითხოთ **გალაკტიონის** ცნობილი ლექსი.

თეთრი პელიკანი...

გადმოფრენას ეს ყორანი
მადათოვზე აპირებს.
გაანათებს რესტორანი
ტივებიან ნაპირებს.

ასე მიდის ეს ზამთარი
სიზმარივით მღევარი,
ასე რეკავს საზანდარი
უქმი, შემაქცევარი.

რომ ისმოდეს საიათნოვას
დაჟანგული ჰანგები,
მიეთოვოს, მიეთოვოს
კედლებს ფარშევანგები.

სული ტირის და როს ნანას,
კოჭლო საჰაკ, ჰპირდები,
დაანებე ფიროსმანას
სევდიანი ტვირთები.

რომ წავიდეს ეს ზამთარი
სიზმარივით მღევარი,
რომ რეკავდეს საზანდარი
უქმი, შემაქცევარი.

ოცნებაო, ჩემო ძველო,
ვართ ღამეთა მთევველი,
კიდევ ბევრი სადღეგრძელო
დაგვრჩა დაულეველი.

1920 წელს **ტერენტი გრანელმა** გობრონ ავარელთან ერთად თბილისში გამოცა მომცრო წიგნი „პანაშვილები“, სადაც დაბეჭდილია ფიროსმანისადმი გრანელის მიერ მიძღვნილი არაკანონიკური სონეტი.

ეს ის დროა, როდესაც საქართველოში ევროპული მყარი სალექსო ფორმა — სონეტი დამკვიდრების პროცესში იყო და დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

აღნიშნული სონეტი თოთხმეტმარცვლიანია და მცირეპეისიკური, ლოგაედური ტრიმეტრის 5/4/5 საზომით არის დაწერილი. კომპოზიციურად შედგება ორი კატრენისა და ორი ტერცეტისგან. პირველ ორ კატრენს აქვს რკალური რითმები, გარითმვის

სქემა ასეთია: აბა, აბა, გღვ დეე.

ეს ლირიკული ლექსი სინთეზია ფრანგული და ინგლისური სონეტის.

ტერენტი გრანელი წალენჯიხიდან თბილისში 1918 წელს გადავიდა საცხოვრებლად, სწორედ ამ წელს მარტობაში გარდაიცვალა ნიკო ფიროსმანი, რაც ხალხისთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი. 1920 წელს დაბეჭდილ გრანელის სონეტში აშკარაა, რომ ახალგაზრდა პოეტმა იცის ნიკალას გარდაცვალების შესახებ, რაზეც ეს სტრიქონი მეტყველებს: „ანთებულ მხატვარს საიქიო ალბათ გაოცებს“.

პოეტმა დიდი სულიერი სიანლოვე იგრძნო მხატვართან, როდესაც მის ბიოგრაფიას და ნახატებს გაეცნო. ტერენტიც პერიფერიიდან ჩამოვიდა დიდ ქალაქში, მასაც დაღუპული ჰყავდა მშობლები, მანაც რკინიგზაზე დაიწყო მუშაობა და მალევე დაანება თავი, იყო უბინაო და ხელმოკლედ ცხოვრობდა.

შეუძლებელი იყო, რომ გრანელს თავისი გულისტკივილი და პატივისცემა ლექსით არ გამოეხატა ბედლამწვარი ფიროსმანისადმი და მისი ხსოვნისთვის პატივი არ მიეგო. ასე იწყება მისი მიძღვნა: „შენ დაგედევნა სამიკიტნო რკინის რაზებით“. აქ პოეტი უნდა გულისხმობდეს 1914 წელს ნიკოლოზ მეორის მიერ შემოღებული „მშრალი კანონის“ გამო სპირტიანი სასმელების წარმოების აკრძალვას და დაკეტილ სამიკიტნოებს, რაც მხატვრისთვის არსებობის წყაროს გადაკეტვას ნიშნავდა. ცნობისთვის, სწორედ ამ დროს გამოჩნდა „ლალიდის წყლები“, რომლის სარეკლამო პლაკატებს გაზეთებში დართული ჰქონდა შემდეგი ტექსტი:

„გაუფრთხილდით თქვენს ჯანმრთელობას — მიერთვით ლალიდის ხილულ მადნეულის წყალი. ვენაცვალე იმას, ვინც ღვინო აკრძალა, პირდალი ვიყო თუ აწი მე მის სმას დაუბრუნდე. თვალები ახლა ამეხილა! ჰაი დედასა სად ვიყავ აქამდე, რამდენი ფული გავფლანგე იმ „პადვლებში“ ქეიფობით, რამდენჯერ ცხარე ცრემლით ვიტირე ცოლშვილი. რამდენი აყალ-მაყალი ამიტეხია, რამდენჯერ მცემეს და ვირის აბანოში ჩამსვეს, ამეებს ვინ მოსთვლის“.

გრანელი ამბობს, რომ მიუხედავად განსაცდელისა და დუხჭირი ყოფისა, ამაყ ნიკალას არავის შებრალება არ სჭირდებოდა და მოწყალეობას არავის სთხოვდა. ნესტიან სარდაფში შეყუჟული და აფორიაქებული მხატვარი აკრძალულ ღვინოს და თანამეინახეებს ნატრულობდა, ხოლო სისხლიანი მკერდით აიტანა ირგვლივ გამეფებული გულგრილობა და უღმერთობა, პოეტის წარმოდგენით, ფიროსმანი დადიოდა გაცრეცილი ჩოხით და ჭლექმა ისე დაასამარა, რომ მისი საფლავი ყველასთვის სამუდამოდ დარჩა უცნობი.

ასეთია პოეტის შეფასება და დამოკიდებულება გამოჩენილი ქართველი მხატვრისადმი. სონეტი მაღალი პოეტური ხარისხით არის დაწერილი და ემოციურ ზეგავლენასაც ახდენს ჩვენზე.

ფიროსმანიშვილს

შენ დაგედევნა სამიკიტნო რკინის რაზებით, ყალბი არღნებით გაწუხებდა ღამე წვიმაში,

არ კადრულობდი შებრალებას ბედის წინაშე, დაგდედა ლანდი მთვარისაგან განაბრაზები.

ჩუმად გეწვია საოცრების რუხი ხაზები, ფარულ კომმარებს ატირებდი სევდის მინაში, შენ არ იცოდი დამშვიდებით ყოფნა ბინაში და ღამის ლოთებს დაეძებდი ღვინის თასებით.

ლოცვით ამსხვევედი ზიარებას სასაფლაოზე, სისხლიან მკერდით აიტანე ბროლის არმაში, ანთებულ მხატვარს საიქიო ალბათ გაოცებს. შენი ოცნება ისვენებდა წითელ ნარმაზე.

ცოდვილ ქალაქში დადიოდი ჩოხის ამარა. საშინელებამ უცნაურად დაგასამარა.

ტერენტი გრანელი

ტიციან ტაბიძე განსაკუთრებული პატივი მიაგო ნიკო ფიროსმანის ხსოვნას. 1922 წელს, სალიტერატურო გაზეთში „ბახტრიონი“, 27 წლისამ გამოაქვეყნა შესანიშნავი წერილი უსაფლავოდ დაკარგულ მხატვარზე, სადაც წერს: „ერს, რომელსაც არ აქვს ისტორიულად გენია, ასეთი სასწაული არ დაემართება. ყველა, ვინც მოდის საქართველოში, ისე აქებენ ფიროსმანს, როგორც ჩვენ მზეს, ჩვენ მთებს და ჩვენ ვენახს. აქ არ არის ჰიპერბოლა სტუმარის“.

ტიციანი ფიროსმანს, გრიგოლ რობაქიძის მსგავსად, მისი თაობის გენიალურ მწერალს — ვაჟა-ფშაველას ადარებს. გადმოცემით ნიკალა და ფშაველა ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს თბილისში. წერილში ვკითხულობთ: „ნიკო ფიროსმანის კონგენიალი ორეული არის ვაჟა-ფშაველა, რომელთანაც მას აქვს სრული ანალოგია“, — მართლაც ასეა, ისინი ხომ ერთი თაობისანი იყვნენ, ორივე უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა, სავარაუდოდ, ორივე ჭლექმა იმსხვერპლა და ორივემ წარუშლელი კვალი დატოვა ხელოვნებაში, კერძოდ, ერთმა მწერლობაში, მეორემ — მხატვრობაში.

მოგვიანებით ტიციან ტაბიძე მის ერთ-ერთ ლექსში „ალავერდობა“ დაწერს:

„დგას ფიროსმანი, ხატავს დღეობას და ჩარდახიან ურმების მორევს. ვაჟა-ფშაველა უქებს ხელობას, ჯიხვის შაირით შესცვლის მეორეს“.

ზემოაღნიშნულ წერილს პოეტი გამართლებული პროვნოზით ამთავრებს: „მაშინ, როცა გადაშენდებიან სარდაფის პატრონები, რომელნიც იცნობდნენ მას პირადათ, მათ მაგიერ ტფილისში, ახალ პარიზში, სადაც ათასზე მეტი იქნებიან ქართველი მხატვრები, მოიგონებენ ამ შუადღის ლეგენდას, ლოთ ნიკალას, ჯადოქარ ოსტატს და საქართველოს მზეს.“

მეორე წერილს ტიციან ტაბიძე 1930 წელს ბეჭდავს გაზეთ „კომუნისტში“, მანამდე კი სამი წლით ადრე უძღვნის 5-სტროფიან და 10-მარცვლიან კლასიკურ ლექსს. მიძღვნა იდეურ-შინაარსობრივი მხარით უფრო გამოირჩევა, ვიდრე გარეგან-ფორმალური ოსტატობით.

პოეტმა ქართული სუფრისა და ღვინის ხსენებით ლექსს ბოჰემური ელფერი შესძინა, რადგან ფიროსმანის ტიპის ადამიანისთვის შესაფერისი ყოფილიყო. ლექსის კითხვისას პოეტი წარმოგვადგენინებს სამიკიტნოს, სადაც ხელოვან მეგობრებთან ერთად პურმარილობს, კედლებს კი ფიროსმანის რელიგიური და სუფრული თემატიკის ნახატები ამშვენებს. ტიცციანის პოეზიაში ტრაგიკული აღსასრულის პროგნოზი არახალია, თუმცა ამ ლექსში ზუსტად იწინასწარმეტყველა, რომ ათი წლის შემდეგ ისევე შესვამენ ჩვენს შესანდობარს, როგორც ჩვენ ვამბობთ ახლა ნიკალას მოგონებასო. მართლაც ასე მოხდა, 1937 წელს ანტისაბჭოთა საქმიანობის აბსურდული ბრალდებით დააპატიმრეს პატრიოტი პოეტი და დახვრიტეს 42 წლის ასაკში, მისი საფლავი ისევე უცნობია, როგორც ფიროსმანის.

წავიკითხოთ ტიცციანის მიძღვნა:

იმათი იყოს ეს სადღეგრძელო
(ნიკო ფიროსმანი)

რომ დავჯდებოდეთ დღეს პურის ჭამად,
მოვიგონებდეთ, ძმებო, ფიროსმანს.
მისი გული გვაქვს ჩვენ ღვინის ჯამად
და აქამდისინ ქართულ ღვინოს ვსვამთ.

გვიკუთხებს სუფრას აღდგომის კრავი,
მისი რუმბები და ნატურ-მორტი.
არ დაილევა კრავის საკლავი
და ასაბით სუფრა მოირთო.

გაიარს კიდეც ათიოდ წელი
და ჩვენ ცხოვრებას უფრო მიქელავეს.
ჩვენიც იქნება შესანდობელი,
შეგვაბრალებენ საწყალ ნიკალას.

და ატირდება წყვილი სანთლებით
სამიკიტნოში სუფრა პატარა.
განვლო მან ცეცხლის კორიანტელი,
ბედმა უბედოდ ბევრი ატარა.

იყო საწყალი ერთი ოსტატი –
ასეთ ოსტატებს ზრდის საქართველო,
იკურთხოს მადლით მარჯვენა მათი,
იმათი იყოს ეს სადღეგრძელო.

1940 წელს, 23 წლის **ლადო ასათიანმა** გამოაქვეყნა ორი დაუვიწყარი ლექსი: „ფიროსმანის ღუქანი“ და „ფიროსმანის მეგობრებთან“, ფერების მგოსანზე, ასე უწოდა პოეტმა ნიკო ფიროსმანს. პირველი ლექსის მუსიკალურმა ექსპრესიამ და ინფორმაციულმა შინაარსმა შეუძლებელია ემოციური ზეგავლენა არ მოახდინოს დაკვირვებულ მკითხველზე. ლექსის სიუჟეტური ქარგა აგებულია მხატვრის იმ ბიოგრაფიულ მტრისზე, რომელიც შეეხება თბილისში მის მიერ ღუქნის გახსნას. ნიკალამ 1894 წელს სატვირთო მატარებლის კონდუქტორობას თავი დაანება და მის თანასოფელელთან, დიმიტრი ალუღიშვილთან, ერთად რძის

ღუქანი გახსნა რუსთაველის გამზირზე, ვერის დაღმართის დასაწყისში.

მოგვიანებით დიმიტრი ალუღიშვილის მონათხრობიდან ვიგებთ:

„ვაჭრობა ეზარებოდა და კიდეც თაკილობდა. ზაფხულში გაჩაღებული ვაჭრობის დროს მიმატოვებდა, ორი ვირის საპალნე მწვანე ბალახს იყიდდა, აიტანდა ღუქნის თავზე საკუთარ „ბალახანამში“, გაიშლიდა და გამოეხვეოდა“. ვაჭრობა არ იყო ფიროსმანის საქმე, შესაბამისად, ეს საქმეც მიატოვა. სწორედ ეს ფაქტი გახდა ლადო ასათიანის ლექსის დაწერის მოტივი.

ფიროსმანის ღუქანი

მე მიყვარს შენი გრილი ღუქანი,
შენი სიფათი და მარიფათი,
თვალეები, ცეცხლით განაშუქარი,
და წელზე ვერცხლის ქამარი ფართე.
შუა ბაზარში ღუქანი გქონდა,
ბევრი რამ გქონდა ღვთისმოცემული:
ჭრელი კალმახი — არაგვის მკვიდრი,
ბოლოკი, წითლად აღმოდებული,
ქორფა მწვანელი და შუშა კიტრი,
პატარძალმა რომ დაკრიფა დილით,
ყარაჩოღელის ცრემლით რომ ტირის
შუა ბაზარში ღუქანი გქონდა,
ბევრი რამ გქონდა ღვთის ბოძებული:
დილაადრიან გადასაკრავი,
ატამი, წითლად აღმოდებული,
ხუჭუჭთმიანი პატარა კრავი
და კახურ ღვინით სავსე ტიკჭორა,
გასიებული, ვით ქვეყნის ჭორი
შუა ბაზარში ღუქანი გქონდა,
ელეთ-მელეთის ქარი რომ ქროდა,
მაგრამ ილაღე, იბედოვლათე,
„გადაგებრუნდა ჭკვა და გონება“,
გაანიავე მთელი დოვლათი,
ქარს გაატანე მთელი ქონება,
ვერ გამოდექი და ვერ ივაჭრე,
საქვეყნოდ ჭამე კაცმა სირცხვილი
გაკოტრდი, როგორც ნოე ჩხიკვაძე,
დადექი, როგორც ნოეს წისქვილი.
არ მომანათო მაგ საღადარე
თვალეები, ცეცხლით განაშუქარი,
არ შემეკითხო, რად შევადარე
ნოეს ხუხულას შენი ღუქანი!
ამწვანებულა ძველი ხეხილი,
გაცოცხლებულან ძველი ბიჭები,
ხელგაშლილი და გულგაღელილი
დგახარ და მუშტარს ეპატიჟები
ეს რამდენი რამ დაგიხატია,
გამდიდრებულხარ ფერის დოვლათით,
ახლა ყველასთვის ცხადზე ცხადია:
არც ვაჭარი ხარ, არც ბედოვლათი!
მოვდივარ შენთან, ჩემო ძმაკაცო,
სხვა მეგობარი ქვეყნად ნუ გინდა,
მოვდივარ შენთან, ჩემო ძმაკაცო,
და ხარბად მიმაქვს შენი ღუქნიდან
შუშა კიტრი და ქორფა მწვანელი,

პატარძლის ხელით გამოყვანილი.
 ლაღო ასათიანის მეორე ლექსი 14-მარცვლიანი ბარათაშვილისეული საზომით არის დაწერილი და მისი მოცულობა 11 სტროფია. პოეტი თბილისის ქუჩებში დახეტიალობს და საზანდრებს, მეთარეებს, ქუჩის მგოსნებს სთხოვს, რომ რაიმე უამბონ დიდი მხატვრის შესახებ. ლექსში ვკითხულობთ ორიგინალურ სტრიქონებს და პოეტისა და მხატვრის მიმართ სიყვარულის განცდით ვიმსჯელებით.

„ფუნჯის მოსმის დროს ჰქონდა რაღაც
 ჯადო-თილისმა,
 არაყს დაღვედა და ქვეყანას დაგიხატავდა!“

„დგას ფიროსმანის მოხატული თბილის-ქალაქი,

ეს პოეზიის უწმინდესი ადგილის დედა!“

„ეხ ახლა გახდა ნიკალი დიდი მხატვარი,
 უფასოდ გაქრა, უფასოდ, და ახლა დაფასდა!“

„მე ვუსმენ ყველას, წარმოვიდგენ ცხოვრებას
 მისას,
 ცოცხლდება ჩემ წინ მკრთალი სახე ფერების
 მგოსნის,
 მთვარეულივით დავემხობი თბილისის მიწას
 და დიდი ნიკო ფიროსმანის ნატერფალს
 კოცნი!“

21-ე საუკუნის პირველ მეოთხედში ოცამდე ლექსი მიემდინა ნიკო ფიროსმანს, მათგან სამ მიძღვნას გამოვარჩევ.

2011 წელს ლიტ. პორტალზე „ურაკპარაკი“ გამოქვეყნდა **ფისო ნავროზაშვილის** ასტროფული ლექსი „მე ვარ ნიკალა“, სადაც პოეტმა გარდასახვა მოახდინა და მხატვრის პოზიციიდან დაწერა. ლექსს ეპიგრაფად წამდგარებული აქვს ერთ-ერთი გადმოცემა, რომელიც ნიკალას გამწბილებელ თავადს უკავშირდება. როგორც ჩანს, პოეტი განზრახ იყენებს სიტყვების არქაულ ფორმებს, რათა საუკუნის წინანდელ მეტყველებასთან დაახლოვოს ლექსის განწყობა: ვვლე, არღარა, მინამ, დავალ, ძვეს, ავს, ვითარ, ვინემ. ლექსი თოთხმეტმარცვლიანია და აქვს მოსაზღვრე, მშვენიერი რითმები, გარითმულია ორ-ორი სარიტმო ლექსიკური ერთეული. ზოგიერთი არის ორიგინალურიც: ცასთან დარბაზი – ახლა დავფასდი, ავიმშვილდები – დამიმშვიდებენ, ლულხანა – მუხანათს, კალმახებს – დამახევს, ნიკალა – გავიკვალავ.

ლექსის დასაწყისში ნიკალა ცის მოხატვის სურვილს გამოთქვამს, რაც მისტიკურ, სიზმარულ განცდას აჩენს. შემდეგ თავის თავზე ჰყვება და ბოლოს თავადს მიმართავს, ვიდრე ტუბერკულოზი იმქვეყნად გამისტუმრებს, რაიმე მომახატვინეო.

წავიკითხოთ ფ. ნავროზაშვილის ლექსი „მე და ნიკალა“:

(ერთმა თავადმა დაუძახა და დიდხანს ალოდინა მხატვარი, გვიან მივიდა მთვრალი შინ. ელოდა ფიროსმანი, მერე – „ნიჭი გადამელალო“, ჩაალაგა საღებავები და წავიდა.)

„მომახატვინე, ჰეი, მურაზო,
 ცასთან დარბაზი...
 დრო ვამარტვილე, ვვლე უფასოდ, –
 ახლა დავფასდი.
 და ვხატავ ბაღას,
 გიჟვანუას,
 მღებავ მიხაკას...
 არღარა დამრჩა...
 მინამ დროა, მზეს დაგიხატავ.
 დავდივარ მთვრალი...
 ქვებს მესვრიან... დავალ სალოსად...
 დარდი მხატვარის ძვეს გესლიანს,
 ავს სამყაროზე.
 თუ შევიშლები და არყისგან
 ავიმშვილდები,
 სულს ჩემი შვლები და აქტრისა დამიმშვიდებენ.
 იქ, ჰავლაბარში, მიმოვალეწ დამით
 ლულხანას,
 ვითარ ლავაში, ღვინოს ვაწებ წამებს მუხანათს.
 ჰარიჰარალებს მზის მითები
 შავის ტანჯვების,
 ვალი არ მადევს მიკიტნების და სირაჯების.
 ლოდინს ვთამალობ... დაცდა მიჭირს...
 გადაიღამა.
 მოდი, თავადო,
 სანამ ნიჭი გადაიღალა
 აგიფართხალე შლეგ, ლივლივა,
 წითელ კალმახებს.
 არიქა, მალე!
 – ჭლექი მინამ ფილტვებს დამახევს!
 მოასწარ, ვინემ ზესენელისკენ
 გზებს გავიკვალავ,
 მომახატვინე, ვერ მიცანი...
 მე ვარ ნიკალა!“

2020 წელს ლიტ. ჟურნალ „ანულში“ დაიბეჭდა **ია ხასაიას** ლექსი „ნიკალას“, რომელიც პირველად 2016 წელს გამოაქვეყნა ფეისბუქის გვერდზე. პოეტი ლექსში ეხება ფიროსმანისა და მარგარიტას ლეგენდად ქვეულ სიყვარულის ამბავს.

„ნიკო ფიროსმანის პირად საქმეში“ აკა მორჩილაძე წერს: მარგარიტა დე სევრი ძირითადად მღეროდა ვერაზე, ბელვიუს ბალებში, ის კაფე შანტანის მომღერალ-მოცეკვავე იყო. ფიროსმანმა ის მუშაუბრის ბაღში გამოსვლისას ნახა და იქ გაიცნო, იქაც კაფე შანტანში.

ფიროსმანს უყვარდა მარგარიტა, ამან ამის შესახებ თითქმის 10 წლის შემდეგ უთხრა ზდანევიჩებს, თუმცა, რა იყო მათ შორის და რამდენ ხანს, ძნელი დასადგენია.

ყვავილების ისტორია, დიდი შესტია. ფიროსმანის ქვეყანაში ასეთ რამეს მხოლოდ უაღრესად თამამი თავადები თუ მოუწყობდნენ თავადის ქალებს“.

44 წლის ფიროსმანმა 24 წლის მარგარიტას პორტრეტი დახატა 1909 წელს. მარგარიტამ ფიროსმანი მიატოვა და პარიზში გაემგზავრა.

ეს არის ლექსი, სადაც გაცხადებულია სარდაფის

სიბნელებში მწოლიარე და ჭლექიანი მხატვრის ფიქრები, რომელიც ავონიის წინა მდგომარეობაშია. დაუძღურებულ და მომაკვდავ ოსტატს მუზა მოუვიდა, მაგრამ მხოლოდ ფიქრში ძალუძს დახატოს, თანაც მტრების დამცინავი ხმა ჩაესმის, რომელიც ეუბნება, რომ არაფერი განსაკუთრებული არ შეუქმნია და მასავით ხატვა ყველას შეუძლია, რადროსაც პოეტი თავის აზრს შეამეღლებს მხატვარს და დასძენს, ჯერ ფიროსმანივით სიყვარული უნდა შეგეძლოს, რომ მასავით ხატო.

წავიკითხოთ ი. ხასაიას ლექსი „ნიკალას“:

„ვერ იგრძნო, მუზა რომ ეახლა
დარჩენილს მარტო.

სიზმარს, ერთხელ რომ სულს შეახმა,
ჭიქაში ალტობს.

ვერ წამოუდგა ერთგულ სტუმარს
დაღლილ მუხლებით.

გულმა კი რაღაც კვლავ მოხატა
მთლად ხელუხლები.

თვითმარქვია ხარ, – იქვე მტერი
სამსალას ასძევს.

თვითნასწავლი ხარ, – ჩვენც შევძლებთ
დავხატოთ ასე.

კი ბატონებო, დახატავდით,
აღბათ, თვითონაც,

იმ სიყვარულს თუ ისწავლიდით,
მან რომ იცოდა.

სადღაც ციმციმებს მარგალიტად
„კაფე შანტანი“.

ცეკვავს „აქტრისა მარგარიტა“
ათლილი ტანით.

ალისფერ ვარდებს წაუღეკავთ
მხატვრის ურევები.

ქუჩა სავსეა იმ ვარდებით
სავსე ურმებით.

რაც რამ ებადა, ყვავილების
მიწამ ათრია.

ცინცხალი გული უსახლკარო
მისამართია.

ათასი ვარდით გაცილებს...
მშვენება... ელდა...

ლიანდავის და ფუნჯის მაჯა
ერთად შენეღდა...

ჩუმი ღიღების სადგურია
ძველი სარდაფი.

მოლბერტზე გული ასვენია,
როგორც საღაფი“.

2018 წელს „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოქვეყნდა ვასილ ბესელიას წინა წელს დაწერილი ლექსი „მე და ნიკალა“, რომელმაც თითქოს რკალი შეკრა და შეაჯამა პოეტების მოწიწებული დამოკიდებულება ფიროსმანისადმი.

როდესაც ორი ასეული ლექსია დაწერილი კონკრეტულ თემაზე და ბევრ ნიუანსზე ნაფიქრი აქვთ კალმოსნებს, რაღაც განსაკუთრებული ნიჭია საჭირო იმისთვის, რომ შეთხზა ისეთი პოეტური ნაწარმოები, რომელიც განსხვავებული იქნება ფორმისა და შინაარსის მიხედვით, რათა მკითხველმა იგრძნოს ორიგინალურობა. ამ ამოცანას მშვენივრად გაართვა თავი ვ. ბესელიამ, რომელმაც შემოგვთავაზა პოლიმეტრული ლექსი, სადაც მხატვარი და პოეტი ერთად სხედან, ანწლის არაყს სვამენ და ხელოვნებაზე მუსაიფობენ, ვკითხულობთ და იხატება ლექსი-პორტრეტი, რომელსაც აქვს უნიკალური დასასრული, მაგრამ შეგვიძლია პოეტს არ დავეთანხმით საკუთარი თავის შეფასებაში და დავარწმუნოთ, რომ განსაკუთრებული ლექსების ავტორი ქართველთა ცნობიერებაში არასდროს მოკვდება.

წავიკითხოთ ვ. ბესელიას ლექსი – „მე და ნიკალა“:

„ლექსი მანამ ვერ გაანათებს,
სანამ

სიყვარულით არ გართიმავე...

ფერიც რითმააო,

(ნიკო დაამატებს,

ცხოვრების მაჩვენაო მაგალითმა...)

ვსვამთ ანწლის არაყს და
თან ჩაის,

სახლიც გვაქვს იმნარი –
არ ბარაკობს!

ვთვრებით ფენატრეკით
(ჩანჩალით),

და ხელოვნებაზე
ვლაპარაკობთ...

გარეთ რაც სექტემბერმა
ფოთოლი გაიმეტა,

ყველა ჩვენს მუშაობაზე
ჩამოვარდა...

გზივართ ერთმანეთის
საიმელოდ

მე და ნიკალა,

სამოვართან...

ვართ ორსავ სოფელში
და ღმერთებს ვუგალობთ

ფერის და
ცრემლების ოქტავით,

ნიკო –

უკვდავი, ლოთი და უბრალო,

ვასო –

უბრალო, ლოთი და...

მოკვდავი“...

თბილისი



ირაკლი ნადარეიშვილი

სამი ვარდი

ჩემს საფლავზე დარგეთ მხოლოდ სამი ვარდი,
 ყვავილობას რომ ყვოდეს სამი ფერი,
 ცხოვრების გზას ასახავდეს ყველა ერთად,
 თეთრი, შავი და წითელი სისხლისფერი.

თეთრი, როგორც სისპეტაკე უცოდველი,
 მოვლინებას, სულის ყრმობის ჰგავდეს ხანას,
 ჟამს, როდესაც ოცნებები სულდგმულობენ,
 და სამყაროც შენთვის მღერის იავნანას.

სისხლისფერი, რომ სიწითლით არემარეს
 სიყვარულის, ვნების ხანა შეახსენოს,
 იქნებ გული სამარეში უტყვად მყოფი,
 კიდევ ერთხელ შეაკროს და შეაძგეროს.

შავმა, როგორც ჩამოკრულმა გლოვის ზარმა,
 რომ სიოსთან მოგუდულად წაიძღეროს,
 თუმც დაემარცხდი, უბრძოლველად არ წავსულვარ
 არვის ძალუძს ბედისწერა შეაჩეროს.

დე სამივე იკმოდეს სურნელებად,
 განმიქარვოს, თუ რამ დამრჩა ქვეყნად დარდი,
 ყვავილობას სამი ფერი იფრქვეოდეს,
 ჩემს საფლავზე დარგეთ მხოლოდ სამი ვარდი.



ქართველი პოეტების ლექსები
 ინგლისურად თარგმანა
 მზია კვირიკაშვილი-ლოურენსმა

Irakli Nadareishvili

Three roses

Please, plant only three roses on my grave!
 To bloom only in three colours over my head.
 And each of the roses reflects my life way:
 Pure white, black, and scarlet blood-red.

White as a sign of innocence and sincerity,
 Arriving and resembling the youth of spirit,
 The time when your dreams merely celebrate,
 And a life-giving lullaby sings to you with dandling.

Ruby-scarlet to remind the time of love,
 Possessed by passion, encouraging nightingales,
 Maybe one day, resting your heart, mute and silent,
 Shrink and shake in its grave once again.

And black colour as a ringing mourning bell
 To sing with a breeze modestly in silence,
 I kept fighting, although I was defeated,
 No one can stop the flowing of fortune and fate.

Let all three be burning like incense fragrance.
 To relax me, all my grieves to take away,
 To waft an aroma of the rose through the air,
 Please, plant only three roses on my grave.



თამარ შაიშმელაშვილი



Tamar Shaishmelashvili

ეს შემოდგომა...

ეს შემოდგომა ფოთლების ნავში
 შენი თვალების ბივრილს მიგზავნის...
 ელვა ვერ აღწევს ედემის ბაღში
 გიმაგნოლიებ ცრემლის სინაზეს...

აქ ნათელია გაუხუნარი
 თუნდ უჟამობის ჟამი გამოხდეს,
 იქნებ უეცრად შეგვხვდა უფალი
 და წამიერად მოგვცა სამოთხე?

This autumn...

This autumn, in the boat of foliage
 It sends me beryl of your pure eyes.
 The thunder cannot reach paradise.
 I'll be magnolia – tender and enchanting.

Here is the light – unfaded and infinite,
 Guiding us through the shadows of time.
 A beacon of memories that never dims,
 I hope God allows us its paradise.

ლექსი – თეთნულდი

წამომეწევა ლექსი თეთნულდი,
შენით ვხარობ და შენით ვმზიანობ...
ჩვენ რასანია გვტყვივ ერთურთი
სიყვარულის და სევდისხმიანო...

მომენატრები თოვლო, ნაჭრელავ...
შენი ლალ-სხივნი ველარ დავთვალე...
ვარ თრიმლისფერი ქვეყნის ნაწილი –
ორი არაგვის ლურჯი სათავე...

Poem – Tetnuldi

I'll approach you, Tetnuldi's grace,
I beam with you; enjoy your eminence.
It's been so long since we are together,
With the miracle voice of sadness and love.

I will miss your embroidered flakes,
I could not count your ruby amber rays.
I am part of my flowering Georgia,
The blue source of two Aragvi rivers.



მზისო (ფისო) ნავროზაშვილი

Mziso navrozashvili



* * *

* * *

ამ თელიანში თეთრ ქედანთან ნელ-ნელა ვკვდები,
მეც, ბუერებო, ვერ მოვასწარ რაღაც რომ მეთქვა...
აქ ჰყრია ჯანლი, როგორც ტყავი, როგორც ნეკნები,
ძალის მაგიერ დაბმულ ლომებთან.

I'm dying by a white pigeon in this Elm woods,
I have no time to say even a word to my friends,
You can see here the ominous clouds, like rib bones,
With the lions that are chained up instead of dogs.

სასუტელებო, წიფლის ჩიტო, თქვენში კვითრდები,
მეც... ახლა, ტყეა ჩემი გადია...
აქ, კლდეებს შუა წაწლებივით წვანან მითები,
გამოქვაბულში დევკაცი რომ დაუბადიათ.

Pimpernels and the birds of beech, I pearl in you,
This forest is my guide, and now I am here, too,
Here, amongst the rocks, lie myths like virgin girls,
Once upon a time, too, a goliath had given birth.

გამოქვაბულში... აქ, ხომ ლექსის სათარეშოა...
გზად, ცხრა ჩანჩქერი, ქარაფებზე ლავიწებს
იმტვრევს.

In the cave, there is the poems' wandering place,
Nine waterfalls break clavicles in ravines and cliffs.
Among these boulders, Aragvi runs in the foam-silk,
With tying pearl beads, secret and mystic.

მოდის არაგვი, აბრეშუმში, ამ ლოდებს შუა,
უბეზე იბნევს თვალ-მარგალიტებს.

Ibexes with horns are hung on the doomed mist.
And who counts the stars? Is it the night breeze?
And, in the river, I will be, too, lost like a spring,
Like a drop of honey, I, too, will fall on the earth.

გაკიდულია ბურუსებზე ჯიხვები რქებით,
ღამის ნიავი აყვავებულ ვარსკვლავებს დათვლის,
და მდინარეში წყაროსავით ჩავიკარგები
მეც... დედამიწას დაეწვეთა სტრიქონი – თაფლის.

The man with amber arms can move the amber rock!
For a long time, I wanted to be a male tiger's spouse.
Saturday Eve, after the sad colour of the white
pigeon's day,
The bull roared near the Goliaths' cave, abandoned
by fate.

მკლავი „ვის აქვის“, პირყვითელა კლდესაც ის
დასძრავს,
მე რა ხანია, ხვადი ვეფხის ქმარ-მმრობა მსურდა...
თეთრი ქედანის მოწყენილი ფერის კვირაძალს,
ხარი აბლაგლდა დევკაციების გამოქვაბულთან.

მარინა ხარატიშვილი



* * *

ცოტაც და... დაგვტოვებს ლაღი ზაფხული,
და... ცრემლის მიღმა, როგორც საცერში,
ოდესლაც ლამაზ, დაყვავილებულ,
გვირილებიან მდელოს გავცქერო...

თავს არა ზოგავს ნიაგი ცელქი,
გამოაცოცხლოს ცდილობს ყვავილნი,
მაგრამ, კანონით, წესით – ძლიერით,
ქარის მცდელობა ამოდ ჩაივლის...

და ფიქრობს, ფიქრობს „ტვინი დაღლილი“.
მოუხმობს ბეგრებს იმედიანებს,
ო! სულ არ მინდა, არ მინდა ცრემლი,
ის, კი მოწვეთავს, არ იგვიანებს...

ვიცი, რომ მოვა კვლავ შემოდგომა,
ნაზ და საოცარ ფერების ცვებით,
მე, კი განვლილი ზაფხული მტკიცა,
და შემოდგომით არავის ველი...

ხეზე ეული ფოთოლი ყვითლად,
შემოდის სევდად და არ მასვენებს,
ავვისტოს ლამაზ, მცხუნვარე დღეში,
წვიმის მოტივი – სმენას ასველებს...

და მე გავბედე! დაკვეთე კარი,
სევდიან ფიქრთა შემოსასვლელი,
სასინარულოდ ანათებს მზე და
ბეგრი ლამაზი დღე გასავლელი...

სულ ყველა ნერვით ვიგრძენ სამყარო
და... მუნღმოყრილი ვესაუბრები,
ავვისტო – ცხელია... უჩვეულოდ,
სხივჩამქრალი მოსჩანს... გვირილები.

* * *

მწვანე თვალების დაღლილი მზერა
და სინანული გარდასულ დღეთა,
გამახსენდება... ჩერდება წამი,
გაუსაძლისი შემეპყრობს სევდა...

დავდივარ ასე სულში ცრემლებით...
დრო გარდასულა... მწვანე ფოთლებით...
გული მატკინე... მე გააპატიე...
მხოლოდ ტკივილად შემახსოვრები...

Marina Kharatishvili

* * *

A little bit... and the summer scorching will leave,
And... beyond sad tears as in a sieve,
I'm looking once beautifully blooming
Life-thirsty chamomile meadow-fields...

The breeze does not spare itself at all,
Trying to revive the flowers in the meadow,
But, by nature rule – with its strong law,
The endeavour fails... the restless wind flows.

And it thinks, and thinks, “over-worn brain”.
Calls the hope sounds, not to be delayed,
Oh! I don't want, I don't want tears' flowing
But it keeps dropping... it's never too late.

I know autumn will come again,
Wealthy, abundant, with colours spreading,
But it hurts; the summer that had left behind,
As I don't expect autumn to give me delight.

A leaf on the tree – does not give me rest,
Lonely and yellowish, it comes as sadness...
It is a beautiful, hot August day,
But it moistened sounds - the motive of rain.

And I dared! I closed the door -
The entrance of my sorrowful thoughts,
The sun is shining happily today,
I still have the hope: hope is ahead...

I feel the world with all my nerves,
And... kneeling, I pray to high-up heaven...
August – is so hot... unusually hot,
And Daisy looks so poor, radiance lost.

* * *

Oh, the faded look of your emerald eyes,
and bitter regret of bygone days,
It's always with me, and it pauses time,
The unbearable sadness of your life's end.

I walk like this... with tears, my dear,
Time is over of our green foliage,
O, you hurt my heart... but I forgive it...
You echo in my soul, in my deep pain...

ნათია ხადური



ჩემს ძვირფას მეგობარს...

მე შენი წასვლა, თითქმის სამჯერ გადავარჩინე,
შენ, პეტრეს მსგავსად უარყავი სამჯერ მესია:
გათენებამდე ვერ მიტანილ ღამის ნაფიცზე,
უარყო ის, ვინც მთელ სხეულშიც ვერ დაეჭია.

წახვედი, თითქოს არაფერი გრჩებოდი ზურგთან,
დაკარგულია სამუდამოდ ერთხელ წასული,
გაგიშვი, რადგან აღარ ვომობ საკუთარ სულთან,
გაგიშვი, რადგან სამუდამოდ გერქვას წარსული.

და ვიცი ზუსტად, ვიცი ხვალე, ვგრძნობ ხვალის
იქით,

როგორ აგტკივა ხერხემალში ჩემი მალეები,
მჯერა, ოდესმე სულ ცოტა ხნით მოხვალ და ისევ,
მაშინდელივით შუშის ხიდთან დამემალეები.

იერუსალიმს სხვანაირი სჭირდა ლაჟვარდიც,
რომ ღმერთი იდგა ჩემ წინაშე შენი თვალებით,
ეს იყო მძიმე აღსარებაც, ცოდვაც, გამოცდაც,
ჩემივე სულის ტკივილებით გარდაცვალების.

ვდარდობ, რომ მევე დავივიწყე ჩემი გოლგოთა,
ღმერთს რომ გარქმევდი, ტკივილებზეც უნდა
მეფიქრა,

შენ გამო ყველა აკრძალვაზე ფეხით ვიარე,
რომ მერე ჩემი შეცდომები გამომესყიდა,

მას მერე, ღმერთო, დახეთქილი დამაქვს მუხლები,
ახლაც მიელავს დაცემისგან კოჭები ტერფთან,
და გეფიცები, სულ არაფერს არ ვნანობ მაინც,
შენს წილ ცოდვასაც დავიბრალებ, რომ მივალ
ღმერთთან.

ახლა მეც წავალ, სულ სხვა გზები მელირებიან,
ვწუხვარ, რომ მეტი ერთგულება ვეღარ შევძელი,
შენ არა! ჩემი ნახელავი მემამყება,
სულგატანჯული, ნაგმობი და მაინც შედევი!!!

Natia Khaduri

My dear friend

I saved you from your departure almost three times,
But you did as Peter – When he thrice rejected Messiah
Christ,

On the oath that he continued until sunrise,
He refused the one who couldn't placed in his whole
body and soul.

You left me like you were nothing leaving behind you,
As one is lost forever, who decides to leave you once,
I let you go because I'm no longer at war with my soul,
I let you go because you have the name of my past.

And I feel what will be with you tomorrow, or after it,
How will you feel in your vertebra, my bone pain?
I believe, someday, you will come again for a bit of time,
And you hide by the glass bridge like before you did.

Jerusalem looked with a different kind of lapis lazuli,
I felt as if God stood before me with your look,
It was a hard confession, and a sin, and a test, too,
My death, my decease with the pains of my soul.

I am sorry that I have forgotten my Calvary Cross,
I had to think about pains when I worshipped you as God,
I walked over all the prohibitions because of you,
That then all my mistakes to redeem, to atone.

Since then, I walk with my painful knees, O, My Lord,
And even now, it disturbs me, my malleolus bone souring.
And anyway, I swear I don't regret anything at all,
I will carry your share of sins when I go to God.

I'll go too, as now I have other ways to walk,
I'm sorry I couldn't be more faithful to you,
Not for you!.. but I am proud of my part of the work,
It is still a masterpiece, despite my harassing labour!!!

*Translated into English
by Mzia Kvirikashvili - Lawrence*



მუხრან მაჭავარიანი



*ინგლისურად თარგმნა
მანანა ლარიბაშვილმა*

მე მიყვარს ხოლმე სიარული

მე მიყვარს ხოლმე სიარული
ქუჩაში მარტო,
იმ დროს,
როდესაც
დედაქალაქს
დაიპყრობს ძილი...
მიყვარს...
მიყვარს
და...
არ ვიცი რატომ!..
(მიზეზის პოვნას
არც თუ ისე ძალიან ვცდილობ).

ღავდივარ.
მესმის საკუთარი ფეხისხმა მხოლოდ...
იღვრება დიდი ფანჯრებიდან
სინათლე ლურჯი...
და...
ვიცი:
ვივლი,
ვივლი,
ვივლი,
ვივლი,
და
ბოლოს
სასაფლაოსკენ წამიღებენ
ამავე ქუჩით.
აუცილებლად!
უსათუოდ
მოხდება ასე!
მაგრამ მე მაინც
გმადლობ, დედა!
დედაო, გმადლობ! –
ვხედავ ქვეყანას
სინათლით სავსეს...
ღავდივარ,
ვლელავ,
მიყვარს,
მაწვიმს,
ვიციინი,
მათოვს.

Mukhran Machavariani



*Translated into English
Manana Garibasvili*

I love wondering..

I love wandering lonely
in a street,
When everyone in the town
is asleep...
I love
I do
I do
indeed
But I not know why!..
(Even don't try
the reasons to find)
I am walking
and listening to my steps only...
Coming the light from the windows
with glory...
And I know
I'll walk
walk
walk
and walk.
The folk will take me
to the potter's field
through this street.
It might,
oh, no,
it Will happen so!
Still it's not
a woe
and thanks MOM for that
"OLD SAW"!
I see the world
shiny and warm.....
I walk,
I woe,
worship and glow,
It snows
and rains
but I smile
in flow.

ქალია დილა

ქალია დილა,
მიწა – ქალი
სალამო – ქალი...
წვიმა ქალია...
ყველაფერი
ქალივით მიყვარს...
და როცა ვინმე
ჩემზე უკეთ
ადიდებს დილას, – ასე მგონია:
მე რო მიყვარს, –
მართმევენ იმ ქალს.

არაყი?..

– არაყი?
– ლუდი!
– ერთი?
– ერთი!
– ინებეთ!...
– გმადლობთ! –
ვჯდები კუთხეში...
გარეთ წვიმს...
...
გნატრობ...

Woman is dawn

Woman is dawn,
Soil and sundown...
Woman is rain,
I am totally in fain...
While anyone than I
Can adore this prime,
I've got the feeling
I am deprived that time.

Chacha?...

– Chacha?
– No, beer!
– One?
– Oh, yes!
– Here you are!
– Oh, thanks!
I sit in the corner
Rain is coming over...
And longing for my
courter...



ქოჩა

ქეთი გაბინაშვილი



ღუმილი

ყოველი თვის ოცდაცხრა რიცხვში მირეკავენ შვილები. მირეკავენ და მახსენებენ: პურისა და ხორცის მომატებულ ფასებს. მახსენებენ გაზისა და ღენის გადასახადებს. ქორწილსა და ქელენს. მაჩვენებენ ლანჩაშვილ ფეხსაცმელს, გადახეხილ ჯინსებს, მოდიდან გადასულ ქურთუკებს. მირეკავენ და მიყვებიან ექიმისა და წამლის ხარჯებზე.

ყოველი თვის ოცდაცხრა რიცხვში მირეკავენ ჩემი უკვე დავიწყებული სახლის ბინადრები. მირეკავენ და მახსენებენ ათას წვრილმანს.

ოცდაათში ხელფასის დღეა.

დღეს ექვსია. ტელეფონი ჯიუტად ღუმს. სირენები კი გაჰკვირიან და გახსენებენ, რა ახლოს არის სიკვდილი. ყველა გარბის. მეც საფეხურებზე ვეშვები და გზადაგზა ვიკრავ პერნაგის ღილებს. ეს ღამე სანგარში უნდა გავათენო. ვერ შევეჩვიე, ვერც შევეჩვევი, რადგან ეს სხვა ომია, ეს არაა ჩემი ომი. ტელეფონი ჯიუტად ღუმს. მე მაინც მაღიმალ დავეყურებ და ვნატრობ, ვნატრობ მთელი არსებით, დარეკოს და მითხრან ჩემმა შვილებმა: დედა, ყველაფერი კარგად იქნება. რომ მერე რა, თუ კი ეს პალტო გასულ ზამთარსაც მეცვა, ყინვისგან მაინც დამიცავს; რომ ჩვენი სახლის სახურავს სულაც არ სჭირდება შეცვლა, იმ ორიოდე ჩამტვრეულ კრამიტს, ავერ გოგიას შევაკეთებინებთ; რომ ცხოვრება კი არა, სიცოცხლეა ყველაზე ძვირი; რომ იქნებ და სულაც არ დაგვჭირდეს ექიმი, თუკი ტკივილებს ერთმანეთს მოვუშუშებთ...

ყოველი თვის ოცდაცხრა რიცხვში რეკავენ ჩემი შვილები და მახსენებენ, ბაზარში რომ ცეცხლი უკიდია ყველაფერს. რომ მოიმატა გადასახადებმა. მახსენებენ გაზრდილ საჭიროებებს, შესაცვლელ ფანჯარებს, სახურავზე ჩამტვრეულ კრამიტს. ოცდაათში ხელფასის დღეა.

სირენები გულისწამლებად გაჰკვირიან. ტელეფონი კი ღუმს. დღეს ექვსია, ოცდაათამდე ჯერ შორია.

დაკარგული გაზაფხული

რბილი და თბილი ხელები ჰქონდა. ძალიან თეთრი. კარგად მოვლილი ფრჩხილები. მის თითებს ეტყობოდა, რომ არასოდეს, არასოდეს ეშრომა. ძალიან გამიბროდა თვალი მისი ხელებისკენ. მამაჩემის ხელები მახსენდებოდა. მზენაკრავი, დახეთქილი კანი, ხელისგულებზე ამოსული მახოლები, მიწის გაფხვიერებისგან დამსკადრი თითები. მე იმ ხელების მწამდა. იმ ძლიერი ხელების, იმ მიწასთან ნაჯახირები ხელების და გაუხეშებული კანის. ალბათ ამიტომ თუ იყო, რომ რაღაც ძალიან მაშინებდა, ამ პლანტურად მოწესრიგებულ კაბინეტში, ამ მანიაკალურ სისუფთავეში, ამ სითეთრეში, ამ მაგრად მივმანულ ფანჯრებში, ამ ჩამოშვებულ მუქ ფარდებში. ცივ და ხელოვნურ სინათლეში.

გარეთ გაზაფხული იღვიძებდა. ჯერ არ ამწვანებულყო ბალახი. არ გაკვირტულიყვნენ ხეები. გაბენდა სიცივე, მაგრამ ცა სხვაგვარად იყო ნათელი, მზე გამოჩნდილიყო. უყვარდა გაზაფხულის მზე მამაჩემს. თავადაც უნათლებოდა ზეცის ფერი თვალები. პაპაჩემის ნაქონ ქუდს დაიფარებდა. ბაღში დადიოდა, თითქოს მზეს მეჭხაროდა. აჰა და მოვიდაო ისევ გაზაფხული, ამ მზეს მისი ვაზეები უნდა გაეთბო, მისი ვაშლებისთვის გული გადახსნა, მისი ხალოლიავები ნერვები უნდა მოელონიერებინა. უხაროდა მამას. მეც მიხაროდა. გააღებდა დედა ფანჯრებს, გადასწევდა ფარდებს და გრძელი ზამთრისგან ჩამოღვენთილ კედლებს უთბობდა გვერდებს.

გაზაფხულის პირველი მზეა. მაკრთობს ეს მიკეტილი ფანჯრები და ჩამოშვებული ფარდები. ეს ხელოვნური თეთრი სინათლე. ეს თოვლისფერი პერანგი. ეს არამიწიერად თეთრი ხელები. არ ვენდობი ამ ხელებს და მინდა გავშორდე, მინდა ამ კაბინეტს გავცდე, ეს საფეხურები ჩავიბრინო, მივატოვო ეს ასფალტი და ჩემს მიწაზე დავდგა ფეხი. იქ, ჩემს სახლში, არ ემალებიან მზეს. ხარობენ გაზაფხულით. მეც მინდა სინარულის შეგრძნება.

ვერ მივდივარ. მაგრად გადაურაზავთ კარი. მერე ეს ხმა, ძალიან ნაგარჯიშები, დაბალი ბგერები, წინასწარ შერჩეული და ბევრჯერ გამეორებული ფრაზები. ეს სუნი. მისი სუნამოსა და ძვირადღირებული სიგარეტის სუნი. ძალიან ნაზი, თითქოს ცხვირის წვერს რომ წაულიტინებს, ეს ძლივს შესამჩნევი, მაგრამ ვერასოდეს დასავიწყებელი სუნი. და ხელები. მისი მოვლილი, თეთრი, რბილი და თბილი ხელები.

— მხოლოდ ერთი კოცნა, — ამბობს და ხმა უთრთის, მეც მიკანკალებს სხეული შიშისაგან. კედელს ვეკრები ზურგით, ვცდილობ, სახე მის სურვილჩამდგარ თვალებს აგარიდო. „არ შეიძლება, ძალიან გთხოვ“, — ვეძუდარები. მხოლოდ ეს სიტყვა: არ შეიძლება! სხვა ყველაფერი დამავიწყდა თითქოს. ულონო ვარ, ძალა წამერთვა. ვერ ვპოულობ ვერც ძალასა და ვერც სითამამეს, წინ აღვუდგე. უსუსური ვარ ჩემი შიშით. შიშური სვავის მზერით მითვალერებს ჯერ კიდევ აღმოუჩინებლ და უცნობ სხეულს, ჩემი შიში კვებავს თითქოს მის ფანტაზიას...

მინდა გავიქცე, მინდა გავიქცე ამ კედლებს და ამ კაცს, გავიქცე უკანმოუხედავად, იქ, სადაც ჩემი სახლია, ჩემი მიწა, იმ სახლის ფანჯრები ალბათ

ფართოდ არის გამოღებული, მზეა ჩემს მიწაზე. მინდა გავიქცე, უკანმოუხედავად, რაც შეიძლება სწრაფად მიეფაროს მზერას ეს კაცი, ეს შენობა, ეს ქუჩა, ეს ქალაქები... ნელა ვეშვები საფეხურებზე, ძალა არ აქვს ჩემს სხეულს გაქცევის. ვბრაზობ. საკუთარ თავზე ვბრაზობ. სახეზე ცეცხლი მეკიდება, სირცხვილს ვგრძნობ.

სირცხვილს ახლაც ვგრძნობ, იმის გამო, რომ არ მეყო ძალა, რომ დამავიწყდა ყველა სიტყვა, რომ არ მეყო გამბედაობა, მეყვირა და ჩურჩულით ვევედრებოდი, ვთხოვდი, ვტიროდი. მერეც, როცა წლები ჩამომემარცვლა, როცა გავიზარდე, როცა ძალა მოვიკრიბე, მაინც არ მიყვირია, არასდროს მიყვირია! და ისევ, წლების შემდეგაც, ახლა, როცა ჩემს თმას ადევს თოვლისფერი, გაზაფხულის პირველ მზეზე, მე აღარ მახსენდება დედა, რომელიც ფანჯრებს ალებდა და გაზაფხულს უშვებდა სახლში, არ მახსენდება არც მამა, თავისი ზეცის ფერი თვალებით რომ შეჭლიძოდა მზეს, აღარ მახსენდება მათი სინარული, მახსოვს მხოლოდ მისი ხელები, მისი თეთრი, რბილი და თბილი ხელები და ვგრძნობ, იმ თეთრ, ფანჯრებშიგმწულ ოთახში დასრულდა ჩემი გაზაფხული. მე იქიდან ვერ გამოვალწი, ისევ იქ ვარ, ისევ ვგრძნობ მისი სუნამოს სუნს, ისევ უმწეოდ ვეკვრი კედელს ზურგით და ისევ მინდა ვიყვირო, მაგრამ ხმა არ მაქვს და ვამბობ მხოლოდ ერთადერთ სიტყვას: არ შეიძლება!

ლინია

ლინია ჩვენს სოფელში ისეთ დროს გამოჩნდა, ქალებს კი არა, მამაკაცებსაც რომ შავი ლენტები გაეკრათ შუბლზე, ფერადი საცვლებიც კი აღარ იყო ქვეყანაში და მხოლოდ აქა-იქ ჩვილებს თუ ჩააცმევდნენ, უფროსი და-ძმის გამონაცვალ, გადახუნებულ, გვარიანად გაწყალებულ ბაც ცისფერ ან ვარდისფერ ბოლებს.

ტუჩის კონტურებს კარგა გვარიანად აცდენილი ყოლოსფერი ტუჩსაცხი ესვა. ხვეული თმა დელაჩვენებით კეფაზე კი არ დაეკრავნა, მხრებზე ეყარა და მზეს-უმზირას ყვაილისფერად უელავდა. თვალისმომჭრელად მზინავი ტანსაცმელი. იისფერად შეფერილი თვალები. წითელი ფერუმარილი... მთელი თავისი ნატურით, ისეთი შეუსაბამო იყო ჩვენს რეალობასთან, ისეთი უცხო და გამორჩეული, ყველა დაგვაფრთხო.

და ღიმილი. ეს უღვთო ღიმილი რაღა იყო, ვერავის გაგვევო, ჩვენ, ვისაც სიცილი დაგვიწყებოდა, ვისაც აღარ გვახსოვდა, როდის და რაზე ვიცინოდით და ჩვენი სულ უშინშენელო სინარულებისაც კი, თუ ასეთი სადმე კიდევ შეიძლება ყოფილიყო, რაღაცნაირად გვერცხვინებოდა. თითქოს კარგად ყოფნის უფლება სამუდამოდ დაგვეკარგა. ის ჩვენ არ გვეგავდა და ამიტომ თუ იყო, გიჟი ლინია რომ შევარქვით.

სკოლაში დამლაგებლად მოეწყო. ოთახი სოფლის ბოლოში, „ვენეციის უბანში“ მოძებნა. ამ ორლობეში დღემუდამ წყალი დიოდა. წითელი მიწა იყო და მტრისას, იქ რომ ტალახი იცოდა. გიჟი ლინია კიდევ ყოველ ცისმარე დღეს ჩაიცვამდა ქუსლიან ფენსაცმელს, წაისვამდა ყოლოსფერ ტუჩსაცხს, გადაიკიდებდა ჩანთას, გამოეწყობოდა ცის-

არტყელისფერ ტანსაცმელში და კაკუნით გაუყვებოდა შარას. გზა გრძელი იყო. იმ გზაზე საკუთარ ჭიშკრებთან ჩასაფრებული მგლოვიარე სოფელი უთვალთვალდა. ვერაჟინ იტყვის, უღიმილოდ ენახა ლინიას სახე. რა უნაროდა იმ შეჩვენებულს, რა მზეს შექნაროდა ასეთს. გამარჯობა, როგორ ბრძანდებითო, გვერდს არავის ჩაუვლიდა, რომ არ მოეკითხა. ხომ ვითხარით, ცუდი დრო იდგამეთქი და მასთან ლაპარაკის არც სურვილი და არც ნერვები არავის შემორჩენოდა. არა და ლინიას თითქოს უდაბნო გადმოვლილი ყოფილიყო, ისე სწყუროდა სიტყვის გაგონება. ადამიანები სჭირდებოდა, უყვარდა ყველა. გეგონებოდა მის გულს სხვა არც რა გრძნობა სცოდნოდა. არც რა განეცადა.

ჩვენ კიდევ გართობა გვინდოდა. და ვინ თქვა, ბავშვები კეთილი ანგელოზები არიანო, ჩამოვუღებოდათ გვერდით და დავიწყებდით: რა ლამაზი ხარ, ლინია. გოგო, სად იყიდე ეს კაბა. როგორ გიხდება ეს რუმიანა. სინარულით აღარ იყო. ფიქრადაც არ მოსდებოდა, რომ მასხრად ვიგდებდით. გვიყურებდა და შემოგვხაროდა. თავისი ალმა-დალმა ძავალი კბილებით შემოგვცინოდა და გვენდობოდა. უეჭვოდ გვენდობოდა. ჩვენ კი არ დავინდეთ. გოგო, მეხედე როგორ გიყურებს გიორგი. უყვარხარ, გოგო. ცოლად უნდა მოვიყვანო ლინია, გიორგიმ გვითხრა.

გიორგი ჩვენი სოფლის მთავარი უსაქმური იყო. ცოლი არა, შვილი არა, სამსახური არა. მშობლების პენსიას ხარჯავდა, როგორც იმდროინდელი ბიჭების უმეტესობა. ჰოდა, ჩვენ გვასწრებდა სკოლაში მოსვლას, ჩამოეყუდებოდა ნაძვებთან და სანამ ბოლო ბავშვს არ გააცილებდა, ფენს არ დაძრავდა.

გულში ჩაუვარდა ლინიას. დღე ერთი იყო და ათჯერ შემოუგვიდა გარშემო, იმ ეზოში ერთ ფოთოლსა და ბალახის ღერს არ დასტოვდა. დადიოდა, დაკაკუნებდა, ახლა კიდევ უფრო ფართოდ იღიმიდა, თვალებით ვარსკვლავები დაჰქონდა თითქოს. ლინია, გოგო, უნდა მოვიტაცო, გიორგიმ, ვახელებდით ყოველდღე და ლინიაც ელოდა. ელოდა, როდის მოიტაცებდა თავისი გიორგი. ელოდა, სანამ იმ დაწყვეტილ ღამეს გიორგის ზედმეტი ღოზა არ მოუვიდა.

არ იქნა და არ დაიჯერა ლინიამ. მოვა ჩემი გიორგი და გავყვები ცოლადო, ახლა რამდენილა ვახვეწინო. როდისო, გოგო, როდის გეხვეწებოდარო, ვეკითხებოდით. უკ, სულაც ვერე არააო, ჩამოიღვენთაო დარდით ბიჭი, წუნელაც წერილი გამომიხაგვანო. ახლა მეც რაღა ვქნა, განა კი უღვთო ვარ, ვტანჯვო ადამიანი. სჯეროდა ლინიას. სჯეროდა და უყვარდა დიდი და უპირობო სიყვარულით.

გიორგი აღარ დაბრუნებულა. ჩვენც სკოლა დავასრულეთ. საკუთარი გზის საძებნელად წავედი თუ საკუთარ გზას ვავექეცით, არ ვიცი. ერთი კი იყო, წლები ჩადგა ჩემსა და ბავშვობას შორის. გაბუნდოვდნენ ადამიანები და დამშორდნენ ადგილები. უხილავი ფარდის იქით დარჩა ლინიაც და შესაძლოა, აღარასდროს გამხსენებოდა, დღეს ჩემს ქუჩაზე რომ არ ჩამოეგლო.

მაგი კაბა ეცვა, თმა ერთიანად გასეთერებოდა, კეფაზე დაეგრაგნა თავისი დაუდევრად აშლილი კულულები. კიდევ უფრო გამხდარი ჩანდა. სადღა იყო მისი ტუნისაცხი და წითელი ფერუმარილი, სადღა იყო მისი ქუსლიანი ფენსაცმელი.

მიდიოდა მხრებში მონრილი, ჩქარი ნაბიჯით, იმ ქალის, ოდესღაც რომ ზაფხულივით შემოიჭრა ჩვენი სოფლის ზამთრის მოლუმულ საღამოს, აღარაფერი

შერჩენოდა სახელის გარდა. ისევ შეშლილი ლინია იყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ადამიანებს მისი ტილოდან ყველა ფერი წაგვეშალა, ყველაფერი. ახლა ისიც მავთეთრი იყო, თავი ჩაეღუნა და ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. მაგრამ მოემუწა ტუჩები, გამარჯობა-მეთქი ლინია, მივესალმე. არ გაუგია ან გამოლაპარაკების სურვილი არ ჰქონდა. გვერდით ისე ჩამიარა, არც შემოუხედავს. თვალს მიეფარა, მაგრამ ჩემი ფიქრი მანაც მისწვდა. ვერ იქნა და ვერ გაქრა ჩემი ხსოვნიდან იმ ძველი ლინიას აჩრდილი.

მიდიოდა მხრებში მონრილი და უფერული ლინია გზაზე, ჩემი ფიქრი კი უკან მიჰყვებოდა და ეკითხებოდა: რა ჩავიდინეთ ლინია ასეთი, რა გიყავით ასეთი, გოგო?!

„ჭიავ, ჭიავ, მაპოვნინე“...

„ჭიავ, ჭიავ, მაპოვნინე, მე შენ დედას გაპოვნინებ“, „ჭიავ, ჭიავ, მაპოვნინე, მე შენ დედას გაპოვნინებ“... ბალახსა და ფოთლებს შორის, თხილს ვეძებ. მე პატარა ჩანთაში ვაგროვებ, დედა და მამა – დიდ ტომრებში. ჩემი ჩანთა ძნელად ივსება, მაგრამ ყველა ახალი თხილის პოვნას სინარული მოაქვს. ბედნიერი ვარ. დედა და მამა უფრო სწრაფად ავსებენ ტომრებს, მაგრამ მათ აღარ ახარებთ ნაპოვნი თხილი.

ისინი ლაპარაკობენ ჩემთვის გაუგებარ ენაზე, მესმის მხოლოდ სიტყვები: მოსავალი, ფული, ვალი, ლალატი... მათი შუბლები ახლა ძორღობული ცაა, სიტყვები კი სეტყვასავით ცივი და მტკივნეული. თხილი ბევრია, მამა მხრებზე იკიდებს ძიძმე ტომრებს და ნელი და არეული ნაბიჯით მიდის მანქანისკენ, რათა ძარაზე დატვირთოს მოსავალი. დედა უყურებს მიმავალი მამას ზურგს და კიდევ უფრო დიდი ბინდი დგება მის მხერაში, დავიწროებული ტუჩებით რაღაცას ამბობს, ძალიან სწრაფად. ვგრძნობ, ეს საშინებელი სიტყვებია. მე მეშინია ამ სიტყვების და ამ ღამის, რომელიც ჩვენს სახლში უნდა ჩამოვდეს.

დაიძინე დროზე! – ისევ დამიყვირებენ, თითქოს ასე მარტივი იყო ძილი სახლში, სადაც მათმა ყვირილმა ჩემი სიზმრები მოუსაგლეთში გადაკარგა. მე დავწევები, კედლისკენ გადავბრუნდები, გულში მაგრად ჩავიკრავ ჩემს კურდღელს და ძლიერად დავხუჭავ თვალებს. მენდომება, რომ დაამუნჯოს ღამემ დედა და მამა, მენდომება, რომ მათ ვეღარ უთხრან ის ბასრი სიტყვები ერთმანეთს და არ დაუსერონ სული. მაგრამ ისინი იტყვიან ყველა სიტყვას, რომელიც წლების დუმილმა დააგუბა და ახლა თითქოს კალაპოტი გადმოენგრის. მერე ეს სიტყვები მორებივით წაიღებს ნდომასა და სიყვარულს, პატიებასა და მენდომას, წაიღებს ხსოვნას, როგორ უყვარდათ ერთმანეთი და დაიშრიტება, გამოილევა, დაიცლება. და როცა ვეღარ მოძებნიან სათქმელს, ისინი დაამსხვრევენ ჭიქებსა და თეფშებს, გადააყირავენ მაგიდას, კედლებს შეაღწევენ სკამებს, ისინი გაანადგურებენ ჯერ ნივთებს და მერე – ერთმანეთს.

მერე ისევ დიდი დუმილი დადგება. სუნთქვისაც რომ გემინია ისეთი სიჩუმე დაეპატრონება სახლს. შიში წაიღებს ჩემს ძილს, მე ვიწვები

სოლომონ ნერგაძე



დაფეხვილი

გადაბრუნებული კედლისკენ, მაგრად მეყოლება გულში ჩაკრული ჩემი კურდღელი და დავარწმუნებ თავს, რომ ეს მას ეშინია და მე უნდა დავიცვა. მე გავუფრთხილდები ჩემს პატარა ბაჭიას, დიდ და პარტყუნა ყურებზე მივაფარებ ხელისგულს, რომ არ გაიგოს გინება და წყევლა, რომ არ გაიგოს ტირილი და ღრიალი... დავამშვიდებ და ვეტყვი, რომ არაფერია. რომ ისინი თამაშობდნენ დამალობანას და ახლა ამ ულრანი ტყესავით შიმშიმომგვრელ და მიუსაფარ ღამეში ვეღარ პოულობენ საკუთარ თავებს. ვეღარ მიუგნიათ რომელი ხის უკან ამოაფარეს თავიანთი სხეულები, სად დამალეს ოცნებები, სად დაკარგეს ფორმა და ფერი... მაგრამ გათენდება, ამოვა მზე და ყველაფერი კარგად იქნება, ისინი ისევ დაინახავენ საკუთარ დანაწევრებულ სხეულებსა და სულებს და ისევ შეაგროვებენ, შეაწებებენ და გამთლიანდებიან.

მაგრამ ყველაფერი კარგად აღარ იქნება, რადგან ყოველთვის, როცა ისინი იქნებიან ჩუმი, მე მეცოდინება, რომ ახლა თოვლის გუნდებით გროვდება ბრაზი, ის გაიზრდება, გადადიდება და დაგორდება მთიდან, იქცევა ზვავად და ჩაგვიტანს ჩვენ ყველას და ისეთი დიდი იქნება ეს ზვავი, რომ ვეღარასოდეს შევძლებთ თავის დახმას.

დღეა მუჭებით აგროვებს თხილს, მე დახრილი ვქექავ ბალახებსა და ფოთლებს და ვცდილობ, ვიპოვე ჯანსაღი თხილი. მე ვპოულობ და მიხარია. მინდა დედასაც უხაროდეს, მაგრამ დედას აღარაფერი ახარებს და მე არ მინდა ისე გავიზარდო, რომ ვეღარ ვგრძობდეთ ხმელ ბალახებში თხილის პოვნის სიხარული.

„ჭიავ, ჭიავ, მაპოვნინე, მე შენ დედას გაპოვნინებ“, – ვჩურჩულებ და ბალახებში ვაფათურებ თითებს.

ვანშამი ცივი და უგემურია, რადგან თხილის ბალებში დაწყებული სუსხი კიდევ უფრო უჭერს ძელებს და მამას სიტყვებს ახლა უკვე ქარიშხალი მოაქვს, ყველაფრის განადგურებას მოასწავებს. მე ჭამას თავს ვახებ და კალთაზე ვეხუტები დედას, მინდა მივწვდე მის წვრილ და გაფითრებულ ტუჩებს და ხელი მივაფარო პირზე, მინდა არ თქვას სიტყვები, რომელიც ამ ქარიშხალს კიდევ უფრო გაააგებს. მაგრამ დედა ამბობს, დედა არ ჩუმიდება. მე ვხვდები, რომ მას გაჩერება აღარ შეუძლია, მან უნდა თქვას ყველა სიტყვა, რაც ადრე ხანს თევზის ღუძილით დაჰქონდა თავისი მჩატე სხეულით.

და მერე ქარბორბალამ დაუბერაო თითქოს, ისე კარგავს წონასწორობას სახლი და ისე ნადგურდება ყველაფერი. მე და ჩემი ბაჭია ერთმანეთს ვეღარ ვშველით, რადგან ორივეს ძალიან გვეშინია. ტახტის ქვეშ ვძვრებით, ვწევართ იატაკზე პირქვე და უხმოდ ვყვირით, მთელი ძალით, გულის განეთქვამდე ვეძახით ჭიამაიებს, ხეებს, ფოთლებს, ქარს, ცასა და მიწას, ვითხოვთ შველას.

ვერაგინ შეძლო ჩვენი დახმარება, იმ ღამეს მამამ დედა დაკლა. წითელი ხდება იატაკი, საწოლი, კედლები, წითელი სისხლია მამას სახეზე, მის ხელებზე, სისხლია ყველგან, წითელი სისხლით ლაქავდება ჩვენი ცხოვრება.

თხილის ხეებს შორის მიწაზე ვზივარ, ხელებს ბალახებსა და ფოთლებში ვაფათურებ და უცხო ხმით ვევედრები: „ჭიავ, ჭიავ, მაპოვნინე“... მაგრამ ისინი დიდი ღუძილით ღუძან. რადგან ჭიამაიებმა იციან, რომ სულ ტყუილია ყველა დაპირება, დაკარგულ დედებს ვეღარაგინ ვაპოვნინებ.

ფერმა ალიონზე იღვიძებდა. მწყემსები ძროხების წველით იწყებდნენ დღეს. ახალი შემოსული იყო ავტომატური საწველი აპარატები. მწყემსებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ ჯიქანზე მისი სწრაფად და უმტკივნეულოდ მორგება. რაოდენობაც არ იყო საკმარისი. ძროხების ნახევარს მამაპაპურად, ხელით წველიდნენ.

– ოოხ... დამტანჯა ამან!... ვერ ისწავლა წესიერად წამოგება, – წამოიქმინა ლამაზამ და თავი მარჯვენა მეზობლისკენ მიაბრუნა, რომელსაც ახალგაზრდა მწყემსი წველიდა.

– ხელით კარგად მუშაობს ეს ბიჭი. გუშინ მეც მწეწკავდა მაგის მორგებული ურჩხული. ძუძუს თავები მტკიოდა. – დაბალი წამოხმუვლებით გამოეპასუხა მეზობელი ლამაზას. – მეორე კარგად არაგებს. აი, ის, სუ რო ქსუტუნებს.

მწყემსებმა წველა დაამთავრეს. ძროხებთან ხბოები მიუშვეს. რძე გაიტანეს. ზოგი დაკვეთეს, ქლაქში წასაღები კი დიდ სარძევე კასრში მოაგროვეს, რომელიც მანქანის ძარაზე იყო.

მზე ნახევრამდე ამოსცდა მთას. მწყემსებმა ახლა სხვა ცხოველებს მიხედეს. ცხენები გამოუშვეს. ორი წყვილი ცხენი დატოვეს. ორ სახნისში შეაბეს და ბიჭებს გასძახეს, წაიყვანეთო. სამი დიდი მინდორი იყო მოსახნავი. ერთზე სიმინდი დაითესებოდა – მსხვილფეხა რქოსნებისთვის. მეორეზე შვრია – ცხენებისთვის. მესამეზე კარტოფილს და ბალჩიულს თესავდნენ – თავიანთთვის და კიდევ, მეზობელ სოფელს ამარაგებდნენ საზამთროდ.

ფერმა, რქოსნების გარდა, ცხენებსაც ზრდიდა. ოციოდე ცხენი ჰყავდათ – კვიცები, სპორტული შეჯიბრებისთვის გაწვრთნილი ზრდასრულები და ზუთიოდე ჯინიბი, რომელთაც პენსიაზე გასულებს ეძახდნენ მწვრთნელები. მათ მხოლოდ მწყემსები უვლიდნენ და ამუშავებდნენ. იმ ორი წყვილის გარდა, სახნავად რომ შეაბეს, სხვა ცხენები, კვიცებიანად, მწვერებმა გადენეს გაღმა ველზე. იქ ბალახობდნენ და მწვრთნელებიც იქ ავარჯიშებდნენ.

– „დაფეხვილი“ სადაა, ნეტავ?! – ამოიხვივნინა ცისიამ და მასთან ერთად უღელში შებმულ ნისლას გახედა. ორივე ძალიან ლამაზი ფაშატი იყო. ნისლას დილის ბურუსისფერი ბეწვი ჰქონდა, შუბლზე შავი მოგრძო ლამაზი ლაქით. ცისიას ყურზე შავი ბანალი, შუბლზე თეთრი, ხევისურული

ჯვრის ფორმის თეთრი ლაქა და ოთხივე ფეხი მუხლს ქვემოთ თეთრი ჰქონდა.

– რას გაიგებ?! – მიიღო პასუხად.

„დაფეხვილის“ სწორი სახელი ქურანა იყო – ასე ეწერა პასპორტში. ერთ საბედისწერო დღეს, ქურანამ კიდევ ერთხელ რომ გაიმარჯვა წინაღობებზე ხტომაში, – იმ დღეს ნისლა მეორე იყო, – უკან, ფერმაში, მანქანის ძარაზე შესმულები ბრუნდებოდნენ. მძლოლი გააფრთხილეს, ძალიან ნელა ევლო, მაგრამ გზამ გაიტაცა და სწორ გზაზე ზედმეტად სწრაფად გააქროლა მანქანა. გზაზე მოულოდნელად გამოძხარ ხბოს ააცილა და მკვეთრად დაამუხრუჭა. ფერმაშია აღმოაჩინეს, ნისლას უბრალო განაკარები და სისხლჩაქცევები ჰქონდა. ქურანას კი, წინა მარჯვენა ფეხი მოტეხილი და მარცხენაც გვარიანად დაზიანებული.

ნისლას მალე მოურჩა ჭრილობები და, იმ დღიდან პირველი ადგილი კიდევ სამ წელიწადს არ დაუთმია. მერე, მეორეც და მესამე ადგილსაც არ თაკილობდა. ჯილდოს გარეშე დარჩენილი პენსიაზე გაუშვეს. კვიცებში ორი ნისლას და ქურანას ნაჯვარი იყო – უკვე ეტყობოდათ, მშობლებზე უკეთესი თუ არა, მათზე ნაკლები არცერთი არ იქნებოდა.

ქურანა ვერ გამოკეთდა. მარჯვენა, მოტეხილი ფეხი, ძალიან ნელა და ცუდად შეუხორცდა. წინა ცალი ფეხით კოჭლობდა. ქურანას სხვა დარდიც ჰქონდა – მისი კვიცები ვერ თუ არ ცნობდნენ. ნისლას კუდში დასდევდნენ, ამას კი არ იკარებდნენ. ღამდამობით წინაღობებზე ხტომა ესინძრებოდა. ერთ დღეს კარგ გუნებაზე გაეღვიძა. ჭაკებსაც გაეთამაშა, მაგრამ მათ წიხლები დაუშინეს – არ მიიკარეს. საბალახოდ მიმავალ რემას მოსწყდა და სოფლის ერთი მოსახლის ღობეს გადაეგვლო. ცუდად დავარდა. მწყემსებმა ძლივს დააყენეს ფეხზე. სამი ფეხით მიკვანჭალდა ფერმამდე. წინა მარცხენა ფეხს ვერ ადგამდა. მოტეხილი არააო, ვეტექიმმა. ნაღრძობს ჰგავსო. დიდხანს არ მოურჩა. ზამთრობით და ნისლიან ამინდში ტეხდა. ტკივილს ზვიზვინით ფარავდა. ჯერ ყურადღებას არ აქცევდნენ, მერე და მერე შეწუხდნენ ცხენები. „როდემდე უნდა გაგვაწამოსო დაფეხვილმა“, ცისიას ნათქვამს ხმადაბალი ზვიზვინით გამოეპასუხნენ სხვები. შერჩა ქურანას სახელად დაფეხვილი. ზოგიერთი მწყემსიც, – ფერმაში ახალი მოსული, – დაფეხვილს ეძახდა.

ცისია ორი წელიწადია, რაც პენსიაზე გავიდა. ოთხი კვიცი ჰყავდა. ოთხივე ერთმანეთზე უკეთესები, მისნაირი, გრძელ დისტანციაზე მორბენალი ულაყისგან. ორ, უკვე მოზრდილ კვიცს ინტენსიურად ავარჯიშებდნენ მწვრთნელები. დიდ იმედს იძლეოდნენ – მალე ერთ, ჰა-ჰა, ორ წელიწადში დიდ ტურნირებზე გავიყვანთო. ორი ნაბოლარა ჯერ კიდევ დედას დასდევდა.

ცისიას ძალიან გაუჭირდა ახალ ცხოვრებასთან შეგუება. ყოველ ღამით რბოლები ესინძრებოდა. სხვა ცხენებთან უკმეხად იქცეოდა. ძილში ფეხები უძაგმაგებდა და ხმადაბლა ზვიზვინებდა. ერთადერთი ნისლა იყო, ვისაც არ ერჩოდა. ამიტომ აბამდნენ ერთ უღელში სახნავად.

ცისიას კიდევ ერთი დარდი ჰქონდა. მისი მხედარი აღარ მოდიოდა. არც შაქარს აჭმევდა და არც ქერის მარცვლებს იყრიდა ხელის გულზე. „წოპეს“ არ იკარებდა. წოპე ერთი ახალგაზრდა მწყემსი იყო. ყველაზე დიდხანს „დაფეხვილს“ ეფერებოდა. შაქარს და ქერს ხელზე იყრიდა და მარცხენა ხელით ეფერებოდა ცხენის კისერს. მერე შუბლზე კოცნიდა. დაფეხვილი სიამოვნებისგან ზვიზვინებდა და თავს მკერდზე უხახუნებდა.

წოპე, გრძელცხვირა ბიჭი, ქურანთან ერთად ხდებოდა ჩემპიონი შეჯიბრებებზე. ქურანა რომ დაიმტვრა, სხვა ცხენზე გადასვეს. ერთ შეჯიბრზე, წინაღობას კარგად გადაახტნენ, მაგრამ ცუდად დახტნენ. წოპემ ფეხი მოიტეხა და სამუდამოდ დაემშვიდობა სპორტს. ცხენებს კი ვერ შეეღია. მწყემსად დაიწყო ფერმაში მუშაობა. წოპე სხვა ცხენებსაც აჭმევდა შაქარს და ქერს. ყველას ეფერებოდა. ერთადერთი ცისია იყო, ვინც არ იკარებდა. ერთხელ, ცისიასაც რომ შესთავაზა შაქარი, ამან ხელზე უკბინა. არც შემდეგში მოაფერებინა თავი. წოპე სხვა მწყემსს აძლევდა შაქარს, ცისიას გაუმასპინძლიო. მათ არ ხუბოდა ფაშატი. შაქარს რომ აიღებდა ხელისგულიდან, ეჩვენებოდა ქუჯის ხელს ეფერებოდა ჩიჩვირით. მწყემსს მოფერების ნებასაც აძლევდა.

უკვირდა ცისიას, რატომ არ მოდისო ქუჯი, – მაღალი გამხდარი ბიჭი. წოპეს კი არ ჰგავდა, – „დაფეხვილივით“ დაფეხვილ წოპეს. რბოლის დაწყების წინ პირდაპირ ზურგზე მოევლებოდა და მერე უყრიდა უზანგებში ფეხებს. ლაგამ მიშვებული ცისიაც ისე მიჰქროდა, რომ არც დეხებს არც მათრახს არა იხდენდა. „მიდი, ცისი!“ ყურში ჩასძახოდა და ესეც მიჰქროდა. ლენტს პირველი ვაკვეთავდა და ორ ფეხზე შემდგარი ისე ცეკვავდა, მხედრის სიმძიმეს სულ ვერ გრძნობდა.

ჯინიბებში ახალი გადასული იყო ცისია, კიდევ ერთხელ რომ ნახა ქუჯი. სხვა მწყემსებმა წაიყვანეს. უნაგირი დაადგეს, ლაგამი ამოსდეს. გაუხარდა ცისიას, რბოლაზე მივყავართო. ცქმუტავდა. ზედა სოფელში აიყვანეს ცისია. იქ, ერთ ეზოში, ბევრი ხალხი იდგა. ქუჯიც იქ დაინახა. სინარულისგან ყალყზე შედგა და ხმადაბლა დაიჭიზვინა. ძირს დაშვებულს გაუკვირდა, ქუჯი ძველებურად რომ არ მოახტა ზურგზე და უზანგებში არ გაუყარა ფეხები. უცნაურად იწვა ქუჯი – ცხენებს ქერს რომ უყრიან ისეთ, ოღონდ დიდ ყუთში, თეთრ ქსოვილზე. თვალები დახუჭული ჰქონდა. უძრავად იწვა, ცისიას ყურადღებას არ აქცევდა. ვილაც კაცებმა ყუთი რომ ასწიეს, მხოლოდ მაშინ შეანძრია თავი ოღნავ.

– ჩვენ უნდა ვხნათ მარტო?! დაფეხვილი სად გადამალეს? – ყრუდ ამოიზვიზვინა ცისიამ და ნისლას წაჰკრა მხარი. ცხენები ეს-ესაა უღლიდან გამოხსნეს და გეჯასთან მიუშვეს.

მეორე დღეს ცისია და ნისლა, მეზობელს დაახმარეს. მათთან ერთად ერთი უღელი ხარიც ხნავდა. სასიძინდე ყანა დაუხნეს მოხუც ქალს, რომელსაც ორი ობოლი შვილიშვილი ჰყავდა. ფაშატები რომ სახნისში შეაბეს, ყანის მეოთხედი უკვე მოხნული იყო. ხენა დღისუღ დაამთავრეს. უღელზე სახნისი

დაჰკიდეს და ნელა წაიყვანეს ფერმისკენ. ხარები ვერ უწყობდნენ ჭაკებს სისწრაფეს.

– სულ ჩვენ უნდა ვეხმარებოდეთ, მხოლოდ?!

– არ ჩერდებოდა ცისია.

– რას გაიგებ? იქნებ ვერაა კარგად. ან, მგლებმა ხომ არ...

– მგლები არ შეჭამდნენ. აქ არ არიან. ტურებს კი, გაექცეოდა. არც ისეთი დაფეხვილია, როგორც გვაჩვენებს. ხენა კიდევ შეუძლია. ესენიც რას ეფერებიან?!

ფაშატები გაჩუმდნენ. ქერს ფქვავდნენ ჯერ კიდევ ღონიერი კბილებით და, შიგადაშიგ, ფრუ-ტუნებდნენ.

ქურანა ვეტექიმის ეზოს ჭვინტში იდგა და მოწყენილი ახრამუნებდა ქერს. ფეხები არა, რალაც სხვა ტკიოდა.

– შამშე ბიძია, დღეს აღმართში გაუჭირდა. ელენას ყანას ქურანა ორ დღეში ხნავდა. მი-ვუყვანდი. პატარა შვილიშვილები ჰყავს, შვიდი და რვა წლის. ჩემი მიხმარება აღარ სჭირდებათ. მარტო ხნავს ქურანა. ხნულის ბოლოში თვითონ ბრუნდება და ახალს იწყებს. დღეს აღმართში ხშირად ჩერდებოდაო, ბავშვებმა. შემეშინდა და თქვენთან წამოვიყვანე.

– ფეხების ბრალი არ უნდა იყოს, – შამშემ ფეხზე ხელი გაუშვა. დაფეხვილს ჭამა არ შეუწყვეტია. – სუნთქვა არ მოძწონს ამისი. ფილტვებში არაფერი უნდა ჰქონდეს. გული... გული თუა... – შამშეს ლაპარაკი უჭირდა. – წოპე უფრო მეცოდება თუ ეს, არც კი ვიცი. წაიყვანეთ და... – არ დაამთავრა ვეტექიმმა.

რამდენიმე დღის შემდეგ ნახირი და რემა ოთხმა ცხენიანმა მწყემსმა ერთად გარეკა. ზედა მინდვრებზე აიყვანეს. ორი მალე დაბრუნდა უკან.

– გიგო, დღეს წოპე არ უნდა დარჩენილიყო ზემოთ. რატომ მე არ დამტოვე?

– დღეს წოპე ვერ გაუძლებდა. ქურანა უნდა წაიყვანონ...

– სად? სამკურნალოდ?!

– არა. არაფერი ეშველებო, ვეტექიმებმა. ზოოპარკში მიჰყავთ. იქ დააძინებენ და...

– რაა?!...

– ახალი კანონია, ძველებურად მოკვლა აღარ შეიძლება. გამაყურებელით დააძინებენ... მანქანა უკვე მოსული უნდა იყოს.

მანქანის ძარას მწყემსებმა მძიმე, ნახევარ მეტრზე მეტი სიფართის ფიცარი მიაყუდეს. ასე აჰყავდათ რბოლაზე წასაყვანი ცხენები მანქანაზე.

ფიცართან დაფეხვილი მოიყვანეს. გიგოს აღვირი ეჭირა ხელში და წინ მიუძღოდა. მანქანამდე მშვიდად, ჩვეული კოჭლობით მივიდა დაფეხვილი. ძარაზე ამავალ ფიცარზე ფეხი ვერაფრით შეადგმევინეს. არაფრით არ აღიოდა. ყალფზე დგებოდა, ცდილობდა ლაგამი გადაეგდო. ჭიხვინებდა. ფიცარზე კი, არ აღიოდა.

კარგა ხანს იწვალეს მწყემსებმა. ვერც დაყვავებით, ვერც მათრახით ვერაფერს განდნენ.

– დაუჩქარეთ, ბიჭებო. დღისულ უნდა ჩავიდე

ქალაქში. – მძლოლმა მწყემსები ააჩქარა.

– რა ვქნათ, დათიკო ბიძია, ვერ ავკვავს... არ უნდა ასვლა...

– წოპეს დაუძახეთ, იმას დაუჯერებს.

ნახევარ საათში წოპე მოჭენდა. ცხენიდან ჩამოხტა და დაფეხვილს კისერში ჩაეხუტა. ცხენმა თავი დახარა და ჩაიფრუტუნა.

– დაფეხვილი მიჰყავთ, – ჩაიხვიხვინა ზემოთ, მინდვრის კიდესთან მდგარმა ცისიამ. რამდენიმე ცხენი ფრუტუნით გამოეპასუხა. – ნისლა, ნახე, მიჰყავთ... – ფაშატმა ხვიხვინი შეწყვიტა. უცებ ქუჯი გაახსენდა. დიდ ყუთში რომ იწვა უძრავად. – რალა დროს დაფეხვილის რბოლაა, ძლივს დაკვანჯალობს...

ნისლა ჩუმად იდგა. არც უსმენდა. შორეული, მოლანდებასავით რალაც გაუკრთა გულში. კისერთან და ბეჭებში ქურანას ცხელი სუნთქვა იგრძნო თუ მოაგონდა, – უცნაურად ამოიფრუტუნა და ისევ გაყურდა.

შორს, ქვემოთ, მანქანასთან მიდგომულ ფიცარზე წოპეს კოჭლობით აჰყავდა დაფეხვილი. აღვირი ხელში არ აუღია. თავიც არ აუწევია ცხენის კისრიდან. ნელა, კოჭლობით ავიდნენ ძარაზე. წოპემ აღვირი მწყემსს გადასცა, „ქურან, მაპატიეო“! – კიდევ ერთხელ მოეფერა სველ კისერზე და ძარიდან გადახტა. მანქანა ფერმის ეზოდან გავიდა და თვალს მიეფარა.

მძლოლმა უკანა ხედვის სარკეში მანქანის მიერ დატოვებულ ბულში უცნაური შავი ლაქა შეამჩნია. სიჩქარე შეანელა. ლაქა მოახლოვდა და ცხენ-კაცად იქცა. წოპე მოაგელვებდა კუნაპეტივით შავ იაბოს. ცხენი წინადლით გახეთში ნანახი სურათებიდან იცნო – შუბლზე თეთრი ჯვრისმაგვარი ლაქით და მუხლს ქვემოთ თეთრი ფეხებით. მანქანა გვერდით მიაყენა.

– დათიკო ბიძია, ერთი სათხოვარი მაქვს შენთან. – წოპე ცხენიდან ჩამოხტა. სახე ჩამავებოდა, ნესტოები გაფართოებოდა. ხელები უძაგდაგებდა. ძლივს სუნთქავდა. გაჭირვებით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა სიტყვებს.

– მითხარი, ბიძია, რაა რომ ვერ შევისრულო.

– დათიკო ბიძია, სთხოვე იქ, იმ ბიჭებს...

ტურებს და მგლებს ნუ შეაჭმევენ. ლომს... ლომებს მაინც... ეებს, ქურაააან!... – მეტს ვერ გაუძლო და ბოლო ხმაზე იბღავლა წოპემ.

ძარაზე ქურანამ დაიჭიხვინა. ეცადა, ყალფზე დამდგარიყო, მაგრამ დამოკლებულმა აღვირმა და ბაწარმა არ გაუშვა.

ხუთას მეტრამდე ისე იარა დათიკომ, ქურანას ჭიხვინი არ შეუწყვეტია. ყურებში წოპეს ბღავილი ედგა. გზისპირა ხეები გაორდნენ, გასამდნენ. დათიკომ მანქანა გვერდზე მიაყენა, სახეზე წყალი შეისხა, ჩვრით გაიმშრალა და კაბინიდან ჩავიდა.

დაფეხვილი ძარაზე დაწოლილიყო. უკან, შორს, გზისპირას, მიწაზე ეგდო მეორე დაფეხვილი. მის თავთან უძრავად იდგა თეთრფეხება, კუნაპეტივით შავი იაბო.

სასილი ერაზია



ომმა თქვა – „დავმარცხდი“

„მომავალ წელს სოხუმში“!.. მიეწერათ ძველი სამხედრო ნაწილის კედელზე. წარწერა, ზუსტად იმ ბინის, ოთახისა და ფანჯრის წინ წამომართულიყო, სადაც რეზო ცხოვრობდა. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, თვალის ყოველ გახელაზე, ფანჯრის ყოველ შეღებაზე, წარწერა დილის სალამს აძლევდა კაცს. რეზო კი მკვეთრად გამოყვანილ ასოებს მუდამ ტკივილითა და ამ ტკივილითვე ნასაზრდოები იმედით შეავლებდა თვალს. უცქერდა წარწერას და ის სიტყვები ახსენებოდა, რომელიც სოხუმის დატოვების წინა დღეს ამოკაწრა საკუთარ საძინებელში...

ბევრი სირთულე და დაბრკოლება შეხვედრია ცხოვრების გზაზე, თუმცა ბევრიც საამბურად მოსაგონარი დარჩენია. და მაინც, ყველაზე მტკივნეული ის იყო, რომ აფხაზეთთან დაკავშირებული წარსულის მოგონებები იმდენად მჭიდროდ იხლართებოდა ერთმანეთში, რომ სასიამოვნო მოგონებაზე ფიქრისას, შეუძლებელი იყო გადახსნილ იარაზე არ წამოეკრა ფეხი ან ჯერ კიდევ სისხლმდინარე გვამისთვის აექცია გვერდი. ომი... ეს შემზარავი, მინაარსისგან დატლილი სიტყვა მის ბედისწერად და მარადიულ ტკივილად იქცა.

თითქმის ოცდაათი წელია, რაც სოხუმის დატოვების შემდეგ რეზოს კომმარული, ერთი და იმავე შინაარსის სიზმარი დასჩემდა. რა არ იღონა, რა წამლები არ მიიღო, მაგრამ ვერაფერმა უშველა. სიზმარი კი, მეტისმეტად პასუხისმგებლიანი ვინმე აღმოჩნდა, მას ერთი ღამითაც არ მიუტოვებია რეზო, მასთან ახლოს, მისი ბალიშის ნაკეცში დაიღობინა, იქ იყო მიძალული და ყოველ ღამით ელოდა, მრავალუბედურებაგადატანილი, ერთიანად გაჭალარავებული კაცის დამფრთხალ თვალის მოხუჭვას...

რეზოს წარმოდგენაში ენგურის ხიდი არა მარტო ნაპირებს აერთებდა, ერთგვარ ჯადოსნურ ადგილსაც წარმოადგენდა. ბავშვურად სჯეროდათ, რომ თუკი ენგურის ხიდის დასაწყისში სუნთქვას შეიკრავდნენ და ასე გადაირბენდნენ ხიდს ბოლომდე, ჩაფიქრებული ნატვრა აუცილებლად ახდებოდა. ვინ მოთვლის, რამდენჯერ გადაურბენია რეზოს ეს ხიდი, რამდენჯერ შეუკავებია სუნთქვა! ალბათ, ხიდსაც ჰქონდა მართლა რაღაც ჯადოსნური. ამ რიტუალის სწორად ჩატარების შემდეგ რეზოს ხომ ყველა ნატვრა უსრულდებოდა...

ახლა კი... სიზმარი რისი სიზმარია, თუკი ყველაფერი არ ამოატრიალა. კაცი შფოთიან ძილს მისცემია და ხედავს:

მირბის ჭალარა რეზო სუნთქვაშეკრული ხიდზე. გულში ერთადერთი ნატვრა ამოუკვეთია – აფხაზეთში დაბრუნება! ისე უნძოდ მირბის, ვერც კი ქოშინებს. და ხიდი სულ უფრო მოკლდება. ორიოდ ნაბიჯიც და სახლში დაბრუნდება. აი, კიდევ ერთიც და...

ამხელა დატვირთვას ვეღარ უძლებს და მაშინ, როდესაც ხიდის დასრულებამდე ერთადერთი ნაბიჯიღაა დარჩენილი, გულისა და ფილტვის ტკივილით ამოისუნთქავს. ნაოჭებით დაღარულ სახეს ცრემლები უღობს. ამოსუნთქვას კი ხიდის ჩანგრევა მოჰყვება. ოდესღაც ჯადოსნური ადგილი შავი ლითონის გროვად იქცევა, რომელიც უფსკურულში მიექანება და თან რეზოსაც მიიყვლებს. რეზო უსასრულო სიღრმისკენ მიექანება, მიექანება და... ამ დროს ოფლში განვითქულს ეღვიძება.

ამის მერე – დამამშვიდებელი წამლების სუნი და აჩქარებული პულსაციაა. კიდევ – გულის მტკივნეული გაკენწვლა და მწარე ქვითინი. ეს რეზოს ღამიერი ცხოვრებაა.

* * *

იმ წელს გასაოცრად ხვაიანი რთველი ჰქონდათ. ახალგაზრდები „ადესის“ შავ მტევნებს, მის უზარმაზარ მარცვლებს ხელსა და თვალს ავლებდნენ და მხიარულად კრეფდნენ. ბებია-ბაბუები კი, მცდელობის მიუხედავად, მღელვარებას ვერ მალავდნენ. მოხუცებს თავიანთი მშობლებისგან, მათ მშობლებს კი, უფრო ძველებისგან გაეგოთ, ცუდის ნიშანია, ყურძენს რომ დიდი მარცვლები აქვსო.

– ჩემს ბავშვობაში იტყოდნენ, ყურძნის დიდმა მარცვლებმა ომი იცის, ომის მომასწავებელიაო... – მღელვარედ ჩაილაპარაკა შავთავსაფრიანმა ქალმა და შიშით გახელა „ადესის“ გიმრისფერი, ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილ უშველებელ მარცვლებს.

საერთო ჟრიაბულში მეხვიით გაავარდა ხმა ომის დაწყების შესახებ. ვითომ აბსურდულ წინასწარმეტყველებას, დედაბრის აკანკალებული ხმით წარმოთქმულს, არაფერ ათხოვა ყური, მათ შორის, არც რეზომ... ეჰ, რარივ ხშირად ახსენებოდა ის საბედისწერო დღე და სიტყვები. ვინ იფიქრებდა, რომ მათი ყოფა, არც მეტი, არც ნაკლები, ყურძნის მარცვლის ზომაზე ან მსგავს წვრილმანზე იქნებოდა დამოკიდებული?!..

ერთ დღეს, როდესაც მზიანი დარი იდგა და ჩიტები ჭიკჭიკებდნენ (ალბათ, ომისთვის მეტად შეუფერებელია ასეთი ამინდი), რეზოს სახლში შეიარაღებულმა აფხაზმა შეაბიჯა... ამ საშინელების დაწყებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე ვინმეს რომ ხაზი გაესვა საკუთარ ოჯახში აფხაზის სტუმრობისთვის, ხალხი გაკვირვებული შეხედავდა, ამაში ხომ საკვირველი არაფერი იყო. მაგრამ ახლა, საომარი მოქმედებების, შეთხზული ჭორებისა თუ რეალური ტრაგედიების ფონზე, აფხაზის სტუმრობა არცთუ სასიამოვნო განცდებს იწვევდა.

აფხაზი სახლში შევიდა, თავი დააქნია და შემფოთებულ ოჯახს გადახედა. რეზო დედასთან და ცოლთან ერთად შუა ოთახში იდგა. აფხაზმა რეზოს თვალი თვალში გაუყარა, დაკვირვებით შეათვალიერა და ჰკითხა:

– ჯარში სად მსახურობდი?

რეზომ დაასახელა. აფხაზმა თავი კვლავ დაიქნია.

– ფოტოალბომი თუ გაქვს?

– კი... – მიუგო მოულოდნელი კითხვით გაკვირვებულმა რეზომ, – როგორ არა მაქვს.

– გამომიტანე.

გაოგნებულმა რეზომ ერთი კი შეავლო თვალი გაფთხორებულ დედასა და მეუღლეს და სწრაფი ნაბიჯით ჯარის ალბომის მოსატანად გაემართა.

აფხაზმა ოთახში მოათვალიერა. მკაცრი გამომეტყველება თითქოს ოდნავ შერბილებოდა. რეზომ მალევე დაბრუნდა ალბომით ხელში. აფხაზმა მოწიწებითაც კი გამოართვა ის, გადაშალა და რაღაცის ძებნას შეუდგა. მერე ერთ ფოტოს, რომელზეც რეზომ ჯარის ამხანაგებთან ერთად იდგა, დააკვირდა და თითი ერთ-ერთს დაადო.

– ამას იცნობ? – ჰკითხა ფოტოზე გამოსახულ, რეზოს შორიახლოს მდგომ ბიჭზე.

– კი, ვიცნობ, უპასუხა რეზომ და აფხაზს თვალი გაუსწორა, – ჩემი ჯარის მეგობარია, ასტამურ ამიჩბა!

აფხაზმა გაიღიმა და სიყვარულით მოავლო თვალი ოთახში მყოფებს.

– უშუბნია, რეზო! მე ვარ. ასტამური ვარ.

გაოგნებულ რეზოს თვალები აუცრემლიანდა. ალბათ, ყველაფერს მოელოდა, მაგრამ არა – ამას! ლამის დაუჯერებელი სცენა გათამაშდა მის თვალწინ, თითქმის არარეალური. ეს ხომ ასტამური იყო! მისი მრავალი წლის უნახავი მეგობარი – სწორედ ასტამური!

– ნურაფრის შეგეშინდება, რეზო! შენ გვერდით მიგულე. გაბრდები, სანამ აქ ხარ, უსაფრთხოდ იქნები. შენს სახლში არავინ შემოვა, მაგრამ სოხუმი აუცილებლად უნდა დატოვო. აქ გაჩერება მალე ძალიან სახიფათო გახდება. მოვაგვარებ ამ ამბავს, შენ კი ჯალაბი მოამზადე. ჩემი იმედი გქონდეს!

ასტამურის სიტყვების ჭეშმარიტება სულ უფრო ნათელი ხდებოდა. მეგობრის დანმარებით, რეზომ ოჯახთან ერთად, დიდი ტანჯვა-წვალებით დატოვა სოხუმი, ფოთში ჩავიდა და იმ დღიდან დევნილად იქცა.

რეზოს სახლში კი მისი აფხაზი მეგობარი დაფუძნდა, აქვე შეირთო ცოლი და ეყოლა შვილები, თუმცა მთელი ცხოვრების განმავლობაში, რეზოს სახლში მდგმურივით ცხოვრობდა. „ჩემი სახლი“, ფიქრშიც არასდროს გაუვლია. არასდროს შეუცვლია აზრი იმის შესახებ, რომ რეზო აუცილებლად უნდა დაბრუნებულიყო და დაბრუნდებოდა კიდევც, სახლი კი მას დაელოდებოდა. ასტამურს ეს გრძობა კიდევ უფრო გაუმძაფრდა რეზოს საძინებელში აღმოჩენილი წარწერის შემდეგ.

ყველაფერი მზად იყო – მეორე დღეს სოხუმი უნდა დაეტოვებინათ. იმ ღამით ძილზე ფიქრი შეუძლებელი გახლდათ. რეზო უკანასკნელად მიმოდიოდა ოთახებში, მზერით ეალერსებოდა თითოეულ ნივთს, იმასსოვრებდა მათ ფორმასა თუ მდებარეობას. ემშვიდობებოდა საკუთარ სახლს... თავის საძინებელში რამდენიმეჯერ შესულმა, ცარიელ კედელს მიაპყრო მზერა. კედლიდან ნახატი იყო ჩამოსხნილი და უჩვეულოდ გამოიყურებოდა. იატაკზე ლურსმანი ეგდო. რეზო დაინახა, აიღო და კვლავ უტყვე კედელს ახედა. მერე კი, ხელის კანკალით – სიტყვების ამოკაწვრა დაიწყო. ცოტა ხანში კედელს მოშორდა ღონეძინდილი და შორიდან შეათვალიერა ნაწერი. წარწერა შუა კედელზე, გამოსაჩენ ადგილას ისე იყურებოდა, თითქოსდა, ჩარჩოს საჭიროებსო.

„მე დაკარგულად ვერ ჩავთვლი იმას, რაც ჩემი ნებით არ დამითმია!“ – ხმაძალა წაიკითხა რეზომ.

ღამის სიჩუმე მტკივნეულად გასერა ლექსის სტრიქონებმა. იმდამინდელი საკუთარი ხმა, და ხმასთან ერთად, კედელზე მიწერილი გულიწინადადები, რეზოს სამუდამოდ ჩარჩა მეხსიერებაში.

დროის სრბოლა ასტამურს მკაფიოდ დაეტყო. თმა და წვერი გაუთეთრდა, იერი – კიდევ უფრო ფიქრიანი გაუნდა. ასტამურის ვაჟმა ცოლი შეირთო. ამ ღირსშესანიშნავი ამბისთვის „რეზოს სახლი“ შეაკეთეს, გაალამაზეს და გემოვნებიანად მოაწყვეს. ხელუხლებელი მხოლოდ საძინებელი ოთახი დარჩა. ახლად მოყვანილმა ვეროჩკამ ერთხელ იკითხა კიდევც, ის საძინებელიც რომ გავარემონტოთ და იმ ოთახში გადავიდეთო, თუმცა პასუხმა არ დააყოვნა:

– აბა, რას ამბობ, ვეროჩკა? ეგ, ძია რეზოს ოთახია და მის დაბრუნებას ელოდება.

– დაბრუნდება, კი? – ეჭვნივლად გაიქნია თავი ქალმა.

დაბალ სკამზე მჯდარ ასტამურს გულზე მოხვდა ქალის სიტყვები, და, ალბათ, გუნებაც მოემხამებოდა, ვაჟის პასუხი რომ არა:

– რა თქმა უნდა, დაბრუნდება! წარწერა, რომელიც მან ოთახში დატოვა, მთელ მის ისტორიას ჰყვება – სწორედ იმ ისტორიას, ბედნიერი დასასრული რომ უნდა ჰქონდეს, და უეჭველად ექნება კიდევც!

ასტამურმა კმაყოფილებითა და ერთგვარი სიამაყითაც კი ჩაიღიმა. გულში სიხარული ჩაეღვარა. თითქოს ოცი წლით გაანახლებოდა, თვალები აუციმციმდა და წელში გაიმართა.

* * *

იმ ღამეს ჩაბნელებულ საძინებელში შესულმა რეზომ უჩვეულო სინარული იგრძნო, მის გულს სიმშვიდე დაეუფლა. უცნაურია, მაგრამ ორივე მათგანმა, – ასტამურმაც და რეზომაც, – უეცრად იგრძნეს, რომ მარტონი არ არიან. ენგურს გაღმა და ენგურს გამოღმა ორი გონება ერთ ფიქრს უტრიალებდა: აფხაზი. ქართველი. და არავითარი მავთულხლართი!

დადო თუ არა თავი ბალიშზე, რეზომ სიზმრების ქვეყანას მიაშურა. კაცს სძინავს, გონებას კი სიზმარი დაჰპატრონებია:

ხიღის დასაწყისში მდგარ ათიოდე წლის რეზოს მზერა აფხაზეთისკენ მიუმატავს. ბავშვური მოუსვენრობით ცქმუტავს ერთ ადგილზე და ენგურის ხილზე გადასარბენად ემზადება. აი, იკრავს სუნთქვას, ჩაიფიქრებს არაერთგზის ჩაფიქრებულ, მუდამ უცვლელ ნატვრას და...

მირბის! მირბის! მირბის! ხიდი უფრო და უფრო მოკლდება. რეზო კი მირბის თავგანწირვით, თავდაუზოგავად, უკანასკნელი ძალებით. მირბის და გონებაში ითვლის:

„რვა ნაბიჯიც და იქ ვიქნები!“

„ხუთი ნაბიჯიც და ნატვრა ამიხდება!“

„ორი ნაბიჯიც და ამოვისუნთქავ!“

„აი, ერთიც და...“

„გადავედი! შეგძელი!“

რეზო გაბადრული სახით დგას და ფეხქვეშ დიდი ხნის უნახავი მიწის სითბოს გრძნობს.

როსტომ ჩხეიძე



ქარი, ვითარცა წიგნი

(ბარათად სოფიო ლლონტს)

ის ლირიკული რკალი, რომელსაც „ლიტერატურული გაზეთის“ 12 მაისის ნომრიდან გაგვაცნობდა, თან აგრძელებს შენი პოეტური კრებულის – „გოლგოთის ღამე“ – სტილისტიკასა და განწყობილებებს, თან ცვლილებებსაც აგრძობინებს მკითხველს, როგორც თვალნათლივ დასტურს პირველივე ლექსში გამოხატული სწრაფვისა ასე პირდაპირაც:

ველის შრომანებს შევავლე მზერა,
თავბრუდამხვევი მომედო ყინიო.
და მეც განახლების დამიდგა ჟამი,
ფერებ-ფერებით გავეყვე ბილიკსო.
და ორიგინალურ და მოხდენილ მეტაფორებში

გამოხვეულადაც:

რა სურს ქარს ნეტავ, რას ფიქრობს იგი?
აფორიაქებს, რომ არხევს შრომანს?
მსურს გადავშალო, ვითარცა წიგნი,
ბოლო გვერდიდან, რომელიც შორს ჩანს...

იესო ქრისტეს მოლანდებას, შრომანებმა ისედაც რომ უნდა მიგვახვედროს, მაღლაუტანებლად უნდა შემოჰყოლოდა უშუალო მიმართვაც მასთან:
– ო, რაბი.

როგორც მოწყურება ღვთიური მადლით აღვსილი სამყაროსი, უეცრად რომ უნდა შენაცვლებოდა ღმერთდაკარგული სინამდვილის ხატი, გამჭვირვალედ მინიმუბული მიხაილ ბულგაკოვის რომანით „მასტერი და მარგარიტა“ („ოსტატის“ მაგივრად შენც „მასტერს“ რომ ამჯობინებდი, მიხეილ ანთაძის არჩევანისა არ იყოს), აფორიზმად გადაქცეული მისი იმ სიტყვებით:

– ხელნაწერები არ იწვის!
რომ უნდა შეგეკრა ლირიკული ქარგა.

ლილიტი – ევამდელი ქალი ადამის ცხოვრებაში – არაერთი მხატვრული ქმნილების პერსონაჟადაც რომ განმეორდებოდა, ამ რკალის ერთ-ერთ დამამშვენებლადაც უნდა ქცეულიყო მისი სახების შენეული გააზრება, მის არსებაში შეღწევასაც რომ მოინდომებდი და ლექსს ლილიტის მონოლოგად და თავისებურ აღსარებადაც აქცევდი, თავბრუდამხვევ სწრაფვად ქალისა, რომელიც არა ცნობს არაფერს შემოსაზღვრულს, თუნდაც ის ედემის ბაღი იყოს, – და ზღვის ქაფისაკენ მიუწევს გული, მასავით მგზნებარე ზღვის სარკისაკენ მიეშურება და ერთი სული აქვს, მასში გადაემვას, რათა თავი დაკარგოს...
და ესეც ლტოლვა თავისუფლებისაკენ, რაც გულისხმობს:

გამომშვიდობებას ადამთან.

და თხოვნას უფლის ანგელოზისადმი:

– მიქაელ, გამიღე, გამიღე ჭიშკარი...

შენი ლირიკული ავტობიოგრაფიული ბიბლიოთეკის სახეებითაც უნდა შეძერწილიყო, ეკლესიასტურ ამოებათა ამოებადაც რომ უნდა წამოგონებოდა და კიდევ: ქარის დევნაც რომ წესია კაცთა, ვიქტორ ჰიუგოს ჟან ვალჟანიც უნდა გამოლანდულიყო ამოცხოვრების ფარდის ძილმიდან, ვიდრე... შვილის სახება ამოიზიდებოდე ფინალურ აკორდად და განზოგადებოდე სამყაროს წრებრუნვის მარადიულობად და იმ მოვალეობის შეგნებად, რასაც ყველაზე მოხდენილი შტრიხით უნდა დაეგვირგვინებინა ავტობიოგრაფი:

და მიხვდი, ვინ ხარ, რა გინდა, სად ხარ...

ბოლოს და ბოლოს მისია შენი

და დანარჩენი არ გიღირს ჩაღად...

მთავარი არის, რომ გაჩნდი ქალად...

მთავარი არის, რომ გაჩნდი ქალად...

ამ გადმოსახედიდან კიდევ უფრო ღრმა შეგრძნებით რომ იტვირთება ის ლირიკული სწრაფვა:

დილით შრომანებს დავდინდე ნამად, ღამით მდინარის შევერწყა ლივლივსო...

და განახლების თავბრუდამხვევი ყინი რომ დაგუფლებია, კიდევ ამიტომ შეჭყლიხარ ფერებ-ფერებით პოეტურ ბილიკსაც, რათა ეძიო, რა სურს ქარს, რას ფიქრობს და რატომ არხევს და აფორიაქებს შრომანთ ველისა?!

და ოდესმე შესაძლოა კიდევ გადაიშალოს ეს ქარი ვითარცა წიგნი, ბოლო გვერდიდან, რომელიც შორს ჩანს...



ცისარტყელას გამოკრთომის მოლოდინში

ფიქრები სოფიო ლლონტის პოეზიაზე



ცხოვრების არსის ძიება და საკუთარი სულის ლიბირინთებში გარკვევის ძლიერი სურვილი, შეუცნობელი ბოროტებისა თუ სიკეთის, სიხარულისა თუ სინანულის ფესვების წვდომის წადილი, ვერჩაწვდომით მოგვრილი უდიდესი კაემანი, სამყაროს კანონზომიერებების უეცარი მსხვერვა და საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენით გადატანილი

სულიერი ტკივილები, ტრაგიზმით ნასაზრდოები სულის ობლობა – აი, ფიქრები და განწყობილებანი, რომელთაც უჭვრეტთ ახალგაზრდა პოეტი ქალის, სოფიო ლლონტის პოეტურ კრებულში „გოლგოთის ღამე“. სათაურშიც არეკლილია სულის სიმძიმის სატკივარი... გოლგოთის ღამედ ქცეული საკუთარი თუ ქვეყნის ტკივილის განცდა და კათარზისით მოგვრილი შვება.

პოეტის სამყაროში საოცარი ლირიზმი სულიერი სითბო და ჰარმონიით მოგვრილი შინაგანი გაელვარებაა – ასე უხვად რომ მიუნიჭებია უფალს

გარეგნული მშვენიერებით, საოცარი ინტიმით, ფერთა გამათა მრავალფეროვნებით დაჯილდოებული შემოქმედისათვის.

ნიჭი – ღვთის ნაჩუქარი საუნჯე – გადმოდვრილი სიტყვის, მუსიკის, ცეკვის, თეატრალური ხელოვნების მსახურებაში, განსხვავებულია ამ საოცარი ქალის პიროვნებაში...

თამამი სიტყვა, პოეტურად დახვეწილი, ნამდვილი ოსტატობის დონემდე აყვანილი, კლასიკური ხედვა ლექსის ქმნალობის: რითმის, რიტმის, პოეტური საზომის მორგების ხელოვნება. ასე იბადება მარად ახალი და მარად ძველი სათქმელი კლასიკური ფორმით მოწვდილი ჩვენს სულელებადე. და ათრთოლებს სულს ცინცხალი პოეზია – სულისა და სხეულის ტკივილად ჩასახული და ჩვენამდე მოტანილი.

„რატომ გვევსება თვალეები ცრემლით?
რატომ გვაფთრებს დღეს ჩვენი სევდა?
სად დაეკარგა ძველ საყდარს მრევლი,
უწინ რომ ქრისტეს ნათელი სდევდა?!
რისთვის დამიდგა ჟამი მტირალი?
დღეს მუქთა ფული იბნევა ხურდად,
დღეს ღამე ესნმის, როგორც ფირალი,
რადგან უბიწოდ თენება სურდა.
დილას ცრემლებად ეღვრება ნამი,
ღამით კი ურჩად გაჰყმუის ტურა,
ბევრი რამაა აქ ასატანი,
ბრბოსგან მოძღვნილი ტაში და „ურა“ –
ფერით ნათელი რწმენა და მრწამსი
და შენიღბული სატანის სახე,
მივიწყებული შოპენი, ბრამსი
დღეს უნიჭოთა აღლუმზე ვნახე...
აქ ყველაფერი ისევ ამაო...
თვალზე ამიტომ მიშრება ცრემლიც,
უგულოდ ლოცავს საყდარს მამაო,
მიძინებულა ურწმუნო მრევლი“.

ესაა ჩვენი თანამედროვეობის ეშმაკსმივიდული სულების სიბნელით მოგვრილი უღრმესი ტკივილის გასაჩინოება. კრებულში ამ ლექსს მოსდევს „იუდას მონოლოგი“, სულისშემძვრელი სინანული მოძღვრისადმი მის მიერ ჩადენილი ღალატის გამო. იუდამ თავის თავს მიუსაჯა ჩამოხრჩობა და „შიშთვილია“. ბოლო სიტყვად დატოვა: „წაიღეთ ვერცხლი, წაიღეთ ვერცხლი, წაიღეთ ვერცხლი!“, რადგან ვერცხლისმოყვარეობა გახდა იუდას ღალატის საფუძველი და მან შეიძულა ვერცხლი. სინდისმა არ მოასვენა და საკუთარ თავს განაჩენი გამოუტანა (გვანსენდება პოეტ ჯემალ დობორჯგინიძის სტრიქონები: „იუდას სინდისს ინატრებს ბევრი, ისე მომრავლდენ უსინდისონი“).

რამდენი სევდა, ტკივილი, საფიქრალი ახლავს სოფო ლლონტის გულწრფელ სტრიქონებს:

„ჩვენ ახლა გვტანჯავს მარტობის
უღმერთო განცდა,
„ფოთლები გვეცვივა“, გაძარცვულნი
ვჭკნებით და ვზნებით.
რად არ გვასარებს, ღმერთო ჩემო,
დღეები მწირი?
ან ვარსკვლავების ლიცლიცება
რატომ არ გვართობს?“

ნეტავ ტირიფი და ან ვაზი რატომღა ტირის?
იქნებ, ისინიც მოუხმობენ ცისკარზე მნათობს,
ქრისტეშობისთვე მიილია ღრუბლების დასში,
მე კი სარკმელთან, ალიონის
ცრემლებით დასჯილს ჰორიზონტიდან

აკრძალული იმედი მხრდილავს“.

ეს საფიქრალი ერის ტკივილია, თავისუფალი ადამიანის სევდაა, მარადჟამს ბრძოლა რომ უხდებოდა სიყალბესთან, უმეცრებასთან, დესპოტიზმთან, ერთი სიტყვით, ჭეშმარიტი თავისუფლების მოსაპოვებლად – შინაგანი და ქვეყნის თავისუფლების დასამკვიდრებლად. ფილოსოფიური კითხვა – „რა სჭირს ადამიანს“, რატომაა აუცილებელი სამარადჟამო ბრძოლა თავისუფლების მოსაპოვებლად?“, „რას გვადლევის მოძრაობის ფენომენი და რას გვართმევს უძრაობის პერსპექტივა?“ – მხოლოდ მაძიებელი სულის საპასუხოა, მხოლოდ მოაზროვნე ადამიანთა საასპარეზოა... სამოქმედოდ აღზევებული და აბობოქრებული ახალგაზრდობის ნიშნის სვეტია, საითკენაც მუდამ იღვტვოდა ერის უკეთესი მისწრაფება და თავგანწირვა. სამწუხაროდ, ხანდახან ჩანავლებოდა და უძრაობის ჭაობი ჩაითრევდა ქვეყნის პერსპექტივას..

წიგნში ბევრი საოცარი ლექსი გვიზიდავს და გვმუხტავს საფიქრელად, განგვაწყობს განსჯისა და ჭეშმარიტების მოსაძიებლად.

„წვიმს და წვიმამ აღარ გადაილო“,
დაბორგავს და დათარეშობს ქარიც,
ქარებს გაჰყვა, რაც რამ ჩემში იყო,
დამიტოვა, ჩემი რაც არ არის...

ახლა წვიმა ბედია თუ წერა?
არე-მარეც, ვხედავ, ჩემებრ ტირის,
წვეთები კი ოთახს წვიმით ზვერავს
და მეც ვჩანვარ, როგორც გზირი, მწირი.

„წვიმს და წვიმამ აღარ გადაილო“, –
შოპენს მოაქვს წვიმისფერი სევდა,
მანც მჯერა, „იყო, არა იყო“,
უწინ რასაც მიკითხავდა დედა“.

ეს გახლავთ იმედიაანი, კეთილი დასასრულის მოლოდინი – „ზღაპრის ბოლო კეთილია“ – პოეტის მიერ დანახული, ახალგაზრდობის მიერ ასე ატაცებული, რწმენის ქურაში გატარებული ხედვა.

„ლექსი მაწვალებს, ქარბუქიან
ფიქრებს ამიშლის,
ვიცი, მშფოთვარე ღამეებიც მაფარებს საბანს,
მზე რომ ამოვა, აიტაცებს დედა თავის შვილს
და ცისარტყელა გამოკრთება,
როცა პირს დაბანს..“

ლექსი მაწვალებს, მას სიმშვიდეც
მოაქვს და მფოთიც,
ვხედავ ბეთჰოვენს ჩამოაწვა
თითებზე დაღლა,
ნიკალასა და გალაკტიონს
მეარქვეს ლოთი,
მათი სტრიქონი სინანულად
დამტირის ახლა“.

პოეტს გმირი მებრძოლის, თავისუფლებისთვის წამებული რაინდის, არჩილ ტატუნაშვილის ხსოვნისადმი მიუძღვნია ლაკონური და მრავლისმთქმელი ლექსი:

„სახელოვანი დაბრუნდები, დედი, იცოდე,
მე საქართველო გულზე მაწევს
და თუ მოვკვდები,
ნურც მაგისტვის
ნუ შემიცოდებ,
ლაჩრობა მიძიმს, თორემ მტრისთვის
სიკვდილი არა“.

სოფო ლლონტის პოეზია მდიდარია პოეტური სახეებით, სახეობრივი აზროვნების მაღალი დონით, ორიგინალური რითმებით, რომლებიც მშვენიერების

საბურველში ხვევს ლექსებს – სულის საგზლად რომ გვიზიდავს და გვეპატიჟება:

„ეს მერამდენედ ფათერაკობს ქარი შრიალა, შეაკრთობს ხეებს, კვლავ უმიზნო, ურჩი ხეტებით, სულის ნიმფებმა გამოსტაცეს ბანუსს ფიალა და მოაჩვენეს უდაბნოს მზეს ლურჯი ხედები“...

პოეტს ათასმეერთედაც აწუხებს ურწმუნოების სისასტიკე, ბოროტების თარეში და სიკეთის ნერვის გადაჯეგვით მოგვრილი ტკივილი.

„ძველებურად დღესაც ხარ გაყდილი, უფალო, ძველებურად გღვევის და გასამართლებს ჰეროდე, საუკუნის ჰიმნია „სულო თავისუფალო“, ახლაც იმას გიმღერით, უწინ რომ

გიმღეროდნენ. დღესაც ვერ შევიცანით შენში მხსნელი, მესია, ბრბო პილატეს შესძახის: „ჯვარს აცვიო, იესო“, თუმცა უმადურება წუთისოფლის წესია, სიყვარულის სანაცვლოდ ბოლმა დაგანთხიესო“...

ანდა! „მიშველეთ, გამიღეთ სასწრაფოდ კარები, მე მგონი, აქ ვახშობს ამ ღამით უფალი, მე ახლა უძწეო, მას შევეფარები, ამ ქვეყნის ხიბლისგან სულ თავისუფალი“.

კრებულში შეტანილია გურულ მოტივებზე შექმნილი ლექსებიც, ადგილობრივი ლექსიკითა და იუმორით შეზავებული.

„რაფერ მიყვარხარ, რაფერ?! ტიტუ გადამრიე ქალი! ნეტავ, რას გიჩივი ამფერს, ჩანხარ ნამეტანი მთვრალი. ახლა აღარ ვუცდი სიკვტილს, რაც რომ შენ შეგარე მზერა, მოი, შე კაცო, მოი მასე შორიდან რომ მხვერავე“.

კრებულის ბოლოში არის ავტორისეული ესეები, რომლებიც პოეტის სულის თრთოლვის ანარეკლია:

„ფენხორთხმული ვზივარ ბუნხართან, ვაფიცხებ გაყინულ გულს, რომელიც დიდი ხნის წინ შემიცივდა ცხოვრების ქარტენილებითა და ცრემლნარევი წვიმებით. ვწრუპავ ყავას, რომელიც არასოდეს მიყვარდა, ვსუნთქავ ჰაერს, რომელიც შენ გარემო არ მსურდა ჩამესუნთქა და ვუსმენ მუსიკას.. ვზივარ ფენხორთხმული ბუნხართან იმ იმედით, რომ გალღვევა გული, რომელმაც იმდენი რამ მიაძინა თავის თავში.. ვინ მოთვლის“?!

ვფიქრობ, კვალავაც მრავალჯერ იკიაფებს ის ღვთაებრივი ნაპერწკალი, ერთ დიდ კოცონად ანთება რომ უწერია. ამისი თავმდები პოეტის სულია – თავისუფლების ძიებაში დაუღლეელი, „დარდების სიმძიმეს რომ ატარებს“, სულის გოდებას ლექსებში რომ გადმოგვცემს, იმედის ბილიკებს ზვერავეს და გამოლარებას მთომინებით დაელოდები.

ზოია ტულუში,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ნინოშვილის მუზეუმის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი.

სოფიო ღლონბი

კონკურსის „ქუჯი 2024“-ის ნომინაციის – „ერთი გამოუქვეყნებელი ლექსის“ ფინალში გასული ლექსი.

* * *

სამშობლოს ცაზე ყვავთა ჩხავილს ვუსმენ საზარელს, კომმარულ სიზმრებს დაუჯდომელ ლოცვით გამშვიდებ,

ლოდი გასწიე, ანგელოზო, შეხსენ ლაზარე, ნურაფერს ჰკითხავ და ნუ ეტყვი აღმდგარს მამინვე...

მლოგვისოდენა რწმენა მოსჩანს, როგორც ატომი, დაშლილია და ველარ ერწყმის, ებმის იონებს, ცა გაილია, გაიფანტა ირმის ნახტომიც, ამ რუხი ცის ქვეშ, თავს ისე ვგრძნობ როგორც იონა

ნინევიამი ვერ შესული მოძღვრად, ქადაგად, რომელმაც ყოფნა ამჯობინა თევზის მუცელში, ამაოებას რომ დასდევს და დაჰქრის ქარდაქარ, რჩება უფლისთვის მიუწვდომელ, ფერშეუცვლელი. თვით სიტყვამ ბაგე გაიხსნა და ბრძანა: გამოდი! ოთხი დღის მკვდარი, სახვევებში წარსდგა ლაზარე, უფალო, იქნებ მეც მომისწრო აქ, საღამომდის, შენი მშვიდობით დედამიწა შეახანზარე...

ვიდრე ბოლოჯერ ჩაჰბერავდეს საყვირს მიქაელ, ღრმა ძილით მძინართ, გაგვალვიძებ და კვლავ გვიშვილებ,

პატარძალივით როს მოგვირთავ; ახალ ისრაელს, სხეულებს სულით დაგვიფარავ, სრული სიშიშვლით...

მანამდე მოდი, გაბრიელ და მაცნე ამბავი, ვხედავ იესოს გამოუდგნენ: მართა, მარიამ, ოთხი დღის მკვდარი, დამარხული ენა, ანბანი, გამოვა უფლის ბაგეთაგან, როგორც არია...



პოეზია

ოთარ ბინაძე



მე ვუბრუნდები თბილ სამოთხეებს

ეკლესიების ეზოებში ჯდომა მიყვარდა.
 იქ მოდიოდნენ სნეულები,
 ჩუმები
 და დაჩაგრულები,
 ვინც არაფერს არ დაგიშავებდათ.
 იქ მოდიოდნენ სიკეთით და მაღლიერებით
 და ეზოში ფერად მამლებს უშვებდნენ.
 უფრო ხშირად,
 მათ ეცვათ შავი ტანსაცმელი და მიუსხედავად ამისა
 გადატანილ უსამართლობებს არ პასუხობდნენ
 მათ ხომ სახეში მწარე ფერფლი შემოაყარეს
 და გაიმეტებს იმედები,
 მაგრამ არა – შესაძლებლობა.
 ხოლო ისინი ბალახებსა
 და ჭიამაიებს ეფერებოდნენ
 და უყვარდათ
 როცა სიყმაწვილე ახსენდებოდათ
 და ძველ სიმღერებს ღიღინებდნენ.
 უყვარდათ, როცა მზე ანათებდა და
 ტერფებთან ასხდებოდნენ ჩიტები
 და კიდეც,
 გარშემო ყველა
 და ყველაფერი უყვარდათ.
 ისინი, იყვნენ ისეთები,
 რომ სამუდამოდ
 მათთან დარჩენას მოგანდომებდნენ.
 მე მათ ხვალ ისევ დავუბრუნდები.
 ხვალ ჩემს ტანსაცმელს
 ეკლესიაში მიიტანენ და დატოვებენ.

ბევრი სურვილი და სიყვარული

ბევრი სურვილი და სიყვარული
 ცხოვრობდა ჩემი თვალების შიგნით,
 მე მქონდა გული, მაგრამ სრულიად
 უმნიშვნელოა ამქვეყნად იგი.
 გული ყოველთვის იღლება მალე
 და აღარასდროს აღარ ხორცდება,
 და შენი ნახვაც და განშორებაც
 ღირდა ჭრილობად. და სიცოცხლედაც.

როგორც ინებებ

როგორც ინებებ!
 თუ გინდა ზღვასთან ვიყილოთ სახლი
 და საათობით ზღვას გავეყურებდეთ,
 ან ვკითხულობდეთ ელიზურ მითებს,
 ან თოლიებით ვინიბლებოდეთ.
 თუ გინდა, ბინა დავილოთ ტყეში,
 ტრუბადურების სიმღერები დავიზეპიროთ
 ან თუ გსურს პური გავუყუთ მტრედებს,
 მათ არ აკლიათ სანახაობა,
 სამაგიეროდ, აკლიათ პური.
 ანდა, საათი ვკითხოთ გამვლელს,
 ანდა, საათი გამვლელს წავართვათ.
 თუ გსურს, დავძორდეთ ვინც ღღემდე გვიყვარს,
 ან ვულაატოთ – ვისი ღალატიც არ შეიძლება.
 ან რომის სენატს
 ჩავაგონოთ ახალ-ახალი
 რამე მზაკვრული შეთქმულება.
 თუ გინდა, ვთესოთ სისხლი და ღვარძლი.
 თუ გინდა თეთრი დროშები დავწვათ.
 თუკი ინებებ,
 თავლის სანთლები გავყილოთ ფულზე,
 ანდა ვივაჭროთ ორგანოებით.
 თუ გინდა, ჩუმაღ მივცეთ ცეცხლი
 სიმინდის ყანებს
 და ვამიმშობლოთ სოფლელი ბავშვი.
 თუ გსურს, ფერდინანდს ვესროლოთ ტყვია,
 ან რომელიმე კარგ მუსიკოსს – არ ავაცილოთ.
 გამოვჭრათ ყელი ლამაზ ცხოველებს,
 რომ მერე მათგან ქამრები ვკეროთ.
 ან თუ ასე გსურს, ყვავილები დავრგოთ
 და მოვრწყვათ იმათ საფლავზე,
 ვისაც უკვე აღარავინ აღარ აკითხავს.
 თუ გინდა ვიყოთ კეთილი და სევდიანები,
 ანდა მოვწამლოთ სასმელი წყალი.
 როგორც ინებებ,
 ჩემო სხეულო
 მოვიქცეთ ისე,
 ოღონდ შეჩერდი.
 ნუ დაბერდები.

მარტოხელა ანგელოზი

ჩემი გულის მეტს არავის ვეტყვი,
 რომ არ დამცინონ.
 უმჯობესია, ბევრი მზე გარეთ,
 ბევრი კატა შინ
 და ხედი ზღვაზე,
 როგორც – გიყვარდა.
 ახალ სახეებს და ხალხმრავალ აეროპორტებს,
 მე მირჩევნია – არაფერი ხდებოდეს ახალი.
 ღუმს ჩემი გული,
 მარტოხელა ანგელოზია.
 მათ სულის ნაცვლად ტყვიები ჰქონდათ.
 შენს ხელშენახებ ნივთებს ვიხსენებ,
 ეს სიყვარულის ნამსხვრევებია.
 მე არ მჭირდება
 სხვა სინარული.

ჩვენს გარდა ყველაფერი მეორდება

ეს უკვე იყო დიდი ხნის წინათ.
 მათ მზრუნველი თვალები ჰქონდათ
 და ლამაზი სიყვარული იცოდნენ.
 მერე თანდათან გავიდნენ წლები
 და სახეები
 და სახელები
 მხოლოდ ოჯახურ ალბომში დარჩნენ.
 ჩვენ ვრწყავდით გამხმარ მოგონებებს,
 ჩვენი ლამაზი წარმოსახვა რომ შეეჩვია
 და ერთმანეთს ვანუგეშებდით,
 რომ ყველაფერი წარმატალია,
 ხელმწიფისშვილი.
 გულგრილ ბუნებას
 აქვს ყველაფერი,
 რაც მარმან ჰქონდა.
 მას რეალური დანაკარგი არ განუცდია,
 რადგან, ცხოვრება,
 მაინც ყოველთვის იბრუნებს წარსულს.
 მე მშურს ამ მწვანე უსამართლობის
 და ჩვენს ეზოში
 ძველებურად იზრდება ხავსი,
 ხე
 და
 ბალახი
 და უჩვენოდაც ცვივა ფოთოლი –
 როგორც ჩვენთან ერთად ცვიოდა.
 ხოლო,
 დროს ისევ ეშინია პირამიდების
 და მეორდება ყველაფერი მარადიული,
 ჩვენს გარდა.

უკან გადადგმული ნაბიჯი

ელემის ბაღში
 სატელეფონო ჯიხურები არ იდგა.
 არ მოძრაობდნენ ავტობუსები
 და იქ მცხოვრებლებს ვინ დაუშლიდათ
 მთელი სიცოცხლე დაეკარგათ
 ერთად ყოფნაში.
 ელემის ბაღში არ არსებობდა
 სამუშაო ვალდებულება
 და რვა საათიანი განრიგი.
 ელემის ბაღში,
 შეგებლო ყოფილიყავი თავისუფალი
 და უბრალოდ ყვავილების სურნელი გეყნოსა
 და იმის მერე, ყოველი დღე
 დიდი ხანია ერთნაირია.
 ეკლესიებში,
 საცხოვრებში,
 და ოფისებში
 მიედინება მათი ცხოვრება.
 გადის მათი დრო.
 ეწირებიან ყოველკვირეულ უაზრობას.
 ისინი მხოლოდ კვირას ცოცხლობენ
 და ზაფხულობით – რამდენიმე დღე
 და სეირნობენ მზიან ამინდში,
 გადატანილი დამარცხების დასაუწყებლად
 და ესწრაფვიან თავისუფალი დროის ძიებას.
 სინამდვილეში დრო – ეს უკვე მათი რელიგიაა.
 მე ვფიქრობ ნეტავ,
 როგორ მივიდა
 თავისუფალი კაცობრიობა
 აქამდე.

ფრიდრიხ ნიცშე შემოდგომაზე

„ღმერთი ვარაუდია“ – ნიცშე

ფეხმოუცვლელად იცქირებიან ჩემს ფანჯარაში,
 მაგრამ ვერაფრით ამოუხსნიათ,
 რა საჭიროა ყოველ სისხამზე
 წყლიან თვალებს ერთნაირად ვახამხამებდე.
 ერთნაირად ვიქცევდე თავს
 და
 ერთნაირი ფანჯარა მქონდეს.
 რა უნდა ვუთხრა გაკვირვებულებს?
 როგორ ავუხსნი, რომ ასეთია ცხოვრების აზრი,
 რომ ერთნაირი დღეები გადის,
 რომ ყოველდღიურ ამბებს მიღმა
 სანახავი არაფერია.
 რომ ყველა სოფელს
 აქვს სასაფლაო და ეკლესია.
 რომ ყველა სახლში
 მოურჩენელი განცდები ცხოვრობს,
 რომ გზა შენამდე – გრძელია ყველგან
 და მონატრება ჩემზეც იმარჯვებს.
 მიყვარს ფოთლები,
 მათ ჩემსავით არავინ არ ჰყავთ
 და მუდამ სევდით თვალს აყოლებენ,
 მხოლოდ ტოტების მეგობარ ჩიტებს.
 მწვანე ფოთლებმა
 ჯერ არ იციან
 რა საჭიროა დაბეროს ქარმა
 და მათ სხეულებს ხეებმაც კი უთხრან უარი.
 ჯერ არ იციან, რომ არსებობენ შემოდგომები
 და ფანჯრებისკენ გამტერებულებს
 დაეკარგებათ მთელი ცხოვრება.
 ჯერ სექტემბერი არ არის ღმერთი,
 რომელსაც კარგი ფოთლები უნდა.
 ჯერ სექტემბერი
 ჩემთვისაც კი ვარაუდია,
 რომელმაც იქნებ
 გადაიფიქროს.

ჩემი ღვთისმშობლის სახელს

რაც იყო უკვე ჩაბარდა წარსულს
 და ყველაფერი მოხდა და ითქვა
 მე ვერ შევძელი ამაზე მეტი,
 მე ვერ გავძელი ამაზე დიდხანს.
 და დღეის იქით, რაც უნდა მოხდეს,
 რაც უნდა იყოს, იცოდეს ღმერთმა,
 რა მოურჩენელ ჭრილობის ფასად,
 რა ბედნიერი ვიყავი შენთან.
 იცოდეს შენმა გულის სინათლემ
 და ღმერთმაც, ქვეყნად მართლაც თუ არის
 რომ მხოლოდ შენთან ყოფნით შეგებლო
 თვითმკვლელობაზე მეთქვა უარი.

ახობა მისხიძე

* * *



* * *

კაცი კვდება, პოეზია რჩება,
ლექსი ცოცხლობს მისი
სულის მსგავსად,
ყველაფერი,
ყველაფერი ქრება,
ლექსისა და პოეზიის გარდა.

გურია

როდესაც გომის მთას
ნისლი და ბურია,
როდესაც ბანძაროს
მზე ლოყას დაადებს,
გიმღერებ, შენ ჩემო
ლამაზო გურია,
სიმღერებს ლამაზებს.
როდესაც შავი ზღვის
ბობოქრობს ზვირთები,
როდესაც ნაძვის და
ციტრუსის სუნია,
მე შენი ტრფობით და
დიდებით ვინთები,
ლამაზო გურია.
როდესაც ხალხია
თბილი და ხალასი,
როდესაც კეკვა და
სიმღერა მწყურია,
შენ გირჩევ, იცოდე!
შენ გეტრფი, იცოდე!
შენ, ჩემო ლამაზო
და ტკბილო გურია.

8 დეკემბერი, 2023წ. ვალენსია

* * *

ვინ რა იცის ჩემი სულის
ანდა ჩემი გაგების,
ფილმიდან ვარ გადმოსული,
თეთრი ბაირაღების.

ქუჩისა და სცენის მტვერი
ისე სუფთად ავზილე,
არ დამსვრია არსად ხელი,
სინდისიც მაქვს საძილე...

ვერ მოვირგებ კაცის გარდა,
ამ ცხოვრების პიესებს,
ვაჟკაცურად დავეცემი,
სადაც ღმერთი ინებებს.

თუკი ყველა ვერ გაიგებს
ჩემი სულის არაკებს,
ცოტა მაინც ხომ ჩაწვდება
მუხით ნალაპარაკებს.

სექტემბერი, 2021 წ. მადრიდი

ვიცი, რომ გული დამიწყებს ბაგუნს,
ისე ვით დოლი სუნიშვილების.
სამშობლო მომცემს ამ გულის საღბუნს,
რომ მივადგები ჩემი შეილებით

ამას რა სტროფი დაიტევს ნეტავ?
როგორ ჩავატევ რვა წელს ერთ ლექსში?
მაგრამ მე მაინც დაწერას ვბედავ
და ხმაურს ვიწყებ სიმარტოვეში.

ეს ხმა, სამშობლოს ხმაა მხურვალი,
მულამ ჩამქმის, ვით იავნანა.
მე დავბრუნდები ნახორუმალი,
შემომადგები შენ განდაგანა.

ემიგრანტობა ბრძოლის ველია,
სტრესი მეტია, ვიდრე ლაღობა...
მე სიხარული შემომელია
და ამ ყიხულის მინდა გაღღვობა.

2024წ.

მატარებელი

მატარებელი აჩქარებული,
რამდენი დრო მაქვს გატარებული,
ვისთვის ნაცნობი ვაგონის ხმები,
ვისთვის უცნობი ჩემი განცდები...
თბილისისაკენ – შეგრძნება ახლის,
გურიისაკენ – ფიქრები სახლის...
გზად გატანება ბებიის საგზლის
და დილით ადრე სურნელი ვაგზლის.
გზაში გაცნობა უცნობი მგზავრის,
ამოლაგება ჩანთიდან საგზლის,
ჭადი, ყველი და არაფი სანთლის,
ასე ქეიფი ზოგჯერ დილაძლის...
ეს ყველაფერი განცდილი ასგზის,
მატარებელი კი დღესაც დადის...
ვიღაცა ადის, ვიღაცა ჩადის,
ვიღაცა სულაც ქვეყნიდან გადის...
მიქრის ვაგონი ბავან-ბუგუნით
და მიაქვს წლები გუგუნ-გუგუნით.
მატარებელი, ვიცით, ბრუნდება,
მაგრამ ის წლები არ დაბრუნდება.

თებერვალი, 2021 წ. მადრიდი

მე ვნანობ

შენ ჩემთვის არასდროს იქნები მეორე,
შენ ჩემი ცხოვრების არსი ხარ მთავარი.
მე ვნანობ, დედი, რომ კვლავ გავიძეორე
და წელსაც უშენოდ გავლიე სამთარი...

2022 წ. მადრიდი

* * *

წაუკითხავი წერილივით არ მინდა დავრჩე,
ჩემში ნიჭია, სიმართლეა, არის მაგაც
ალბათ არავის ეწყინება, თუ ასე დავწერ,
ჩემთვის კალამი, შეუცვლელი ამხანაგია!

ხათუნა ჩიტაძე



მამულის საწუხარი

მარად მებრძოლო, გულს ჯავრი
 აწევს ფრთამოცლილ მართვეს,
 მუდამ მაცვია აბჯარი,
 მტერი ჩემს ედემს მართმევს!
 თითქოს, აწ უკვე ვერ ვამჩნევთ,
 მამულს იმედად რაც სურს!
 ტანს იალმაგი მაცვია,
 შიგნით ვინახავ წარსულს!
 დიაცო, შენი საკინძე,
 ურცხვად გახსნილა თვალები!
 გამქრალა კდემა, სინახე,
 შენი შემკრთალი ღაწვის!
 შეილები... – გასაშვილები,
 უცხო ქვეყნის კარს გიწევს!
 სადა ხარ, ჩემო ქართველო!
 თუ გულიც აღარ გიცემს!
 რატომ არ ფიქრობ, ხვალ და ზეგ,
 ნგრევად იქცევა ბზარი!
 უსმინე! – გინძობს მძლეთამძლე,
 შენი მამულის ზარი!
 ლანდად ქცეული სხეული,
 ვერ შეგინახავს კარგად...
 შენთვის მდის ცრემლი, ეული,
 მე უძვირფასესს ვკარგავ!
 შემოიხედე მამულში,
 ნუ გსურს ოქრო და ლალი,
 ხელი მომხვიე დაღალულს,
 კვლავ შემაშველე მხარი!
 მარად მებრძოლო, ჩვენს ედემს,
 მტერი დღითიდლე გვართმევს!
 არ გაიხადო აბჯარი,
 ერთად ვუშველოთ მართვეს!!!

* * *

ნეტავ...
 სად მიდის რწმენა,
 როცა გველი მიწას „ამღვრევს!“
 სულის მესმის შფოთი-რწევა,
 წლების მზეწუნულს უცხო არღვევს!

ნეტავ, სად დაიმსხვრა ფრთები!
 მე რომ ჩამოვყარე ლოცვად,
 გული მქონდა ისე მრთელი,
 – ჩემზე გრძელი ბზარი მოჩანს!

ნეტავ, სად წავიდა დილა,
 ვარდისფერი...
 ოქროსფერი...
 ისე შავ სამოსში მძინავს,
 ვარ უტყვი, სნეული მწერი!

მართლაც,
 გალალულა გრძნობა!
 წლების ქარავანს რომ ითვლის,
 მტერი ცოცავს, ვით ობობა!
 ქსელავს აბლაბუდს ვისთვის?

* * *

ქარბუქისფერი მოდის ტალღები,
 ფიქრის... –
 – ოცნება ახლა ძნელია!
 მე, ჩემს სხეულსაც ისე გავცდები,
 მხოლოდ ლექსები ვერ შემეღია...

შვება არ მოდის
 ნეტავ და როდის...
 ავცდი მზის სხივს და
 ავცდი მზეწვიას,
 შევრჩი ეული მე მხოლოდ ლოდინს,
 სული თეთრია და ნაძერწია...

ეს დარდი ისე უნაპიროა,
 მან ყველა გრძნობას აჯობა, გასცდა...
 სიყვარულია... და სიყვარულმა
 თუ იცის მხოლოდ ასეთი განცდა!

იცო, ოცნება ახლა ძნელია,
 ეს შენ ხარ, ჩემი დარდის ფანჯრები
 გამოგაღებ და...
 იქაც მელიან...
 ყველა სამყოფელს წამში გავცდები!

ბეწვის ხიდი

ბოლო დროა, ბეწვის ხიდზე დავდივარ,
ბოლო დროა, ვებრძვი ალქაჯ-ვამპირებს!
არც ღიმილი და არც მძიმე დარდი ვარ,
გული ქვაა და ტირილს არ აპირებს!

ბოლო დროა, ნარ-ეკალი ხელებით
ამოვძირკვე! სარეველა მტერია!
მაგრამ, ახლა, სულის სვენებ-სვენებით,
მივატოვე სხეულის მატერია!

ზეცა სხვაა, სხვაა სივრცე, საფრენი,
სხვა ფერი აქვს დილას, ღრუბელ-დარდიანს,
ეს სამყარო, არ ყოფილა ასეთი,
სხვა ხედვით და სხვა თვალებით დადიან!

ბოლო დროა, ბეწვის ხიდის მგზავრი ვარ,
ჩემს ვარდისფერ წალკოტს ისევ ვშორდები...
ვეგებები ტვირთით თეთრი ზამთრის ქარს,
ვეთხოვები ფერებს – ჩუმი გოდებით!

სახლობანა

დანგრეულია სახლის
კუთხე-კუნჭული, ყველა...
ბევრჯერ უთვლიან პატრონს,
ჭიშკარი აღარ ელავს...
არავის ახსოვს ოდა,
აღარც პეპერას ლოცვა,
დაუთვლელია საქმე
და არავის აქვს მოცლა!
...მაინც, იმედით ცოცხლობს
ეს ნასახლარი, ძველი,
ეზოს ამშვენებს მხოლოდ
ბავშვის მართალი ხელი!
გული მევსება ცრემლით,
(იოლი არის განა?!)
ბავშვები ნასახლარზე
აწყობენ სახლობანას!..
შემოულობავთ კუთხე,
„ოთახებია ესო“,
მართალი გულწრფელობით
მოუხატაათ ეზო...
ნასახლარს, მართლაც, იცავს,
ბავშვის ალალი ხელი,
კვლავ აშენდება მათით
პეპერას ოდა, ძველი!

ყაყაჩო

ვიცი, ვიცი მე ყაყაჩოს
ხვედრი, დარდი, ნაფიქრი,
კი, სიყვარულს დაარქმევენ,
მერე? – მერე დაფიქრდით.

ისე უცბად მოთელავენ,
ღიმილს არც კი აცლიან,
უსათუთესს, წმინდა გრძნობას
ერთ წამში გააცლიან!

პურის ყანას ეწირება
სისხლისფერი სინაზე!
ღიდი დრო არ უწერია,
როგორც წყლის წვეთს მინაზე.

ეს იყო და არა იყოც
სიმღერაა, არია,
სულ მგონია, რომ ყაყაჩო
მარტოსული ქალია!

სამაჩაბლოს

ახლა, ამ გაღმა სულის საფლავეებს,
ისე ამშვენებს სევდის ხავსები,
როგორც შვილმოკლულ, ეული დედის
მარადიული, შავი ძაძები!
ახლა ეს ქარი სევდის მთვარეს ქსოვს,
დაფლეთილ მიწას სისხლის სუნი სდის!
როგორ დაგუთმეთ შვილები შავ ქორს!
არ შევდუღადით მათი სულისთვის!
და გვენატრება ჩვენი და-ძმობის
და ჩვენი ყრმობის წყვილი აკვნები!
რას წავაგებდით წყენის დათმობით,
ამერ-იმერის ერთობ-საკმეველით!
მე სამაჩაბლოს მიწას მივსტირი,
და აფხაზეთი...
მძიმე ტვირთია!
ფეხქვეშ ისევ ვგრძნობ მათ თბილ სავანეს,
სულ ჩვენს მხრებზეა,
რაც გვიტვირთვია!
უფალო!
მხოლოდ შენი წყალობით!
უფალო!
მხოლოდ შენი ნებაა!
მჯერა!
ამდენ ხანს მისთვის ვწვალობდით,
ხვალ ერთობისთვის კვლავ შენებაა!
ახლა კი...
გაღმა სულის საფლავეებს,
ისე უხდება სევდის ხავსები,
ვით შვილმოკლულ და ეულ დედის ცრემლს,
მონატრებული შვილის თვალები!

საბა მიქაძე



სოფელი

ველტვი სოფლის მიწას მივიწყებულს,
ქალაქმა დაღალა ჩემი სული.
წლები გავიდა, დროდადრო მივხვდი,
სოფლის გარემო არსია რთული.

როცა ახელ თვალს, ხედავ სიმწვანეს,
ჩიტები ჭიკჭიკით ხსნიან ამ დღეს.
გამოხვალ გარეთ, ჰაერს შეიგრძნობ,
მადლობას შესწირავ სულ მალა ღმერთს.

რეალურად კი ხარ მაღლა სართულზე,
და გამონაბოლქვი გატკიებს თავს,
გარეთ გახედავ ამ დანისლულ ცას,
რომელიც ასევე გიბინდავს არსს.

ალბათ ბოლოა ჩემთვის სოფელი,
ყოფას აღვასრულებ, როგორც მიწა,
მიწად მე მოვედ და ეგრეც წავალ,
ბრუნვას კი განაგრძობს დღემიწა.

ვიცი, რაც მინდა და რაც მეძახის.
ვიცი მე საითაც ავიღებ გეზს,
ქუდს ხელს დავავლებ და დავიხურავ,
გავადგამ ფეხს და მე გავყვები მზეს.

მდგომარეობა

დილის სინაზე, სხივი მნათობი...
ვუმზერ ფანჯრიდან ჩიტებს პაწუნებს,
სახეს ღიმილი მოეფინება,
სევდას გუნება აითვალწუნებს.

ზოგჯერ მეზღვაურს გემი უმტყუნებს,
ზოგჯერ მწერალსა მახვილ-კალამი,
ზოგჯერ კი, უცებ ძალა გეცლება,
აღიმართება თეთრი ალაამი.

ვუცქერ მდელის მობიბინეს,
გამწვანებულ ცოცხალ ხეებს,
სახეს ვხედავ, მოციმციმეს,
ამოხსნას ვუთმობ მე თვეებს.

ვცდილობ გავიგო არსი ამისა,
იღუმალებით მოცულ ლანდისა,
ნაცნობი კია, მართლაც, ჩემთვისა
ანარეკლია, ჩემი დარდისა.

ფიქრი მტკენს

წერილი დავტოვე დღეს კონკრეტში,
ნიაჟა დაჰკრა, სადღაც გააქრო.
შიგნით ეწერა ჩემი ვედრება,
რომელიც მან არაფრად ჩააგლო.


სიცხე ოფლად მღვრის, თავსაც მატკიებს,
მაგრამ განა ეს სიცხის ბრალია,
მე ფიქრები მტანჯავს და ძვლებში მტენს,
მაგრამ განა ეს ჩემი ბრალია.

ღვინის გემო ყოვლად საამური
სისხლში ირევა, კალაპოტს უცვლის,
თრობა მერევა აზრებთან ერთად
და თავის დროს ის ყოჩაღად უცდის.

დავეხეტები ღამის წუთებში,
ვარსკვლავებს ვუცქერ, მთვარის მორჩილებს,
დრო ყველას შთანთქამს, მუსრსაც გაავლებს,
მაგრამ ის მე ვერ დამიმორჩილებს.



„ღვეწბდღვს ჰგეფს გარდასოლი“?



მაცოცხლებელი ფიჭვი

შალვა მჭედლიშვილი – ჩინებული ექიმი, პოეტი, ვინც საპყრობილებში, გადასახლებაში, საპატიმრო ბანაკებშიც უძღვროდა თავისუფლებას.

მისი ნამბობი მშობლიური კარდანახით, დაბადების ადგილით იწყება. მამა სკოლის დირექტორი იყო, დედა – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. „ერთ დროს იმ დიდებულ სახლში ვცხოვრობდით, სადაც დღეს იოსებ ნონეშვილის სული ტრიალებს, მას დედა-ჩემი ასწავლიდა. ახლა იქ პოეტის მუზეუმა. ამიტომ ეს სახლი ჩემთვის ორმაგად მშობლიურია. ხსოვნაში ანთია ის ფიჭვიც, ჩემს საძილე ოთახში ხელებს რომ იწვდიდა და მის ტოტებზე ჩიტები ჟღერდებოდნენ“.

ვსწავლობდი პირველ საცდელ სკოლაში (ახლანდელი კლასიკური გიმნაზია), ბევრი კარგი მეგობარი მყავდა მყავდა, მრავალი ღირსეული პედაგოგი და მოწაფე მახსოვს. ვახტანგ ცინცაძე ერთ-ერთი იმათგანი იყო – კეთილშობილებით სავსე გუნდერკინდი. მეორე მსოფლიო ომის დროს დაიკარგა. ერთხელ მითხრა: შალვა, ბუკინისტებში მივაგენი შესანიშნავ წიგნს, რომელსაც არც თავ-ფურცელი ჰქონდა და არც დაბოლოება. მასში მოთხრობილია მოხუცი კაცის ამბავი, რომელმაც მთელი ცხოვრება ისე გაიარა, თავისუფალ სამშობლოს ვერ ეღირსა. მოხუცებულობის ფაშს კი ეს კაცი სინარულით შეჰყურებს თავისი სამშობლოს უმაღლეს კომქს, რომელზეც თავისუფლების დროშა ფრიალებს. ეს დროშა დიდი ხნის მონობის შემდეგ აღმართა მისმა ქვეყანამ...

მიამბობდა და ორივენი ვტიროდით. ვახტანგი ვაჟკაცურად დაილუპა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი ვერ მოესწრო დღევანდელ საქართველოს, რომ ენახა, სხვადასხვა ქვეყნის ალმებთან ერთად, როგორ ფრიალებენ ჩვენი ქართული ალმებიც; როგორ გაწბილდა რუსი შავრაზმელი კატკოვიც, ამიერიდან, დაკეცეთ თქვენი დროშები, ისინი მხოლოდ მუზეუმის მტკერში უნდა ეყარნენო...

* * *

ჩვენს საზოგადოებას სჭირს ნიჰილიზმი, სკეპტიციზმი და ცინიზმი. განსაკუთრებით საშიშია მესამე – ცინიზმი. გაულანძლავი აღარავინ დავგრჩა – არც მეცნიერი, არც პოლიტიკური მოღვაწე, და არც ხელოვანი. მთელი საქართველო შეურაცხყოფილია დიდიან-პატარიანად.

გახსოვთ ბაირონი? საბერძნეთში ბრძოლის დროს გაცვივდა და გარდაიცვალა. სხვა ქვეყნის თავისუფლებისთვის იბრძოდა, ნატრობდა, ხეტავი

ტყვია მომხვედროდა და ისე დავცემულიყავით. სიკვდილის წინ დაიბარა, ჩემი გული აქ, საბერძნეთში, დამარხეთო.

სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ჩვენში ისეთი ადამიანებიც გაილანძლენ, ერთი შეხედვით, ბაირონის ბედი რომ გაიზიარეს და ნატრობდნენ, მათი გული საქართველოს ცის ქვეშ დამარხულიყო. ხელალებით ყველას ლანძღვა არ შეიძლება, ერთმანეთს უნდა მოვუფრთხილდეთ.

კიდევ, რა არ მომწონს, იცით? გათიშულები ვართ. ფრანგი ჟიულ მიშელე ჯერ კიდევ 200 წლის წინათ მოუწოდებდა, ჩემო საყვარელო საფრანგეთო, მუხლმოყრილი გემუდარები, ნუ გაიყოფი, ნუ გაითიშები!

* * *

ბავშვობიდან სუსტი, მეოცნებე ვიყავი, ჭყიმივით (ბალახი) აწოწილი. პოეზია მიყვარდა. ჩემმა მშობლებმა მაინც გადაწყვიტეს, სამედიცინოზე ჩამებარებინა. 1945 წლის მარტამდე ვსწავლობდი, ძალიან მეჯავრებოდა ეს დარგი, უგულოდ ვეკიდებოდი, IV კურსზე ვიყავი, ჩემი ლექსების გამო დამაპატიმრეს... მაგრამ როცა ავადმყოფის სარეცელთან პირველად მივედი და განაწამებ ადამიანს ვუშველე, სიცოცხლე ხომ ყველაზე დიდი პოეზიაა, ვთქვი: აი, რა ყოფილა პოეზია-მეთქი და შემეცვარდა...

პროფესია ძალიან დამენდარა გადასახლებაში. იქ შვიდი წელი დავყავი. მოვიარე ვორკუტა, ციმბირი, შუა აზია, რუსთავისა და ავჭალის კოლონიები... ვორკუტის პატიმრობის შემდეგ მუდმივ გადასახლებაში მყოფს შემხვდა ქართული კაცი, ოლქის უფროსი ექიმი, ვინმე ვასილ მანსვეტაშვილი... ეს ამბავი დაწვრილებით რომ მოეყვებოდა, მთელი წიგნი გამოვა. ერთ დეტალს გეტყვით მხოლოდ...

გადასახლებაში, პატიმრები, წესისამებრ, შავ სამუშაოს ვასრულებდით. ჯერ ხომ, სანახევროდ, წყალში ვიდექით და ვედროებით ამოგვქონდა ეს წყალი, ქანცის გაწყვეტამდე... იქვე იყო კალონავით მოზრდილი ადგილიც, სადაც ჩალაც ყრიდნენ, მერე ტალახი იზილებოდა ჩალასთან ერთად. ამ მიწას ყალიბში ჩასვამდნენ და სამანიც, ანუ იგივე ბლოკი მზად იყო... ჩვენ ამ ტალახს, ზოგი ყალიბში ვსვამდით, ზოგი წყალს ვასვამდით... ყველაზე პრესტიჟული იყო ხარზე ჯდომა. ხარს „ცობცობეს“ დასძანოდი და ხარიც უვლიდა კალოს, მშვენივრად ხელავდა ტალახს...

ვის აღარ შეხვდებოდით პატიმრებს შორის – აფერისტებს, ბანდიტებს, მეძავებს, ქურდებს... ვერავის ვაჯვრებდი, რომ პოეტი ვიყავი, თანაც ისეთი გამხდარი აღარ ვჩანდი, აქ, ციმბირში, კარგი ბიჭი დავდექი, მოვასწარი გაზრდა, მამამაც ველარ მიცხო, როცა გადასახლებაში მნახა... მერე ეს მთასავით კაცი დარდით დაილუპა (იმ პერიოდში დედასაც ჩემ გამო რეპრესია მოუწყეს და საყვარელი სამუშაო დაატოვებინეს).

და... იმას ვამბობდი, სამანზე მუშაობისას, ერთი ჩასუქებული, ლიპიანი კაცი მოგვიანლოვდა, სანეიდ-სადგურის მთავარი ექიმი აღმოჩნდა. მე, წყალში დღეობისგან, ფეხები რუმბუბივით მქონდა.. სიცხემაც ამიწია... ექიმმა მრავალმნიშვნელოვნად შემომხელა – „ხომ უნდა გამოვისყიდო დიადი სამშობლოს წინაშე დანაშაული-მეთქი“; – ჩავილაპარაკე: „რა დანაშაული გაქვს? შენც ბანდით ხარ“? არა, ლექსებს ვწერ, თანაც სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ვიყავი-მეთქი.

გაუნარდა, ექიმები გვჭირდებაო... ჩვენ ვეძებთ

ასეთ ხალხსო. ინფექცია გვქონდა ცხვრების მეურნეობაში, მუცლის ტიფი გაჩნდა... მე მოვახსენებ ჩვენი ოლქის უფროს ექიმს, ბატონ ვასილს თქვენ შესახებო.

მართლაც, შეასრულა სიტყვა. იმის მიუხედავად, რომ პატიმრებთან კავშირისთვის, 10 წლამდე ციხე იყო მოსალოდნელი. თავი გამოვიჩინე ინფექციასთან ბრძოლით. პატარა სტაციონარი გავხსენი, აფთიაქიც მქონდა... მრავალი მადლობა, ჯვილოდ მივიღე.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მამა მკვლარი დამხვდა, დედა – უმუშევარი. მე არსად არ მიძილეს. ცხოვრება ამერია.... მის ასაწყობად დიდი გზა განვვლე, მაგრამ ბატონი ვასილის სიკეთე დაუვიწყარი აღმოჩნდა. სულ ვდარდობდი, მისი ამაგი რომ ვერ გადავიხადე.

და ერთ დღეს, აგერ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, შევიტყე, რომ ვასილ მანსვეტაშვილის შვილი – გოგი, თურმე, საქართველოში ჩამოსულა და თერაპიის ინსტიტუტში მუშაობს. როგორც შექობლებ, მას მაინც გადავუხდი იმ სიკეთისთვის, რაც მამამისმა ჩემთვის გააკეთა.

ვასილ მანსვეტაშვილისნაირ კაცებზეა ნათქვამი: „კაცი იყავ კაცური და, იქ იძღვრე, საცა გინდა“ ...

* * *

გადასახლებიდან დაბრუნებული, საქართველოში საექიმო პრაქტიკას რომ ვიწყებდი, შოკში გამგზავნეს... ულამაზესია უწერიდან შოკში მიმავალი ცისფერი გვირილებით მორთული გლოლის გზა... ასი წლის წინათ, გლოლაში უმოღვაწია ექვთიმე ვაშაკიძესაც... თითქოს, პირდაპირ მე გამიკვალა გზა... აქ შესანიშნავი ეკლესია ყოფილა, მოგვიანებით დანგრეულა.... თამარის ღვთიური ხატი ინახებოდა თურმე. ეს ხატი უკვალოდ დაკარგულა და მხოლოდ ექვთიმეს ნაწერებშია დაფიქსირებული...

ექვთიმესთან უმუშავია და გლოლაში გაუხსნია სტაციონარი ცნობილ მკურნალსა და მწერალს, ივანე გომართელს.

მდიდარია საქართველო, ჩვენ დიდებული განძი გვაქვს, მოვა დრო და ამას ყველაფერს აითვისებენ. პირველ რიგში, სოფლის მეურნეობას უნდა მივაქციოთ ყურადღება, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება აბრეშუმები, ნავთობი, ფერადი ლითონებიო, – ამბობს თავის ნაწერებში ექვთიმე.

რას მოიფიქრებდა დიდი წინაპარი, რომ მოვიდოდა დრო და მისი სიტყვები წინასწარმეტყველურად ახდებოდა.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხე მომივლია, უფასოდ ვმკურნალობდი, მათ შორის ქიზიყშიც. ქვემო მაჩხაანში ექიმად მუშაობისას, აღმოჩნდა, რომ ექვთიმე ვაშაკიძე იქაც ყოფილა – დიმიტრი მაჩხაიელთან ერთად სტაციონარი გაუხსნია...

* * *

პიროვნება განუმეორებელია. დოსტოევსკიმ თქვა, მე სამი შვილი მყავს, მაგრამ სამი წლის რომ იყო ჩემი უფროსი გოგონა, იმდენი რამ ვნახე მასში განუმეორებელი, მერე ჩემს შვილებში ვეღარ ვიპოვეო.

პიროვნება მართლაც განუმეორებელია. სილამაზემ უნდა იხსნას კაცობრიობა, მაგრამ მართლ სილამაზე ვერ იხსნის. ყველას ვაღია ამაზე ზრუნვა. თითისტოლა ბიჭი ვიყავი, ლათინური მიყვარდა და ეს სტრიქონები დავწერე:

„უნდა გახსოვდეს, როცა წერ ლექსს, Salus publica suprema lex“, – რაც ნიშნავდა:

საზოგადოებრივი კეთილდღეობა – უპირველეს ყოვლისა! პირადი ამბიციები გვერდზე გადავლოთ და ყოველდღე, დიდი ილიას თქმისა არ იყოს, ჩვენს თავს ვკითხოთ, დღეს სასიკეთო რა გავაკეთე ქვეყნისთვის?

ამონარიდები ინტერვიუდან. გაზეთი „თბილისი“, 3 დეკემბერი, 1998წ. (ავტორი: თამარ შაიშველაშვილი)



მალვა გველღვიპილი

კარდენახის გახსენება!

თამაზ ჭილაძეს

ეს ხსოვნა ქვეყნად ერთადერთია,
უსათუთესი, ალერსიანი,
სიცხადე მხოლოდ დედულეთია,
სხვა ყველაფერი მწარე სიზმარი.
ბავშვობის სახლის სარკმლიდან ვხედავ
ძვირფას აჩრდილებს ოცნების თვალით,
და ისევ მესმის კარდენახიდან
ჩუმი ქვითინი ბულბულის ქნარის...
ვარდების მძაფრი სურნელი მხნედავს,
აყვავებული ვაზის სურნელი,
კვლავ მეფერება სათუთად დედა,
ვარ ბედნიერი და უზრუნველი.
ჩემს სიახლოვეს ისევ ღმერთია,
და სულს მივსებენ სხივნი მზისანი,
სიცხადე მხოლოდ დედულეთია,
სხვა ყოველივე ცივი სიზმარი!

1. ვენახები „კართან“ ჰქონდათ. სოფელს ამიტომ ჰქვია კარდენახი..

სატანავ, განვედ!

მე ღვთაებრივი შუქი მწყურია,
შენ კი ჩემს შთანთქმას ლამობ,
წყვეული...


ყველა პოეტი უფლისწულია,
მათხოვრის კონკში
გამოხვეული!

ბოლო სურვილი

მინდა კუბოში ლამაზი ვიწვე,
ტუნებზე ისევ მაჩნდეს ღიმილი,
გავახსენებდეს უღარდელ იმ წლებს,
რომ არ ვიცოდით ჯერ სიმძიმე.
მინდა კუბოში ლამაზი ვიწვე,
შენთვის ღიმილით შევძლო მისი თქმა:
თვითონ საძულველ სიკვდილსაც ვითმენ,
შენს სიახლოვეს, თვითონ სიკვდილსაც!

ერთი ლექსის ისტორია

ივანე ჯავახიძე



ვიცოდეთ
სინამდვილე!



ვის მიუძღვნა იოსებ ნონეშვილმა ლექსი:

„ეგ სახე მყინვართა სარკეშიც
მინახავს“...

ძვირფასო მეგობრებო! საქართველოში შეიძლება ბევრმა იცის ქართული მწერლობის შესანიშნავი წარმომადგენლის, დიდებული პოეტის იოსებ ნონეშვილის ლექსი: „ეგ სახე მყინვართა სარკეშიც მინახავს“.

„ეგ სახე მყინვართა სარკეშიც მინახავს, მალალ მთებს, ქარაფებს აფრქვევდა მინანქარს. ეგ თმები კლდეებზე ჩანჩქერად მინახავს... ქალი ხარ, ალი ხარ, მითხარი, ვინა ხარ? არ გეყო, ძალით რომ დაიპყარ ეს გული? ახლა მთებს მიაღექ რისხვით წარბეჭრული. უფრთხილდი, ლამაზო, მთა განა გულია? მანდ ყველგან ქარიშხლის ფრთა განაბულია. და როგორც ლომები ჰირს რისხვით ალებენ, ნისლებში ნაპრაღთა ვეება თაღები. უფრთხილდი, ყაზბეგიც ბერი ნუ გგონია, ჭაბუკის გული აქვს ჭაღარა გოლიათს. მაგ თვალთა ცდუნებას ვაპ, თუ ვერ გაუძლოს, დაგტოვოს თავისთან, მყინვართა საუფლოს. ...მაგრამ შენ სრულიად არ უფრთხი არაფერს და როგორც კიბეებს, აბიჯებ ქარაფებს. პირველი მიუძღვი გამოცდილ მთამსვლელებს... ხან თოვლი გეყრება, ხან წვიმა გასველებს. მე შენმა სურვილმა მთამსვლელად მაქცია, წერაქვი მიჭირავს, წრიაპი მაცვია... და ფრთხილად მოგყვები, შენსავით ვიქცევი.. რამდენჯერ აშკარა მარცხისგან მიხსენი. ფეხი თუ დამიცდა, ხელს მიწვილი მაშინვე, რამდენჯერ დაღუპვას შენ გადამარჩინე. მაგრამ ძირს, ქალაქში, როდესაც ჩავდივართ, მთამსვლელთა ადამ-წესის ივიწყებ ადვილად. შემზვადები ქუჩაში, გულცივად მიყურებ, მანიშნებ: ბარშიაც მსხნელად ნუ მიგულებ. ვგრძნობ, მე არ ვეკუთვნი მაგ თვალთა არჩევანს და ვხვდები ჩვენს შორის ნაპრაღის გაჩენას. მე შენი სიმკაცრის ნაპრაღში ვვარდები, ძვირფასო, საშველად ნუ დაგვიანდები, მე ყველა ნაპრაღზე ეს მეტად მაშინებს... კვლავ ხელი მომიცი, კვლავ გადამარჩინე“.

ეს ლექსი 1953 წელს დაიწერა და ძალიან ჩქარა სიმღერადაც იქცა. 1950-60-იან წლებში, ოლიმპიადებსა თუ საზეიმო კონცერტებზე, სხვადასხვა კუთხის ანსამბლები და მომღერლები მასფანდურზე ამღერებდნენ. 21-ე საუკუნის დასაწყისში ამ ლექსზე შექმნილმა სიმღერამ ახალი სიცოცხლე შეიძინა, უფრო დაიხვეწა, გათანამედროვდა და ჰიტად იქცა.

იოსებ ნონეშვილის შემოქმედებაში სატრფიალო ლირიკა უცხო არ არის. ამის ერთ-ერთი ნიმუში ეს ლექსიცაა – „ეგ სახე მყინვართა სარკეშიც მინახავს“, რომელსაც ქართველი მკითხველი კი იცნობს, თუმცა ვინ იყო ამ ლექსის შექმნის შთაგონების წყარო და ვის მიუძღვნა პოეტმა ეს ლექსი ბევრისთვის დღემდე უცნობია.

სამწუხაროდ, ინტერნეტში, სხვადასხვა პროექტში, ვიქტორინებსა თუ ინტელექტულებში ხშირად უსვამენ ამ კითხვას საზოგადოებას და, სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში, პასუხები არასწორია. თუმცა, არც კითხვის დამსმელებმა იციან სწორი პასუხი.

ყველას ჰგონია, რომ აღნიშნული ლექსი ეძღვნება ქართველ მთამსვლელ ქალს, უშბასა და თეთნულდზე პირველამსვლელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, საქართველოს მე-20 საუკუნის საუკეთესო სპორტსმენს – ალექსანდრა ჯავახიძეს, რაც არ არის სწორი. ამის შესახებ არაერთხელ დაწვერე და მასალა ინტერნეტსივრცეშიც მრავალჯერ გაავარცხელე, მაგრამ რეალობას ვინ უყურებს, სინამდვილე ვის აინტერესებს?!

ლექსი „ეგ სახე მყინვართა სარკეშიც მინახავს“, იოსებ ნონეშვილმა მიუძღვნა თავის თანამედროვე შესანიშნავ მთამსვლელსა და არაჩვეულებრივ პიროვნებას, ალპინიზმში სპორტის ოსტატს, მარინე უთმელიძეს.

მარინე უთმელიძე მორცხვი, მოკრძალებული ბუნების პიროვნება იყო, მაგრამ როგორც გაბედულმა მთამსვლელმა, თავიდანვე მიიპყრო ქართული ალპინიზმის გამომჩენილ მოღვაწეთა ყურადღება.

ზემოთ აღვნიშნე, რომ იოსებ ნონეშვილმა ეს ლექსი 1953 წელს დაწერა და იგი მარინე უთმელიძეს მიუძღვნა. ამის საბაბი კი ის გახდა, რომ 1952 წელს, მარინე უთმელიძემ, თავის მეგობრებთან – თორნიკე ტატიშვილთან (ხელმძღვანელი), სარგის ცაიშვილთან და ჯუმბერ მეძმარიაშვილთან ერთად ბრწყინვალედ განახორციელა უშბის ორივე მწვერვალის ტრავერსი და გახდა მსოფლიოში პირველი მთამსვლელი ქალი, რომელმაც ურთულეს მეტეოროლოგიურ პირობებში განახორციელა ეს ტრავერსი.

ამ ასვლის შემდეგ, იგი მრავალი პოეტის მუხად იქცა. იოსებ ნონეშვილის გარდა, მას მშვენიერი ლექსები მიუძღვნეს: ვახტანგ გორგანელი და ზაქარია შერაზადიშვილი. მეტისმეტად თავმდაბალს, ერიდებოდა და მთელი ცხოვრების მანძილზე არ ამხელდა, რომ ამ ლექსების აღრესატი თავად იყო. ამიტომ ცოტამ თუ იცის, რომ იოსებ ნონეშვილის ლექსის შთამაგონებელი პიროვნება მარინე უთმელიძე იყო.

1949 წელს საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებულმა მოღვაწემ, მზია ერისთავმა, ახალგაზრდა მთამსვლელი და ბუნებისმეტყველი, პიონერთა სასახლის ტურიზმისა და

ალბინიზმის კაბინეტში მიიწვია პედაგოგად, სადაც ალექსანდრა ჯაფარიძე მუშაობდა და მთამსვლელობის ანბანს ასწავლიდა ბავშვებს. მზია ერისთავი გრძნობდა, თუკი ქალთაგან მთამსვლელობაში ალექსანდრა ჯაფარიძის სპორტულ ღვაწლს ვინმე იმეძვედრებდა, ერთ-ერთი პირველთაგანი უთუოდ მარინე უთმელიძე იქნებოდა. იგი არც ამჯერად შემცდარა – მარინე უთმელიძემ ღირსეულად გაართვა თავი ახალგაზრდების გაწვრთნას და პარალელურად აქტიურად მოღვაწეობდა მთამსვლელობაში.

მის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწო 1966 წელს, როცა სამუშაოდ გადავიდა ახლად შექმნილ ქართულ ენციკლოპედიაში დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა რედაქციის უფროს სამეცნიერო რედაქტორად. ქართული ენციკლოპედიის თითქმის ყველა ტომში შეხვდებით მარინე უთმელიძის მიერ მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებულ სტატიებსა თუ ნარკვევებს.

გთავაზობთ ვახტანგ გორგანელისა და ზაქარია შერაზადიშვილის მარინე უთმელიძისადმი მიძღვნილ ლექსებს.

ვახტანგ გორგანელი

მთამსვლელ ქალიშვილს

მიწიდან ოქროს სხივები
მზემ აკრიფა და შეკონა,
ქარმა რომ ჩამომიქროლა
მე შენი სუნთქვა მეგონა.

ცაზე რომ მთვარე გადმოდგა
მკერდი ამევესო ნუგეშით,
მხოლოდ ის გამკვირვებია
რამ აგიყვანა ღრუბლებში.

ვარსკვლავებს ვთხოვო სიმაღლე?
ძმობას გამიწევს რომელი,
ჩემი გულივით ახლო ხარ
მთვარისებრ მიუწვდომელი.

ზაქარია შერაზადიშვილი

მიჰყვები უშბას

(მარინე უთმელიძეს)

მწვერვალისაკენ მიმავალს, მტკიცეს,
თუ ქარიშხალი ნამქერში გახვევს,
თავსაბურავი გადიდვრე მყისვე
მწამს, შენს წინაშე ყინულიც გალხვეს.

მჯერა – გრიგალი ჩადგება უცბათ,
რომ გზა განაგრძო საშიში დიდად,
აღმართში ისე მიჰყვები უშბას,
მიაბიჯებდე თითქოსდა მინდვრად.

ვერ შეგაფერხებს ნისლი და მწუხრი,
მოიტან ქალთა დიდების მარცვალს,
შენი მხნეობა და შენი მუხლი
მუდამ შეენოდეს ამ მიწას, ამ ცას!

თეოსტოსისი

გიული მურადაშვილი



**გრიგოლ რობაქიძის რომანი
„ფალესტრა“**

შინაარსით და მხატვრული ფორმით გამორჩეული რომანი („ფალესტრა“) შემოქმედების მულამს ესადაგება. სსენებული რომანის – ერთი შეხედვით სადა ამბავმა – რეჟისორის მხრივ თეატრის წარმოდგენისთვის შესაფერისი ტიპაჟის შერჩევამ – არანვეულებრივი გადაწყვეტა ჰპოვა.

თუცა სხვა ლიტერატურული ქმნილებებისგან განსხვავებით – ავტორმა არ ახსენა, – მაგრამ გაჭრა ქმნალობამ – უთქმელად გზა გაკვალა – ადამიანის, თავად რეჟისორის ხედვის წრთვნა ასახა... საგრძნობია ამასობაში სიცოცხლის რიტმი, მდიდარი – მშვენიერ სახეებად გამთლიანება... მუსიკა ამ დროს შესაფერისი გზნებით ირჯებოდა; მწერალი გრიგოლ რობაქიძე თავის მხრივ სიტყვას ემურებოდა:

„როს საკრავთა მჭრელი ხმით, – როიალის, ვიოლინოს სიმთა ლივლივით – გაკვალული ფუძემინაარსის ყოველი ტონი უხვევს¹ თავისკენ, ხტის, – მაგრამ გადახვევა-აცდენად არ იქცა“ – ესადაგება დიდი ქალაქის ხმაურთან, უბოლოო ქუჩებს, ურიცხვი ხალხის დენა-დაურღვევ მასებს.

„სადაც პარალელები და პერპენდიკულარები, კუბები და კვადრატები, ხიდები და ვიადუკები – თითქო რკინა-ბეტონის ცისარტყელებია; მეტროს ხვრელები, ტაკსები, ტაკსები – ლითონის ჭიანჭველების გაქვავებული წერტილებია“², და

...კინო, თეატრი, საუბარი ხელოვნათა:

„– შიგადაშიგ ძველი მუსიკის რიტმი საჭიროა; რას იტყვით, მუსიე პელატე, მდინარის ხმაური ჩართვაზე?

– ბევრჯერ მიფიქრია, მე მგონი ამ ხმაურს უეჭველად გამოვიყენებ, ისე – თითქოს ფონია ათამაშებული რიტმებისა; – სუნთქვა – საიდანაც პირველყოფილი ტალღები იბადებიან და ნელ-ნელა

1. გრიგოლ რობაქიძე, „ფალესტრა“, წიგნში ხუთი რომანი; გამომცემლობა „არტანუჯი“, 2018 წელი; გვ. 792.

2. სსენებული წიგნიდან, გვ.733; 746.

რიტმულ დენად განიშლებიან;

– დიდებული თქმაა, თქვენ გაქვთ გზება მუსიკისა“.

მმართველს ასეთ დროს – ჩემს მხრივაც იმის ხსენება, – რომ „ქმნადობის“ საწყისი, – თქმულის გარდასახვას გულისხმობდა.

„მზის სხივის ნაქარგი, ნამდვილი მუსიკა; ყანდან წამოქროლილი ნიავის³ შესადარი“. როდი იყო გასაკვირი, თუ ხელოვანი ფრიდრიჰ ნიცშეს ნააზრევს დაეშურა, რადგან

„ყოველი ფილოსოფია შეიცავს თავის მხრივაც კიდევ რაღაც ფილოსოფიას“; ხსენებული რომანი თეორიული საწყისის გავლენის გარეშე არ დარჩებოდა; ჰპოვა ასახვა აგრეთვე დრო-ჟამის სახასიათო გახელება-დაცხრომამ, უკუქცევა-მოქცევა, რასაც თავი და ბოლო, კიდე და ზღვარი არა აქვს.

– აჰა დოლარები, აქციები, სტერლინგის კურსი, ბირჟები. შაჰმატისტი კაპაბლანკას პარტია; ჯიმის ამბავი; ჯიმი-ჯეიმს უაიტის მოკლე სახელია; იგი ჯერ მოხეტიალე ცირკში მოწყობილა შიკრიკად, მერე ბედს აგურის ქარხანაში შეუვლია; იშოვნა ფული, იყიდა საქალაქო მანუფაქტურა, თანაზიარმა უღალატა; იტანდა ჯიმი წაგებას, მოგებასაც.

ის დრო იყო, როცა თბილისში იური სერგევიჩი სუდეიკინი რესტორანის ინტერიერს ხატავდა, რასაც „ქიშერიონი“ დაარქვეს ქართველებმა. მხატვარს საველიო აბრამოვიჩ სორინს – ქართველი თავადების ყელმოღერებული ასულების პროფილი – ტილოზე უღამაზესი ხელწერით გადაქონდა; იყო ბალეტმაისტერის მორდკინის სტუდიაში, დრამის, ცეკვის აკადემია.

* * *

სამშობლოს გარეთ მყოფი მწერალი – გრიგოლ რობაქიძე პოლ უაიტმენის მრავალსაკრავიანმა ორკესტრმა მოხიბლა; იყნოსა აგრეთვე ზანგების სასულიერო გალობა, – შაკვანიანი მომუშავენი პლანტაციებში რომ მღეროდნენ⁴. შეესწრო საუბარს მარსელ პრუსტის გავლენაზე; ჩინეთის ამბებზე, რუსეთის რევოლუციაზე, ანთროპოსოფიაზე, ჩარლსტონზე, ავტომობილის ახალ ფორმაზე, და ვინ იცის, კიდე რაზე?

აფასებდნენ კანტს – მოედო ტვინი მის არსებას და გაასიათ.

კამათობდნენ, ბჭობდნენ:

– ხოშია და არა ლტოლვაო, ხურუში და არა ტრფიალიო, თუმცა მომხრენი და მოწინააღმდეგენიც იყვნენ აღფრთოვანებულნი, ზანგების ჯაზის გახელებით.

თვალღია სიზმარს ჰგავდა – კაფე „ვიენა“-ში მრამარი და ნიკელი ლიმონის ქერქის ფერში დნებოდა; ფროიდის ხსენება ანიშნებდა იმასაც, –

3. Фридрих Ницше, «По ту сторону добра и зла»; издательство Жуковского, 1905 год.

4. გრიგოლ რობაქიძე, „ფალესტრა“; ხსენებული წიგნიდან კამარა მეოთხე, გვ.764;

რომ „ადამიანი ზეპიროვნულს⁵ უნდა ეზიაროს“. გრიგოლ რობაქიძემ ზედმიწევნით ასახა პროცესი, რაც ავლენს და ფარავს, მიაქვს და მოაქვს, გადასხვაფერდა; ამასობაში წარსულიდან ამორძალთა ხსოვნამ გაინაპირა; იგზნო მწერალმა ქვეცნობიერი, წყვილადის მოძალების საფრთხე; ამორძალთა ამტანობა დაჭირდა; შეერთო მითოსი – სხვა ლიტერატურული ქმნილებებისგან გასხვაგვარი ფორმით – რომანის სივრცეს განწყობის გასამყარებლად.

ემურებოდა გარდასახვას თავის მხრივაც რეჟისორი – ინგლისელი ლორდი ადოლფ უნგარი. ასეთ ვითარებაში გვმართებს შევნიშნოთ, – რომ რეჟისორის მხრივ პერსონაჟთან შესახვედრად ავტომობილის თავდავიწყებით, უსწრაფესი მართვა, – ველად გაჭრილი რაშის შესადარი – გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების უიშვიათესი ნიუანსია – შეაჩერა მოძრაობა ზედროული ძლევა-მოსილებით... უმისოდ ადოლფ უნგარი გადაიჩეხებოდა... ასეთ დროს ჩანართების, სახეთა მინიშნებათა⁶ ზეტექსტი. – ლეთისმშობელის მფარველობაა.

რომანის დაუსრულებელი ფორმა ქმნადობის საწყისს ესადაგება.

11/16 ივნისი, 2024 წელი

5. კამარა მეექვსე, გვ.790, გვ.781.

6. ასახულმა დამოუკიდებელ, სახასიათო ფორმით საცნაურპყო თქმული, რომ ფიზიკის, ტექნიკის დინამიკური პარადოქსი გამოცხადების ნათელის გარეშე არ დარჩებოდა.

Фридрих Шлегель, «О Мифологии», Литературные манифесты западноевропейских романтиков, МГУ, 1980.



ცხრა მაისი

ცა იყო ჯანღიანი და ნახევრად კრიალა... სანახავი იმ დღის მულამს ჰგავდა:

შუა-მოედანზე აცეკვებულს – მოხეტიალეთა სიმრავლე ჰფარავდა – მრავალპირი ალაგ-ალაგ ჰგავდა მორღვეულ გალავანს... კიაფობდა ქვაფენილი და თან შუქ-ჩრდილს ნთქავდა...

...ამასობაში სიარულმა გზა გალია... კუთხე-კუნჭულს შეფარებული მათხოვრები აღმა-დაღმა, განდაგანა; თავისუფლების მოედანი ააფრთიანა ქედანმა... მაგანმა – ქუჩის მუსიკოსმა ვიოლინო ნარნარ სიმად აწკრიალა – ომში მყოფი შვილის დედას მწუხარება განუქარვა.

15-20 მაისი, 2024 წელი

ლიტერატურული ჟურნალი

გაია ღიახონიძე



„წარსულიც ვარ, მომავალიც, განა მარტო ანბანი ვარ“!

დალი მაზმიშვილის პოეტური კრებული – „საქართველო ანბანი“

როგორც პურის ყანას – თაკარა მზეზე აელვარებული თავთავი, – ისე ამშვენებს დალი მაზმიშვილის პოეზია თანამედროვე ქართულ პოეზიას. დღეს მინდა მისი ავტორობით გამოცემულ წიგნთან ერთ-ერთზე ვისაუბრო. ეს არის „საქართველო ანბანი“, რომლის რედაქტორი განსაკუთრებით ენათმეცნიერი, ლინგვისტი, მწერალი – ნინო არსენაშვილი. თვითონ სათაური ამ წიგნისა მრავლისმეტყველია. წიგნი ქართველებისთვის ხელით საგოგმანებელ და გულით სატარებელ საკითხს, ქართულ ანბანს ეხება.

როცა ავტორის – დალი მაზმიშვილის სახელსა და გვარს წარმოვთქვამთ, ეს ბევრს გვეუბნება. იგი არის ქალი – დედა, პატრიოტი, პოეტი, მასწავლებელი, რომელიც შემკულია უამრავი კეთილი თვისებით.

დალი მაზმიშვილი დაიბადა ქარელის რაიონის სოფელ დირბში. დაამთავრა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახ. გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. გამოცა ლირიკული ლექსების კრებულები – „ჩემი თეთრი გიტარა“, „ჩემი ტაო-კლარჯეთი“, „საბავშვო-შემეცნებითი ლექსების კრებული – „ნათლულების ქვეყანა“ და წიგნი – „იმედით ძლეული უიმედობა“, რომელიც მტკივნეულ სამაჩაბლოს თემას ეძღვნება.

დღეს კი ხელთ მიპყრია მისი ახალი წიგნი – „საქართველო ანბანი“, რომელიც ქართული ასო-ბგერების ტკბილხმოვანებითაა სავსე, ყველა ქართველის სისხლს რომ აღელვებს, ყველა უჯრედი სავსეა მისით. თუ არა ენა და ქართული ანბანი, რანი ვიქნებოდით?! – გვეუბნება პოეტი. „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს!“ – თავის დროზე თქვა გრიგოლ ორბელიანმა.

ქართული ანბანის მნიშვნელობაზე ბევრს გვეუბნება ლექსი „საქართველო ანბანი“, რომელიც წიგნის სათაურადაც ქცეულა. ჩვენი სამშობლო ანბანთანაა გაიგივებული, რადგან უანბანოდ საქართველო საქართველო არ იქნება, იგი არის მისი წარსული:

„მორეული წარსულიდან მოდის, სივრცეს თვითონ კვალავს, ქალღეას და ხეთას ვხედავ, მათგან მოსმულ პირველ ყალამს!“

აწმყო:

„აფხაზეთის, სამაჩაბლოს დარდი დააქვს რა ხანია, გაზაფხულზე იებს რა სჯობს, იის კორდიც ანბანია!“

და მომავალი. ის არის საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია. და ის, ვინც ქართულ ანბანს უღალატებს, ერის საფიცარს, ის საქართველოს მოღალატეა. პოეტი წერს:

„დღესაც მზეობს, სხივნათელობს, მისი ბედი სხვაგვარია, ანბანია საქართველო, საქართველო ანბანია!“

საქართველოს თითოეული გოჯი მიწა ჩვენი გმირი წინაპრების სისხლითაა გაუღენთილი, რომ არა ისინი, მათი მებრძოლი სული, დღეს არც ქართული ენა იარსებებდა და არც – უნიკალური ქართული ანბანი, რომლის ასოების მოხაზულობა უღამაზეს ყვავილებს გვაგონებს, ერთად კი თაიგულია, რომლის მსგავსი დედამიწაზე არც მოიძებნება, ვინაიდან იგი ერთადერთია. პოეტი დიდი ტკივილით საუბრობს იმაზე, რომ ქართულ ენას და ანბანს დღეს საშიშროება ემუქრება. იგი თავდახრილია. საგანგაშოა ახალგაზრდობის გადინება ქვეყნიდან, რომლებიც აქცენტს უცხო ენების შესწავლაზე აკეთებენ, მშობლიური ენა კი თითქოს დამხმარე ენად ქცეულა. მაშინ როდესაც, 2016 წელს იუნესკომ ქართული ანბანი შეიტანა მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში. წიგნის ავტორი ყველა ამ არგუმენტს, მათ შორის, ცნობილი ადამიანების გამონათქვამებს ქართული ენისა და ანბანის შესახებ, იყენებს, რომ დაამტკიცოს, რამდენად მნიშვნელოვანია ამ საგანძურის დაცვა და მოვლა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის.

„ენა ადამიანისა, მისი სიტყვიერებისა, მთელი ხელთუქმნელი ისტორიაა ერისა ცალკე და კაცობრიობისა ზოგადად“ (ილია ჭავჭავაძე).

„ყოველი შეგნებული მოქალაქე მოვალეა, თავისი ენა კულტად გადააქციოს და მისი ცოდნა, შესწავლა, უპირველეს ვალად გაიხადოს“ (მიხეილ ჯავახიშვილი).

მშობლიური ენის სიწმინდის დაცვისთვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოსი (კონსტანტინე გამსახურდია).

„დედაენა არის ეროვნული ძალა, მთავარი ბურჯი ეროვნებისა“ (იაკობ გოგებაშვილი).

და ბოლოს, დალი მაზმიშვილი წერს:

„ჩემი აზრით, ქართული ანბანი ყოფიერებაში განსხეულებული მარადისობაა, რომელსაც დღევანდელ უვრცეს სამყაროში თვითმყოფადობის გვირგვინი ადგას, ეროვნული სიმბოლოების სამოსი ამშვენებს, აძლიერებს და აკეთილშობილებს. რაც, მისი დედამიწაზე აღიარებული არსებობისა და არა მარტო დედამიწაზე, კოსმიური სივრცის ტევადობის აზრს იძენს და თითოეულ ჩვენგანს მისი პირველადი ქმნილობის უდიდეს სასწაულს აზიარებს“.

პოეტს თითოეული ქართული ასოსთვის საგალობელი მიუძღვნია, ის ლოცვასავითაა, რომელიც უფალთან მივა, პატარების ბაგეთგან აღვლენილი.

„თვალმოციმციმე გოგო-ბიჭს უთვლელს,
კვლავ შეგაყვარებ საოცარ ანბანს,
როგორც ყოველთვის, ცას დამეს ვუთევ,
ქათქათა მთვარის ნამცვრევით ნაბანს“.

წერს და მართლაც თავისი ანბან-ლოცვებით, ასე დავარქმევდი ამ მიძღვნებს ქართული ასოებისადმი, პატარებს ასწავლის სამშობლოს სიყვარულს, მის ისტორიას, რომელიც უწყვეტი კავშირია წარსულსა და მომავალს შორის, მისთვის თავდადებას.

„სამყაროს სწყდება ძახილი ჩემი,
არტანუჯს, ბანას სამკვიდრო მედვა,
ჩემი წარსულის ვარ გადამჩენი
და სადაც ვაგნდი, იქ ვდგავარ მედგრად“!

თვითონ პოეტი ერთგულია თავისი სამოსახლოსი, თავისი ეზო-კარის, დგას, იქ, სადაც სამშობლოს ყველაზე მეტად უჭირს. სწორედ ასეთი სულისკვეთებით, იგი მაგალითია მომავალი თაობისთვის.

დღეს ქართული ანბანი მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენს სარწმუნოებასთან, ამიტომ დალი მაზმიშვილი ანბან-ლოცვებში განიხილავს ქართულ ეკლესია-მონასტრებს, როგორც ჩვენი ლოცვების გამტარს უფალთან. შეგვახსენებს, რომ დღეს ბევრი მათგანი მოსაზღვრე სახელმწიფოების, ხოლო ბევრიც მტრის მიერ მიტაცებულ, ოკუპირებულ ტერიტორიებზეა. ბევრი სავალალო მდგომარეობაშია და მათ შეველა სჭირდებათ.

„იშხანი, სივრცე და გაოცება,
ასომთავრულის იაგუნდებით,
მოწიწებით რომ დაიკოცნება,
მოინატრებ და კვლავ დაბრუნდები“.

რა თქმა უნდა, კვლავ უნდა დავბრუნდეთ იმ მიწაზე, რომელზეც ჩვენს მამა-პაპას უღვაწია, ეკლესია-მონასტრები აუშენებია, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, თუმცა ეს დღეს შეუძლებლად მიგვაჩნია, მაგრამ სასწაულებიც ხდება.

ცრემლნარევია სტრიქონებია:
„პატარა ღვთისმობლის ტაძარი,
ღირბის ცის კაშკაშა თავანი,
ყველაზე ძვირფასი რაც არის,
რაც დავგრჩა – ყველაზე მთავარი“!

მომავალ თაობას პოეტი თითქოს ანდერძად უტოვებს, მოუარონ და სიცოცხლე შთაბერონ ჩვენს გაუქმებულ ხატ-სალოცავეებს.

„ნამზეური, ნანდობარი,
ნატადრალი, ნასახლარი,
ნახიდარი, ნაომარი,

ნახანძრალი, ნამეხარი“.

ის, რაც მრავლადაა დღეს, მათი აღდგენა კი ახალგაზრდა თაობის მთავარი მიზანი უნდა იყოს.

ანბან-ლოცვებში პოეტური ოსტატობით არის გადმოცემული საქართველოს ბუნების სილამაზე, პოეტი უხვად იყენებს მხატვრულ სახეებს: მედარეებს, მეტაფორებს, ჰიპერბოლებს, რომ შეგვაყვაროს საქართველოს თითოეული კუთხე, თითოეული კუნჭული. საქართველოს ზღვა, მთა, ჭრელი ყვავილიანი ველი თუ ოქროყანა.

„დგება დილა ჩქერით სხივთა,
დედამიწა ბრწყინავს, ელავს,
ფერადდება წითლად, ყვითლად,
ლურჯად, მწვანედ, ცისარტყელად“.

პოეტი ბავშვებს შეახსენებს, რომ ქართულმა ანბანმა განვითარების სამი საფეხური გაიარა და მან მოგვცა წმინდა სამება: ასომთავრული, ნუსხური და მხედრული. ამით არის კიდევ იგი უნიკალური.

„ცას კეგები ფიანდახად
პირველი და შეუცვლელი,
გზა მრგვლოვანის, ნუსხურის გზა,
მხედრულის გზა, გზა ჩემი“!

არაჩვეულებრივი ტკბილხმოვანება დაჰყვება ანბანსაქებარ ლექსებს, რითაც ბავშვებისთვის ადვილად შესასწავლია, და ეს მუსიკალურობა ამ ლექსებისა, მთელი ცხოვრების გზაზე გაჰყვებათ ჩვენს გოგო-ბიჭებს.

„სადაც მე ვარ, ფრთას შლის ქარი,
მიმოზებიც მხვდება შლილი,
ვარ ანბანის დედოფალი,
თქვენნი შარიშურა შინი“.

ან

„ყანა ღელავს, თაველები თავებს ხრიან,
გვირილები ცეკვავენ და იცინიან,
არც ჭალიანს გაჰყურებენ, არც ვერხვიანს,
ბილილები ყაყაჩობებს შეჰხარიან“.

პოეტმა ქალმა საუკეთესოდ იცის, რომ ქართული ანბანი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებამდე შეიქმნა და მისი დაბადება უბრძნეს ქურუმთა ნამოღვაწარია. ამ კვლევებს დიდი დრო დაუთმო და მთელი ცხოვრება მიუძღვნა ჩვენმა დიდმა ენათმეცნიერმა – რამაზ პატარიძემ, რომელმაც დაგვანახა ის, რასაც ჩვენ ვერ ვხედავდით, რაც ჩვენს თვალთგან დამალული და ჩვენი გონებისგან შეუცნობელი იყო. ლექსში „დაბადება“ დალი მაზმიშვილი ეყრდნობა ჩვენი სასიქადლო მეცნიერების – ივანე ჯავახიშვილის, რამაზ პატარიძის და სხვათა კვლევებს, როცა წერს:

„ასრულდა უფლის ძალი და ნება,
უბრძნეს ქურუმთა ნამოღვაწარით,
იწყო მრგვლოვანმა გასხივოსნება,
დედამიწაზე იშვა ანბანი“.

პოეტი მითოლოგიასაც იყენებს საჭიროების შემთხვევაში და ანბანის პირველ ასო -ა- ზე წერს:

„ავმაღლდი ცად და მთვარის ნათელი
მოუხრელ მხრებზე ჩამომფრქვევია,
მე ცის ღმერთი ვარ, სამყაროს მცველი,
ვარ დასაწყისი და ან-ი მქვია“.

როგორც სქოლიოშია მითითებული, ან – ასომ-

თავრულის ასონიშნებში წარმართული პანთეონის სახელდებებია გამოსახული. შუძვერულად და ქართულად კი იგი მთვარეს – ცის ღმერთს აღნიშნავს.

ანბანის ასოები ჰოეთი – შ მთავრდება. ის ერთ-ერთი ხუთ ასოთაგანია, რომელიც ანბანიდან იქნა ამოღებული. პოეტი ღიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ასოს და თავისი გულიდან წამოსული შეძახილით სთხოვს დედამიწას, სამყაროს, დაკარგული ნაწილები დაუბრუნოს საქართველოს, რომ საქართველო სრულყოფილი სახით მოველინოს ყოფიერებას და იმქვეყნიურ სულთა სამეფოსაც, რათა დაწყნარდნენ აფორიაქებული ჩვენი წინაპრები.

„თრიალეთიდან გავძახებ შორეთს,
ამერ-იმერს რომ ხმა მივაწვდინო,
ჩემი სათქმელი გაიმეორე,
ჩემი მიწა-წყლის ყველა ნაწილო!“
როგორი დარდით არის სავსე ეს სტრიქონები:
„მომენატრეთ და ვიცი, თქვენც გესმით,
ჰოი ჰერეთო, ჰოე დვალეთო!
ო, აფხაზეთო, კარებს კვლავ შევხსნით,
ო, სამაჩაბლოვ, გვალამაზეთო!“

ავტორი არ კარგავს იმედს, რომ საქართველო კვლავ გამთლიანდება და გალამაზდება, ვინაიდან სრულყოფილებაში – გამთლიანებულ ძლიერ საქართველოშია დიდი სილამაზე.

ამოუწურავია, ის მასალა, რომელსაც დალი მაზმიშვილი ამ წიგნში „საქართველო ანბანი“, გვთავაზობს. სულ უნდა ვიკითხოთ და ვიკითხოთ, რომ ის დავიმახსოვროთ, დავამახსოვროთ ჩვენს შვილებს, არ დაივიწყონ მშობლიური ენა და მიწა.

წიგნი მთავრდება ლექსებით ანბანზე, რომელთა მხატვრული ღირებულება ძალიან დიდია, თითოეული შემკულია ფრთებით, რომ ბავშვებთან მიფრინდნენ, მიუტანონ ცოდნა, სიყვარული ქართული ენის, თითოეული ქართული ასოსი.

ლექსში „ანბანი“ ჩიტის გალობაც ისმის და ქართული სიმღერის ხმებიც ჭექს:

„ანი-ბანი, ლექსის ფრთანი,
სიბრძნის ბჭე და გალავანი,
ტადრის ძველი ჩუქურთმანი,
„ოროველას“, „ლილეს“ ხმანი,
მზენადენი, მზენაბანი,
მოლივლივე მზეკაბანი,
ყველა ბგერა უფლისანი“.

მადლობა მინდა გადავუხადო ძვირფას პოეტს, რომელმაც უზარმაზარი ღრო და ენერგია შეაღია ამ წიგნს, და რომელიც შუქურად, გზამკვლევად უნდა იქცეს პატარა ქართველებისათვის.

აღსანიშნავია წიგნის მხატვრობა, რომელიც ხათუნა მახათაძეს ეკუთვნის. თითოეული მხატვარი ქართული ასოების უნიკალურ მონაზულობას გვთავაზობს, ვინაიდან ყოველი მხატვრის ხედა ინდივიდუალურია. ამ შემთხვევაშიც ქართული ასოების უნიკალურ მონაზულობას ვხედავთ.

წარმატებებს ვუსურვებ წიგნს, რომელიც, იმედია, მალე დაიპყრობს ქართველთა გულებს და სამაგიდო წიგნადაც იქცევა პატარებისა და დიდებისთვის.

დალი მაზმიშვილი

„ჩაკრულო“

ჰანგი, ცისკენ ანასხლეტი
ოცნებაა, ელვის დარი,
ფრთები, ფრთები, ფრთებზე მეტი...
უკვდავების წყაროს წყალი.
მისეული ხიბლი იწვევს
სამთვარეოს, სამზესოსაც,
ხვდები, ვეღარ დაივიწყებ,
ვით მთის გულზე გაშლილ შრომანს.
თითქოს ხმალი, გორგასალის
ზეცას წვერით შეეხება,
ხდება შენი საფიცარი
და სამყარო ფეხზე დგება.
კლარჯეთს, ტაოს, ჰერეთის ცას
ბგერის ხავერდს უნაწილებს,
მერე დარდებს მოუვერცხლავს
გადალობილ ჩვენს ნაწილებს.
თავისუფალ სამყაროში
ძმობის ჰიმნად იტრიალებს,
ყვავილების ჭრულ მინდორში
მზით აავსებს მზის ფიალებს.
თავს არ დახრის, სადაც არ სურს,
ნაკვალევიც სურს დატოვოს,
ყველგან აჩენს მის ამაყ სულს,
რომ არავინ ებატონოს.
ცას ძრავს მისი მძლავრი ჰანგი,
ხმით ავსილი ზეცაც ლელავს,
წვიმისა და მზის ნაქარგი
თავზე ადგას ცისარტყელა.
ხმის ჩუქურთმა – ხვეულები
ჩაეწვენება ნისლის სურებს,
გალაქტიკის უცხო ხმები
ტკბილ ქართულით იბუღბულებს.
ჰანგსაც მადლი ცისკენ მიაქვს,
უფლის ხელით ნაგეშია,
რაც ერს ხსნი სთვის შეუქმნია,
სულ „ჩაკრულოს“ ჰანგებშია.

* * *

ვერა, ვერ მორჩა ქარი
ბაღში ყვავილთა თოვას,
აპრილის საჩუქარი
უცხო გზებს შეატოვა.
მოდის წვიმების თქემით,
თბილი ღღეების ნაცვლად,
რა ნაცნობია ჩემთვის
სულს ჩარჩენილი განცდა.
შაშვებმა იწყეს სტვენა,
ბაღი ეჩვევა ლოდინს,
მზე მინდვრებს როცა ფერავს,
დიდი იმედიც მოდის!
ასე ედება ბანგად
გულს სიყვარულის ბანგიც,
უტკივილოდ კი ალბათ
ქვეყნად არავინ დადის!

აფხაზეთო

კვლავ გეძახნი,
 სული წყურვილს ველარ იკლავს,
 მაგ მიწიდან წართმეული ხე ვარ დარდის...
 აფხაზეთო, რად არ მიღებ დაკეტილ კარს,
 დაკარგულის მონატრება
 გულში ბარდნის!
 გაზაფხულიც ვერ მიყვავებს
 ფერად კვირტებს,
 საოცნებო, რაც გამაჩნდა,
 წარსულს მიაქვს,
 ტკივილს ჩემსას
 ზღვის ტალღებიც ვერ დაიტევს,
 აღარ გალობს
 ჩემს ტოტებზე მაფშალია!
 უშენობით გული ტირის,
 სული ჭკნება,
 სიზმრებში კი, მიმაქანებს
 ზღვისკენ აფრა,
 რამდენადაც დევნილს
 ყველა მეფერება,
 სიყვარულმა მით სიობლე
 გამიმძაფრა!
 მონატრების ცა მომიყვანს თოლიებთან,
 ილორის ცაც სუფთაა და უნისლოა,
 ჩემს სიცოცხლეს გადაარჩენს ყოფნა შენთან,
 ქარს, ფოთლებიც დაცვენილი,
 შენკენ მოაქვს!
 ზღვისფერი და ოქროსფერი
 ოცნება ხარ,
 მაგ მკერდიდან მოგლეჯილი
 ხე ვარ დარდის,
 იქნებ მიტომ დავისაჯე,
 რომ მიყვარხარ,
 სიცოცხლეზე კიდევ მეტად
 რომ მიყვარდი!

სამშობლოს

სიკეთისა და ხარ ყოფნის ხნული,
 ცაზე მზის სურნელი ილაკრება...
 და პატარ-პატარა სიხარული
 უფლის ჩიტებივით მიმრავლდება.
 სიცოცხლე სიყვარულში იბადება,
 გული რა გულია, თუ არ მღერის,
 ასე სანთელივით შენთვის დნება,
 უკვიროთ, რატომ ხარო ბედნიერი!

* * *

მაგ გულისცემას, როგორც ცრემლს,
 შენვე ინახავ მეტწილად,
 მან გაგიგრძელა სიცოცხლე, ვინც თავი შენ
 შემოგწირა.

შენგვარ დამთმენსაც ვერ ნახავ,
 ვერ თვლიდეს ცრემლთა ნაგუბრებს,
 ბევრს სათავისოდ უყვარხარ,
 საჭეს კი მტრისკენ აბრუნებს!

მამას


რა დრო გასულა,
 შეჰპარვია სულს წლების თრთვილი,
 რა სიყვარულში მიცხოვრია
 შენ გვერდით, მამა,
 დროთა მდინარემ მაპოვნინა
 სანდო ნაპირი,
 უფლისეული კელაპტრებიც
 რა ახლოს ჩახან!
 სამოთხის ბალის სამშვენიისის გახუნდა ფრთები,
 უფალი თვითონ გვინაწილებს
 სიკეთის წამალს,
 მეამაყება დღემდე
 შენი ძალალი
 მხრები
 და ის დღეები,
 გულიდან რომ არასდროს წავა!
 ჩამოსხდებიან სევდიანი მოლალურები,
 მოწყენილ ნაძვზე მივიწყებულ ოცნებებს
 ჰგვანან,
 მწვერვალებს ჩონად შემოუცვამთ
 შავი ღრუბლები,
 მიწის თბილ უბეს
 ჩაფრურჩულეს, –
 მიყვარხარ, მამა!
 აქ, სამზეოდან, ჩანისლული
 ჩანან ველები,
 დრო მოკლდება და
 ყველას უჩენს
 საკუთარ სამანს,
 ხონბისფერდება
 ხორბლისა და მზის თაველები,
 რა სიყვარულით მიფერადე
 სამყარო, მამა!

გალაკტიონი

ის იყო უფლის საჩუქარი
 დედამიწაზე,
 მსხვერვალი, როგორც
 მჭვირვალი ბროლი,
 ის არა ჰგავდა ჩვეულებრივ
 თინისგან ნახელს,
 ახლობელი და ძალიან შორი.
 ტკივილი – მეტი,
 სიხარული – ცოტა ძალიან,
 დაღლილი ცრემლი
 კამკამა მთვარის,
 ლექსით კურნავდა
 ჩვენს გულებში რაც ნაბზარია,
 იყო სიზმარი,
 მხოლოდ სიზმარი!
 ცაში გაფრინდა,
 ცამ იტვირთა მსგავსება სულის,
 ფიქრებს გვიყვავებს
 შრომის ფერებად,
 ზეალმატება მისეული
 დამყარდა სრული,
 გადმოტყორცნილი
 ლექსად, ბგერებად.
 გაბნეულია თვალისმომჭრელ
 სილაყვარდეში,
 ჰორი ნონტიდან
 მზერად დაგვყვება...
 მოდის ღრუბლიდან, ქუხილიდან
 დიდ სინათლეში,
 ბრწყინვალეს ისე,
 აღარ ჩაქრება.

მთინე ჭელიძე

ლეილა ჟიბოვსკი-სახლთხუცისკი



„სული მწყურვალ ვერ შეგელია, ქვათახევისკენ ისევ მელიან“...

ვანო ჩხიკვაძის მოთხრობების კრებული – „ორი კაცი“

„ზოგიერთებს სურთ, დრომ თან წაიფლოს წარსულიც, მე კი მინდა, დროს არაფერი გავატანო“..

ბარსია ბაბრიშვილი მარაშხი

„კარგა ხანს მჯეროდა, რომ თუ იმაზე წერ, რაც ყველაზე უფრო გიყვარს, უთუოდ საუკეთესო გამოვა. ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეა“...

გიორგი კვიციანი

„მწერლობა მხოლოდ მაშინ მანტიერესებს, როცა ის ცდილობს და ხელს უწყობს სულის ზრდას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სევდას მგვრის“...

აივანოვიჩი

1983 წლის შემოდგომაზე ჩემი წიგნების თაროს გამომცემლობა „ნაკადულის“ მიერ, 15000 ტირაჟით, გამოშვებული ვანო ჩხიკვაძის მოთხრობების კრებული „ორი კაცი“ – შეემატა, რა თქმა უნდა, წაკითხული მქონდა მისი ლექსების კრებული (1973წ. გამოცემა.), ასევე ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მოთხრობები, მაგრამ ერთად თავმოყრილმა სულ სხვა ემოცია გამოიწვია... ჯერ კიდევ მაშინ მქონდა სურვილი, წერილობით გამომეთქვა ჩემი აზრი, დამოკიდებულება ამ კრებულისადმი, თუმცა სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ მოვახერხე; ისღა გავაკეთე, რომ მოსწავლეთა ეროვნული სასახლის წრის წევრებს წავაკითხე, ვაშუშავე მწერლის ლექსიკაზე, რაც მთავარია, ჩვიდმეტივე მოთხრობა გავაანალიზეთ

და, ასე ვთქვათ, ჩვენი „ვერდიქტიც“ გამოვუტანეთ... მოგვიანებით გამოვიდა მისი პროზაული კრებულები: „ჩიტები ზამთარში“ (1986წ.) „წიგნში დამარხული ყვავილების სევა“ (1989წ.), „ექვ“ (1999წ.), „დერეფანი“ (1999წ.), რომელიც 274 გვერდს მოიცავს...

ყურადსაღებია, კრებულის შესავალში, მწერლის მიმართვა მკითხველისადმი:

„ყოველი ახალი წიგნის შექმნა სახლის მშენებლობას ჰგავს. დღითა თუ ღამით ნელ-ნელა, მაგრამ ჯიუტი მოთმინებით აგყავს „კედლები“, ახარისხებ „სამშენებლო მასალას“, შლი, ასწორებ და ფიქრობ, განუწყვეტლივ ფიქრობ... რატომ დავარკვი წიგნს „ორი კაცი“?..“

ამ ქვეყანაზე ორი კაცი დადის, კაცი – კეთილი და კაცი – ბოროტი. როცა ორი უშველებელი ლაშქარი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერკინება, ეს ორი ლაშქარიც ორი კაცია. ალბათ, წიგნი გეტყვით, რომ მე, თქვენთან ერთად, იმის მხარეზე ვარ, ვინც ადამიანის უპირველეს მოვალეობას-ხორცშესხმულ სიკეთედ იაროს ქვეყანაზე – არ ღალატობს... დასრულდა ჩემი „სახლი“, ველოდები პირველ „სტუმარს“ და არ ვიცი, შევძლებ თუ არა საკადრისი მასპინძელი ვიყო. ერთი რამ კი ამთავითვე შემიძლია ვთქვა: – დიდი სიყვარულით ვაშენებდი“!..“

წლების შემდეგ, ხელახლა წაკითხულმა ისე დამმუხტა, რომ გადავწყვიტე ამ საოცრებებს კვლავ მივბრუნებოდი; მოთხრობებს, რომელთაც უტყრემლოდ, გულსგარეთ ვერ წაიკითხავთ, ამის საშუალებას მწერალი, ფაქტობრივად, არ გაძლევს, რადგან ყოველი მომდევნო მოთხრობა ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს, ახალ საფიქრალს გიჩენს, თუმცა დიდი სევდის გარდა, სიამაყესაც გმატებს, რადგან ეს გენიალური ადამიანები ჩვენი სისხლი და ხორცია, ეს მოგონებები თუ ამბები ჩვენია...

იმედია, მკითხველი ამ სიტყვებს პათეტიკად და ლიტონ სიტყვებად არ ჩამითვლის, რადგან ვინც სიღრმისეულად იცნობს ვანო ჩხიკვაძის შემოქმედებას, მიხვდება ჩემი ემოციის დანაღმულ გულანდილობას... სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, დრომ უკვე მიუჩინა მის შემოქმედებას საკადრისი ადგილი, დროს არაფერი ეშლება... ამის დასტურია ეროვნული ლიტერატურული ჯილდოების მცირე ჩამონათვალი: იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედალი და მისივე სახელობის პრემია, გორის საპატრიო მოქალაქეობა, ღირსების ორდენი, საქართველოს ეროვნული პრემია, მავალა მრეწველიშვილის სახელობის პრემია, საქართველოს მწერალთა კავშირის პრემია, პრემია „საგურამო“ და სხვა. მწერლის ნაწერები თარგმნილია: რუსულ, გერმანულ, ლიტვურ, უკრაინულ ენებზე...

აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ იმ ბნელ „საზიზღარ საბჭოთა ეპოქაში“, ეს ეროვნული თემატიკითა და პატრიოტიზმით გაჟღერებული მოთხრობები საქართველოს კომკავშირის პრემიით დაჯილდოვდა... ახლანდელ, ზედაპირული აზროვნების ეპოქაში კი მათ, ალბათ, ნაკლებად კითხულობენ და თუ კითხულობენ, ასე მგონია, ბოლომდე ვერ აღიქვამენ ახალგაზრდა ავტორისგან მოთხრობილ ტკივილიანი სონატების მწუხარე ტონალობას...

„შეზღუდვები ზარების „ნაუ“,
ზამთარს ჩვეული მოაქვს მოწყენა,
გადაჩვეული ქარების ხმაურს –
ტყეების ფერხით წევს ფოთოლცვენა
და წირვის შემდეგ, როგორც წესია,
პირმოკუმული ღუმს ეკლესია.
და სულ მგონია, რომ ფენშიშველი
ღედა ღვთისმშობელს გადავეყრები“.

„არსად მამალი არ ყვივს,
ნანგრევები და ქვებია,
მიტოვებული სახლები,
ერთმანეთს ეხუტებიან.
ზღურბლთან მომდგარა ბალახი,
გზისპირს მოედო იელი,
დაძახებაც კი არა ღირს,
გამქრალა ძეხორციელი.
ქარი თუ გააქანავებს
კარებზე კლიტის აკიდოს,
კიდევ რომ იყოს მამალი,
ვინ უნდა გამოაღვიძოს?“

კარგა ხანია დავრწმუნდი, რომ ყველაზე ად-
ვილია ის აკეთო, რაშიც უფალია, ყველაზე ძნელია,
როდესაც იმას ეჭვიდები, რაც შენი არ არის...
მწერლის ნაწერებში არა მარტო უფალია, არამედ
საკუთარი წინაპრების დანატოვარი და მარადიული
ქართული სევდა, ურომლისოდაც ჩვენი მხატვრული
ლიტერატურა ისეთ ღირებულებებს კარგავს, რაც
მასში მთავარზე უმთავრესია.

„ერთი გაყვითლებული სურათი გამახსენდა,
რომელიც ჩვენი ოჯახური ალბომის პირველ
გვერდს ამშვენებს. სურათი მოსწავლის რვეული
რომ გადაკეცო, იმხელაა. რიყის ქვით ნაშენ, შეულე-
სავ კედელზე ფარდაგია გაჭიმული. კედლის წინ,
მოკლე ძელსკამზე კოპებშეკრული კაცი ზის. ფარ-
ცხვივით ჩამოშვებული ულვაშის ბოლოები ზედა
ტუჩს უფარავს. ძვალმსხვილი, ნიჩაბივით ხელები
მუხლისთავებზე უწყევია, თითქოს უნდა საკერებელი
დამალოსო, და მეტყველი, ჯიუტი თვალებით იყ-
ურება. ცოტა ვაჟა-ფშაველას წააგავს, მაგრამ ჩემი
წარმოსახვით, რატომღაც ზუსტად ასეთი უნდა ყო-
ფილიყო თევდორე ბერი. მტრისადმი სიძულვილით
დანაღმული მკერდითა და გაუტყეხელი მხერით.
ხომ გახსოვს იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა
„თავდადებული მღვდელი თევდორე“? გაიკვირვებ,
საიდან სადაო. რა ვიცი, მე ასე მგონია – ყოველ
შემთხვევაში, სულის მსგავსებაა მთავარი და არა
ფოტოგრაფიული სიზუსტე.

კაცს გვერდით ჩიხტიკოპიანი ნაღვლიანი სახის
ქალი უზის. მოღლილი, ერთმანეთში თითებჩახ-
ლართული ხელები კალთაში დაუდევრად უყრია,
თითქოს ცომის ზეღვითა და თონის სიმშურ-
ვალეში ტრიალით ატკეცილი ხელის მტკეხები
მას კი არა, ვიღაც სხვას ეკუთვნოდეს. თითქოს
სადაცაა წამოდგება და კალთიდან ლობიოს ჩენჩოს
გადმოიფერთხავს. ცოლ-ქმარს შუაში ტიტლიკანა,
სამიოდე წლის ბიჭი ჩაუყენებიათ. გატიკნული
და საყვარლად სასაცილო. სურათზე კიდევ ორი
ბავშვია – უფროსი და შუათანა – ისინიც ბიჭები.
უფროსს – ჰა და ჰო – მოზერობა ეთქმის, შუათანა
კი, ახლადმოცვლილი სარძევე კბილების მიხედვით
თუ ვიმსჯელებთ – ჯერ მთლად ნეღლია და სხ-

ვებზე მეტად გაცოცხლებული. ოჯახს მეოთხე ბიჭიც
ჰყავდა, მაგრამ ამ სურათზე ვერ მოხვდა ფრიად
სერიოზული მიზეზის გამო – ჯერ დაბადებული
არ იყო. სურათი ორმოცდაათიოდე წლის წინ არის
გადაღებული ჩვენი მამაპაპური სახლის კედელთან.
ვხედავ – სურათის გადაღებამდე რამდენიმე წუთით
ადრე როგორ შევარდა შუათანა ბიჭი ოთახში, ძახ-
ილით – მესურათე მოვიდაო. ბავშვები სადღვებელს
ჩაფრენილი ღედას შემოეხვივნენ ყელის წვეით და
ვედრებთ, მერე ოთხივენი სათონის გვერდით, სარის
ჩორენაში გართულ კაცს თავს დაადგნენ. კაცმა
დამღურებულებით ამოხედა ცოლს – რა მესუ-
რათეაო – უნდოდა ეთქვა, მაგრამ სულ პატარამ
ისე შეჰკლიმა და სიყვარულით მოუთათუნა ლოყაზე
ხელი, რომ მოტყდა, წალდი ჯირკვლე დაარტო და
ტანსაცმლის გამოსაცვლელად შევიდა. ყველანი
უკან მიჰყვნენ გახარებული კუსკუსით. მალევე
გამოვიდნენ – მე შენ გეტყვი და ტანსაცმლის
არჩევანში წაუვიდოდათ დრო. კედელზე ქალის
ნამზთივი, გახუნებული ფარდაგი გაჭიმეს. ბავშვებმა
ხენეშით მოათრიეს ძელ-სკამი. ჯერ მშობლები
დასხდნენ. კაცმა უმცროსს პერანგის ამხანაგიც
გაადრო – აქოდა, ესეც ნახონ, რისი პატრონი
არისო, და ვერე, დედიშობილა დააყენა სკამზე.
უფროსი სკამის უკან დადგა, შუათანა მშობლების
ფეხებთან ჩაცუცქდა. ფოტოგრაფმა შავი ხავერდის
ნაჭერი წაიფარა თავზე. ერთხანს აპარატის უკან
იფუთარავა. მერე ხელი გამოყო, აპარატზე ჩაკონ-
წიალებულ რეზინის ბურთულას წაავლო... წამიც
და... ფირმა ოჯახი აღბეჭდა...

ფოტოზე დროა გაყინული, როგორც საბუთი
იმისა, თუ როგორები არიან ის ადამიანები, ვისი
სისხლიც ჯერ ჩემში და მერე შენს ძარღვებში
გადმოვიდა. მაგრამ სურათმა ამის შესახებ არაფერი
იცის. ის მხოლოდ თავის თავში ცხოვრობს და იმ
ერთადერთ წამს იმეორებს, ფოტოგრაფის ხელმა
რომ ჩამოატეხა ჟამთასკვლას – მრავალწახნაგო-
ვან გოლიათს, და ამ უბრალო ადამიანებს აჩუქა,
დაგვიტოვა ჩვენ, როგორც სევდიანი რელიქვია... რა
მოხდა მერე, როცა ფარდაგი ჩამოსხნეს, ძელ-სკამი
ძველ ადგილას დადგეს და ისევ ყოველდღიურ
ფუსფუსს, თავისი ცხოვრების რიტმს დაუბრუნდნენ?
უფროსი შეიღი ომმა შეიწირა, ჯერ მთლად ახალ-
გაზრდა, ისე, რომ „საოხად სულისა“ არაფერი
დარჩენია. კაცი, პაპაჩემი, დედიშობილა რომ იღვა
მშობლების შუაში, ორიოდე წლის წინ იმსხვერპლა
ავადმყოფობამ...

**უამრავჯერ ნათქვამი უნდა გაგიმეორო: მინდა
იცოლო, რომ ყველაფერი არც ჩვენი დაბადებით იწ-
ყება და არც ჩვენი გარდაცვალებით დასრულდება.**
ამიტომ უნდა საფუძვლიანად გრძნობდე, მხოლოდ
ახლო წარსულს კი არა – იმ საუკუნეების თვალ-
ჩაუწყვდენელ სიღრმეებს, რომელიც ჩვენმა სისხლმა
გამოიარა, უდიდესი ტანჯვითა და ბედთან კირთებით,
გამარჯვებათა სიხარულით, დამარცხების სიმწრითა
და ღალატით შეურაცხყოფილმა. მისი შემად-
გენლობა ათასჯერ აღრეულა, ტყუილუბრალოდ
მილიონჯერ დაღვრილი და შერევიდა წყალსა
და მიწას, ვიდრე შენამდე მოაღწევდა, მაგრამ **ამ
სისხლს ყველაზე მთავარი არასოდეს დაუკარგავს
– უდიდესი თავგანწირული სიყვარულის უნარი.
პატარა ერს დიდი ხანჯალი უნდა ჰქონდესო –**

უთქვამს მთიელს და ალბათ ეს ხანჯალი ჩვენთვის სიყვარული იყო, სიყვარული წარსულისა და მომავლისა...

ყველამ ვიცით, რომ ქართული ლიტერატურის სივრცის გარეშე შეუძლებელია დარჩე ქართველად; ამ სივრცის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია ხსენებული კრებული, ზოგადად მწერლის მთელი შემოქმედება; ისიც ყველას მოეხსენება, რომ კარგი ნაწარმოები ინდივიდუალურად აღიქმება... დავიწყებული ფაქტების აღდგენა უფრო ძნელია, ვიდრე ახლის შეთხზვა: .

...,ორი პატარა ტომარა წისქვილში შევიტანეთ. ტრიალებდა დოლაბი, ფქვილს ხელი შევუშვირე, — თითებში ჭირნახულის სითბო ვიგრძენი. ცვიოდა ხვიძრიდან თითო-თითო, ორ-ორი მარცვალი, სტოდა სარეკელა. ხელისგული თანდათან ინაქრებოდა... იმ შორეულ სურნელს ვგრძნობდი, ბავშვობაში რომ განმეცადა... მეორე კარით წისქვილის უკან გავედი, დამრეც ღარში წყლის ნაკადი თავპირისმტკრევით მორბოდა, მხეფებში მიმალულ რკინის ფორმებიან ბორბალს ემსხვრეოდა, აბზრიალებდა... ერთბაშად დატრიალდა მოგონება, გამოჩნდა შუა ეზოში, უღელქვეშ თავდახრილი ხარები, დიდრონ, ცრემლიან თვალებზე ბუხები რომ ეხვევიან. ხარები ფერდებს ხელნას უხახუნებენ, კუდებს იქნევენ და მათ შორის კედლის საათის ქანქარასავით ქანაობს ტალახშემხმარი კონკილა...

პური ოჯახის ღმერთი იყო. ის დადიოდა შუბლგახსნილი, ვისაც ამბარი ხორბლით ჰქონდა თავმოდგმული, ვისი კილობანიც სავსე იყო ახალგამომცხვარი, სიფრიფანა ლავაშში გახვეული შოთებით. — სად წახვალ, აქ მოგიყვანს კილობანი! — მეტყობდა ხოლმე ბებიჩემი, როცა გავაბრაზებდი და გაქცეულს ყასიდად ჯოხს დამიქნევდა. მართლაც ასე იყო, დიდი და პატარა უხილავი თოკებით კილობანზე იყო მიბმული. მას შეჰყურებდა შიშითა და მოკრძალებით — არ გამოლოყულიყო პური ჩვენი არსობისა... ჩვენი შვილების წარმოდგენა პურზე პურის მაღაზიით იწყება და მთავრდება. თუთიყუშებივით იმეორებენ: „იზარდე, მწვანე ჯეჯილო, დაპურდი, გახდი ყანაო“. მათი ლექსიკონიდან ამოვარდნილია მარცვლეულის მოსაყვანად გაწეული დიდი შრომის უაღრესად ზუსტად გამომხატველი სიტყვა — ჭირნახული... არ იციან იმ გულუბრყვილო რიტუალის მადლი — დაგდებული პური რომ უნდა აიღონ, სული შეუბერონ და ეამბორონ. არ იციან, რადგან არ უნახავთ ნაწვიმარზე მოულოდნელად გადამწვანებული ველი, გვირილებით მოქარგული ჯეჯილი, — მწყრის ქვითქვითში რომ იზრდება, — მკათათვეში სავსე თავთავებით თავდახრილი.

არ უნახავთ, ზაფხულის მზის ქვეშ როგორ მიჰყვებიან ყანას ოფლად დაღვრილი მთიბავები. არ შეუკრავთ ხელეურები და ნაწვერალზე წვივები არ დაჟაწვრივით. ჭირნახული მერე ჰქვია — თავთავი რომ გაიღეწება, გადაირჩევა, სათესლედ და სახარჯოდ განაწილდება, მზის გულზე საფენზე გარეცხილ ხორბალს რომ გაშლიან — გვერდით მოხუცს ან ბავშვს მიუსვამენ, ჩიტმა ან ქათამმა არ აკენკოსო.

ჭირნახულისა და სამშობლოს მცნება ერთ ძირზეა დამყნობილი — ეს ჩვენი და ჩვენი წინაპრების მიწა, — მის არსებობას ხანდახან ასფალტის ნიღაბი

გვაიწყებს და სუფრაზე ცრემლების ღვარღვარის, დიდი წინაპრების წმინდა ლანდებით თავმოწონების, მათი წარამარა შეწუნების ნაცვლად, სჯობია, ჩვენ შვილებს ვასწავლოთ, აუუნსნათ, ვინ არიან ისინი, რისი ბატონ-პატრონები იქნებიან მომავალში და რას უნდა გაუფრთხილდნენ ყველაზე მეტად, რომ ბოლოს, ღრმად მოხუცებულებს და ვალმონდილებს, ჰქონდეთ მორალური უფლება, თქვან: „ღელაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარე“...

აქა-იქლა შემორჩა წყლის წისქვილები, დანარჩენები ჩაღბნენ და ჩაიხოცნენ, ვერ გაუძლეს ელექტროწისქვილების კონკურენციას, გაურკვეველი მიმართულებით გადაიხვეწნენ დოლაბის ტრიალში, ჭრაქის ბჟუტვაში გათეხებული თეთრი ღამეები. წავიდნენ და თან გაიყოლეს ჭინკებით, ჯადოქრებით, მზეთუნახავებითა და მზეჭაბუკებით დასახლებული სამყარო. ჩვენ თვალწინ გამაღეს ჯადოსნური ხალიჩა, დაიხურეს უჩინმაჩინის ქული და არავინ იცის, როდის დაბრუნდებიან, ან თუ დაბრუნდებიან საერთოდ...

თვითონ სიტყვა „გლეხმა“ დაკარგა ძველებური ნიბლი, რომელიც, პირველ ყოვლისა, გულუბრყვილობას, უანგარობას, თავისებურ სიბრძნეს გულისხმობდა, მეორე: ახალი გლეხი, საჭიროების გამო კი არა, ვილაცის ჯიბრით აშენებს უშველებელ სახლს. ნემსის ყუნწში ძვრება, რომ უეჭველად თუნუქით გადახუროს და თუნუქისვე ჩიტებით მორთოს (სასაცილოა, გულსატკენი რომ არ იყოს, — სოფელს ნამდვილი ჩიტები აკლია?)... მიწა მისთვის სიყვარული კი არა, ოქროს თევზია, რომელსაც ყველაფერი შეიძლება უბრძანო, ყოველმხრივ გამოწურო...

მომრავლდა ქალაქური ყაიდის სოფლები, დიდი სახლებით, კომფორტით... წარსულს ჩაბარდა კალო, კევრი, გუთნეული, გუთნისდედა, წიგნებმა შემოგვიანხა მხოლოდ:

„ტოროლას მაინც არ მოვკლავ, ბევრიც რომ მქონდეს წამალი. საწყალი ღამის მეხრისა ის არის კარგი მამალი“.

ზღაპარს გონიერი და კეთილშობილი ადამიანები იგონებდნენ, ამიტომ ყველა მათგანის დასასრული წყლის წვეთებივით ჰგავს ერთმანეთს — იმარჯვებს ადამიანური სიკეთე. ცხოვრებისეული სინამდვილე კი ხშირად სხვას ამბობს: იქ სხვა მეწისქვილეა და სხვა საფქვავე — კარგად დაფიქრება უნდა, ვიდრე ხვიძრაში ტომარას მოვაპირქვავებთ — ხომ არ შევავლოეთ მარცვალს რაიმე ისეთი, რაც დოლაბქვეშ დაქუცმაცებული, ჭირნახულის მრავლისმთქმელ მცნებას შეურაცხყოფს და ჩვენს შვილებს ყელზე დაადგებათ... ჩამოიფქვა, აივსო ჩვენი ტომრები. კიდევ ერთხელ მოვაფლე თვალი მოქანავე აბლაბუდას, აკანკალებულ იატაკს, კედლებში გამოკეტილ ზღაპრულ სამყაროს... ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს, უკანასკნელად ვხედავდი სოფელთან უამრავი წვრილი, დაკლაკნილი ბილიკით დაკავშირებულ ამ პატარა მოქმედ ეკლესიას, სადაც ჯერ კიდევ სწირავს ჭირნახულის მადლი და ბარაქა“.

„თუ ცხოვრება ის არის, რაც გვანსოვს; დანარჩენი არსებობაა“, — როგორც ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი ბრძანებს, მაშინ ვ. ჩხიკვაძეს, ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდას — მართლაც რომ უცხოვრია,

რადგან კრებულში შესული მოთხრობები დიდი სიბრძნით, შორსმჭვრეტელობით, მოყვასის, ქვეყნის სიყვარულით, დაუძაბველი მეხსიერებით გამოირჩევა.

„წარმოდგინე მიყრუებული სოფელი, დათოვლილი სახურავებით, აკვამლეული ბუხრებით, ძაღლების ლავლით და ღობის გასწვრივ, თეთრი შადრევანით ჰაერში გაქვავებული ალვებით. ყინულით აფიცრული ფანჯრის მიღმა ლამპა ან სანთელი ბჟუტავს. კორით გადაკეტილი კარის ხელმარცხნივ თუნუქის ლუმელი ქოთქოთებს, მარჯვნივ მოტკეპნილ მიწაზე, კედლის გასწვრივ დაბზარული ფიცარი ღვს. ზედ სიმაღლის მიხედვით ჩარიგებულან ნოტიო ხელაღები, მუცელგამობერილი კოკები. ლუმელქვეშ წილით ზურგგადატრუსული მუხმუხელა კატა იზმორება და განჯინაში შემძვრალი თავის ფხაკუნს აყურადებს. ეს ისე, მოსაჩვენებლად, ვითომ შემომხედეთ, რა ფხიზელი ვარო, თორემ თავის გამოღვევებას ვინ ჩივის – რომ გაიაროს და წელი გამართოს, ამისთვისაც თავი უკვდება.“

შენ დავუშვათ, ქალაქელი, ფერმკრთალი ბიჭი კი არა – სოფლელი, პურჩაბუბუყებული მაწვინთა და ლობიოთი გამოზრდილი, ლოყება-ჟღაჟა ყმაწვილი ბრძანდები, არავინ გეხვეწება, ეს ერთი კოვზიც შეჭამე და ველოსიპედს გიყიდო – დღეში ათჯერ მაინც ჩაყირავდები კიღობანში და ყუადაბრაწული პური ამოგაქვს. მერე რა გემრიელია, მითუმეტეს, თუ მახობელი ურევია... ეს-ესაა საციგაოდან დაბრუნდი, თუმცა დაბრუნდი კი არა... ძლივს შემოგაგდეს ჯოხითა და მუქარით. წევხარ ლოგინში, საბანში ჩათბუნებული და გაყინული ფეხები კრამიტზე გიწყვია... მთხრობელი გვერდით გიზის უწყლო მცენარესავით ზეზეულად ჩამომჭვანარი დედაბერი, წინდას გიქსოვს, თალხი კაბის ბოლოსთან თოვლის გუნდასავით ხტუნავს ძაფის გორგალი, ამ ძაფით გრძელი და მომხიბლავია ამბავი, რომელსაც დედაბერი გიყვება... ბოლოს უკვე ძილ-ბურანში ჩაგესმის: „მთქმელსა და გამომგონებელსა, ძილი გაამოთ ყველასაო“... ვერ გაიგე როდის წამოდგა მოხუცი, წინდის ჩხირები საქსოვში გაურჭო და განზე გადადო. შენი სველი ტანსაცმელი დაფერტხა, ტანტზე ჩამოფინა, ცეცხლს მიუფიცხა. გძინავს სოფლელი ბიჭის ღრმა და სალი ძილით. შენს სიზმრებში თიქნები კიკინან ყამირს... კაკანათში გაბმული ჩიტები გვევდრებიან, გაგვიშვიო... დაღმართზე შემით დატვირთულ მარხილს მიაცურებენ ხარები... ზღაპარი გრძელდება, დილით ქამარში წალღუნგარჯობილი უფროსებს მიჰყვები ტყეში, ორღობეს გაივლით, თავქვე დაუყვებით, ხევზე გადახვალთ და აღმართზე მუხლამდე დადებულ, გაუკვალავ თოვლს დაადგებით... მიდინარ ხვნივით, ოღნავ წინ წახრილი და გიკვირს თოვლზე მოფუსფუსე ყვავებს, უფესსაცმლოდ და უწინდოდ, როგორ არ სცივათო; სკუპ-სკუპით გადადიან, დაშვებულ ფრთებს თოვლზე მიაფართხუნებენ...

არა, არაფერი გამოვა. შენ მაინც რადიატორთან მიყუყული ქალაქელი ბიჭი ხარ. უთოვლო ზამთრის დღეს სევდიანად გაჰყურებ... მახსოვს, სოფლის სასაფლაოზე ავიყვანე, კოჭებამდე ბალანში გატრუნული, წარწერებიანი ქვები გაჩვენე და გითხარი:

– აქ პაპაჩემია დაკრძალული, აქ კი პაპაჩემის მამა-მეთქი... გიყურებდი და ვცდილობდი, შენც სიყვარულით გამსჭვალულიყავი ჩვენი წინაპრე-

ბისადმი. ამოდ გავისარჯე, ამგვარი ვერაფერი შეგნიშნე და გული მეტკინა. ალბათ მთხრობელად არ ვვარგევარ... ცხადია, ასეა... ისინი ჩემს დაბადებამდე გარდაიცვალნენ, მაგრამ ისეთი ახლობლები არიან, თითქოს ცოცხლები მახსოვდნენ, ამ ნახევრად მიწაში ჩამჯდარი ქვებისადმი მოკრძალება ისევე და ისევე მთხრობლის დამსახურებაა.

– ესა, შვილო, დათიკაა, ჩემი მამამთილი, – მითხრა ერთხელ ბებიჩემმა და, ქვასთან ჩამუხლულმა სანთლებს მოუძმუდროვა. მერე იქვე, ბალანზე ტაბლა გამალა... ღმერთო, შეუნდე ჩვენ წასულელებსაო, – დალია და საჩქაროდ ლუკმა შეაშველა.

– რამდენი წასული გყავს? – ვკითხე გულუბრყვილოდ. გაეცინა.

– მაგას ვინ მოსთვლის, შვილო, ან ვის ეხსომება – როგორც ხეზე ფოთლები, მიდიან და მოდიან ადამიანები.

ორმოცდასამი წელია, გოგონასი არაფერი ისმის ფრონტიდან. ეგრე ვარ, დანა რომ დამარტყა, წვეთი სისხლი არ გამომივა. ეს უბედური დათიკა მიწვევს ტანტზე და ვატყობ, აქეთ აღარა აქ პირი. პაპაშენი კოლმეურნეობაშია, მამაშენი თბილისში, არსენალში მუშაობს...

– ჭამე, შვილო, ჭამე, მკვდრების დღეა ლუკმა თუ არ გატეხე, ისე არ შეიძლება, ცოდონი არიან, შენ წილად არაფერი მიუვათ... ჰო... – რაც შემიძლია ვამშვიდებ ამ ცხონებულს... – ვკვდები, ჩემო რძალო, ამდენი პატივი გიცია, ესეც ამისრულე, უზიარებლად ნუ მომკლავ. აბა, ახლა, ძვდელს საიდან მოიყვან და იქნებ ერთი ყლუპი წითელი ღვინო მაინც მიშოვოო...

წავიკარი თავმალი და გამოვვარდი გარეთა, გავიხედ-გამოვიხედე დაცარიელებულ სოფელში. ვის მიადგები, ან ვის ექნება? მერე გამახსენდა, რომ წინა დღეებში იმერლებსა ჰქონდათ ჩამოტანილი ურმებით და საყდართან იდგნენ. ვიფიქრე, ეგებ არ წასულან-მეთქი... რომ მივუახლოვდი, ურმები დავინახე და გული მომეცა, მივედი, წამოწოლილან და პურსა ჭამენ. ავუხსენი ჩემი გასაჭირი. – აბა, რა ვქნათ, ჩემო დაო, ღვინო სულ გავყიდეთ, ეს ორი ჩარექალა დაგვრჩა. ერთი ჭიქა მაინც-მეთქი. ერთ ჭიქას მოგცემთო...

მოვიტანე ის ერთი ჭიქა და ვხედავ, კაცი უკვე ხრიალებს. – მამამთილო, ღვინო მოგიტანე-მეთქი, ჩავძახე. ძლივს გაახილა თვალები. თავი ავუწიე და დალია. შენი მშობელი ცხონდეს, შენ გაინარეო, – დამლოცა და დალია სული, – თავსაფრის ბოლოებით თვალები ამოიწმინდა. – დიდი შიმშილობა და გაჭირვება იყო, ფიცარი რომ გვქონოდა, ამბარი დავმალეთ და კუბო იმით შევკარით... – კალთიდან ნაფშვხვნიები გადაიფერთხა, მესამე ჭიქა ნახევრად დალია, დანარჩენი ქვაზე ჩამოღვენილი სანთლების ძირში მიაქცია...

მწყინს, რომ ასე ვერავინ მოგიყვება, მთხრობელის მაგიური ხმა შენში ვერ დაიბუდებს და ჭეშმარიტი სევდის ყვავილებით არ მოიჩითება შენი გონების ვრცელი მიხდვრები. ყოველივე ამის გარეშე რა გასაკვირია, რომ იმ ქვების პატივისცემა ან მნიშვნელობა არ იცოდე, ანდა ბუნება ისე არ გენატრებოდეს, როგორც ჩიტს სივრცე, გალიაში დაბადებულმა ხომ არ იცის სივრცის ფასი. ის

მხოლოდ ფორმით გამოხატავს სილალისადმი ლტოლვას – შინაარსით კი ტყვეობით კმაყოფილი არსებაა... კარგი მთხრობელები იქაც მოილივნენ. იქაც ქალაქური ტიპის ბებიები და პაპები მომრავლდნენ, მაგრამ თითო-ოროლა კიდევ დარჩა. / მოკლედ, თუ ხვალაც ამ ჭკუაზე დავრჩი, ავიკრათ გუდა-ნაბადი და ეს ზამთარი მაინც სოფელში გავატაროთ. ნეტა ამ ვიოლინოში რა ყრია, ან ამ ქალაქში რა უშველებელი ქარვასლები ჩვენა გვაქვს, რომ ვერ შეველიოთ. რას იტყვი, ასე არ არის...“

ცხოვრებიდან მოხმობილი რეალური პიროვნებების ფსიქოტიკები, გადაქცეულნი არიან საინტერესო ლიტერატურულ პერსონაჟებად; მწერალი არ ცდილობს, ასე ვთქვათ, არცერთი მათგანისთვის ნიღბის მორგებას, რადგან მისთვის მთავარია, რომ ისინი ისეთებად დარჩნენ, როგორებიც იყვნენ, როგორც დაამახსოვრდა, სწორედ ეს გულწრფელობაა, რომლითაც მკითხველი ისე იხიბლება, რომ ვეღარ შორდება წასაკითხ გვერდებს, ვეღარ გამოდის თავს დატყევილი, განათებული ლაბირინთებიდან.

– „მოვიდა თებერვალიც. გასუდრულ სიმყუდროვეს ჯერ ნიავე წამოეპარა, მერე ქარი მიუხტა და დაერია გაფიხსულ ტოტებს. – ცივა! – ჩხავის ხმაწართმეული ყვანჩალა და ხეების თავზე ამობრიალებული, დამწვარი გაზეთის შავი ფერფლივით ტრიალებს... არ ვიცი რა ენაზე ელაპარაკება ბებიანაში მთიდან მოსულ შავ კაცებს, ხელებს რომ იქნევენ და შუბლზე ჩამოწეულ ბოხონებქვემოდან ღამეჩამდგარი თვალებით იყურებიან. გაბოც ჩემთან ერთად მოკუნჭულა სარკმელთან და ყბაჩამოვარდნილი მისჩერებია მოსაუბრეებს. – ქურდები არიან ეგენი

– ქურდები კი არა – მკალავები!.. ლეკებმა თერთი კბილებით შემოგვცინეს. ბოხონები მოიხადეს, დაფერთხეს და სამფეხებზე ჩამოსხდნენ.

ბებიანაში ჯერ განჯინაში შერგო თავი და არყის ბოთლი გამოიღო, მერე კარადიდან ყველი და პურები გამომაწოდა. თვითონ იქვე, მწიხლის ბრკემოვლებულ ქილას საფენი გადახადა, წითელი ჭარხლის წვენი ავარდისფრებული კომბოსტო ამოიღო და ალუმიანის ჯამში ჩაკეპა...“

სტუმრები გემრიელად შეექცნენ. მალე მომხიარულდნენ კიდევ და გააბეს ჩვენთვის გაუგებარ ენაზე ჟღერტული. – ქურდებია ესენი! – გაბო, ჭკუით იყავი! – მკაცრად უთხრა ბებიანაში. – ამას რომ მოიტაცებენ, მერე ხომ დაიჯერებ! – ანიშნა ჩემზე. – მოიტაცონ და მოიტაცონ, მაინც ყოველდღე გაბრაზებს. – მე არ დავანებებ, არა, არ დავანებებ, – დამუშტული მარჯვენა ნერვიულად შეათამაშა. სტუმრები რაღაცას მიხვდნენ. მორიდებით შეიმშუშნენ და ჯერ გაბოს და მერე ბებიანაში მიაჩერდნენ. გაბო უცებ წამოხტა, კარი გაიჯახუნა და ეზოდან გავარდა.

– მიირთვით, მიირთვით, – სტუმრებს შორის უფროსმა ჭიქა ასწია და გამიღიმა.

– გაიზარდე... შენ კარგი ბიჭი... კარგი! მეორემ თქვა, მთებში მეც პატარები დავტოვეო... პატარები არიან, მესამე ძუძუს წოვსო.

– გაგიზარდოს, გაგიზარდოს – დალოცა ბებიანაში.

– შენ? შენ რამდენი გყავს? – მიაჩერდა მეორეს.

– მე?... მე... – ხუთი თითი გადმოგვიშალა.

– ჰო, ხუთი... ხუთი! – გაუხარდა, რომ მიგვახვედრა.

– ერთი? – ჰკითხა ახლა ჩემზე.

– ჯერჯერობით, ერთი! – სიყვარულით შემომხედა ბებიანაში.

– ...ბევრი... ბევრი უნდა... – თავი უკმაყოფილოდ გადაატრიალა ლეკმა.

ამ დროს გაბოც შემოვარდა, ილლიაში ამოჩრდილი, დაფურცლული წიგნი გაყინული თითების კანკალით გადაძალა.

– აქ წერია მათი ქურდობის ამბავი... აი, ხატია კიდევ, ამ ორმა მათხოვარმა ლეკმა ეს პატარა გოგო მოიტაცა...

– ეგ ამბავი ძველად მოხდა, გაბო! – ჩახედა წიგნს ბებიანაში.

– ლეკი, ლეკია, რასა ჰქვია ძველად და ახლა... ჩამოვლენ, დაავლებენ ხელს და...

– დაწყნარდი, გაბო! – მაგრამ გაბოს რაღა გააჩერებდა, ლაპარაკობდა ხელების ქნევით, ყვებოდა მოთხრობის შინაარსს და თან ისე ჯიქურად მისჩერებოდა სტუმრებს, რომ თითო-ოროლა ქართულის წყალობით ისინიც მიხვდნენ გაბოს გულისწყრომის მიზეზს... აგზნებულ ბიჭს თავს უკანტურებდნენ, მართალი ხარ, მაგრამ ჩვენ რა დავაშავეთო. ისეთი საცოდავი და საბრალოები გახდნენ, ისე შემომყურებდნენ, რომ გული დამეწვა. გაბოს წიგნი გამოვლიჯე და კარისკენ გადავუგდე. – წადი, შე გადარეულო! შეცბა, ჩემს შეყვირებას არ მოელოდა. თითები აკანკალებულ ნიკაპთან მიიტანა და თვალები ცრემლებით ავესო. მერე ყდამორღვეული წიგნი აიღო, ისევ ილლიაში ამოიჩარა, კარი გამოაღო და დატუქსული ძაღლივით გაიძურწა. ლეკები ენაჩავარდნილებივით ისხდნენ. თავს დანანებით იქნევდნენ – არ ვიცი გაბოს სიბრალოდით თუ თავიანთი წინაპრების უღირსი საქციელის გამო.

მას შემდეგ ბევრი თებერვალი გავიდა. აღარც ის ლეკები მიხანახავს და არც სოფლის ჭკუნაკლული მენახირე გაბო ამქვეყნად. ოღონდ ყვავილებიან გოგოს რომ დავინახავ, აჩქარებით მიმავალს, – სულ მგონია, რომ გაბოსთან მიაქვს, თანაც ის ყვავილები მინდორში კი არ დაუკრეფია – ხელისგულებზე ამოსდის...“

საკუთარი ბავშვობის მოგონებები სუფთა და სანატრელია; ყველამ და მათ შორის, ავტორმაც იცის, რომ ის აღარ დაბრუნდება, მიუხედავად ამისა ყველანაირად ცდილობს, კინოკადრის პრინციპით, მათ შეჩერებას...

„იმ დღეს გურას მამას ცოტა დაუღვეია და სხვებთან ერთად, შებინდებისას, ჩვენი სოფლის გზას დასდგომია. ეფრეს ხევთან გულზე ხელი უტაცია და სალ-სალამათი კაცი თანამგზავრების წინ გადამერთილა...“

სოფელში ურემი შემოჭრილადა, გურას დედამ ზედ გაწოლილი ქმარი დაინახა, ისევ დამთვრალა, ისევაო, – თქვა და ურემს მივარდა... ასე როგორ უნდა დათვრე, რომ შენი ფეხით ვერ მოხვიდე. არ გაიზარო ჩემი ცოდვითაო! – მისი „არგამხარებლის“ მარჯვენა ჩინჩხვარივით უმოდრად იყო გადმოკიდული.

ცოლმა შეჰკვილა. შემაჟრიალა. თავისთავად დავპატარავდი, თავზარდაცემული ხალხში მივიმალე...

წენგოშემომგზნარი ტყუპი კაკალი ხმაურით დაეცა. გაიქროლა, ჩვენსკენ გადმოგორდა და ტლაპოში ამოიგანგლა. არ გაენძრეულვართ. „ნეტავ კიდევ როდის მეკაკლავება გურა? – გაიფიქრე უნებურად, – ან უკვდავების წყალი მანაც მამოვინა!“ – ნაფიქრი ხმამალლა გავიმეორე.

გურა შეიმშუშნა, – თავი დამანებეო... კაცი ისევ მოვიდა, გაჯიუტებული ბიჭი თითქმის ძალით წაიყვანა. ვხედავდი, როგორ მიჰყვებოდა თავჩაკიდული, ხალათმოშლილი, ღონემინდილი ბრაცუნით. ყელი დამეძაგრა, კისრის ძარღვები დამებერა, ტურნები ამითამაშდა და ქვითინი ამომსკდა.

ღვეის მეცხრე თავით მიწიდან ამოზიდული ქვა ისევ იქ არის. არავის უხმობს, არავის ეძახის – „მოწყინდა აქ გლება, გვერდზე მანაც გადამაგორეო, „მხოლოდ გრძნობს, როგორ შეუმჩნევლად მიიწვეს დაბლა. სუნთქვა უჭირს, სამღურავს კი მანაც არ ამბობს, ამდენი ამბის მომსწრესა და მომსმენს კრიჭა ეკვრის. ან კი რას იტყვის, ან როგორ იტყვის“.

ეს ამბავი კი, უკვე ჭაბუკი ბიჭის მეხსიერებას შემორჩენილი მოგონებებიდანაა:

„გვიანი შემოდგომაა. საღაცაა ზამთრის პირველი თვე თავს დაგვიკრავს. შირაქი და ელდარი კი ახლა აბიბინებულა. გზადაგზა პატარა ტანის ხეები სასაცილოდ გამოკლანჭულან, აქეთ-იქით წახრილან და ველის მიუსაფრობის გრძნობას კიდევ უფრო ამძაფრებენ. ხანდახან ელდარის ნაძვი გამოანათებს, როგორც შეუხედავებში ლამაზმანი. თითქოს მხოლოდ ის იზიარებს მიწის სიხარულს – გადამხრუკავი ზაფხულის ცხელი დღეების მერე შვებით ამოისუნთქავს, განედლებულა და მკერდზე სიმწვანე გადაუფენია, ალაგ-ალაგ ცეროდენა სოკოებს და პაწაწკინტელა ყვავილებსაც ამოუყვიათ თავი...“

მიხროტინებს აღმართზე მოძველებული, ტენტიანი ვილისი. ხტუნაობს ნაურმალზე და ოთხი „სისხლმოწყურებული ვაჟკაცი“ წარბშეკრული გაჰყურებს გზას. ერთი მანქანა კიდევ უკან მოგვდევს, ისიც ბეხრეკი და ინვალიდი. მოდის, მოჰყავს ნადირობის ტრფიალნი და ნეტავ იცოდეს ნადირფრინველმა, ვისკენ დაძრულა ამხელა ლაშქარი... მე, პირადად თოფი სულ ერთხელ მეჭირა ხელში და მაშინაც თვალები დავხუჭე და ისე ვისროლე, თითქოს თვალების დახუჭვა ყურებს რაიმე შეღავათს მისცემდა...

ვანშამდე თოფს წამოვავლე ხელი და სახლის უკან, ოკრო-ბოკრო აღმართს შევეყე. მთებამდე არმისულმა, მარჯვნივ გაუხუხევი და ქვაბით დაბლობში აღმოვჩნდი. დაბლობი ნიჟარასავით ხმაურობდა. ჯაგთან ჩამოვჯექი და იღუმალ ფუსფუსის ყური მივუგდე... მსუბუქი ქარი კარის მასხარასავით დახტის, ბალახებში იხლართება, ეკლები კაწრავენ და შეღამების ჩრდილი ეფარება და ისრუტავს ყველაფერს. შავდება ჭალაში დამდობებული ალაზანი. იმას არ გავს, ბახტრიონთან და უფრო ზემოთ რომ მოხრიალებს. საღვაც შუაწელში უთავდება მთებში დაგროვილი ენერჯია და ინერციითლა მიდის, მიდის, ზარმაცად მიიზმორება.

აქვე აზიდული კლდეების თავზე ადამიანის ფორმის კლდე-ქანდაკება დგას. უკმუნად გაიყურება და ვილაცას ჰგავს თავისი მედიდურობითა და ამპარტავნობით. მითხრეს, ორბები მოფრინდებიან

ხოლმე და თავზე ასხდებიან, ყველა ვერ ეტევა და აქეთ ერთი ძიბილაობაო... ნეტა ვის ჰგავს, ფეხებზე რომ დაუკიდია ყველაფერი, ცასა და მიწას შუა განიდულა და ბუნებას ისე ჩამოუქნია, რომ სითბოსი და გულმოწყალების ნიშანიც არ დაუტყვია?... ვიდრე ბუნება შეაჩვენებდა, ქვად აქცევდა – მჯერა, რომ ესეც მიწაზე დაიარებოდა, ლალატობდა, ყიდა, ანგრევდა, თავზარს სცემდა ცაში ფრინველს და მიწაზე ჭიანჭველას. ხომ შეიძლება, ისევე მთაბეროს ბოროტებამ სული, დამშეული მოუვლინოს ქვეყნიერებას, ათასობით კაცში გაცხადებული სილამაზის ჯალათად?..

შეიძლება, თუ ადამიანმა წაუყრუა, გულგრილობასა და გაუტანლობაზე არ ინადირა, და ეს უნდა ხდებოდეს ყველგან, ყოველ წუთს, ყოველ ფენის ნაბიჯზე, თორემ ისევ მოვა და კვლავ გახსნის ციხის კარებს, გაჰყიდის სამშობლოს. სამშობლოს მოღალატე კი ყველაზე ჰუმანურ ქვეყანაშიც სიკვდილით ისჯება...

მკერდში რალაცამ მწარედ ჩამიარა, მრავლისმთქმელმა სიჩუმემ ფეხზე წამომავლო. კონდახი მხარზე მივიბჯინე და ქანდაკება ნიშანზე დავსვი... თითქმის ერთდროულად იქუნა ორივე ლულამ. მომეჩვენა, რომ სილუეტი შექანდა; საიდანღაც გულგანთქილი ყვავის ყრანტალი ჩამოიფშენა და ისევ სიჩუმე გამეფდა...

პატრონტაჟი მოვისინჯე, ველარაფერი ვიპოვე და დღემართზე დავეშვი“...

ამ ყველაფერმა, არ ვიცი, რატომ, მწერლის ცნობილი ლექსი გამახსენა და კიდევ ერთხელ ამანთო ემოციით...

„აქ სისხლი, იქ სისხლი – ნაყოფი ღალატის, და გოგოს დაეხნა ალუბლის კალათი. გახსოვდეს მტერი და გახსოვდეს ჯალათი, რომელიც ჯერ კიდევ აქ ცხოვრობს, აქ დადის... მეხუთე აგვისტო – დროვ, როგორ აჩქარდი, ინგრევა კედელი, ჟანგდება ჩაჩქანი. ფეხქვეშ გასრესილი წვეთავს ალუბალი – აგვისტოვ, მწუხარე ხარ ჭირისუფალი!“

ბევრი სევდიანი ლექსიდან ეს ორიც მინდა მკითხველს შეგახსენო:

„რა ვუთხრა ღრუბელს, რა დავაბარო, ამ დაჯანღული მთების ბუდიდან, ან გრძნეულ ქარებს, ნისლის ფაფარზე, ელვის ხანძარი ვინ წაუკიდა. ახლა წერილებს აღარ გზავნიან, იშვიათი სულთა მსგავსება. გესმის ფენის ხმა? – ალბათ მგზავრია, მიდის და ფიფქებს ებაასება“...

„სული მწყურვალი ვერ შეგვლია, ქვათახევისკენ ისევ მელთან. მეძახის ნისლი – ზამთრის ფერია. ნათობს სანთელი, ბჟუტავს კელია, დილის ბინდბუნდში, დამენათევი, მალღდება ლოცვა შაოსან ქალთა, და სარკმელიდან მომზირალ ზამთარს რაფაზე უდევს თოვლის თათები. სულს სიყვარული ისევ მოშვიდა, ნისლის ფერია, თეთრი სამოსით,

გადმოდგება და ციხე-კოშკიდან ჩემს ასაყვანად ნაწნავს ჩამოშლის“.

მწერალს აწუხებს „ფოთოლცვენის“ – უთვალავჯერ გამეორებული და მარადიული სიტყვა; ბალებსა და ტყეებში გათამაშებული, ბევრჯერ ნანახი დრამა-ფოთლისა და ადამიანის ბედის მსგავსება:

... „ფოთლები შეუმჩნეველი, ციციქნა ჩრდილებით ფარფატებენ, ირხვეიან ხეებზე, ხეივანებზე, მაგრამ როცა ჩამოცვივიან – ამოხეული ფურცელივით გამოჩნდება ხოლმე ტოტებშუა ჩაწოლილი ღრუბლიანი ცა... რად შიშვლდებიან ტოტები ასეთი თავბრუდამხვევი სისწრაფით? – ეს მე ვკითხულობ და ნაწილაკდაკარგული ჯარისკაცისთვის მივყვები ხან ერთ, ხან მეორე პროცესის მოწყენილ კოლონას.

ალარ რჩება სიხარულისთვის ცრემლი. ან იქნებ, სიხარული გაუფერულდა დიდი ფოთოლცვენის ფონზე?... ალბათ... დრო ნაწილ-ნაწილ იპარავს უდარდელი ოცნების სახლის სახურავს, უხმაუროდ აძრობს ჩაუხანგულ ლურსმანს, აყირავებს კოჭებს... იხდება ჭერი... მე კი არაფრის შეცვლა არ შემიძლია. ა-რა-ფრის! ისევ შენსკენ უნდა მოვიწიო და ის ადამიანები გაგახსენო, ვისი ბოლომდე აღქმაც, ასაკის გამო, ვერ მოასწარი და მხოლოდ გაფრენილი ჩიტის მკრთალ მოძრაობად შემორჩნენ შენს გონებას.

– სად არის ის ხალხი? – კვლავ ვკითხულობ და ძველებური, ქართული სახლის ლამაზ აივანს შევყურებ... – სიკვდილის წინ მამას ცრემლიანი თვალი გადაუვლია რვა თავჩაღუნული შვილისთვის და ნაღვლიანად უთქვამს: ვერ გავზარდეთ, კარგად, ვერაო! / – რატომ, ქურდები არ არიან და უპატიოსნობები! – უპასუხია მწუხარებით ხმაწასულ, საწოლთან ცრემლით ჩამომდნარ ცოლს. – სწორედ მაგიტომ, პატიოსნები არიან და დამეჩაგრებიანო!... მძიმე გზა გაიარეს-მეთქი, – პატიოსნება მძიმე სატარებელია – ხშირად ალაღმართალს უფრო უჭირს, ვიდრე მრუდე თვალით გამოძხედავს და ქვეყნის ამომგდებს...

დაიზარდნენ ბავშვები. არცერთს არ უნაღვლია, რომ პატიოსნების ტვირთი ატარა. განათლებული და გულისხმიერი ადამიანები დადგნენ. თვითონაც ეყოლათ შვილები და რადგან მშობლებისგან დატოვილი მეტი სიმდიდრე არ გააჩნდათ, მათაც კეთილზნეობას უჩიხინებდნენ.

ახლა მათი ბავშვების ჟრიაში აწყდებოდა ანჯამჩაჟანგულ კარებს. გემბანივით ირწიოდა აივანი. ზეიმობდა სიცოცხლე.

იმ ბავშვებიდან ერთ-ერთი ლამაზ, გულუბრველო ლექსებს აივნის მხრიდან, ფანჯრებშუა კედელზე წერდა. ფიქრობდა, ფურცლები კი მეკარგება, აქ სულ დარჩებიანო და ერთთავად ქიმიური ფანქრით ჰქონდა ენისწვერი მოთხვრილი, მაგრამ ერთ დღეს მოსულან მღებავები და შეუთეთრებიათ. / დაბრუნებულა გოგო სკოლიდან, ჩამჯდარა აივანზე და ცრემლის ტბორი დაუყენებია... შეწუხებულან უფროსები, მაგრამ წამხდარი საქმეს რაღას უშველიდნენ? უმცროს ბიძას მუხლზე დაუსვამს, ცრემლიანი სახე მოუწმენდია და უთქვამს: ისეთი ტკბილი სიტყვები იყო, ჩიტები მოფრინდნენ და აკენკეს. ვერ მოვასწარით დაგვეფრთხო და, აბა ცარიელ კედელს შეუთეთრებელს ხომ არ დაე-

ტოვებდითო... მერე ის გოგო დედაშენი გახდა. მისგან ვიცი აივნის ძველი ამბები, თორემ მე ვინ მეტყოდა, საიდან გავიგებდი...

ამას წინათ თუთის ხესთან ვიდექით და აივანს შევყურებდით. თითქოს არაფერი შეცვლილა, ისევ ლამაზია, ისევ ხმაურით იღება და იხურება სამი კარი. ბოძებზე ოდნავ ირხვეიან ნივრისა და ხახვის გალები. ფანჯრიდან „პატარძალას“ წითლად გაშლილი ყვავილი იყურება და მოაჯირზე გადმოფენილ ჭრელ ფარდაზე მოკუნტული კატა შემოდგომის მიმქრალ მხეს ეფიცება. ცხოვრება გრძელდება...

– სად არის ფოთლები, სად არის ხალხი? – შემოვხედე. სევდიანი მზერა მომარიდე და მაღლა აიხედე, სადაც თუთის ტოტებშუა ამოხეული ფურცელივით ჩანდა შემოდგომის მზე“.

კრებულში შესული მოთხრობების პერსონაჟები, თემათა მრავალფეროვნების მიუხედავად, გათვითცნობიერებული სიყვარულისა და ბედნიერების ხატებებით არიან აღვსილნი. ნათქვამია, ბედნიერების დევნაში უნდა გაჩერდე და იყო ბედნიერი; ბედნიერებას ბუდე არა აქვს, მხოლოდ – ფრთები და ამიტომაც გრძნობამორეული დაფრინავს. – „მზე ჩადის.

თანდათან გაიკრიფა სანაპირო.

მთელი დღე ქვებთან მოჭიდავე ტალღა ჩაიფშენა და ზღვის მღუმარე უბედურებას შერია. სანაპიროს გასწვრივ უსწორმასწორო, სველი ანაბეჭდი დარჩა, როგორც ბრძოლის წინა ხაზი, როგორც დროებითი საზღვარი წყალსა და მიწას შორის.

– ზღვა დაიღალა! – ამბობს ბიჭი და მუხლზე მკლავებშემოხვეული გაჭყურებს ზედაპირშენაოჭებულ წყალს.

როდესაც ბიჭზე ვფიქრობ, ყოველთვის იმ დროს ვუბრუნდები, როცა ის არ არსებობდა. ალბათ ერთადერთმა სიყვარულმა იცოდა, რომ გარკვეული ხნის მერე მოვიდოდა, ჩვენ შორის ჩადგებოდა, ორ ნაპირს ხელებით შეაერთებდა. მახსოვს: ციოდა, სკრიდა. აპრილის დასაწყისში რომ იცის ხოლმე ხანდახან – ისე. გამოტყუებულ სიმწვანეს აკანკალებდა.

ნამძის ხის ქვეშ ვიდექით, შენი მწვანე კაშნი მეხვია და კისერში უჩვეულო სითბო მეღვრებოდა. ღმერთო ჩემო! რამდენი ვინმე ატარებდა ასეთსავე ნაჭერს, საწვიმარს შიგნით საგულდაგულოდ ჩაფენილს, მაგრამ ეს მაინც სხვა იყო...

გამოთხოვება ხანგრძლივი იყო და სევდიანი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს შორეულ ნაოსნობაში მივდიოდი; თუმცა ის რამდენიმე დღე, შუალედი შეხვედრიდან შეხვედრამდე, მართლა რამდენიმე თვეს უდრიდა. ო, როგორ უღმობლად გადიოდა დრო, ვიდრე ბედნიერი შეხვედრის წამი დარეკავდა, ვიდრე ჩვენი თვალები უსიტყვოდ, მაგრამ მაინც ყველას გასაგონად გაიმეორებდნენ კაცობრიობისათვის უძვირფასეს სიტყვებს: „ყოველთა დიდი არს სიყვარული“.

ვიცი ეს ყველაფერი, შეიძლება ვინმემ მოსაწყენ გულაჩუყებად ან ზარბაზნების გრუხუნში ჩიტის სტვენად ჩამითვალოს, მაგრამ ჩვენ და ჩვენისთანები ხომ ამ სიტყვებს მოვყავდით, მოვყავართ და მომავალშიც ერთგულად გვატარებს, თუკი ადამიანში მისი ხატება არ ჩაქრება. თუ ასე მოხდა, კატასტრო-

ფაც მაშინ დაიწყება: გაქრება მღელვარება, თვალები აღარაფერს ეტყვიან ერთმანეთს და ნებისმიერი კაშნიეც არაფრის გამსხსენებელი, უბრალოდ საჭირო ნივთი იქნება...

ნამდვილი სიყვარული თამაშია და შეუდრეკელი. გალიას და ბორკილს ვერ იტანს. თავისუფლების არ იყოს, ურჩევნია მძიერ-ტიტველმა იაროს, ვიდრე არამი კუტი ღრღნას და ანგარების ბაგაზე იყოს დაბმული... სიყვარულიც მხოლოდ სიყვარული უნდა იყოს, სიყვარული – ყოვლისშემძლეობა და ყოვლისაღმშენებელი, მაგრამ უნდა გვაოცებდეს, ალაძაზედეს ჩვენი ცხოვრებას, როგორც ველური ყვავილების გვირგვინი, რომელიც თვითონ ბუნებამ დაწნა და ჩვენს სიცოცხლეს თავზე დაადგა...

„თქვენს ბავშვებს სათნოება ასწავლეთ. მხოლოდ სათნოებას და არა ფულს, შეუძლია ბედნიერების მოტანა“, – წერდა ბეთჰოვენი ძმებს.

მომხიბვლელი და ამავე დროს სახიფათო სათნოება, ბედნიერების გარდა დიდ ქარიშხლებსა და გართულებებს ჰპირდება მის მფლობელს, მაგრამ მაინც სათნოება – ჭეშმარიტი სიყვარულისკენ მიმავალი, ყველაზე გამოცდილი და საიმედო მეგზურია“...

მოთხრობებში უხვადაა ბუნების პეიზაჟების თითქოსდა, ერთი შეხედვით, ერთგვაროვანი სურათ-ხატები, კარგად რომ დაუკვირდებით, მიხვდებით თუ როგორი მრავალფეროვანი ნიუანსებით გამოირჩევიან ერთმანეთისგან. შესანიშნავად აქვს ნათქვამი მილორად პავიჩს: „ხელოვნების არც ერთი ნაწარმი არ არის საკმარისი ბუნების მშვენიერი აღწერისთვის; მაგრამ ხელოვნების მშვენიერება ნაწილია მშვენიერებისა ბუნებაში“. ამ სიტყვების დასტურად მოხმობილი ციტატების სიმრავლით, მინდა ეს აზრი უფრო მეტად გავამყარო და თვალსაჩინო გავხადო ბუნებას შეზრდილი მწერლის სკრუპოზული დანახვისა და განცდის, სიტყვიერად გადმოცემის შეუზღუდველი უნარი. მისთვის ბუნება საოცრად მახლობელი, შესისხლხორცებულია, მას ისე გრძნობს, როგორც საკუთარი სულის უცილობელ, გამორჩეულ ნაწილს.

სწორედაც სიყვარული, ბუნებისადმი ესოდენ კრძალული მიხილება, პოეტური ხედვა ათქმევინებს მწერალს დაუვიწყარ სიტყვებს:

„რას ვერჩი აპრილს, აგვისტოს ანდა საშემოდგომო ფოთლების ფარფატს – შევხარი ზაფხულს, გაზაფხულს, მაგრამ ყველაზე მეტად შევხარი ზამთარს. მაინც სულ სხვაა კვესა ნალების და ფაფარაყრილ ურიცხვ ჩქერებად, თოვლის ბუქით და კორიანტელით თეთრი ცხენების შემოჭენება“...

„ტოტებზე თოვლის ფიფქი ყვავილობს, მხრებზე მოსხმული ნისლი კლებულობს, ვის ელოდები, ნეტავ, ასკილო, პატარძალივით გარინდებული. ვიდრე გადამრევს ეს სიყვარული, და მონატრება მომძღებს ბოლოს, მითხარი მაინც, ვის გზას გაჰყურებ, ვის შეაგებებ ქარების ექოს. მოვდივარ, თოვლი არ მომაცილო, უსმინე, მღერის თოვლი ფხვიერი, ვის ელოდები, ნეტავ ასკილო, მე ხომ არა ვარ ის ბედნიერი“!

„ირგვლივ შემოწნულ გვირგვინში მთების როგორ ჩაწნულხარ, მინდვრის გვირილა. გიცნობ, მანსოვხარ, თეთრი ბაფთებით ღვთიურმა ხელმა აგაბიბინა.

ჩემი სურვილიც რომ დათავთავდეს, მთებში მოსული მიცდის მკათათვე.

გადმოგიყვანო უნდა საჩვენოს, მაცალე ხელი შემოგაშველო.

რომ გაგრძობინო შენ, ნაზ ფურცლიანს ჩემს დიდ სიყვარულს რა შეუძლია“.

„ის დრო იყო, მზე უკანასკნელად რომ იძალღებ, დააცხუნებს – გეგონება ზაფხული შემობრუნდაო, მაგრამ როგორც კი საშუალოდან გადავა, ერთბაშად ჩაცხრება, თვალის დახამხამებაში აშრება ანულებზე გაფენილი სინათლე და შემოდგომის გრილი ნიაკი შემჭკნარ ფოთოლს ერთმანეთს დაადევნებს, გზებზე გამოფენს და მერე ყველას ღობისძირებში მიაგორებს“.

„ფერხაცვალი ტყე. ფოთოლზე იკლავება და იწელება წვეთი. ცულის დარტყმაზე ხე ცივი ცრემლებით ტირის და ბოლოს, ლაწ!... გადმობორძიკდა, პირქვე ჩაემხო და ყვითლად ამოანათა გადანაჭერმა.

კამეჩებმა ცოხნა შეწყვიტეს, გაირინდნენ, ტყის ზემოთ გაფოფრილ ნისლს მიჩერდნენ“.

„გზისპირზე, გამხმარ ნარზე, მობუზული, თვალვად ქცეული ბელურა კანკალებდა. ხელი ავუქნიე. შორს არ წასულა, იქვე ჩაფრინდა ჭყიპინით. მალე სხვებიც მოფრინდნენ, გარშემო შემოურიგდნენ, თითქოს ეკითხებოდნენ რა მოხდა, რა გაგჭირვებიაო. გამეხარდა, რომ ბელურა სასაფლაოზე მოკუნტული ქალივით მარტო არ იყო... თანდათან ჩამოხველდა. ძლივსლა ვხედავდი ღობესთან ატუზულ, გაწუწულ ბოჩოლას, რომელიც თავის სიმარტოვით თუ საბრალო გამოხედვით ძალიან ჰგავდა ნარზე შემომჯდარ ბელურას... სიმები კვნესოდნენ და მომეჩვენა, რომ თვალსევდიან ირემს ცრემლი ჩამოუგორდა“...

„ქალაქს დიდი, გაოცებული მთვარე დაჰყურებს და დავეიანებულ მგზავრს გზას უნათებს. ის ერთია სამყაროში, მაგრამ ამავე დროს ბევრია, ძალიან ბევრი – იმდენი, რამდენი სარკმელი და თვალიც არსებობს. ამიტომ არავისი და ყველასია, როგორც სიცოცხლე, სიკეთე და სილამაზე, სამშობლო და სხვა დანარჩენი... ასევე გულმოდგინედ დასცქერის მთვარე სოფლებს, ტყეებს, ჩაფიქრებულ მთებსა და ნახნავებით მკერდგაღელი ველებს, ისევე ირეკლება გარინდული ხარის თვალებში და ალიზიანებს მგლების ხროვას: „ამოდის, ნათდება!!! რამდენი რამ მომხდარა მის თვალწინ, მაგრამ მაინც სულ ასე გულუბრყვილოდ გაოცებული ახსოვს კაცობრიობას!!! – და სხვა“.

მწერლის სურვილია, რომ საქართველოს, ჩვენს სასიცოცხლო სივრცეს არ მოვაკლოთ ზრუნვა, არ დავივიწყოთ... იგი აღზრდის საკითხზე კონკრეტულად არ საუბრობს, არ არის მენტორის როლში; მოთხრობებში შიგადაშიგ გაბნეული აღმზრდელობითი ელემენტები, თუ თავად ამბების შინაარსი, ასრულებენ აღმზრდელობით ფუნქციას; განსაკუთრებით დღეს, უგულისყურო აზროვნების ეპოქაში... – „გასაკვირია – საწყენზე აღარაფერს ვამბობ – ისე ცხოვრება როგორ უნდა „მოახერხო“, რომ გარშემო ერთი მაღლიერი თვალი არ შეჰხაროდეს შენს არსებობას, სოფელ-ქვეყანაში, შენი

გამოჩენა ჭირისა და ხორველის ტოლფასი იყოს, შენი მაყურებელი მხოლოდ იმის მომლოდინე იყოს, ფეხი როდის გადაგიბრუნდება!!!

„მაინც რა უცნაური გაზაფხული იდგა. თითქოს ქვებიცი ყვარდა. გამომძალ კუნძზე მოცოცხლებულიყო ხავსი, წმინდა გიორგის ეკლესიის დამსკდარ კედლებს მწვანე, წყვეტილ ზოლებად დაჰყვებოდა ბალახი, თებობდნენ ამობრუნებულ ბელტზე ერთმანეთს ჩახვეული ჭიკაყვლები... ყველა და ყველაფერი სუნთქავდა პატარა, გაცრეცილტუჩება ბაჭის გარდა... სამარის გარშემო ამოყრილი მიწა ძალიან რბილი და ცივი იყო, თვითონ სამარე კი უსამველოდ ღრმა და თვალჩაუწვდენელი...“

მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ ადამიანები სამუდამოდ მიდიან, რომ წასვლაც ისეთივე იდუმალი და აუცილებელი პროცესია, როგორც პირველი თვალის გახელა, მაგრამ ვგრძნობდი უბედურების მთელ სიმძიმეს, რომელმაც დაუნდობლად გადაუარა და ერთ წერტილში გაყინა კვირტში მოფშვნიტილი სიცოცხლე...

– „საწყალი ლექსო, თონეში ჩამოსვლას ვერ ბედავდა და, ვინ იცის, ახლა მარტოს როგორ ეშინია“, – ვფიქრობდი ჩაძინებამდე... არადა საშიში მანამ არის, თორემ მერე“...

„მინდა იცოდეთ, რომ პატიოსნად გავლილი ცხოვრების შემდეგ ადამიანები კიდევ ძალიან დიდხანს ასწივებენ და ისინი ჩვენთვის ხელთუქმნელ ძეგლებს ჰგვანან...“

ღრო კი მიდის და წავა, ისეთივე რიტმით, როგორც მიდიოდა მილიონი წლების წინ და მილიონი წლების შემდეგ. მხოლოდ ის არის უცვლელი გამგებელი ყოველივესი და ყოველთა „ქვეყანასა ზედა“!

ხსოვნაში შემორჩენილ ძვირფას სახეებს ერთი სურთ მხოლოდ – დიდხანს, ძალიან დიდხანს ახსოვდეთ მათი არსებობა შთამომავლებს, როგორც ხის წვეროზე გასულ ყლორტებს ყველაზე უკიდურესი და შორეული წერტილი – ფესვები“...

ჩვენი ყურნალის ფორმატის გამო, რა თქმა უნდა, კრებულში შესულ ყველა მოთხრობაზე ვერ ვისაუბრებ, ბევრი საინტერესო, საჭირობოროტო საკითხები ვერ გავაშუქე, რაზედაც გული ძალიან მწყდება. ერთში ნამდვილად ვარ დარწმუნებული – მეექვსე, მეშვიდე კლასების ქართული ლიტერატურის სასკოლო პროგრამებში ორი მოთხრობა თუ არა, ერთი მაინც აუცილებლად შესატანია... ნაკლებად გავამახვილე ყურადღება მწერლის ლექსიკაზე, რადგან მოხმობილი ციტატებიდან, თუკი მათ ყურადღებით წაიკითხავთ, თქვენთვის ნათელი გახდება ავტორის ენობრივი ქსოვილის სიმდიდრე და ფერადოვნება.

ყველანაირად ვეცადე, თავად ნაკლები მესაუბრა და საილუსტრაციოდ მეტი ტექსტობრივი მასალა წარმოგიჩინა, რათა გამეფარებინა ჩემი მოწონება-აღფრთოვანების მიზეზი... ესაა მეხსიერების განცდით შეცნობილი მგრძობიარე ამბების კრიალოსანი, რომელთაც ქვეშეცნეულად მუდამ თან დავატარებთ; საოცარი, სადა უბრალოებით, გასაგები ენით, სიმარტივეში შეფუთული აღსარებები, – ძალიან ქართული. ამ ყველაფერში მთავარი როლი ადამიანს, მის სამყაროს ენიჭება. მართალია, პერსონაჟებს ხშირად უჭირთ, ხმელა

პურსა და ლობოს შეჭამანდს არიან მიჩრებულნი, არ არიან გაბოროტებულნი, ხარბები... კრძალვით უყვართ საკუთარი მიწა, სოფელი, თანასოფლელები, ტრადიციებში გაიგივებული წინაპრები, ბუნების თითქოს – და უმნიშვნელო სანახები, შინაური ცხოველები... ჩამონათვალი სამშობლოს სახებასთან არის გაიგივებული იმ ყველაფრით, რასაც შენი ფუძე, ჯილაგი და ჭირნახული ჰქვია, სადაც ქვეყნის წარსული და დღევანდელი ერთი მთლიანობაა, ისინი უერთმანეთოდ არ არსებობენ, ვერ არსებობენ; მთავარია მკითხველმა, მოზარდმა თაობამ ეს კარგად გაისიგრძეანოს.

კვლავაც ვამბობ, ესაა მშვენიერი, ჩუქურთმიანი პროზა, თუკი ასე შეიძლება ითქვას, მოვარაყებელი ჩვენი წარსულითა და უკარგესი ქართულით, მომავლის იმედებით შეჯერებული; ისეთი სითბოთი, რომელსაც კარგა ხანია გადავწყვიეთ და ვერაფრის დიდებით ვერ ვიბრუნებთ, – რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ ამ ადამიანების დიდი ნაწილი წავიდა ამქვეყნიდან და თავს იმითლა ვიმშვიდებთ, რომ ახლა სხვა დროა... მაშინაც, როდესაც მწერალი ამ შედეგებს ქმნიდა სხვა დრო იყო, თუმცა არც ასრერივად გადაგვარებულ-გადაჯიშებული...

ავტორმა მიუსწრო და დავიწყების მსახვრალ ხელს არ გაატანა ეს არაჩვეულებრივი მოგონებები, უკეთილშობილესი ადამიანები, შეჩერებული პეიზაჟების ბუნებრივი არომატები, ურთიერთობების უზადო წახნაგები, უფროს-უმცროსობის დაუწერელი კანონები, ქართველთათვის გენეტიკური კოდირებული უმთავრესი თემები... და, როდესაც ამ ყველაფერს თავს უყრი, კიდევ ვიმეორებ, გაკვირვებული რჩები ახალგაზრდა მწერლის (70-იანი, 80-იანი წლებია) არა მარტო ნიჭიერებით, რაც უმთავრესია, არამედ მამულიშვილობით, სითამამითა და მოყვანისადმი გულისხმიერებით; მართალია, წიგნის ტირაჟი მცირეა, ესეც საკმარისია იმისათვის, რომ შენს ერს ხმა მიაწვდინო, შეუძახო, გამოაფხიზლო, ახალგაზრდებს ისეთი სზარდო მიაწოდო, რომელსაც ყავლი არასოდეს გასდის.

მიუხედავად წლების, უმოწყალოდ, სწრაფად გასვლისა, ასაკის მატებისა, – ვანო ჩნიკვაძე შეგუებულია რეალური მოცემულობის გარღვევალობას და თითქოსდა იხტიბარსაც არ იტენს... მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებისთვის, იგი მუდამ დარჩება ახლად დასრულებული, სიყვარულით ნაშენი სახლის კეთილი კაცების საკადრის მასპინძლად!..

„ალარ ივსება გული ნატვრებით, როგორც გაწვდილი პეშვი წვეთებით; მოხვალ? – ნატანჯი სული გათბება, წახვალ? – გაგყვება ოხვრა ვეღრების. რაც შემოგვრჩა და გამოვიზოგეთ, გავუნაწილეთ მშიერ ბელურებს. ძალაობს ქარი, აქრობს სიცოცხლეს, მოგვდევეს და მოგვდევეს, შლის ნაფეხურებს. ჩამოდის ფიფქი, თოვლი ბევრდება, ყვავი დასჩხავის გამხმარ ლელიანს, როდესაც ირგვლივ მთებიც ბერდება, ჩვენი სიბერე რა სათქმელია“... მართლაც, რომ ჩვენი სიბერე რა სათქმელია!..

პროზა

დალი ჯორბენაძე



ალუბლებისანი მოგონება

ალბათ ბავშვობაში, ბებოს ბაღში გადასულნი – ალუბლით მოჩითული კაბით, ალუბლით დათხვრილი თითებით, ხიდან მოწყვეტილი ალუბლის დამატებას ვცდილობდით კაბაზე...

მერე კი, მსგავსად ალუბალ ჩამოკრეფილი ხისა, ჩვენს კაბებს – თვითონ, ან იქნებ სხვებიც, ნელ-ნელა აცლიან ნაოცნებარ ალუბლებს...

.....
– უთუოდ, უთუოდ უნდა ინახულო! – მკაცრად უთხრა ქეთიმ, ბავშვობის მეგობარმა.

ნახავს! მაგრამ?!

ოცდაშვიდი წლის შემდეგ შეხვედრა ძალიან აკრთობს. უკვე ნერვიულობს, გული საშინლად უფანცქალებს.

უსაშველოდ უჭირს გახსენება წლების წინანდელი ტკივილისა, ძალიან რომ შეეცადა მისთვის გასაღები მოერგო და სამუდამოდ ჩაერაზა მწუხარების კარი.

ვერა, ვერასვ ზით ჩაკეტა. ძლიერი ქარის ქროლვისას შეღებული კარის ჭრიალ-ჭრიალივით ხშირ-ხშირად აგონებდა ტკბილ-მწარე წარსული თავს...

სახლიდან გასვლემდე კარგა ხანს უცქეროდა საკუთარ თავს სარკეში.

– ნეტავ, ძალიან შევიცვალე?! – ფიქრობდა.

დარწმუნებული იყო, იცნობდა, თვალებით იცნობდა გივი, იმ მწვანე, დიდრონი თვალებით, რომლითაც ჯერ კიდევ ბავშვობისას აღმოაჩინა სიფრიფანა გოგონა.

ქეთის მიერ გაგზავნილ შეტყობინებაში საავადმყოფოს მისამართი და პალატის ნომერი ეწერა.

საჭესთან მოკალათდა. გვერდით სავარძელზე მოთავსებული, მწიფე ალუბლებით სავსე, ლამაზად მოწნული კალათა შეამოწმა, ხომ არ გადმოვარდებო და მანქანა ადგილიდან დაძრა.

მეშვიდე პალატის წინ მდგომი დარწმუნდა, ავადმყოფი მარტო იყო და კარი ფრთხილად, გულათრთოლებულმა შეაღო.

ღონეგამოცლილმა დამხვდურმა თვალები ნელ-ნელა გაახილა და მზერა მიაპყრო.

გამბედაობა მოიკრიბა. არეული ნაბიჯებით ავადმყოფისკენ გაემართა და რომ არ წაქეუულიყო, საწოლთან მდგარ სკამზე ჩამოჯდა.

ავადმყოფმა თვალები მილულა.

ქალი უხერხულობისგან შეიშმუშნა და მინც, მორთოლვარე თითები მამაკაცის სუსტ მაჯას

შეახო. სამარისებური სიჩუმე აცახცახებულმა ხმამ დაარღვია:

– მიცანი, გივი?! მე ვარ, მჯერა, გახსოვარ, ვიცი, მელოდი!

ავადმყოფის მაჯა შეტოკდა. ქუთუთოები ამობრავდა, ბაგეები ათრთოლდა.

მიცნო, მაგრამ აღარაფერი ძალუძს!!! – ქალის გულში ათასი ზარი მგლოვიარედ აჟღერიალდა. წამოდგა, საწოლის თავს მიეყრდნო. დაჟინებით უმზერდა ბავშვობის ნათელ მოგონებას, ავადმყოფობისაგან დაოსებულ კაცში ადრინდელ, თამამ, ძლიერ ბიჭს ეძებდა. ნახულობდა, ეკარგებოდა, ისევ ნახულობდა, ისევ ეკარგებოდა...

ავადმყოფმა სუნთქვას მოუხშირა.

ცრემლებმორეული ქალი წარსულს გადასწვდა...

.....

ზაფხულობით, მშობლებს თბილისიდან ქარელში ჩაჰყავდათ. ბებოსთან დარჩენილი მთელ დღეებს იქაურ და მასავით დასასვენებლად ჩასულ ბავშვებთან ატარებდა. ათი-თერთმეტი წლის იქნებოდა მაშინ, მეზობლად მცხოვრები გივი რომ გაიცნო. სამი წლით უფროსი ბიჭი, რატომღაც, ყოველთვის მის გვერდით ჩნდებოდა.

მტკვარზე საბანაოდ მიმავალი ბავშვები, ხშირად, გზად შემხვედრ ბაღებში იპარებოდნენ, ხან მუცელშეწითლებულ გოგრა ბაღს აგემოვნებდნენ, ხანაც მუქი წითელი ფერის ალუბლის კუნწულებს ნაყოფისაგან აცარიელებდნენ და გაძარცვულ ტოტებს, სარეცხის ჩამონსნის შემდეგ მოწყენილ თოკებს ამსგავსებდნენ. მერე ყოყინით გარბოდნენ, მტკვრისკენ მიიჩქაროდნენ, ბავშვური ანცობის კვალს თითებიდან და სისხლისფრად შეღებილი ტუჩებიდან იმორებდნენ, მდინარეს ატანდნენ.

ერთხელაც, მხოლოდ ორნი შეიპარნენ ალუბლების ბაღში.

ვაჟი მალალ ხეზე სხარტად აცოცდა და ჩამოსძახა: – კაბის კალთა გაშალე, დაკრეფილი ალუბლები შევაგროვოთ!

– კალთა? – კითხვითვე მიუგო გოგონამ და, მისდაუხებურად, თხოვნას დაემორჩილა.

ცვიოდა და ცვიოდა ჩამწიფებული ალუბლები სიფრინა გოგონას სიფრიფანა კაბის კალთაზე. ნაყოფმა კაბა დაამძიმა, უკვე უხეხულად ეჭირა ხელში ბოლოები და ბიჭს ღიძილმორეულმა ასძახა:

– ჩამოდი, აი, რამდენია, გვეყოფა!

ეს თქვა თუ არა, გვერდზე მებრუნდა, ფეხი რალაცას წამოკრა და წაიქცა. ალუბლები იქით-აქით მიმოინა, კაბის კალთა აეწია და სირცხვილისა თუ ტკივილისაგან ატირდა.

ვაჟი მყისვე დაეშვა ხიდან. მტირალ გოგონას გვერდით მიუცუცქდა, წითლად მოთხუნული კაბა მუნლებისკენ დაუწია და ისე მზრუნველად, ისეთი სიყვარულით უთხრა:

– იტკინე რამე? გთხოვ, ნუ იტირებ, ალუბლებს ისევ დაგიკრეფ, კაბასაც მე თავად გაგირეცხავ, მტკვარში სულ გავაკრიალებ!

გოგონას, უნებლიეთ, გაეცინა და ცრემლიანი, მწვანედ მოხასხასე თვალები ვაჟს მიაპყრო.

– რა კარგი ბიჭი ხარ, გივი! – უთხრა და თითებით თვალები მოიწმინდა.

სახე ალუბლისფრად შეეფერა და ვაჟმა გულიანად გაიცინა.

ისხდნენ ორნი. მათთვის სხვა სამყარო არ არსებობდა. მზის სხივები ალუბლის ტოტებში

იჭვრიტებოდა და უმანკო გოგო-ბიჭს ჩასცქეროდა. გივი მუჭით ალებულ ალუბლებს გოგონას აწვდიდა, ყუნწებიანებს პაწაწინა ყურებზე ჰკიდებდა, როგორ გინდებო, რა ლამაზი საყურებიანო, უდი-მოდა. გოგონა კისკისებდა, კისკისებდა. ალუბლებ-მინატულ კაბაზე ანიშნებდა, რა მშვენიერიაო.

— ალუბლებიანი კაბა მოგწონს? — ეკითხებოდა ვაჟი.

— კიო, კიო! — ბედნიერი გოგონა თავს უქნევდა. მერე, ჭყლეტდნენ მწიფე ნაყოფს და ერთმანეთს სახეს, ტანისამოს უთხუზინდნენ...

წლების შემდეგ, იმავე ბალიდან, წყვილის ბედნიერი სიცილი არეძარეს ახალისებდა. ტოტებ-შუა შეღწეული მზის სხივები თამაშობდა მათ სახეებზე. ქალიშვილს ალუბლებით მოხატული კაბა ეცვა. ვაჟი თითებით ცდილობდა ქალიშვილის სხეულიდან ალუბლები „დაეკრიფა“. — უკაცრავად მნახველთა მიღება დამთავრებულია! — მოესმა ფიქრების ბურუსში გახვეულ ქალს.

შეცბა, გააჟრჟოლა.

— გემუდარებით, მხოლოდ რამდენიმე წუთი მაჩუქეთ! — ცრემლიანი თვალები შეაგება პალატაში შემოსულს.

თეთრხალათიანმა გამამხნეველად გაუღიმა და კარი უხმოდ გაიხურა.

ალარ თრთოდა. მთელი ძალა მოიკბა. მწიფე ალუბლებით სავსე კალათა აიღო, კაცს საწოლთან მიუტანა: — გივი, აი, აი, ჩვენი საყვარელი ალუბლები მოგიტანე, ნახე, ნახე, კუნწულებიცაა. გინდა? ყურებზე ჩამოვიკიდებ. არა, არა, მენ თავად ჩამოვიკიდე, ისე, როგორც ადრე. გთხოვ, შემომხედე, ჩემო ძვირფასო გივი!

ავადმყოფმა თვალები გაახილა. ბედნიერების სხივი გამოკრთა დაბინდული მხერიდან.

კაცის თვალიდან ჩამოვარდნილ კურცხალს ქალმა საჩვენებელი თითი დაახვედრა. მერე, გაუბედავად, ლოყაზე შეეხო, მიეფერა.

კაცმა ბაგეები ამოძრავა, მისუსტებული ხმით აღმოხდა: — მენ ჩემი დაუვიწყარი, ალუბლებიანი მოგონება ხარ!..

პალატაში დრო გაჩერდა...

.....

გაზაფხულის მზეკაშკაშა დღეს, საბურთალოს სასაფლაოსთან მდებარე ტაძართან უამრავი ადამიანი ირეოდა.

მანქანიდან გადმოვიდა, მზის სათვალე არ მოუხსნია, ალუბლებად მოხატული კაბა გაისწორა, ხელში მომწვედელ, მწიფე ნაყოფით დახუნძოლულ ტოტებს სინახულით დახედა და ტაძარში შევიდა. იქ არსებული სიჩუმე, მის ნაბიჯებთან ერთად, აუხდენელი სიყვარულის ისტორიას აყურადებდა თითქოს. კაბიდან ალუბლები ცვიოდა და ტოტებიდანაც ცვიოდა მწიფე ნაყოფი...

ძვირფას სხეულს მიახლოებულმა ცრემლები მოიწმინდა, ამოიხრა, ალუბლის ტოტები ფრთხილად, ფეხებთან დაუწყო, ცოტა ხნით შეყოვნდა. თითქოს მოუწყვეტავი ალუბლების შეგროვებისთვის დრო მისცა, წამიერად, სხეულში სითბონაკრავი კანკალი იგრძნო.

— გივი, მოვედი! — ამოიხრა და მობრუნდა.

მაპატიეო, ჩუმ-ჩუმად იმეორებდა, ფეხებით კი, ჩამოცვენა გაგრძელებულ ალუბლებს ჭყლეტდა...

პოეზია

გიორგი ლეონიძე



თელავის ჭადარს

მთელი კახეთის სადარო
თელავის ძველო ჭადარო,
ჭადარო ნადიკვარისა
მეომარივით დამდგარო,
განზე გასწიე ტოტები,
რომ მტერს თვალები დასთხარო,
მალლა გამალე ტოტები,
რომ გული შეგვიდანდგარო,
დააშრიალე ფოთლები: —
სულ გამარჯვება გვახარო!

სექტემბერი

დაქარვებული ტყეები...
და ოქროვანი ბალები...
ლურჯგამჭირვალე დღეები...
სულ მცირე რაღაც ნალველი...
ნაზი ხმით ვიღაც მეძახის,
თუა გომბორის
ამბორი?
გზაზე ფოთოლი გაწვება, —
მინაბვით, ატმის დაწვება...

სამშობლოვ!

მე დაჭრილი ვარ ათას სურვილით
და ოცნებისთვის ზღვაც კი მცირეა, —
მწამს სიყვარული მშაგი წყურვილით
და გულიც მისთვის შემიწირია!

სამშობლოვ, ისევ შენ ხარ პირველი!
ვტორტმანებ შენით, როგორც მეწყერი...
შენი, შენდამი ვარ შემწირველი,
მღალადებელი, ლექსით მეტყველი!

ლოცვითი წერილი

მარიამ ნაღარაიძე



თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის პროგრამის IV კურსის სტუდენტი

ხელმწიფის ხატ-სახე ძველ ქართულ ლიტერატურაში

მონარქიული მმართველობისას მეფე ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა. ვინაიდან, იგი იყო ღვთის ხელით არჩეული და დასმული პირი, რომელმაც მთელი ორგანიზაცია იცხო. მართალია, მეფეთა სახეები არაერთგან აირეკლა, მაგრამ ჩვენ ამჟამად ყურადღება უნდა შევაჩეროთ ძველ ქართულ ლიტერატურაზე.

თემის განსახილველად დავინმარეთ შემდეგი ლიტერატურული ძეგლები, ესენია: მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“, ჩახრუხადის „თამარიანი“, იოვანე შავთელის „აბღლუმესიანი“, შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ და სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“.

შემთხვევითი არ არის ყურადღების გამახვილება საერო ლიტერატურის ნიმუშებზე, რადგან სწორედ ამ პერიოდში უფრო მასშტაბურად შემოდის მეფის პორტრეტი ლიტერატურაში. ეს განაპირობა იმან, რომ ქართული საერო ლიტერატურის აღმოცენება იმთავითვე დაუკავშირდა საქართველოს გაერთიანება-გაძლიერებას. ამ უკანასკნელში კი განსაკუთრებული წვლილი მეფეებს მიუძღოდნენ. ქვეყნის გაერთიანებით იწყება მნიშვნელოვანი ლიტერატურული ტრადიციები, რომელთა დახმარებითაც XII-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკური ყოფა ნათლად არის ასახული ქართული მწერლობის ძეგლებში.

საუბარი უნდა დავიწყოთ მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“. ნაწარმოებიდან გავისხენოთ ორი მეფე, ესენია: აბესალომ ინდოთ მეფე და ამირა მუშლი. ავტორს აბესალომ ინდოთ მეფე პირველი თავიდანვე („აბესალომ ინდოთა მეფის ამბავი“) შემოჰყავს და მეფეს ასე გვიხასიათებს:

„იყო ინდოთ მეფე აბესალომ, მორჭმული და

განგებინი, და არა იყო შეჭირვება გულსა მისსა“. „ამას სამსა დღესა, უკმის ათას-ათასი დიდებული და გასცემდის საბოძვარსა საზომისაებრ“, ხუთშაბათსა, პარასკევსა და შაბათსა ნადირობდის და გაისვენებდის, კვირაჲკესა დღესა დაჯდის და სამეფოსა საქმესა განაგებდის“.

მეფის თვისებას, კერძოდ იმას, რომ შეძლებული და მდიდარია, ხაზს უსვამს ის ფაქტი, რომ კვირის განმავლობაში სამი დღე საბოძვარს გასცემს. გარდა ამისა, ავტორი ამბობს – „არა იყო შეჭირვება გულსა მისსა“, რაც მიუთითებს, რომ მიუხედავად დიდი პასუხისმგებლობისა, რასაც მეფობას ვეძახით, აბესალომ მეფე გაწონასწორებულია ემოციებსა და გრძობებში. მეფეს აქვს პასუხისმგებლობა და ვალდებულება ქვეყნისა და ხალხის წინაშე, იგი დიდ უღელს შეჭიდებული ადამიანია. შესაძლოა, ქვეყნის მმართველი ფუნქციონირებაში ცხოვრობდეს, მაგრამ ეს არამც და არამც არ ნიშნავს ბედნიერებას. აბესალომ მეფე იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელსაც არ აქვს მძიმე ხასიათი.

ვინაიდან ზოგჯერ მეფესაც სჭირდება, ამქვეყნიურობას გაექცეს, ერთ-ერთი კარგი საშუალება ნადირობაა, რომელიც, ამავდროულად, მეფისთვის მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებაა. ამ მხრივაც ხასიათდება აბესალომ მეფე. როგორც ავტორი გადმოგვცემს: „ხუთშაბათსა, პარასკევსა და შაბათსა ნადირობდის“.

ამ ყოველივეს ფონზე ინდოთ მეფე მხოლოდ კვირა დღეს თუ იცლის სამეფოს სამართავად. თუმცა, მართალია, აბესალომ მეფის სახის გაცნობისას ვიფიქრებთ, რომ იგი მეტად ლაღი ცხოვრებით ცხოვრობს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს სილაღე და ცხოვრების ოდნავ მოღუნებული ტემპი არანაირად არ გადადის აპათიაში. პირიქით, აბესალომი ქვეითკირის სახლისა და მასში ნახატ-წარწერის აღმოჩენის შემდგომ კონცენტრირებულია მხოლოდ და მხოლოდ ამ თემაზე. იგი მთლიანი ნაწარმოების განმავლობაში დაინტერესებულია ამირან დარეჯანის ძის ამბის გაგებით.

მეორე მეფე/მთავარი, რომელიც ნაწარმოებშია გამოკვეთილი, არის ამირა მუშლი. ნაწარმოების მთავარი გმირი ამირან დარეჯანის ძე სწორედ ამირა მუშლის ყმაა. მართალია, მოსე ხონელი ამირას ვრცელ დახასიათებას არ გვთავაზობს, მაგრამ გამოსაყოფია ერთი დეტალი მეშვიდე კარიდან („მნათობთა ამბავი“), საიდან ჩანს, რომ ამირას ბრძანებით, ამირან დარეჯანის ძე უნდა გაემგზავროს მნათობთა ქვეყანაში. თუმცა, აქვე გასათვალისწინებელია ორი გარემოება, პირველი – ამირა მუშლი თავად მიდის ამირან დარეჯანის ძესთან სასაუბროდ და არ იბარებს თავისთან. ეს ხაზს უსვამს ამირა მუშლის თავმდაბლობას. იგი არ არის ამპარტავანი, რომელიც სხვაზე მაღლა აყენებს თავს ან ზემოდან გადმოჰყურებს ვინმეს. აქვე ვხედავთ მეორე გარემოებასაც, ამირა მუშლი ამირან დარეჯანის ძეს ასე მიმართავს:

„დაიძაღლა ამირ-მუშლიმან და ეგრე უბრძანა, ვითა: ამირან დარეჯანის ძეო, ყმაა, მაჯობე კაცობითა,

განა სახლსა შენსა მიზეზი მოსლვისა ჩემისა ესე იყო: შენ ვითამცა ძმა ხარ ჩემი“...

როგორც ვახსენეთ, ამირან დარეჯანის ძე არის ამირა მუშლის ყმა, თუმცა ამირა მას უწოდებს ძმას. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ზემოთ ნახსენებ თვისებებს. ამ საკითხთან დაკავშირებით ორიოდვე სიტყვით უნდა ვახსენოთ პატრონყმობა.

პატრონყმობა X-XIII საუკუნეების საქართველოში დამკვიდრებული ფეოდალური ურთიერთობის სახეა, რომელიც, ერთი მხრივ, მოიაზრებდა პატრონის მბრძანებლობას ყმაზე, ხოლო, მეორე მხრივ, მზრუნველობასაც. შესაბამისად, ამის გათვალისწინებით პატრონყმობა შეგვიძლია მოვიაზროთ ჰუმანურ წყობად. პატრონყმობა იმ ჰუმანური ელემენტებით, როგორც წარმოგვიდგება „ამირან-დარეჯანიანში“, თავს იჩენს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანშიც“.

ცხადია, შუა საუკუნეებში ყმისთვის მთავარი სწორედ მეფის ბრძანების შესრულება და საჭირო დროს თავგანწირვაც იყო. ეს ხდება როგორც ისტორიულ საქართველოში, ისე „ამირანდარეჯანიანშიც“. ამ მხრივ საგულისხმოა ზემოთ მოყვანილი ეპიზოდი მეშვიდე კარიდან. ამ თავში ჩანს, რომ ამირა მუშლი თავის ყმას – ამირან დარეჯანის ძეს ძმად მოიხსენიებს. იგი წინა პლანზე არ წამოსწევს თავის სოციალურ სტატუსს, არ ცდილობს, დადგეს ყმაზე მაღლა, პირიქით, მისი თავმდაბლობით თავს უტოლებს ნაწარმოების მთავარ გმირს და თავადვე ეახლება მას.

აქვე საგულისხმოა, რომ პატრონსა და ყმას შორის აუცილებლად უნდა არსებულიყო ერთგულება და მორჩილება. ამირა მუშლი უშუალოდ ამირან დარეჯანის ძესთან მიდის და ავალებს მნათობთა ქვეყანაში გამგზავრებას. მისი არჩევა არ იქნებოდა მხოლოდ ფიზიკური გამორჩეულობით განპირობებული, აქ გასათვალისწინებელია ნდობის ფაქტორიც. ამირა მნიშვნელოვან საქმეზე გზავნის ყმას, ამიტომაც ელის ადეკვატურ შედეგებს, რისთვისაც შესაფერისი ამირან დარეჯანის ძეა. ამ უკანასკნელის ერთგულება და მორჩილება ჩანს იმაში, რომ იგი უანგაროდ ასრულებს მიცემულ დავალებას და ამირა მუშლის შვილებისთვის მოჰყავს სამი საპატარძლო.

შემდეგია სახოტბო პოეზია. ქართული სახოტბო-საკარო პოეზია განვითარდა ქართული საერო ლიტერატურის კვალდაკვალ. როგორც წესი, სახოტბო პოეზია ხოტბას ასხამს სახელმწიფო მოღვაწეს, რომელსაც გააჩნია წარმოსადგეი და დადებითი თვისებები, რომელთა შორისაა პოლიტიკური და სამხედრო ნიჭიც.

ჩვენამდე შემორჩენილია ქართული სახოტბო პოეზიის ორი ნიმუში: ჩახრუხაძის „თამარიანი“ და იოვანე შავთელის „აბდულმესიანი“. ორივენი კარის პოეტები უნდა იყვნენ. მართალია, ჩახრუხაძის შესახებ ზუსტი ცნობები დღესდღეობით არ მოგვეპოვება, მაგრამ იოვანე შავთელზე დანამდვილებით ვიცით, რომ იგი თამარ მეფესთან დაახლოებული პირი იყო. ამას მოწმობს თამარის ორივე ისტორია.

(იხ. „ქართლის ცხოვრება“, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტომი I, ტომი II).

ახლა რაც შეეხება უშუალოდ ტექსტებს. „თამარიანიში“ ავტორი ერთმანეთთან აზავებს თამარ მეფის ფიზიკურობას, სულიერებასა და სულიერ სისპეტაკეს:

„თამარწყნარი, შესაწყნარი, ჯმა-ნარნარი, პირ-მცინარი“.

გარდა ამისა, აქვე უსვამს ხაზს ქვეყნის სიძლიერეს გარეშე მტერთან ბრძოლისას:

„მოჰმადის ტომნი უკრავ-უომნი მოსრნეს, მოსწყვიდნეს განქიქებულად“.

სამხედრო წარმატება მიეწერებათ: თამარ მეფესა და დავით სოსლანს, რადგან ისინი ერთად ედგნენ ლაშქარს სათავეში. საქართველოს იმდროინდელი ყოფის აღწერას ვხვდებით „აბდულმესიანშიც“:

იოვანე შავთელის „აბდულმესიანში“ მეფე თამარი ასე არის წარმოდგენილი:

„თამარ მეფესა, მტერთ სისხლ-მჩქეფესა, უკვდავთ წყაროსა, ცის სამყაროსა, სხვათა მძლეველსა, თვით უძლეველსა, კისკასად მქცევსა, ტანად საროსა, მზედ სახოვანსა, თვით ახოვანსა, ერთგულთა ჯსნილ-ჰყოფს, მტერთ ესაროსა“.

(აბდულმესიანი: 11).

როდესაც სახოტბო პოეზიას ვკითხულობთ, ვხედავთ, რომ ორივეგან ხოტბის ობიექტი ზოგჯერ გაზვიადებულია კია წარმოჩენილი. პოეტებისთვის დამახასიათებელია შედარებები, ბიბლიური და ანტიკური სახეების გამოყენება შედარებისას, ჰიპერბოლა და სხვ.

სახოტბო პოეზია ხშირად აზვიადებს როგორც მეფის სახეს, ისე მის ღვაწლს. ეს არაა შემთხვევითი, ვინაიდან როცა მეხოტბე სამეფო კარის პოეტია, იგი ვალდებული ხდება, დაიცვას და მის ნაწარმოებშიც ასახოს იმდროინდელი პოლიტიკური, ეროვნული თუ სახელმწიფოებრივი იდეოლოგია.

ჩვენ ვსაუბრობდით მეფის სახეზე, თუმცა ვფიქრობ, რომ სახოტბო პოეზია ნაკლებად გამოგვადგება იმის დადგენაში, თუ როგორი უნდა იყოს/არის ნამდვილი მეფე, ვინაიდან გამოყენებული მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები და ამგვარი გაზვიადება ხელს გვიშლის, ნათლად დავინახოთ ძირითადი თემა და გამოვიტანოთ დასკვნები.

მომდევნოა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. პოემის პერსონაჟებიდან უნდა გამოვყოთ მეფე როსტევეანი.

როსტევეან მეფის დახასიათებას თავად ავტორი გვთავაზობს:

„იყო არაბეთს როსტევეან, მეფე ღმრთისაგან სვიანი, მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი. მოსამართლე და მოწყალე, მორჯბული, განგებიანი, თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი“... (32). ციტატაში ნახსენები „სვიანი“ ნიშნავს

დალოცვილს. ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვანია ღვთის შემწეობა, მით უმეტეს, მეფის ცხოვრებაში. პოემის მიხედვით, მეფე არის ღვთის სახე, ღვთის ხატად შექმნილი, როგორც ყველა ადამიანი. თუმცა, იგი ღვთის რჩეულია. ამიტომაცაა მისგან დალოცვილი. როსტევეანს აქვს ყველა ის თვისება, რომლებიც სავალდებულოა სახელმწიფოს მართვისათვის, კერძოდ: „მაღალში“ მოიაზრება არა ფიზიკური სიდიდე, არამედ – სულიერი. „მაღალი“ გულისხმობს თავმდაბლობას. ეს უკანაქნელი თვისება ნებისმიერ ღირსეულ ადამიანს აქვს. თუმცა მეფეს ყველაფერი გააჩნია, ამისდა მიუხედავად, მისთვის მაინც დამახასიათებელ ნიშნად რჩება.

ეპითეტები – „მოსამართლე“ და „მოწყალე“ არ არის შემთხვევითი, ვინაიდან ხელმწიფოსთვის აუცილებელია სამართლიანობა, ობიექტურად უნდა აფასებდეს მოვლენას და არ იხრებოდეს რომელიმე მხარეს. მოწყალება არსებითად მნიშვნელოვანია, ვინაიდან მეფემ არ უნდა გაარჩიოს ადამიანები სოციალური წოდების მიხედვით, უხვად უნდა გასცეს მოწყალება და დაეხმაროს ყველა გაჭირვებულს. ქვეყნის მმართველმა ქონება კი არ უნდა შეინახოს, არამედ გამოიყენოს გონივრულად, რადგან შენახვას სარგებელი არ მოაქვს. სწორედ ამასთან დაკავშირებით ამბობს, თინათინის დარიგებისას, შემდეგ სიტყვებს: „რასაცა გასცემ, შენია; რას არა, დაკარგულია“!

ძნელბედობის ხანაში ქვეყნას, ცხადია, ძლიერი მხედართმთავარი სჭირდება, რომელიც ერსა და სამშობლოს მტრისგან დაიცავს. ამისთვის მას მხედართმთავრობის ნიჭი მოეთხოვება. ამ ნიშნითაც ხასიათდება როსტევეან მეფე, რომელსაც რუსთველი ახასიათებს, როგორც უბადლო მეომარს.

როსტევეან მეფის თვისებებიდან არსებითად გამოსაყოფია მჭევრმეტყველება („მოუბარი წყლიანი“), რომელსაც მჭევრმეტყველება, რისი მაგალითია ვეზირებთან საუბარი. მეფე ერთადერთი ქალიშვილის, თინათინის გამეფებას მოისურვებს. ამ დროს გონივრულად და წინდახედულად იქცევა, ვინაიდან როსტევეანმა გადაწყვიტა, ვაზირებისთვისაც გაემხილა სურვილი და მოესმინა მათი აზრი ამ საკითხზე. მართალია, მეფე იყო და შეეძლო, რჩევის გარეშეც გადაეწყვიტა, მაგრამ მის გონიერებაზე მეტყველებს სხვების აზრის გათვალისწინება, იმისდა მიუხედავად, რომ მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ასულის გამეფება.

ამგვარი წინდახედულობა გასაკვირი არ არის, რადგან ნებისმიერ ადამიანს შესაძლოა, ჰქონდეს გადასადგმელი მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ასეთ დროს, რა თქმა უნდა, იგი შესაფერის პიროვნებებს დაეკითხება აზრს და გაითვალისწინებს მათ მოსაზრებებს. ცხადია, მეფე ერთპიროვნულად გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა, თუმცა არც მის შეცვლას აპირებდა. არამცთუ რიგითი ადამიანის, არამედ მეფის ნაბიჯები არ უნდა იყოს სუბიექტურობით სავსე, მნიშვნელოვანია გარე პირობის თვალთახედვაც კონკრეტულ საკითხზე.

აქვეა საგულისხმოა გიორგი III-ის მიერ

თამარ მეფის თანამოსაყდრედ დასმა. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში“ ვკითხულობთ: „მეფე ყო თამარ, თანადგომითა ყოველთა პატრიაქთა და ებისკოპოზთა, დიდებულთა იმიერთა და ამიერთა, ვაზირთა და სპასალართა და სპასპეტთა... და დაადგა გვრგვნი ოქროსა თავსა მისსა“. როგორც ჩანს, გიორგი მესამისა და როსტევეან მეფის ქმედებები იდენტურია, ეს იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ქალი ტახტზე პირველად აღიოდა, რაც, ისედაც, საკმაოდ დიდი სიახლე იყო ხალხისთვის. დიდებულთა უმეტესობა ამ ფაქტით არ ყოფილა აღფრთოვანებული, ამიტომ სერიოზული კონფლიქტისგან თავის ასარიდებლად მეფე არა ერთპიროვნულად და ჩუმად, არამედ სხვათა თანდასწრებით, მათივე აზრის გათვალისწინებით ამეფებს ასულს. ისტორიულ მომხდარ ფაქტსა და პოემაში თინათინის გამეფებასთან იგრძნობა ლოგიკური კავშირი. სავსებით შესაძლებელია, რომ რუსთველს მის დროს მომხდარი ფაქტი გადმოეჭანა პოემაში.

როსტევეან მეფეზე საუბრისას არსებითად მნიშვნელოვანია, გამოვეყთ როსტევეან მეფისა და ავთანდილის ურთიერთობა, რომელშიც ვლინდება მამამვილური დამოკიდებულება. ამ მხრივ გამოსაყოფია ავთანდილისა და მეფის ნადირობის ეპიზოდი, როცა მეფე ნადირობაში დამარცხდება, თუმცა, როგორც რუსთველი წერს, „უხარის ეგრე სიკეთე მისისა განაზარდისა“. ეს თვისება არსებითადაა გამოსაყოფი, რადგან ადამიანთა უმეტესობისთვის უცხოა იგი, რთულია სხვისი ბედნიერების/წარმატების გაზიარება და ისევე გიხაროდეს, როგორც საკუთარი წარმატება.

მეორე მხრივ, ავთანდილისა და როსტევეანის ურთიერთობით იკვეთება პატრონყმობაც, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში“. პატრონყმობა აქ ჰუმანურ ფეოდალურ წყობად უნდა ჩავთვალოთ, რადგან ყმისთვის პატრონი არა მარტო მბრძანებელია, არამედ მზრუნველიც. ამის დასტურია შემდეგი სიტყვები: „მეფე ყელსა მოეხვია, გარდაკოცნა ვითა შვილი. „როცა როსტევეანი ავთანდილის გაპარვას შეიტყობს, მეფის მწუხარების მიზეზი არა ყმის მიერ დარღვეული ვალდებულებაა, არამედ იმის ფაქტი, რომ ავთანდილის გარეშე მოუწევს ყოფნა. მამის წუხილს უფრო ჰგავს მეფის მოთქმა, ვიდრე პატრონისას. „მარა მე რა ვქნა გაზრდილო, აწ სახლად მმართვეს სენები, გამაღარიბე, დამაგდე“.

რიგით მომდევნო და ბოლოა **სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“**, რომელზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ ეპიზოდი, სადაც ლეონმა დაიწყო თავის მართლება, თავისი აღმზრდელობითი მეთოდების დასაბუთება. აქ თავს იჩენს შუა საუკუნეების აღზრდის სისტემა.

გამოსაყოფია ეპიზოდი, როდესაც მეფეს არ მოეწონება ლეონის ქმედებები მისი შვილისადმი და იხმობს მასთან. ამ დროს ლეონი ხსნის თავისი ქმედებების ჩადენის მიზეზებს. მისი თქმით, მეფემ უნდა იცოდეს „გლახაკთა, მონათა, გლეხთა, მსახურთა, აზნაურთა, თავადთა, დიდებულთა, მეფეთა

და ხელმწიფეთა წესი, რიგი, შრომა, ჭირი, მუშაკობა, საქმე, ვაჭრობა, სმა-ჭამა და მიცემა იცოდეს“. უნდა იცოდეს, რას გრძნობენ მისი მსახურები, როცა მთელი დღე ფეხზე დგანან. როგორ შიათ გაჭირვებულ ადამიანებს. უნდა იცოდეს დანდობა შიკრიკებისა, რომელთა მდგომარეობაც ფეხშიშვლობით და უცხენოდ სიარულით გამოცდადა. უნდა სცოდნოდ, რას გრძნობდნენ მონები, როცა მათ ბატონები უჯავრდებიან და სჯიან. ლეონმა, როგორც თვითონ ამბობს, ჯუმბერს გამოაცდევინა ადამიანთა ტკივილები.

ლეონი გვიხატავს იდეალური მეფის სახეს, რომელსაც აუცილებლად უნდა ახასიათებდეს მოწყალება, რადგან „გლახაკნი ითხოვენ ღია კარს, თხოვნის შესრულებასა და სიხარულით გასტუმრებას“. მეფე სამართლიანიც უნდა იყოს, რადგან აწონ-დაწონოს ფაქტები და ემოციების კონტროლით შეძლოს სწორი გადაწყვეტილების მიღება:

„მოძრვართა სათხოვარია საჩივრის მოსმენა, გადაწყვეტილების მიღებისას აუჩქარებლობა და მიუღვამლობა“, თანაც მეფემ უნდა გაითვალისწინოს სხვების აზრებიც და მის ქმედებებში ობიექტურზე მეტად არ უნდა ჩანდეს სუბიექტური მხარე, ამასთან დაკავშირებით ლეონი ამბობს: „ვეზირებს სწადიათ, რომ მეფემ ყური დაუგდოს, სიტყვა გაუგონოს და რჩევა დაუჯეროს“. ძირითადად, ამ თვისებებით უნდა იყოს დაჯილდოებული მეფე, რათა განგებინი მმართველი გახდეს: „რომელმან ჰყოს, იგი და ქვეყანა მისი დაემყაროს“.

მართალია, ლეონი ფიზიკურადაც წვრთნიდა ჯუმბერს, მაგრამ აქ უმთავრესი მაინც სულიერი სრულყოფაა. სხეულის ტანჯვით ძლიერდება სწორედ სული. ამგვარად გაძლიერებული ადამიანი წმინდა მხედრად უნდა ჩაუდგეს ქვეყანასა და ერს სათავეში, თავის მხრივ, უნდა ემსახუროს ღმერთსაც. აქ საქმე გვაქვს წრთობის ქრისტიანულ პრინციპთან, რომელიც საფუძვლად უდევს შუა საუკუნეების აღზრდის სისტემას. თავის მხრივ, ქრისტიანული პრინციპი მოიაზრებს ხორციელი ვნებების: სიამაყის, ამპარტავნების და მისნ. უკუედებას.

ვინაიდან, სულხან-საბა ორბელიანი სამეფო კართან დაახლოებული პირი იყო, იგი უფრო მკაფიოდ და სრულად წარმოგვიდგენს თვისებებს, რომლებიც მეფეს უნდა გააჩნდეს. ამით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მისთვის იდეალურ მეფედ სამართლიანი (სხვა თვისებებთან ერთად) ადამიანი აღიქმება, რომელსაც გონივრულად ხელეწიფება ეროვნულ-პოლიტიკური საკითხების სწორად და გონიერად გადაჭრა.

საუელისნმოა ისიც, რომ მეთვრამეტე საუკუნისთვის არსებითად ფართოვდება ხელმწიფის

თვისებები. მოსე ხონელთან ხელმწიფე ხასიათდება, როგორც, მაგალითად, კარგი მონადირე, სულხან-საბა ორბელიანთან ხელმწიფის თვისებები უფრო მასშტაბური გახდა. ჩვენი დაკვირვებით, ეს გამოწვეული უნდა იყოს ქვეყნის იმდროინდელი პოლიტიკურ-სოციალური სიტუაციით. მწერალი ხელმწიფისგან ითხოვს, იყოს ისეთი მმართველი, რომელიც აკლია და სჭირდება ქვეყანას. ამიტომაც, „სიბრძნე სიცრუისაში“ ხელმწიფე სათანადო, შესაფერისი თვისებებითაა წარმოდგენილი.

ამრიგად, მეფის ამგვარ ხატ-სახეს გარკვეული პარალელი შეიძლება მოგუძებნოთ, ერთი მხრივ, ქართულ საისტორიო მწერლობაში, კერძოდ, შუა საუკუნეების ისტორიულ თხზულებებში, ვინაიდან მათი ერთ-ერთი მთავარი აღსაწერი და წარმოსადგენი საკითხი სწორედ ნამდვილი მეფის სახის ჩვენებაა და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს წარმომომის თეოლოგიურ თეორიაში, რომელიც ანტიკურობიდან იღებს სათავეს. თეორიის მიხედვით, ღვთის ნებასთანაა დაკავშირებული სახელმწიფოს წარმომობა, ხოლო ხელმწიფე ღმერთის წარმომადგენელი იყო ამქვეყნად. ხამურაბის კანონებში ვკითხულობთ შემდეგს: „ადამიანი არის ღმერთის ჩრდილი, მონა არის ადამიანის ჩრდილი, ხოლო მეფე ღმერთის სწორია“.

ამ მხრივ გამონაკლისი არც ბაგრატიონთა დინასტია იყო, მათი მეფობა საქართველოში თეოლოგიური თეორიით იყო განმტკიცებული. ვინაიდან საქართველო საზეპურო ერად იწოდებოდა, ანუ ღვთის რჩეულ ერად. სწორედ აქედან ყალიბდება მეფის ღვთისსწორობის აზრი და იდეა, რომელიც მნიშვნელოვანია სხვა თვისებებთან ერთად, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ.

ლიტერატურა:

კეკელიძე კორნელი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1980.

კეკელიძე კორნელი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი II, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1958.

„ქართლის ცხოვრება“, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1955.

„ქართლის ცხოვრება“, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტომი II, თბილისი, 1959.

ინტერნეტწყარო:

ჩხიკვაძე, დ., საეკლესიო სამართლის საკითხები <https://www.orthodoxy.ge/samartali/samartali/5-1.htm>

აი, ისტორია...

ილია ჯავახიანი



ოსმალის საქართველო

ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულა. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისი სულის ღონეს, თავისი სულის ბეგრას, თავის ზნობითს და გონებითს აღმატებულებას, თავის ვინაობას, თავის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გავრტომობისა ისე არ შეამსჭვალეს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული — ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, — მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალება, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო.

„ივერიის“ წარსულ ნომერში მოხსენიებულს ნაწილებს ოსმალის საქართველოსას დიდი პატივისცემა და ხელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ერის ისტორიაში, დიდი შრომა გაუწევია, დიდი მსხვერპლი მოუტანია, მრავალი სისხლი დაუნთხევია ჩვენთან ერთად საქართველოს ერის თვითარსებობისთვის. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთის სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაცა გვქონია. ოდეს ბიზანტია, სპარსეთი და ოსმალთა ამ ჩვენს მშვენიერს ქვეყანას ეტანებოდნენ და ურთიერთს ეცილებოდნენ, მაშინ ის საქართველოს ნაწილი, რომელიც დღეს ოსმალის ხელშია, მედგრად იბრძოდა ჩვენის სარწმუნოების, განათლების, ერთ-მთავრობის დადგინებისთვის და მათდა და ჩვენთა სასახელოდ ძლევეთაც მოსილ იქმნა.

საკვირველს მედიდურს სანახაობას წარმოადგენს იოგი საქართველოს ისტორიაში, როდესაც საქართველო დაყოფილ იყო წვრილ სამთავროებად და ერთი ნაწილი სპარსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მეორე ჯერ ბიზანტიისა და მეორე

ოსმალის ზემოქმედების ქვეშ.

ზემო-ქართლი, რომელსაც ეხლა ოსმალის საქართველოს ვუწოდებთ, ხან ერთს ნაწილს მიემზრობოდა ხან მეორეს, და თავისი მომზრობით განაძლიერებდა ქართველებს თვითარსებობის დასაცველად. მაშინ თითქმის მარტო მას ეჭირა თავისუფალი დროშა ქართველთა ერთობისა.

პირველად ქრისტიანობამ იქ, სამცხე-კლარჯეთში მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა, მაშინ როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ კერპმსახურება სუფევდა. ქრისტეს აქეთ პირველ საუკუნეში ადრეკი მეფეს (60 წ) უნდოდა კერპთავყვანების სარწმუნოება მოეფინა და ამისათვის საშინელი ბრძოლა აუტეხა სამცხე-კლარჯეთს, მაგრამ სამცხე-კლარჯეთში ქრისტიანობა არამც თუ მოისპო, პირიქით უფრო გავრცელდა და დამკვიდრდა ჯერ ისევ წმინდა ნინოს მოსვლამდე.

როდესაც ბიზანტიის და სპარსეთის შუა ატყდა შესანიშნავი ბრძოლა „ლაზიკის“ თაობაზედ, მაშინ ეხლანდელი ოსმალის საქართველო დიდ საისტორიო ასპარეზად შეიქმნა მათთა შორის. სპარსეთი ძლეულ იქმნა და იგი ნაწილი საქართველოსი დარჩა ბიზანტიის უფლების ქვეშ. შემდეგ ქართლ-კახეთთან შეერთების სურვილმა აღმოიჩინა თავი, მაგრამ ბიზანტიამ დაუშალა და მისცა მხოლოდ უფლება ქართველი კათალიკოზი იყოლიონ. „რათა — დასხდებოდენ კათალიკოზად ნათესავნი ქართველნი და არა ბერძენნი, და აქედეს უადრესობა ყოველთა ეკლესიათა და მღვდელ-მთავართა ზედა“.

ეს მოხდა 586 წ. ქრისტ. შობიდან. ამგვარად მთელის საქართველოს ერთობის წადილს ცოტად თუ ბევრად კმაყოფილება მიეცა, სულიერად მაინც, თუ არ ხორციელად. მეექვსე საუკუნის დასასრულს კლარჯეთის და ჯავახეთის მთავარი გურამ კურაპალატი, ბაგრატიონის გვარის კაცი, ბიზანტიის შემწეობით შეიქმნა მეფედ ქართლ-კახეთისა და ამგვარად დიდი ნაწილი საქართველოსი შეერთდა საქართველოსვე ეხლანდელის ოსმალის საქართველოს შემწეობითა. თუმცა ამის შემდეგ ისევ დაირღვა საქართველო ნაწილებად, მაგრამ არტანუჯის ბაგრატიონთა გვარი გაძლიერდა და ამას მოჰყვა მთელის საქართველოსათვის ნაყოფიერი და საკეთილო შედეგი.

როდესაც არაბები საქართველოში შემოვიდნენ და მაჰმადიანობის გავრცელებას ცდილობდნენ, ეხლანდელი ოსმალეთის საქართველო ქრისტიანობისთვის იღვწოდა ბაგრატიონების მეთაურობითა და წინამძღოლობითა. ეხლაც დარჩენილა მრავალი დიდშენიერი, თლილის ქვით ამოყვანილი და მხატვრობით შემკული ეკლესიები, იმ დროს აღშენებული... იმავე დროს სამცხე-კლარჯეთის ქართველნი მიდიოდნენ საბერძნეთს სწავლის მისაღებად, ნასწავლნი მოდიოდნენ უკანვე და ჰფენდნენ სწავლასა და საქართველოს ხალხთა შორის. იმ დროს, როდესაც ტიფლისსა და გარშემო ადგილებში მაჰმადიანობის გავრცელებას მეცადინებოდნენ თავისი არაბულის წიგნების შუამავლობითა, სამცხე-კლარჯეთის ქართველნი საღმრთო და

საერო წიგნებს ქრისტიანობისას ჰსთარგმნიდნენ და ქრისტიანობის განმტკიცებისთვის აწესებდნენ მონასტრებსა, რომლებშიაც ყმაწვილებისათვის სასწავლებელთ მართავდნენ.

უწარჩინებულესნი მამანი, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენი, ეხლანდელის ოსამლოს საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვნენ. ჩვენი სასიქადულო „ვეფხისტყაოსნის“ მთქმელი შოთა რუსთაველი იმ მხრის კაცი იყო. რუსთავის დაბა, რომელსაც თავის სამშობლოდ იხსენიებს რუსთაველი, სამცხე-საათაბაგოშია.

ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავებულია, ჩვენს სიცოცხლეს აქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თვისი სახელმგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენის სულის აღმატებულების აკვანი და იგივეა სამარეც ჩვენი ყოფილის ადამიანობისა. სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამებებული სიყვარული თითქმის იქიდან იფინებოდა ჩვენს ქვეყანას ერთს დროს.

ბოლოს ბაგრატიონთა გვარის კაცი მეფე ბაგრატ III გაძლიერდა იმოდენად, რომ 1014 წ. შეაერთა სრულიად საქართველო და ჩვენი ქვეყანა შეიქმნა ძლიერ და სახელოვან. ეხლანდელმა ოსმალის საქართველომ იმ შეერთებისათვის დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს ქვეყანას, დიდი სისხლი დაანთხია, დიდი ქველობა გასწია.

თამარ მეფის შემდეგ, ე.ი. ჟამს, როდესაც ჩვენი ქვეყნის ერთობა დაირღვა, ეხლანდელს ოსმალის საქართველოში მფლობელობდა სამცხის ათაბაგი, რომელიც ახალციხეში მკვიდრობდა და იგი ადგილი წოდებული იყო სამცხე საათაბაგოდ. ბიზანტიის იმპერიის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა მრავალი ჭირი მიაყენეს სამცხე-საათაბაგოსა, რომლის დაპყრობასაც ძლიერ ეტანებოდნენ და ამისთვის ქრისტიანობის აღმოფხვრა უნდოდათ. მაგრამ 1625 წლამდე სამცხე-საათაბაგოს მთავრებს მტკიცედ ეპყრათ ქრისტიანობა და ყოველთვის თავ-გაწირულობით, თავ-დადებით ებრძოდნენ ოსმალთა, ასე რომ ოსმალებმა ვერ დააკლეს რა ვერც სარწმუნოებასა, ვერც ქართველობის გვარტომობასა, თუმცა მრავალი მსხვერპლი კი შეაწირვინეს. 1625 წ. ბექამ მოწამლა თავისი ძმისწული, უკანასკნელი ათაბაგი მანუჩარ, გადაუღვა ქრისტიანობას, ქართველობას, მიიღო ორ-თუღიანი ფაშობა ოსმალეთისგან სამცხე-საათაბაგოში და სახელად დაირქვა საფარ-ფაშა. ამის გამო ბევრნი თავადაზნაურნი და გლეხნი გადმოიხვეწნენ ქართლს, ზოგიერთებს იქ დარჩენილთა მიაღებინეს მაჰმადიანობა, ზოგს ძალდატანებით, ზოგს მოტყუებით და მაცდურობით; სამღვდელონი და ეპისკოპისზნი მოსწყვიტეს, საყდრები დასძარცვეს, და ყოველი საღმრთოსაერო

წიგნები ცეცხლს მისცეს. ჩვენი მოძმე ქრისტიანი ხალხი დარჩა უწინამძღვროდ, უმოდღვროდ, უეკლე-სიოდ და სასოწარკვეთილი, მწარედ დაჩაგრული, უწყალოდ დევნილი და განადგურებული, ნელ-ნელად მიეცა მაჰმადიანობასა.

დღესაც იციან იქაურმა ქართველებმა, რომ ზოგის დედა, მამა, პაპა ჯერ კიდევ მათს ხსოვნაში ქრისტიანები ყოფილან, ამბობენ, რომ იქ ზოგიერთი დღესაც იღუმალად აღიარებს ქრისტიანებასაო, რომ დღესაც ათისა თუ თერთმეტის წლის ყმაწვილები საჩვენოში გადმოჰყავთ მოსანათლავად, ზოგი ჩვენებურად ჯვარსაც იწერს, ოსმალების იღუმალად თურმე.

ეგრეთ, – მთავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები – ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოღვინენი. დიდმა ღვაწლმა ბაგრატ მესამისამ, დავით აღმაშენებლისამ, თამარ დედოფლისამ, უქმად ჩაუარა ამოდენად ტანჯულს, ბედისაგან დევნულს, ერთობისათვის და ქრისტიანობისათვის სისხლდათხეულსა საქართველოსა.

სარწმუნოების სხვა-და-სხვაობა ჩვენ არ გვაშინებს, ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარ-ცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელები, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი – აქ ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს საგანესა და – სინიდისის თავისუფლებასა.

არ გვაშინებს მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ძმებს ოსმალის საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიმძოთ, ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინიდისს, და დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ღმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი. და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუ-დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამ-პაპათა...

„ივერია“. 1877. №9. გვ. 1-3.

თბილისი

ალექსანდრე ხუჯრინი



რუსულიდან თარგმნა მარინე ამბარდნიშვილმა

ღამის ია

შუა რუსეთში ერთი ისეთი საოცარი ყვავილი ხარობს, რომელიც მხოლოდ ნესტიან, დაჭაობებულ ადგილებზე ღამლაობით ყვავის და გამოირჩევა საკმევლის ბრწყინვალე სურნელით, რაც მოსაღამოებულზე უჩვეულოდ ძლიერდება. შემდგომში, მოკრეფილი და წყალში ჩაღებული, გათენებისას, უსიამოვნოდ ყროლდება. ის მოკრძალებულ იას სულაც არ ენათესავება. ღამის ია მას უგემოვნებო მოაგარაკე ქალებმა და ინტელიგენტმა სტუმრებმა უწოდეს. სხვადასხვა სოფლის გლეხებმა კი რამდენიმე განსხვავებული და გამომხატველი სახელი, რომლებიც დამავიწყდა და მეც ამ ყვავილს ღამის იად მოვიხსენიებ.

გლეხები მას არც სამკურნალოდ იყენებენ და არც სამების დღესასწაულის ან თუნდაც – ქორწილის მოსართავად, უბრალოდ არც კი ამჩნევენ და არც უყვართ. ამბობენ, რომ ეს სურნელოვანი ყვავილი თითქოს ცხენიპარიებს, ჯადოქრებს და კუდიანებს უკავშირდება. მაგრამ ხალხური ფოლკლორის შემსწავლეებს აქამდე ჯერ არ მოუღწევიათ.

ღამის იას შესახებ უცნაურ და თითქმის დაუჯერებელ ისტორიებს მიყვებოდა მაქსიმ ილიჩ ტრაპეზნიკოვი – სარატოვის და ცარიცინის მიწისმზომელი, ჩემი გულითადი მეგობარი, ჭკვიანი, ფხიზელი გონების დარბაისელი კაცი.

ჩვენ მაშინ ორთქლმავლით ვოლგას ზემოთ მიუყვებოდით, თან კამის ქცვრინებითა და სურის კიბოებით ყელს ვიტკბარუნებდით და არ ვიცოდით, დრო როგორ გაგვეტარებინა და ღამის იას შესახებ შვიდი-რვა წლის მხიარული გოგონას გამოისობით ვისაუბრეთ, რომელიც პატარა ნავმისადგომთან ამ ყვავილის პაწაწინა თაიგულებს მარჯვედ ყიდდა.

– მართალი ხართ, – მითხრა მან, – ჩანს, მისი ხალხური სახელი არავინ იცის ან სულაც დაივიწყეს. რაც შეეხება იისფერს, რუსი ერი ამ ფერს არც იცნობს და არც არსად იყენებს. სოსანისფერს

იასამნიდან იცნობს და თან იასამნისფრადაც არ ახსენებენ და „ღამეული იას“ სახელწოდება განათლებულთა მონაგონია, მაგრამ მთელ რუსეთში ასე რატომ გავრცელდა, ეს ვერაფრით ამიხსნია.

მისმინეთ, რასაც ახლა ამ ყვავილის შესახებ მოგითხრობთ. საოცარი ისტორიაა. ეს რომ სხვას მოეყოლა, არ დავიჯერებდი, ვიფიქრებდი: „ახალგაზრდაა, ბოდავს, მაგრამ საქმე ის გახლდათ, რომ რასაც მოგიყვებით, ყველაფრის აქტიური მოწმე და მონაწილე ვარ და, შეიძლება ითქვას, საბრალო მსხვერპლიც. პატარა თიხის ქოთნის ჟიგულური ლუდი ყელის გასასველებლად არ გვეყოფა? აქ ცნობილი ლუდია.

აი ასე: დავამთავრე მოსკოვის მიწისმზომლობის ინსტიტუტი, მიწისმზომელი ინჟინრის პირველი თანრიგის დიპლომითა და ქუდზე ოქროს გერბით. დაუყოვნებლივ ცარიცინში, ჩემს მშობლიურ კუთხეში, დედ-მამასთან გავემგზავრე. მამაჩემმა თავისი შრომითი ცხოვრების მანძილზე ჩვენს მაზრაში სამი ასეული დესეტინა მიწა და სართულნახევრიანი ხის პატარა სახლი შეიძინა, ხეხილი და ჩინებული კენკროვანი ბოსტანი გააშენა, კარგი ყვავილნარიც, საყვარელი რეზედით. სანადიროდ ორი ძაღლიც ჰყავდა, ორი სეტერი, დედალ-მამალი, უკვე მეთორმეტე თაობა იყო. წინკარში ყველანაირი სათევზაო ხელსაწყოები ელაგა. თუ შინ გაკეთებულ მურაბებსა და ნაყენებსაც მივუმატებთ – პირდაპირ ამქვეყნიური სამოთხე! ოხ, ღმერთო ჩემო! როგორი სასიხარულოა საყვარელ, თბილ, მამისეულ სახლში სერიოზულ დარბაისელ ადამიანად დაბრუნდე ტიტულოვანი მრჩეველის ჩინით და ბრწყინვალე მომავლით! მამაჩემი მთელი თავისი სიცოცხლე მიწისმზომელი იყო და მხოლოდ ახლახან, გუბერნიის მიწისმზომელი გახდა, მაგრამ თავისი კარიერა შორეულ წარსულში, გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს, გლეხთა ყმობიდან განთავისუფლების ეპოქაში დაიწყო. მისთვის საოცრად სასიხარულო იყო ჩემი მწვანე ოქროსფრად მოსირძული მუნდირი, გაუმჯობესებული ასტროლაბი, ცეისის ობიექტივიანი თეოდოლიტი კომპასური გადაღებისათვის. ყველაზე მეტად მამაჩემი, ძველი მიწისმზომელი ამ ობიექტივმა (მართლაც დიდებულმა) გააოცა: „ღმერთო ჩემო, სადამდე მივიდა თანამედროვე ტექნიკა! ეს მხოლოდ მიწის საზომი ხელსაწყო კი არა, თითქმის ტელესკოპია ციური მნათობებზე დასაკვირვებლად. საყვარელო მაქსიმუშკა, მომიტევე მოურიდელებელი კითხვისთვის და ოპტიკური ხელოვნების ასეთი საოცრება რა ელირება“?

უთხარი, რომ თეოდოლიტის ფასი არ ვიცოდი, რადგან თვით ინსტიტუტის დირექტორმა გამოსამკვებ სადამოზე გადმომცა სანიმუშო ყოფაქცევისა და ფრიალი წარმატებისათვის.

ამ დროს დედაჩემს გული აუჩუქდა და თვალები აუცრემლიანდა.

– აი, უფალმა ისე ინება, რომ მამა განვლილი შრომის მერე საკუთარ სახლში დაისვენებს, შენ

მამისეულ კერას და საქმეს მემკვიდრეობით მიიღებ, ჩვენ კი დიდგვაროვან საცოლეს მოვიძებნით. ჩვენთან, ვოლგისპირეთში, ასეთი მრავლადაა: ჭკვიანებიც, ლამაზებიც, მშრომელები და კარგი მზითვიანებიც.

აქ მამაჩემმა საყვარელ მეუღლეს მსუბუქად მოუჭრა.

— დაიცადე. მაქსიმუმის საცოლეზე ფიქრი ნაადრევია, ჯერ ოცი წლისაა. დაე, თავისუფლად ინავარდოს, სვას, დედაქალაქის მერე სუფთა ჰაერი ისუნთქოს, ნაცნობები გაიჩინოს, ინადიროს, ითევზაოს, მერე კი, რასაც უფალი მისცემს. მაქსიმ, ჩემს განთქმულ თოფს გისასხოვრებ, მე ნადირობისთვის დავებრდი.

უნდა ვთქვათ, რომ ჩაკეტილი და შეზღუდული ცხოვრების მერე ნადირობას ისე მივეძალე, როგორც ლოთი ღვინოს. დღეებს ნადირობაში ვატარებდი. ჩემი მუდმივი თანამგზავრი და მასწავლებელი ვეტერინარი ივანოვი იყო. ძუნწი, დაულალავი, გამოცდილი მონადირე, თოფის მასრების დიდებული დამტენი და მამაჩემის საყვარელი მონადირე ამხანაგი. ხშირად სამი-ოთხი დღით მივდიოდით და მაშინ დედაჩემის მეკუჭნავე აგათა, მისი მარჯვენა ხელი დიასახლისობაში, ჩვენს სამონადირეო ჩანთას საგზლით გაავსებდა და ჭაობის ციების შემთხვევისათვის რალაც წამალსაც ჩაგვიდებდა და ჩვენც უთენია მივდიოდით.

უცნაურია: უკვე ათი წელია, რაც აგათას ვიცნობდი (მისი ნამდვილი სახელი აგათა იყო, მაგრამ დედაჩემი კეთილხმოვანების გამო აგათას ეძახდა). სულ ჩემ თვალწინ იყო, როცა შემოდგომობით არდადეგებზე ჩამოვდიოდით, მერე მოსკოვში ველარც ვინსენებლი მის სახეს, ხმას და ფიგურას. ასე რომ, წყნარი, ჩუმი, ფაქიზი, ფერმკრთალი, უცნაური გამომეტყველებით.

ახლა კი ჩემს ამბავს ვუახლოვდები. შორეულ ჭაობებში ივანოვთან ერთად ვნადირობდი დუბლებზე, ჩიბუხებსა და ღაღალებზე და სახლს ისე საკმაოდ დავშორდით, რომ ჩემი ამხანაგი ადგილმდებარეობის ამოცნობისას თავს აქეთ-იქით აქნევდა. მერე საღდაც დასავლეთით ხის ბოძები ძლივს დავინახეთ. ივანოვმა მითხრა:

— მგონი, ეს ადგილი ვიცი. ეს სახლი გაზაფხულის წყალდიდობის შემთხვევისათვის ხის ბოძებზე დგას, ახლა კი თითქმის დაძველდა. შიგ ბოშა დედაბერი ცხოვრობს. დედაკაცები ამბობენ, რომ თითქოს ჯადოქარია. ჩვენ, განათლებულ ხალხს, ასეთი სისულელებების არ გვჯერა, მაგრამ, მოდი, ვცადოთ. მივიდეთ, ჩაი გვაქვს, აგვიდულებენ. ჭაობში ხეტილისა და დაქანცულობის მერე ჩინური ბალახი დავლიოთ.

წავედით. მივედით. ოთხ ბოძზე, მართლაც, დანგრეული ქოხმახი იდგა. შიგ დიდცხვირა, შავი, ჩამომხმარი დედაბერი დაგვხვდა, გარეგნულად ბოშა. ცეცხლი გააჩაღა, სპილენძის ტაშტში წყალი აადულა. ჩვენ ჩაი დავაყენეთ, დავლიეთ და ბებერ კუდიანს გავუმასპინძლდით. ის თან მიყურებდა,

თან მეუბნებოდა:

— ბატონო, ხელი მომეცი, გიმკითხავებ.

— ეშმაკეულს ნუ მიეკარები. — ჩაიბუზუნა ივანოვმა.

ის კი, ჩემს ხელს დაუფლებული, უკვე ბუტბუტებდა:

— ოხ, ახალგაზრდა ბატონი, ლამაზი, ბედნიერი და მდიდარი იქნება. მარცხნივ შავი კატა გიდგას, უნდა რომ ძლიერ გავნოს, მაგრამ ნუ შეგეშინდება. ერთი ახალგაზრდა კარგი ქალწული სულ შენ გიყურებს. დიდხანს იცოცხლებ, ოთხმოც წლამდე.

და სხვა ბოშური ჩვეულებრივი აბაუბდა. მე მას თხუთმეტი კაპიკი მივეცი. ის ისევ ჩამაცივდა: საყვარელო კარგო ბატონო, ეგვიპტურად გიმკითხავებ. მომეძალა და კიდევ 50 კაპიკი მივეცი. ის კი ისევ თავისას აგრძელებდა. ქუდი დავიხურე, თოფი მხარზე გადავიკიდე, რომ დამებლაუჭა.

— ბატონო, მისმინე, საყვარელო ბატონო, ვიცი, რომ ტომარაში არაფი გაქვს. გიმკითხავებ, გეტყვი, რისი უნდა გეშინოდეს და რას ერიდებოდე. ეს უკვე სიცოცხლის ბოლომდე უცვლელი და ნამდვილი იქნება.

რა უნდა მექნა! დედაბერს ჭიქა არაფი დავუხსნი. დიდი სიამოვნებით გამოწრუპა, არაფერი შეუტანებია და მითხრა:

— ახალგაზრდა ბატონო, ყველაზე მეტად ცხენისა და კატის თვალს ერიდე, კიდევ დამეულ სურნელოვან ბალახს, უფრო მეტად სავსე მთვარეს. ახლა კი მშვილობიან გზას გისურვებ, მაგრამ როცა ამ სამ ბოროტებას შეეყრები, ჩემთან ქოხმახში მოდი და დავიხსნი.

წავედით და იმ დღეს მეტი აღარ გვინადირია. როცა შინ ვბრუნდებოდით, ივანოვი ჩემზე გაცხარდა ბოშა დედაბრის გამო:

— ნუთუ უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეთ? ოხ, დედაქალაქელო ნასწავლებო!

მეორე დღეს დილიდანვე გაწვიმდა და დიდხანს არ გადაუღია. ნადირობას თავი დავანებეთ. დღისით კვითხულობდით, საღამოს კი საზოგადოებრივ კლუბში ან მშობლებთან პრეფერანსს ვთამაშობდით.

მე თვითონ ველარ ვინსენებ, როგორ უცებ მომხიბლა აგათას თვალებმა. ეს ალბათ მაგიდასთან მოხდა. აგათას შემთხვევით გადავხედე და შევამჩნიე, რომ თვალები უცნაურად უციმციმებდა. მათი ფერი აგათას თავის მიბრუნებისას იცვლებოდა, ხან მწვანედ, ხან წითლად, ხან სოსანისფრად, ხან იასამნისფრად. თვალების ასეთი ციმციმი ზოგჯერ ცხენებზე და კატებზე შემემჩნია ბნელ სათავსოში. აგათა პირველად ვნახე. ადრეც ვიცნობდი, მაგრამ რამდენიმე წელი არ მენახა. ის უცებ მალალი, ტანადი მეჩვენა, დინჯად, აუჩქარებლად, თავდაჯერებულად მოძრაობდა. რამდენი წლის იყო, ვერ ვხვდებოდი. ოცდაათის? ორმოცის? დროდადრო ქვედა ტუჩი უთამაშებდა. არასდროს იცინოდა და იღიმებოდა, მაგრამ სასიამოვნო წუთებში მოულოდნელად სახე ცოტა ხნით უბრწყინდებოდა და მიმზიდველი ხდებოდა.

ერთხელ დედას აგათას წარსულის შესახებ კვითხე, მაგრამ ბევრი ვერაფერი შევიტყვე.

– აგათა (სინამდვილეში აგაფია) გაღარიბებული აზნაურისა და მისი მოსამსახურის ბუშია, უღელმამო. სამადლოდ მოვიყვანეთ. ბავშვობიდან დიასახლისობას ვასწავლიდით. თავდაპირველად დაწყებით, მერე საშუალო სკოლაში გავვზავნეთ. არა უშავს, ბეჯითი, დამჯერი გოგო იზრდებოდა, გვემადლიერებოდა. მერე, ასე თერთმეტი წლის ასაკში, უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ისე გაქრა, რომ კვალსაც ვერ მივაგენით. ერთი წლის მერე დაბრუნდა. თურმე მთელი ეს დრო ბოშებთან ერთად დაეხეტებოდა. დაბრუნდა და ცხარედ ატირდა: „მომიტყვეთ, ღვთის გულისათვის, მომიტყვეთ, აღარ გაწყენინებთ“. რას იზამდი? მივიღეთ, დრო გადიოდა, აგათას ვესიყვარულვოდით, მისი ქებით არ ვიღვებოდით. ჩვენს ოჯახში საოცრება იზრდებოდა: მოხელსაქმე, პირველხარისხოვანი მზარეული, ღვთისმოსშიში, უწყინარი, ჭკვიანი, პრაქტიკული, მზიარული... მაგრამ რა? მაგიდას შემოვუსხედით და აგათას სადილზე დავუძახე. შემოვიდა, თითქოს ცივი წყალი გადაესხათ, შემცბარი, თავდახრილი, თვალებით იატაკს დაშტერებოდა. „რა მოგივიდა“? ძლივს გასაგონი ხმით ამოღერდა: „ჩემო კეთილისმყოფელებო, ნება მომეცით და დამლოცეთ ბელოგორსკის მონასტერში წავიდე და მონაზვნად აღვიკვეცო“. ღმერთო, რა საოცრებაა? გვინდოდა, გადაგვეფიქრებინა: „მონასტერში როგორ წახვალ, როცა ჯერ თექვსმეტი წლის ხარ. ისეთი რა ცოდვა ჩაიდინე, რომ უნდა მოინანიო და მისთანები“. კონკრეტულ ფუთაში გამოკრა და აორთქლდა. გულით გვენანებოდა, მაგრამ რას ვიზამდით.

ამ ამბიდან რამდენი წელი გავიდა, დედას არ ახსოვდა, შვიდი თუ რვა და ჩვენი აგათა ისევ გამოგვეცხადა. ჩვენს წინ მუხლებზე დაეცა და იატაკზე შუბლს ურტყამდა:

– მაპატიეთ, გზააბნეულს უკანასკნელად, ვნანობ, თქვენი ანგელოზური მოკეთების იმედი მაქვს. ღმერთსა და სახარებას ვფიცავ, ეს ჩემი უკანასკნელი გაქცევაა. დღეიდან სიკვდილამდე ერთგული ხმა ვიქნები როგორც თქვენი, ისე თქვენი ოჯახისა და შთამომავლობისა და ასე მისთანანი... და მას მერე ჩვენთან ცხოვრობს. წყნარი, მორჩილი, გამგონი, როგორც მონაზონი. მისგან თითქოს სანთლის სუნი იგრძნობა.

მაღე წყნარ აგათას ყურადღებას სულ აღარ ვაქცევდი, თითქოს ძველი ავეჯი იყო, უფრო ზუსტად კი აღარც არსებობდა და მის დახრილ თვალებში გრძელი წამწამების ქვეშ ციმციმა უცნაური ნაპერწკლები აღარ მაკვირვებდა და მალეღვებდა. მაშინ უკვე ვფიქრობდი, მშობლების ნებას დაველოლოდი და ღირსეულად მექორწინა. ფრიად წარმოსადგე საქმროდ ვითვლებოდი: ახალგაზრდა, ჯანმრთელი, უნაკლო, ინტელიგენტური, ინჟინერი, ვცეკვაავდი ვალსს სამ ტემპში, მაზურკას, კრაკოვიაკს, პადესპანს და ფრანგულ ენაზე ვდირიჟორობდი კადრილს. თან მაძისეული ქონება. ლამაზი და

მდიდარი ქალიშვილები უკვე შეთვალეირებული მყავდა... და სწორედ ამ დროს ემპაისიული უბედურება დამატყდა თავს...

ახლა დამავიწყდა, ეს როდის მოხდა, მხოლოდ ის მახსოვს, რომ პარასკევი და იენისის ბოლო იყო. აუტანლად ცხელი დღე გათენდა, რაც ჩვენთან ვოლგისპირეთში იშვიათია. მხოლოდ გვიან საღამოს ამოვისუნთქეთ. ვიბანავე, ვივანშმე და ჩვენს მიტოვებულ ნესტიან ბაღში შევედი და სკამზე ჩამოვჯექი. პერანგის საყელო შეხსნილი მქონდა. ოხ, რა სიამოვნება იყო დამქანცველი პაპანაქების მერე სუფთა, გრილი ჰაერი ჩაგესუნთქა! ბინდებოდა. ამოვიდა ბადრი მოვერცხლისფრო მკრთალი მთვარე. სადღაც განათდა და ციცქნა ციცინათელები აჭრიჭინდნენ. ბაღს ჯადოსნური ელფერი დაჰკრავდა. უცებ ვილაცის მსუბუქი ნაბიჯების ხმა მომესმა. ეს აგათა მოდიოდა, მკრთალი მწვანე ფერი გადაჰკრავდა.

– მაქსიმილიჩ, ნება მიბოძეთ, თქვენს სიახლოვეს დავვადე. – მითხრა აკანკალებული ხმით. მე განზე გავიწვი.

– მობრძანდით. შეხედეთ, რა მშვენიერი ღამეა!

– დიან მშვენიერია, დიდებული, პატარა თაიგული მოგიტანეთ. აიღეთ, საოცარი სურნელი აქვს.

დამათრობელი, მიმზიდველი, აღმგზნები სურნელი და ჩემს ფეხზე მისი ცხელი ხელი ერთდროულად ვიგრძენი. ჯერ გამოუცდელმა სურვილმა მთელ სხეულში დამიარა, ფეხებიდან თავამდე. ვკანკალედი, ის კი მშვიდად მელაპარაკებოდა. სახეზე მის სუნთქვას ვგრძნობდი.

– მაქსიმ ილიჩ, თქვენ რომ იცოდეთ, როგორი მიჯაჭვული ვართ თქვენს ოჯახს! ყველანი როგორ მიყვარხართ! მამათქვენი, თქვენც მიყვარხართ! მიყვარხართ, მიყვარხართ, მიყვარხართ! ოხ, მაქსიმ ილიჩ, მინდოდა მთელი სიცოცხლე თქვენი ყმა, თქვენი ძალი, თქვენი ხალიჩა და ფიანდაზი ვყოფილიყავი! ოხ, როგორ საშინლად მიყვარხართ! თუ საჭირო იქნებოდა, თქვენი ჯანმრთელობისა ანდა სიამოვნებისათვის მთელ ჩემს სისხლს გავიღებდი სიამოვნებით, ჩემს სხეულს და სულს არ დავიშურებდი!

არა! ამ ღამეს სიტყვებით ვერ გადმოვცემთ! ურცხვი, ჯადოქარი მთვარე, შეყვარებულთა მაჭანკალი, მიცვალებულთა მეგობარი, მთვარეულთა მფარველი, ღამეული მაცდური სურნელი და მისი უგონოდ მოწყურებული სხეული, მისი მწვანე-წითლად ციმციმა თვალები... ის ჩემს შიშველ მკერდზე იწვა და აკანკალებული ხმით მელაპარაკებოდა:

– მრავალი წლის განმავლობაში ვოცნებობდი, შენთვის ტურჩებში მეკონა და მერე იქვე მოვმკვდარიყავი.

ერთმანეთს ვაკოცეთ. ციურო ძალებო, ეს რა კოცნა იყო! მომჩვენა, რომ დედამიწა ტრიალებდა და ვეიჟდებოდი. ის კი აგზნებულად მეჩურჩულებოდა:

– კიდე, კიდე, კიდე...

ჩემს ოთანში გათენებისას დავბრუნდი. ფეხზე ძლივს ვიდექი, თავი მიბრუოდა, კუნთები მტკიოდა,

ხელები მიკანკალებდა, სახეზე ალმური ამდიოდა. დედა შემოვიდა და მკითხა:

- მაქსიმ, რა მოგივიდა? შენ თავს არ ჰგავხარ.
- დამცხა, მცხუნვარე დღე იყო, – მიუუგე.
- არა, ეს მზისგან არ არის. ეს მთვარის დაკვრას, მალე დაწექი, ძილში გაგივლის.

დავწექი. ღამით აგათა შემოვიდა, გათენებისას კი მასთან ანტრესოლზე ავიკვრი. ასე ხდებოდა ყოველ დღე, ყოველ საათს, ყოველთვის. ერთმანეთისკენ მივილტვოდით და ერთმანეთით ვერ ვძლებოდით.

ემმაკმა უწყის, ველურ მიყრუებულ ადგილას დაბადებულმა და გაზრდილმა ქალმა საღ ისწავლა სიყვარულის ასეთი გარყვნილი, ურცხვი, ნატიფი ხერხები, რის გახსენებაც ახლა მრცხვენია, მაგრამ მაშინ უხილავი წვრილი ფოლადის ძაფებით შემოხვეული ნეტარ და ტკბილ ჯოჯოხეთში ვცხოვრობდი. ორივე ვნებით გაგიჟებულები, ჩვენი სიყვარულის გარდა, სხვა არაფერზე ვფიქრობდით. ჩვენ ერთმანეთს შორიდანვე ვცნობდით და ერთმანეთისკენ ვილტვოდით, რათა ისევ ვნების მორევში გადავვარდნილიყავით. ყველა ბუჩქი, ამბარი, თავლა, სარდაფი ჩვენი სიყვარულის მფარველი ჭერი იყო.

აგათა მშვენდებოდა და ჯანსაღდებოდა, მე კი სიკვდილს სიხარულით ვუახლოვდებოდი. ჩონჩხს დავემსგავსე, სიარულისას ფეხები მიკანკალებდა, მაღა დამეკარგა, მენსიერება ისე დამიქვეითდა, რომ მარტო ჩემი მეცნიერება, ჩემი მასწავლებლები და ამხანაგები კი არა, დედ-მამის სახელიც კი მავიწყდებოდა. მე მხოლოდ სიყვარული მახსოვდა, სიყვარული და შეყვარებულის სახე.

უცნაურია, რომ ოჯახში ჩვენს თავხეხილადებულ, შმაგ სიყვარულს ვერაფერ ამჩნევდა. იქნებ კადნიერ, უტიფარ შეყვარებულებს თავიანთი იდუმალი სულები მფარველობენ? მაგრამ საყვარელი დედა დედის გუჟანით ხვდებოდა, რომ ეშმაკეულს ვყავდი შეპყრობილი. მამას სთხოვა, გართობისა და ადგილის შესაცვლელად მოსკოვში გავეგზავნე, სადაც ის იყო სრულიად რუსეთის უდიდესი გამოფენა გაიხსნა. მზრუნველ მშობლებს ვერ შევეწინააღმდეგე და გავემგზავრე, მაგრამ ნიჟნი ნოვგოროდში აგათას ისეთი ცხოველური მონატრება დამეუფლა, რომ პირველივე მატარებლით შინისკენ გამოვეშურე. ჩამოვედი, დედ-მამას ნაირნაირი აბდაუბდა მოუუყევი და მშობლიურ ბუდეში კეთროვანი განდგომილივით ვცხოვრობდი. მრცხვენოდა და სინდისი მქენჯნიდა. რამდენჯერმე გადავწყვიტე, სიცოცხლეზე ხელი ამეღო, მაგრამ შემეშინდა, მშობლები მენანებოდა, უფრო მეტად სიცოცხლისკენ აგათა მიზიდავდა.

თავდაუზოგავმა დედაჩემმა სცადა, ჩემ ირგვლივ მოჯადოებული ქსელი დაერღვია. თავდაპირველად ვეტერინარ ივანოვს მიმართა, ვისთანაც ერთად ვნადირობდი. მას უნდოდა, როგორც შეეძლო, ჩემთვის ეშველა. ზუსტად მოუყვა, თუ ბოშა ქალთან როგორ მივედით, როგორ გვიმკითხავა, როგორ მიმითითა, რას მოვრიდებოდი და რისი მშინებოდა და უბედურების ყაშს მისთვის შეველა გვეთხოვა. დედაჩემმა დაიჯერა, ბოშა დედაბერთან მივიდა და დიდხანს ელაპარაკა. წამოსვლისას მკითხავს მეოთხედ ბილეთს აძლევდა, მაგრამ მან არ აიღო. „მე საღვთო საქმეს ვემსახურები, ამაში კი ფულს არ იღებენ“. ბოლოს დედაჩემი მხცოვან დეკანოზ მამა გაბრიელს ეახლა. დეკანოზმა დალოცა და დაარიგა.

დაღა მთავარანგელოზ გაბრიელის დღე. დედამ გადაწყვიტა, პარაკლისი შინ გადაეხადა. დარბაზში ყველა შინაური მოიწვია, მათ შორის აგათაც. მასწავლა, თუ რა გამეკეთებინა და რა მეთქვა. როგორც წესია, პარაკლისი გადავიხადეთ. სამღვდლოება წავიდა, მაშინ დედილომ წყნარად და მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა, თან აგათას სერიოზულად უყურებდა:


- ჩვენო საყვარელო აგათა, მრავალი წლის განმავლობაში ჩვენი ოჯახის ერთგული მეგობარი იყავი, შრომისმოყვარე, დამთმობი დამხმარე. ვიფიქრეთ, რომ საკმარისია ჩვენი ხიზანი იყო, დროა საკუთარი ჭერი შეიძინო და მეურნეობა მოიწყო. აი, ამ საქალაქში, რასაც ახლა გადმოგცემ, არის საბატონო მიწის პატარა ნაგლეჯი და თანხა, რაც მეურნეობის მოსაწყობადაა საჭირო. ეს, ჩემი ქმრისგან. ჩემგან კი ოცი ფრთა ქათამი, ბატი, იხვი და ინდაური. ჩვენი ვაჟის მაქსიმისგან კი აუცილებელ ავეჯს მიიღებ, სახსოვრად კი მოხერის გაკეთებულ ოქროს საათს. მაქსიმ, გადაეცი.

საათი გადაეცი და მზერით გამოვეთხოვე. დავინახე, რომ მკვდრისფერი დაეღო. მაშინ დედამ ყველა იქ მყოფს აიაზმა ასხურა, თვითონ კი ღმრთისმშობელს შეევედრა, შეენლო ჩვენთვის ხორციელი შეცოდებანი და სული დაემშვიდებინა.

აი ასე დასრულდა ეს ყველაფერი. აგათა იმავე ღამეს გაქრა, არავისთვის არაფერი უთქვამს და ნაჩუქარი ფულიდან და ნივთებიდან არც არაფერი აუღია.

ასე გაქრა მისი კვალი სამარადჟამოდ. დედაჩემმა კი თავის სულის მოსახსენიებელში შეიტანა მხევალი ღმრთისა სნეული და ტანჯული აგათა და ყოველ წირვაზე მოიხსენიებს.

გიორგი ხილაძე



ილია და გრიგოლ ორბელიანი

დღეს კიდევ ერთი „ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე“ „ჩამოვსქროლე“.

რიგით მეორე „მატიანეს“ შემქმნელები, ისევე როგორც ილიას, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი გახლავთ.

პროექტის ხელმძღვანელი – მაია ნინიძე.

მასალის შემდგენლები: მაია ნინიძე, საბა მეტრეველი, თეა თვალავაძე, ესმა მანია, ავთანდილ უჯმაჯურიძე რედაქტორები: მაია ნინიძე, ქეთევან გიგაშვილი.

რედაქტორები: მაია ნინიძე, ქეთევან გიგაშვილი.

მატიანე 3747 კომპიუტერულ გვერდს მოიცავს და პრინციპი ზუსტად იგივეა, რაც ილიას „მატიანესი“ და თუმცა, მცირე, მაგრამ ვრცელი, ბევრის-მომცველი, შეიძლება ვთქვათ, ყველაფრის მომცველი წინასიტყვაობით იწყება.

მე, თხრობას 1859 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებიდან ვიწყებ:

მაშ ასე, „მატიანეს“ კალენდრით **1859 წლის ოქტომბრის შუა რიცხვები** – პეტერბურგიდან საქართველოსკენ მიმავალი გრიგოლ ორბელიანი მლეთასთან ხვდება პეტერბურგისკენ მიმავალ ილია ჭავჭავაძეს. თუმცა, მანამდე კიდევ ორი, არცთუ მნიშვნელოვანი თარიღი უნდა გავახსენო ყურნალ „ანეულის“ მკითხველს. პირველი, 1854 წლის 3 ივლისი. სწორედ ის დღე, როდესაც „კახეთს თავს ესხმიან ლეკები, სახლებს წვავენ და აჰყავთ ტყვეები (მათ შორის ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟის – დავითის ცოლ-შვილი, გრიგოლ ორბელიანის ძმის – ილიას ცოლ-შვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის და – ნინო და სხვ.) სახელდახელოდ შეკრებილ მღევარს უერთდება იმ დროს რუსეთიდან ყვარელში დროებით ჩასული ილიას უფროსი ძმა – 21 წლის კონსტანტინე და მას სოფელ კონდოლთან შეტაკებისას კლავენ“.

მეორე, 1859 წლის ზაფხული. – ილია თბილისის გიმნაზიის დარბაზში დგამს ცოცხალ სურათებს „ძველი აღთქმიდან“ და „მეფე ლირიდან“.

მონაწილეობენ: მისი და ელისაბედი, ნათესავი ნიკო ჭავჭავაძე, ელენე ანდრონიკაშვილი-ჩოლოყაშვილისა, გიორგი XII-ის შვილიშვილი – ვერა ბაგრატიონ-გრუზინსკაია-სვიატოპოლკ-მირსკისა, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი სოფიო და ვაჟი დავითი, გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის – ბარბარე იაკობის ასულ ორბელიან-ოპოჩინინის ქალიშვილები, გაბრიელ სულხანიშვილი და სხვები. მეფე ლირის როლს თვითონ კითხულობს. წარმოდგენის შემდეგ იღებენ ერთობლივ ფოტოს.

არათუ ამ ფოტოზე, არათუ სხვა ფოტოზე, არამედ არსად, არც ერთ წყაროში, ილიასა და გრიგოლ ორბელიანის სხვა შეხვედრის ამბავი არ დასტურდება.

არ დაგვაიწყდეს 1837 წლის 27 ოქტომბერს დაბადებული ილია, ამ დროს მხოლოდ 22 წლისაა, 1804 წლის 2 ოქტომბერს დაბადებული გრიგოლ ორბელიანი – 55 წლის.

შემდეგი შეხვედრა ორი „მატიანეს“ კალენდრით 1861 წლის აპრილია. შეხვედრა დაუსწრებელია, ადგილი ჟურნალი „ცისკარი“ (1861, №.4).

ჟურნალ „ცისკარის“ ხსენებულ ნომერს, მიზეზთა გამო არაერთხელ დავუბრუნდები, თუმცა, მანამდე ორ მცირე ამონარიდს გავახსენებთ/გაგაცნობთ, თქმაც არ უნდა, ამონარიდები ილიას უცნობილესი წერილიდანაა...

„რომ არა გეყვანდნენ რუსთაველი, ალ. ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი... კიდევ ჰო, რომ გეყვანან... რატომ არა ვსწავლობთ იმათ მშვენიერს ლექსებში მშვენიერს ენას? დაუდევრელები ვართ ქართველები და კიდევ ეგ მოგვიღებს ბოლოს, თუ ჩვენ საუბედუროდ არ გავსწორდებით როდისმე...“

...კიდევ, მაღლობა ღმერთს, რომ „ცისკარი“ მაგ ყოფაშია, ორიოდე თავად ალ. ჭავჭავაძის, თავად ნ. ბარათაშვილის და გრ. ორბელიანის ლექსებთან მაინც გაგვაცნო, რომ სხვა არა იყოს რა. სხვა ახალი პროზაიკები და მოლექსეები, ზოგიერთის გარდა, ღმერთმა შეინახოს. პუშკინისა არ იყოს, ამათი ცოდვები ისე მალე დაივიწყის, როგორც იმათი ლექსები დაბეჭდვის უმაღვე დაივიწყებიან ხოლმე“.

ამასობაში გრიგოლ ორბელიანის „მატიანით“ 1861 წლის 15 ივნისია. სწორედ ამ დღეს ილია ჭავჭავაძე წერს სტატიას „სფირიდონის და თადეოზის ბაასი“, რომელშიც მაღალ შეფასებას აძლევს გრიგოლ ორბელიანის ლექსს „გამოსალმებას“ და ვიდრე სტატიას „გადავწყვიტე“, თავს უფლებას მივცემ და „გამოსალმებას“ გაგაცნობთ, დარწმუნებული ვარ ჟურნალ „ანეულის“ მკითხველს აღნიშნული ლექსი უფრო ცნობილ „სალამო გამოსალმებისა“-ში არ აერევა, როგორც მე ამერიკა წლების წინ. არცთუ პატარას, სხვათა შორის.

გამოსალმება

ს-ს

ვითა ცის ნამი დილითა ჰბრწყინვალებს ახლად შლილს ვარდზედ მარგარიტ-ცრემლნი ცრემლთა ჰსდევს ნიშნად

ქმუნვისა შენს ღაწვთზე.
 სატრფოვ! გშორდები და სიტყვა ვერ მიპოვებია
 სათქმელად.
 ანუ შენთ ცრემლთა საშრობლად, ანუ ჩემ
 სანუგეშებლად!
 ვერცა ცრემლთ ვაფრქვევ, ვერც ვუბნობ თვისსა
 სიყვარულს, თვის ტანჯვათ.
 და მით ვარ უფრო უბელურ, რომ ვერ
 აღმოვსთქვამ მსგავსად სხვათ
 ნამდვილი ტრფობა გინა რა სიტყვათ ემბდეს,
 ვერ ჰპოვებს.
 რათა გამოსთქვას თვის გრძნობა და მისთვის
 ოხრვით მღუმარებს
 ესე არს საშიშ შემკმელი, ცეცხლი უხილავ,
 უალო,
 არ აჩენს გარეთ ნიშანსა, შიგნით გაოხრებს,
 ჰე, გულო.
 ტრფობა უძღურთ გულთ წყაროს ჰგავს,
 მთათაგან გადმოქანებულს
 რაოდენ ველზე შორსა ჰვალს, ეგოდენ
 დაუძღურებულს.
 ესრეთი გული ან ცრემლით, ან განშორებით
 განაქრობს
 თვისსა სიყვარულს, თვით ტანჯვათ და მერმე
 ნებით კი ღზინობს
 რა ჩემებრ გული კლდოვანი მიიღებს ეშყის
 ბეჭედსა,
 დრო იმას ველარ შეჰმუსრავს, თუ არ
 შეჰმუსრავს, თვით კლდესა.
 გეტრფი, ვიდრემდის ვუმზერ მე მზის შუქსა,
 ნათელს მთოვარის
 ვიდრემდის ოხრვა გინდ ერთი, მჰშთომია
 ნიშნად, სიცოცხლის!

ზემოხსენებულ სტატიას ვუბრუნდები და, დაპირებისამებრ, ერთ ამონარიდს გთავაზობთ:

„აი, თუ გინდათ, გადვიკითხოთ მაისის „ცისკარი“; აქ არის მხოლოდ ორი ლექსი-თხზულება: „ნაამბობი მოხუცისა“ და მეორე „გამოსალმება“. პირველია თხზულება თავ. რაფიელ ერისთავისა და მეორე – თ. გრიგოლ ორბელიანისა.

ეს ორი თხზულება, გალექსილი კარვის ხელოვნებით და გრძნობით, მეტადრე „გამოსალმება“ მოკლედ და მკაფიოდ გამოგინატამსთ ადამიანსა, ნამდვილ გრძნობის მქონებელსა, რომელიც მიმავალია შორს სადმე და ესალმება თავის სატრფოსა და იქამდისინ გულმოწყლულია საყვარელი საგნის განშორებითა, რომა გულში აღმური ტრიალებს და თავისი წვა და დაგვა ვერ წამოუთქვამს, რადგანაც გული შეჰქმნია ქვად და გრძნობა ცეცხლად ალგზნება.

შემკრთალს და შეჭირვებულსა ვერ უპოვებია სიტყვა თავის გრძნობის გამოსათქმელად. მხოლოდ ამ შემთხვევაში, ე. ი. გამოსალმების დროს, უძღურს გულს გადმოედინება ცრემლი და იმითი ჩაქრება მჭმუნვარების ალი. მაგრამ ეს გრძნობა ადვილი მისახვედრია და ჩვენი განმარტება საჭირო აღარ არის“, – ვფიქრობ, ამონარიდის განმარტების საჭიროება არც ჩემგან ეგების.

მიუხედავად ამისა, „გამოსალმებას“ აქ ვერაფერი დიდებით ვერ გამოვესალმებით, რადგან დიდი

ხნის შემდეგ, მთელი ოცი და მეტი წლის შემდეგ, სახელდობრ, 1883 11 მაისს „გაზეთ „დროებაში“, იბეჭდება სტატია „სერგეი მესხის გამოსალმება“, რომელშიც თავს იჩენს ილია ჭავჭავაძესთან შეპირისპირებისა და მისი ნაღვაწის დაკნინების გზით სხვისი განდიდების მცდელობის ტენდენცია. სტატიის ავტორის თქმით, სერგეი მესხმა ჯანის სიმრთელე შეაღია ისეთ საქმეს, რომელიც „გაუწყვეტელ შრომას თხოულობს და კაცს არ აცლის, შექმნას „კაცია – ადამიანი?!“, ან „გლახის ნაამბობი“. გაზეთის ამავე ნომერში ახალი ამბების მიმომხილველი წერს, რომ ქართული დრამატული დასის გაყოფის შემდეგ ორივე ჯგუფს უნდა დაედგა სპექტაკლები, მაგრამ ილია ჭავჭავაძის მსახიობები წარმოდგენებს არ მართავდნენ. ეს ფაქტი მიმოხილვის ავტორს თეატრისთვის საზიანოდ მიაჩნია და სურვილს გამოთქვამს, რომ დასი კვლავ გაერთიანდეს“.

აქ, ახლანან ხსენებულ დასს სულ სხვა დროს და ადგილზე, ჩვენ აუცილებლად მიუბრუნდებით. მანამდე სტატიის ავტორი მყავს მოსაძებნი. ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკას უნდა მივმართო და ხსენებული სტატია მოვიძიო. არ გამოვა სხვანაირად საქმე. საქმე კი ისაა, რომ გაზეთ „დროება“, 1883, №86 ბოლო ნომერია, რომელიც სერგეი მესხის რედაქტორობით გამოდის.

მოდის, აქვე ვთქვათ: ძებნა-ძიების არცთუ ისე, ხანგრძლივმა პროცესმა წარუმატებლად ჩაიარა, რას ვიზამთ, ავტორობა სარედაქციო კოლეგიას, ან გამოცემელს სტეფანე მელიქიშვილს „დავაბრალდო“.

ილიასა და გრიგოლ ორბელიანის ურთიერთობებს, ჯერ მხოლოდ ლიტერატურულს, ვუბრუნდები და გახსენებთ/გამცნობთ: 1862 წლამდე „ილია ჭავჭავაძე განიხილავს ჟურნალ „ცისკრის“ 1857-1861 წლების ნომერებში გამოქვეყნებულ მასალას და მაღალ შეფასებას აძლევს გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებას. იგი მას ქართულ პოეზიაში „ევროპეიზმის გამგრძელებელს“ უწოდებს“.

დიდებული შეფასებაა, ვერაფერს რომ ვერ დაამატებს კაცი!

და დგება დრო „საქართველოს მოამბისა“.

1862 28 თებერვალს „ილია ჭავჭავაძე თხოვნით მიმართავს მას, როგორც კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელს, ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ გამოცემაზე ნებართვის მისაღებად და წარუდგენს პროგრამას“.

და, აი, ნამდვილი სასწაული!

1862 წლის თებერვალშივე გრიგოლ ორბელიანი ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ პროგრამას პეტერბურგში გზავნის დასამტკიცებლად. შეგახსენებთ, 1862 წელი ნაკიანი როდია, არც 4-ზე, იყოფა და არც 400-ზე.

ამასობაში, ორი „მატიანის“ კალენდრით 1862 20 მარტია.

„სახელმწიფო კანცელარია მისი (გრიგოლ ორბელიანის – გ.კ.), როგორც კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებლის, ნებართვის საფუძველზე აკმაყოფილებს ილია ჭავჭავაძის ოფიციალურ თხოვნას ქართული ჟურნალის –

„საქართველოს მოამბე“ გამოცემის შესახებ იმ პირობით, რომ მასში არ დაიბეჭდება პოლიტიკური სტატიები“.

„საქართველოს მოამბე“ მხოლოდ ერთი წელი იარსება.

მართლაც რომ იარსება.

ყველა ნომერს გაცნობილი ვარ მიზეზთა გამო და ახლა, მართლაც ვერ ვინახებ რომელიმე ნომერში პოლიტიკური სტატია დაბეჭდილიყო. „პოლიტიკის კეთებამდე“ ქართული ენა, თეატრი, კულტურა იყო გადასარჩენი და გადიოდა წლები, ლამის ათეული წელი, ვიდრე დადგებოდა წელი 1871 (19 სექტემბრამდე).

სწორედ იმ ხანად „თბილისში რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე II-ის მოახლოებულ ვიზიტთან დაკავშირებით დგება კომისია მისთვის მისართმევი ადრესის შესადგენად. კომისიის შემადგენლობაში შედიან როგორც ახალი (ილია ჭავჭავაძე, ივანე თარხნიშვილი, ბესარიონ ლოლობერიძე, ნიკო ნიკოლაძე), ისე ძველი თაობის წარმომადგენლები (გრიგოლ ორბელიანი, მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი, დიმიტრი ჯორჯაძე და რევაზ ანდრონიკაშვილი). პირველი ჯგუფის ძალისხმევით იმპერატორისთვის წარსადგენ ადრესში წერენ უნივერსიტეტის გახსნის თხოვნას“.

თხოვნა თხოვნად რჩება, დიას, სწორედ რომ ქაღალდზე რჩება, რამეთუ „იმპერატორისათვის გადასაცემი ადრესის შემდგენელი კომისიის ერთ-ერთი წევრი – ბესარიონ ლოლობერიძე ძველი თაობის წარმომადგენლების პოზიციაზე გადადის. „მაძები“, რომელთა მხარესაც უკვე ხმათა უმრავლესობაა, იმპერატორისათვის გადასაცემი ადრესის ტექსტს ცვლიან და თბილისში ვიზიტით მყოფ ალექსანდრე II-ს ქართველი ხალხის სახელით თბილისში სამხედრო სასწავლებლის (კადეტთა კორპუსის) გახსნას სთხოვენ, რაც ისედაც იგეგმებოდა“ (1871 19-24 სექტემბერი).

თხოვნა თხოვნად დარჩა...

და რაც კიდევ უფრო დარჩა ახლავე გავიხსენებ: „მატიანეს“ კალენდრით 1871 7 დეკემბერია, ილია წერს პამფლეტს სახელწოდებით „გამოცანები“ და ამხელს ძველ თაობას, რომელმაც იმპერატორს უნივერსიტეტის ნაცვლად სამხედრო სასწავლებლის გახსნა სთხოვა. სულ არის ცხრა გამოცანა, რომლებშიც გამოყვანილია ცნობილი სახელმწიფო მოხელეები: თავადაზნაურობის მარშალი რევაზ ანდრონიკაშვილი, სენატორი გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელი, ყოფილი გენერალი ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი, ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი, კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი დიმიტრი ჯორჯაძე, თბილისის გუბერნიის სამმართველოს წევრი იასე ჭავჭავაძე, „მამათა“ ბანაყის თანამდებობი ბესარიონ ლოლობერიძე, პოეტი და გენერალი გრიგოლ ორბელიანი და თავად ილია ჭავჭავაძე. ლექსები ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა.

მინდა არ მინდა, ცხრიდან ბოლო ორი უნდა გაგახსენოთ:

„მოხუცია იგი ჯმუხი,

პირად ბადრი, ტანდაბალი,

საქმით წმინდა, გულმხურვალე,
სიტყვატკბილი, ჭკვამალაღი.

ძველთაგანა ეგლა დარჩა
გრძნობით სავსე, გონიერი,
მაგრამ გაუბედავია,
თუმცა უყვარს თვისი ერი.
ის ძველის და ახლის შუა
შემაერთავი ხილია,
მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა
ზოგჯერ ფეხებზედ ჰკიდა“...

და აქვე:

„მეცხრე გამოცანად ითქმის:

– ეს ვის დაუწერიაო?

ნუ გაწყურებით და ნურც იტყვიო:

– იგი ჩვენი მტერიაო,

თუ გაწყურებით, რა მენაღვლის?!

მე არ მაქვს თქვენი რილია,

ვით თქვენ ქვეყანა, მეც წყრომა

თქვენი ფეხებზედ მკიდა“.

მოდით, ეს ამბავი, პირობითი სახელწოდებით: „მამათა დაშვილთა მეორე ბრძოლა“ აქვე დავასრულოთ.

წინ მეტად საინტერესო ამბები გველოდება.

განა ამიტომ არ წამოვიწყე გრიგოლ ორბელიანის საიუბილეოდ წერილთა ეს ციკლი?

დედაჩემმა, მიუხედავად სოლიდური ასაკისა, ყურნალ „ანეულის“ მეხუთე გვერდი ერთი ამოსუნთქვით წაიკითხა. ფრთხილად გადაფურცლა, მუხლებზე დადო კი არა, დაასვენა. მომიბრუნდა და ჩემთვის მოულოდნელად, როგორც იცის წყნარად, მაგრამ კარგად რომ გავიგონებ, ისე თქვა: „შენ ადგილას მე მამათა და შვილთა ბრძოლას“ უთუოდ გავაგრძელებდი.

ჰოდა, მეც ვაგრძელებ.

მამ ასე, ორი „მატიანეს“ კალენდრით, 1872 წლის 28 იანვრამდე. ილია ჭავჭავაძის „გამოცანების“ და „კიდევ გამოცანების“ გამო გრიგოლ ორბელიანი წერს და ხელნაწერის სახით ავრცელებს ლექსს „პასუხი შვილთა“. მოდი, აქვე შევნიშნავ, „პასუხი შვილთა“ ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა, და ამას მე კი არა ილიას მატიანეს შემდგენლები ამბობენ.

ამასობაში 1873 წლის 12 ივლისია. „გაზეთ „დროებაში“ სხვა მოღვაწეებისადმი მიძღვნილი შარჟების გვერდით იბეჭდება მისდამი მიძღვნილიც – ეს არის ამონარიდი ილია ჭავჭავაძის „გუთნის-დედიდან“: „მე ჩემის ჭირის, ჩემის წუხილის, ჩემის კაცობის გულის დულილის / სიტყვანი გულში მებადებიან, / მაგრამ გულშივე უხმოდ ჰკვდებიან“... აბა, უხმობისა რა მოგახსენოთ შემდეგი ამბის ცნობისას?!

1873 5 ოქტომბერა. „გრიგოლ ორბელიანის ლექსს „პასუხი შვილთა“, რომელიც დაიწერა ილია ჭავჭავაძის „გამოცანების“ საპასუხოდ, სერგეი მესხი უგზავნის აკაკი წერეთელს მისთვის ჩვეული „მახვილი და შხამიანი“ პასუხის გასაცემად“.

უნდა მოგიბოდიშოთ – „მახვილი და შხამიანი“

პასუხის“ ამბავისა მე არაფერი ვიცი... ორი ახალი თემა შემოდის ილიასა და გრიგოლ ორბელიანის ურთიერთობის და მე, არცთუ სიამოვნებით გამცნობთ. საქმე საადგილმამულო ბანკს და ქართულ თეატრს ეხება...

„მატიანეს“ კალენდრით 1874 1 დეკემბერია. გრიგოლ ორბელიანი თბილისიდან თემირხანშურაში წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს, ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეს „...სწერს, რომ ილია ჭავჭავაძე პეტერბურგშია წასული ბანკის საქმეებზე, მაგრამ თავად გრიგოლი ამ საქმეს სკეპტიკურად უყურებს“... და მოდით, აქვე: 1875 4 აპრილს „თბილისის თეატრში ესწრება სალიტერატურო მუსიკალურ საღამოს. არ მოსწონს რაფიელ ერისთავისა და დიმიტრი ყიფიანის მიერ წაკითხული ლექსები, მაგრამ მოსწონს დავით ერისთავის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის გამოსვლები. ილია ჭავჭავაძე კითხულობს გრიგოლ ორბელიანის „ონიკოვის დარღებს“.

და აბა ისე როგორ იქნება, „ონიკოვი“ დედას არ მოვასმენინო?! ცოტა გრძელი კია, მაგრამ... დედაჩემმა ჩემი წაკითხულიც კი გულისყურით მოისმინა... მხრით მომეკრო და ლოყაზე მაკოცა. „ვისმენთ“ ...ნაწყვეტს მხოლოდ...

გრიგოლ ორბელიანი

დიმიტრი ონიკაშვილის დარღებს

როდის მობრძანდებით, ჩემო ბატონო, ფეხ-ქვეშ გაგეშალო ფიანდაზადა!..
სავათნავა

ეშხისაგან გონება გამოცლილსა, მზე ბრწყინავს, თუ თოვლი მოდის არ მესმის! განა ღამით ძილი არის-ღა სადმე, ანუ ღლისით განსვენება სულისა? ან ვილასა აგონდება სადილი, ანუ ღამით აბანოში ღზინები?..

...
ქუდ ჩაკეციო, ყელზე ჩით-მერდინითა, რა ქვე-ქვეით გავსწევ ორთაჭალისკენ! მტკვრის პირს, ჩარხთან, თავის ღაზათებითა, სუფრა გაშლით, დამხვდნენ იქ დარღიმანდნი; იქა მნახონ, რა შევქმნილვარ, ვინა ვარ, რა მადანი მიპოვნია ბედისა! საკინძ ჩამოხსნილი, ხელში ჯამითა სინარულით ვსვამდე შენ სადღეგრძელოს“!

რატომ ეს ორი და სხვა არა?! დედას ესენი მოეწონა ყველაზე მეტად და წაიკითხავს, კიდევ ერთხელ, გამოვა თუ არა ჟურნალი.

ვაგრძელებ, თუმცა მანამდე ბარემ ვთქვათ: 1875 22 აპრილს „თბილისის საზაფხულო თეატრის სცენაზე გამართულ სალიტერატურო-მუსიკალურ საღამოზე ილია ჭავჭავაძე, ქართველ პოეტთა სხვა ლექსებთან ერთად, კითხულობს

გრიგოლ ორბელიანის „ონიკოვის დარღებს“.

ჯერ მხოლოდ 1875 19 აპრილია და თბილისში გამართულ სალიტერატურო საღამოზე, სხვა თხზულებებთან ერთად, ილია ჭავჭავაძე კითხულობს გრიგოლ ორბელიანის ლექსს „იარაღის“.

და რას ვაკეთებთ ჩვენ ამ დროს?

კითხულობთ, დიღია და სწორედ ამიტომ არასრულად:

„იარაღის
ვაძ მას მტერსა, ვის ანუ კლდენი,
ანუ ტყეთ სიღრმე ვერ დაჰფარვიდნენ,
ვითა შურდულებრ, ტრედთ შავარდენნი
მიესეოდნენ და შემუსვრიდნენ.
დავნატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე თვისსა
მაძულსა

შეჰსწირა მსხვერპლად,
დავნატრი დროთა, როს აქენდათ ტრფობა
მაძულისადმი

გულს აღბეჭდილად,

როს ერთგულება, სარწმუნოება,
ივერთ თვისებას შეადგინებდნენ,
ოდესცა ბრძოლა და მამაცობა
მათსა სახელსა განადიდებდნენ“...

სხვათა შორის, 1876 14 მარტს, ილია ჭავჭავაძე გახვთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ თავის სტატიას „ზოგიერთი რამ“ ეპიგრაფად წაუძღვარებს ტრანსფორმირებულ ფრაზას გრიგოლ ორბელიანის ლექსიდან „იარაღის“: „თქმით ჭმუნვა მაინც შემცირდებისა“... (შდრ. ორბელიანთან: „მაგრამ მოთქმითა ნუგემ-ეცემის და ჭმუნვა მითცა შემცირდებისა“).

და აქა ამბავი, მეტად დაუჯერებელი, მაგრამ ნაღდად მომხდარი ამბისა:
1876 1 ივნისამდე გრიგოლ ორბელიანი „წერილს უგზავნის ბიძაშვილის შვილს, იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანს, და სთხოვს, თუ ნახავს ილია ჭავჭავაძეს, გადასცეს მისი თხოვნა: უშუამდგომლოს თავის ქვისლთან, დიმიტრი სტაროსელსკისთან, რომ ბაქოს სახაზინო პალატაში მოლარედ მომუშავე, ადრე გრიგოლთან ნამსახურევი გასპაროვი, რომელიც თბილისში სამკურნალოდ იყო ჩასული, სამსახურიდან არ დაითხოვონ“.



არ დაითხოვა?

დაითხოვა?


ამის შესახებ მე არაფერი ვიცი. კიდევ ბევრი რამ არ ვიცი, მაგრამ რაც ახლა უნდა გითხრათ, ვერაფრით მოიცდის და მე რაღაცნაირად აღტკინებით გაგანსენებთ/გამცნობთ:

1878 30 იანვარა გრიგოლ ორბელიანის „სახლში იკრიბებიან ილია ჭავჭავაძე, ლევან მელიქიშვილი, გიორგი რევაზის ძე ერისთავი, ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი, ალექსანდრე საგინაშვილი და სხვა პირები „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წესდების პროექტის განსახილველად და ტექსტს ამზადებენ მთავრობისთვის წარსადგენად“.

უჰ, რა საგაზეთო სტატიების ციკლია!



მხატვარი
ნათია
მაჩაბიშვილი



ჟურნალ „ანულის“ შემომწირველები:
თამარ გაბროშვილი, მათა არაბული-მჭედლიშვილი, ქეთევან ჯავახიძე.

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანულის“ რეკვიზიტები:
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE81BG000000306158900



მხატვანი
ნინო ზანიძე -
მალხაძე



სიყვლია - გაბავრებულია ხეყვლი